კვირა. 1 იანვარი 1928 წ. № 133 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## მიზანში ამოღებულნი




...ტი ტარტაროზის ქანილი.— მიზანში პროტექციონიზმი ბიუროკრატიზმი გაფლანგვ...
...ბულის დამენით!

# ნაკაზი

ჯერ, მეგობრებო,
ჩემგან მიიღეთ
სულით და გულით
წრფელი სალამი.

ხელში გექიროთ
მტრის გასაგმირათ
დაუნდობელი
ბასრი კალამი.

მომილოცნია
ცხრაას-ოცდა-რვა—
ახალი წელი—
ახალი ბრძოლა.

ამიერიდან
მტრების სიმაგრეს
უფრო სიმკაცრით
დავუწყოთ სროლა

ამოღებული
არის მიზანი,
საჭირო არის
მხოლოდ დაშენა.

გავანიავოთ
მტრისა გეგმები,
რაც მან ხრიკებით
ჩუმათ აშენა.

კარგად გახსოვდეთ:
როგორც ყოველთვის
დღესაც ესენი
არიან მტრები:

ბიუროკრატი
და პროტექტორი,
გამფლანგველი
და მისი ამქრები.

ჰა, ეს სამება
და ერთარსება
(როგორც: ღმერთი, ძე
და სული წმინდა!)...

რომ სამუდამოთ
მოვსპოთ ესენი,—
უფრო სიმკაცრით
შეტევა გვინდა...

და თუ ესენი
ჩვენ დავამარცხეთ
(და არვის შეგვდის
ეჭვი ამაში),—

სხვა მტრებთან ბრძოლა
ჩვენთვის იქნება
მხოლოდ გართობა,
მხოლოდ თამაში.

ამასთან ერთად
ცხოვრებას კვალ-კვალ
უნდა მივსდიოთ
და გავაშუქოთ,

რომ ჩვენს მოკეთეს
და მეგობარსა,
საგმობი—ვუგმოთ,
საქები ვუქოთ.

მეტად ვრცელია
სატარტაროზო,
და უფრო მეტათ
კი ასპარეზი.

უკვე მოგეცით
მომავალ წლისთვის
საქმის კეთების
გეგმა და გეზი

# ბრძანება

ნიშნათ ამდენი
დამსახურების,
მუყაითობის
და მუშაობის,

ადგილობრივათ
ყოველ კუთხეში
ამოშრომბისთვის
მაინც ჰაობის,—

ვნიშნავთ „პოლპრედებს"—
სრულ-უფლებიან
წარმომადგენლებს
შემდეგსა პირებს,

რომლებიბც, მართლა
მოგვაგონებენ
გამობრძმედილსა
ბრძოლაში გმირებს:

აჭარისტანში—
პარმენ ობოლი;
(აქვს ასპარეზი
ზღვისა და მიწის)

სამტრედიაში—
ჭაგნელი ბზიკი
(იქაურობა
მან კარგად იცის).

ჭიათურაში—
ძველი გოგია
(იქ ხომ ამჟამად
საქმეა დიდი)

ჩოხატაურში —
„მორცხვი" წავჭლა
და ქუთაისში
კი—კოსტაიდი

რჩება მრავალი
სხვა ქალაქები,
რაიონები,
ააბა-სოფლები,—

მაგრამ ესენი
ნუ იფიქრებენ,—
თითქოს არიან
ჩვენგან ობლები.

ყოველ კუთხეში,
ყველა კუნჭულში
ჩვენ გვყავს აგენტი
და ტარტარ-კორი,

რომელთ უფლება
არის „პოლპრედთან"
თანაბარი და
სავსებით სწორი.

ჩვენ „პოლპრედები"
შემდეგ ახალ წელს
ყოველ მხარეში
უნდა გვეყოლოს.

(მათი დანიშვნა
ალბად მოხდება
ერთი წლის შემდეგ—
ამ წლისა ბოლოს)...

და, რა თქმა უნდა,
ჩვენ მას დავნიშნავთ,
ვინც იმ კუთხიდან
უკეთესია.

ვისაც მოუმკავს
კარგი ნაყოფი
რაც ჩვენს ჟურნალში
დაუთესია.

ამიტომ აგენტს
მართებს სიფხიზლე
და საქმისადმი
დაერთგულება,

რომ ამით მასზე
ჩვენ მუდამ გვქონდეს
კარგი აზრი და
შეხედულება.

დასასრულ კიდევ,
მიიღეთ ჩემგან
კარგი სურვილი
და გამარჯვება...

მუდამ გახსოვდეთ,
რომ კარგ საქმისთვის
ბრძოლაში არის
ცხოვრების [illegible].

ტარტარი

ტარტაროზის სის[illegible]
ახალი წელ[illegible]

# კანცელარია საიქიოში




# საიმედო წელიწადი

ეს ამბავი მოხდა 1927 წლის 31 დეკემბერს, დაახლოებით ასე, ღამის 10 საათზე, ვასო კოვერკოტაშვილის ბინაზე;

თვითონ ვასო კოვერკოტაშვილი, ახალ კოსტიუმში გამოწყობილი იჯდა სავარძელში და სიამოვნებით სწევდა პაპიროსს. ხოლო ძველი წელი—ერთი წლის ბებერი—გაგულისებული საყვედურით აღშფოთებით სავსე ხმით [illegible]

— განა შენ არ [illegible] სიხარულით და ღიმილით [illegible] ჩემს [illegible]! მახსოვს შენი სიხარული იმდენათ დიდი იყო, რომ [illegible] დაბარდნასაც კი არ მოერიდე. განა შენ არ იყავი, რომ ღამის 12 საათზე კვარტიან ყანწით ხელში ყველას გასძახოდი, რომ ამისთანა ახალი წელი ჯერ არ გამთენებია!?

მაგრამ არ გასულა ხუთი თვე ჩემს მოსვლის შემდეგ, შენ ისე უტიფრათ შეიცვალე სახე, რომ ყოველ [illegible] იმას გაიძახოდი, რომ ამ წლისთანა უბედური წელი ჯერ არ მინახავსო... სად არის ამის შემდეგ შენი [illegible] სინდისი [illegible]?

ვასო კოვერკოტაშვილმა ჩაიცინა:

— ახირებული ვინმე ხარ, ძია... 37 შენისთანა წელი გამისტუმრებია და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს რაიმე პრეტენზიები გონებით ჩემთვის [illegible] მოეთხოვოს: ეს ასეა მოწყობილი და თუ შენ რამე გაწუხებს, მიმართე ისტორიას... და მერე, რატომ მაინცადამაინც ჩემთან გააბი [illegible]? სხვებთან შედარებით, ჩემგან შენ სიკეთის მეტი არაფერი გინახავს.

ვასო კოვერკოტაშვილმა გაკვირვებით ასწია მხრები.

დავამცირო შენი ღვაწლი ჩემდამი, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რაიმე განსაკუთრებულს ქონდა ადგილი.

— ბინა?...

— რომელი ბინა?!—გაბრაზდა უეცრად ვასო.

— აი ეს ბინა... ამისთანა ბინას ვერ მოესწრებოდი შენს სიცოცხლეში? ორი საუცხოვო ოთახი. საუკეთესო ქუჩა: არც აღმართი, არც დაღმართი. აქვე ტრამვაი. ჯანსაღი ჰაერი. ცალკე შესავალი, ვანა, ელექტრონის განათება და წარმოიდგინეთ, რადიო - მიმღების ნომრებიც კი გაყვანილი დაგხვდა!...

აქ ძველ წელს მეტის-მეტ ბრაზისაგან ცრემლებიც კი მოუვიდა თვალებზე.

— გაიხსენე სად ცხოვრობდი უწინ. ნახევრად სარდაფი. ერთი პატარა ოთახი, ბაღლინჯოებით და ქუჩქრუტანებით სავსე. უბერავდა ზევიდან, უბერავდა გვერდებიდან და მხოლოდ ქვევიდან არ უბერავდა, რადგან ქვევით მიწა იყო მხოლოდ. დღეც და ღამეც ერთნაირად ბნელოდა. საუზმობდი ლამფის შუქზე, სადილობდი ლამფის შუქზე და ვახშმობდი ლამფის შუქზე... გაიხსენე ყველაფერი ეს და გახსოვდეს, რომ მხოლოდ 1927 წელმა გარგუნა უკეთესი ბედი.

ვასო კოვერკოტაშვილი შეწუხებული იჯდა. რა უნდა ეპასუხნა მას ასეთ არგუმენტებზე. მართლაც და მართლაც რა უნდა მოეტანა საიდუმლოებით და ბურუსით მოცულ ახალ წელს ამაზე უკეთესი?

— მერე,—გაბედა შეტევა ვასომ,—როგორ ფიქრობ, თავისით ხომ არ ჩამივარდნია ეს ბინა ხელში!? ოთხი ათასი დღეს კარგი ფულია. მაკლერს ცალკე, ინსტიტუციას(?) ცალკე, ბინის ქირა წინდაწინ ცალკე... რემონტის ცალკე... მორთულობის ცალკე... არა, აღიარეთ გულწრფელად, რა უნდა მოგიტანოსთ თქვენ ახალმა წელმა ამის მსგავსი?—დაიჟინა ისევ ძველმა წელმა:

ვასომ პაპიროსი გააბოლა:

— აი რა... დღეს უთავდება ვადა წინდაწინ მიცემულ ქირას და აწი;;; ე. ი; ხვალიდან უკვე „სავეტსკად" გავხდები...

ვასომ გაიცინა და რაც უფრო იცინოდა ივი, მით უფრო ელეოდა ძალ-ღონე ძველ წელს.

— 1927 წელი კარგი იყო, მაგრამ 1928 წელი აჯობებს!...

მაგრამ ძველი წელი მაინც არ აპირებდა იარაღის დაყრას. ის იყო შემოტევაზე უნდა გადმოსულიყო, რომ ვასომ დაასწრო და თვით გადავიდა შეტევაზე.

— ეხლა შენც გაიხსენე, თუ რამდენ ბედნიერებას მოველოდი მე შენგან და რა მომიტანე... გახსოვს, ერთი კვირის მოსული არ იყავი, რომ მუხლმოდრეკით გემუდარებოდი, მიშველე, ფეხმძიმე თამარას ბავშვს ნუ აყოლიებ და ნუ გამხდი სამუდამოთ ალიმენტის მსხვერპლს. მაგრამ შეისმინე მერე შენ ეს ჩემი მხურვალე ლოცვა და ვედრება?... ჰა.;; შეისმინე?;;;

— ეს ხომ 1926 წლის ცოდვა იყო და რატომ უნდა მომენანიებია, ან გამომესწორებია მე სხვისი ცოდვა.

— მაშ ვის უნდა გამოესწორებია... ნუ თუ შენ გგონია, რომ 1926 წლის ივლისში, ჩასახული ბავში იმ წელშივე დაიბადებოდა?... ან და 1928 წელს დაუცდიდა?.;; ცხადია 1927 წელში უნდა დაბადებულიყო და შენი მოვალეობა იყო მიგეღო შესაფერი ზომები, აბა, რა უნდა გითხრა, რომ შენის წყალობით; მთელი 20 წლის განმავლობაში ეხლა ხელფეხ შეკრული ვარ და ყოველთვე ალიმენტი უნდა ვაძლიო იმ შენს მიერ გაბედნიერებულ თამარას!...

თამარას მოგონებაზე ვასო კოვერკოტაშვილმა გაბრაზებულად დაიწყო სიარული ოთახში.

— და ყოველივე ამის შემდეგ, შენ გაქვს კიდევ იმდენი სითამამე, რომ გამოსულხარ და გაიძახი:—სიკვდილამდე ჩემი მადლიერი უნდა იყოვო?... მადლიერი კი არა, ნეტავ რატომ აქამდე არ ამოგძვრა სული!...

ძველი წელი თავჩაქინდრული იდგა კარებთან.

— კი, მაგრამ—გაბედა ბოლოს მან; მიკვირს რითი შეგიმსუბუქებს შენ ამ მძიმე მდგომარეობას 1928 წელი?...

— გეტყობა, რომ მართლაც დაბერებულხარ და გამოყრუებულხარ... გასაგა, რომ თუ შენი დიფტერიტები, გრიპები და ინფულენციები ვერაფერს გახდენ იმ ბავშთან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 1928 წელი უფრო ბედნიერი არ იქნება ამ მხრით!...

ძველი წელი მთვრალივით დაბარბაცდა, რადგან ვასო კოვერკოტაშვილმა მიაგნო მის სუსტ ადგილს. ვასომაც აღარ დააცალა შესუსტებულ მტერს და განაგრძო შეტევა.

ეხლა გადავიდეთ სასამსახურო მხარეზე... მთელი წელიწადი ისე გავიდა, რომ თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩემს ბინაზე დადგმულ ამ ხრინწიან ტელეფონს და რამდენიმე მივლინებას ცენტრში, არავითარ სიკეთის მომსწრე არ ვყოფილვარ.

— ნუთუ მივლინება სიკეთე არაა?... და ისიც ცენტრში?...

— სამი მივლინება ხუთი თვით მთელი წლის სიგრძეზე. ეს სიკეთე კი არა, დაცინვაა. გათელვაა მშრომელის თავმოყვარეობის და იმ წმინდათა წმინდის, რომელსაც უანგარო და თავდადებული შრომა ეწოდება. მე მეტს მოველოდი და მოველი კიდეც 1928 წელში. საერთოდ, რომელი მხარეც არ უნდა აიღო, გინდ საერთაშორისო, გინდ შინაპარტიულ - ოპოზიციონური (უპარტიო ვარ, მაგრამ ამ საკითხში ეს ბევრს, არაფერს ნიშნავს) 1927 წელი იყო არა წელი სურვილების და ოცნებების ასრულების, არამედ გაბითურების...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— კმარა,—თქვა ბოლოს ვასომ,—უკვე თერთმეტი საათია და ჩვენები უკვე შეკრებილი იქნებიან... დროა წასვლის...

ძველებური ლუკმა



— სახაზინო 3000 მანეთი?—წამოიძახა უეცრად ძველმა წელმა და დამცინავ ღიმილით შეაჩერდა ვასოს.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს. ყველა გასამართლებელი საბუთები წარდგენილია და დღეს დაამტკიცებდენ კიდეც. შემიძლია თამამად ვთქვა, ახალ წელს მართლაც, რომ განახლებულ გულით ვხვდები.

ძველი წელი მაინც არ ჩქარობდა წასვლას.

— მაშ ასე,—დაუმატა ვასომ,—მოსულხარ.... შენი ვადა შეგისრულებია და ეხლა მშვიდობიანად წადი... სკანდალი და ხულიგნობა არ გაგივა. ხომ იცი, დღეს მილიციის. მიერ განსაკუთრებული ზომებია მიღებული. წადი შენთვის, აწი აღარავის უნდიხარ. ყველგან აპარატის გაახალგაზრდავება მიდის და თუ შენისთანა ბებრებს ვებოდიშეთ, რაღა ვუყოთ მაშინ 20 პროცენტიან შემოკლებას? ნურც შრომის გმირობის იმედი გექნება, რადგან ეს კამპანიაც ჩატარდა უკვე. თუ გსურს, ითხოვე პენსია, და რაც გამეწყობა, ყველგან გაგიწევ პროტექციას. ასე თუ ისე, ცოტა სიკეთე მაინც მახსოვს შენგან და სამაგიეროდ არც მე მინდა დაგრჩე ვალში...

ამ სიტყვებზე ძველი წელი [illegible] უსულოდ დაეცა იატაკზე.

— ვასო კოვერკოტაშვილი, ჯერ ჩუმად იყო, შემდეგ ისეთი კმაყოფილების ოხვრა აღმოხდა გულის სიღრმიდან რომ... გამოელევიძა.

თავზე დადგომოდა მის პროტექციით სამსახურში მოწყობილი მოანგარიშე და რაც შეიძლებოდა, ანჯღრევდა. — რაო, დროა წასვლის ახალ წლის შეხვედრაზე?... შეეკითხა მას ვასო და წამოდგომა დააპირა...

— რა გეახალწლება კაცო!... ეს—ესაა გავიგე, რომ საბუთების სიყალბე გამოაშკარავებულა და თავს უშველე!....

ვასო ისევ საწოლში ჩაიკეცა.

**ხინემატო.**

# ლევარსის „ხუმრობა“



**ლევარსი როხროხაძე:** (რედაქციის თანამშრომლებს): — მშვიდობით, მეგობრებო,—ამ წელიწადში მეტს ვერ განახავთ!

**თანამშრომლები:** — ლევარსი, სად მიდიხარ ასემოულოდნელათ და ისიც ასე დიდი ხნით!—(ლევარსიმ პასუხი არ გასცა და კარებში გავიდა).

**ლევარსი როხროხაძე:** (შემოდის ხუთი წუთის შემდეგ. ე. ი. შუაღამის პირველ საათის სამ წუთზე):— გამარჯობათ თქვენი, მეგობრებო! რას შვრებით? როგორ ცხოვრობთ?

**თანამშრომლები:**—აკი დაგვემშვიდობე და სთქვი, რომ ამ წელიწადში მეტს ვერ მნახავთო?

**ლევარსი:** — ის წელიწადი უკვე გავიდა... ეხლაახალი წელი უკვე დაიწყო... მე ჩემი სიტყვა შევასრულე.

## მონოლოგი

დედაო ღვთისავ, ძეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ ქუჩაში ავტოს
შემოგებება არ მიხარია,
ისე ლოცვაში მარტო ვარ, მარტო.
მამაო ღვთისავ, წმინდაო სულო,
ეკლესიაში კლუბია ახლა.
იქ საჭადრაკოთ კვლავაც მივსულვარ
და წამიგია... ეჰ, მახლას, მახლას.
დედაო ძისავ, ძია აბრამო,
შენი ბატკანი შემეწვა მსურდა.
დღე სადღა არის შენი ნაგრამი
(დარჩენილიყო ქემაინც ხურდათ!)
მაინც სად გაქრა ბერ-მონაზონი,
საკურთხიც გაქრა, როგორც ასეთი.
მომენატრება ხან თვით მაწონი..
ქილისა იყოს თუნდ მეასედი.
აქ კამპანიებს მართავენ ბლომად,
ზოგს ანტი (ქვია) რელიგიური.
ეხ! სადღა არის ძველი გაძღომა,
ან და საკურთხი იგი ღვთიური!.
ძმაო, იესო, იესო ძველო,
რაღად ეწამე ეს თუ გველოდა!?
მარქვი: საკურთხი და საწირველი
სად გაიპარა საქართველოდან?
მამაო ჩვენო, მე მეეჭვება,
რომ შენ სუფევდე მაქ, ცათა შინა.
თუ კი ხარ, რატომ არ მოგვეც შვება
აქეთ ჩამოსვლა რად შეგეშინდა?
მომეცი პური მე არსებისა,
თანანადებნიც თან მოაყოლე,
თორემ იცოდე: ნაცვლად ქებისა
შენი გინების ავადენ ბოლებს.
ჯვარს აღარ იწერს არც ერთი მერი
ახლა „ზაქსია“ მოდაში მეტად.
რაც ფოფოდია გამექცა მერე,
მე მას გავყევი თან ალიმენტად.
ათრთოლებული და მოცახცახე
თემალმასკომში დავდივარ... მღვდელი!
ფოფოდიამაც დამიგო მახე
და გაიხსენა ხელობა ძველი.
მე აქ ლოცვაში დამტოვეს სოლოდ,
შენ კი მანდ რაღაც თავს იკატუნებ.
იშკილი იქით! ბოლოს და ბოლოს
მეც წარმოგიდგენ ულტიმატუმებს.
მამაო ჩვენო! პაპაჯან! ძია!
ნუ თუ გამიხდი შენც ატვესტვენი,
რომ აღარც ლოცვამ არ მოგიწია
და აღარც ხვეწნა არ გადის ჩვენი?..

ალლარ-ალლარხაზ.

# სტილის ბრალია

— თელეთის ხატმა დააკუტოს ამ სტილის მამგონი, როგორც მე სტილიც ამირია და ტვინიც, ჰამაც ზარალი მამცა და იმ ბემურაზ გიქორას პირშიც ცალკე ჩამაგდო. სტუმრებში მარცხენა და მრიაბროც სხვა იყო მააშ!

ვა, ბემურაზი ვიყო, თქვენს ჰამქარში გამოვერჩიო, თუ ამ დროების რამე მესმოდეს რაღა; იმის თაბაუთი და ძალა გამეგოს. ვთქოთ ძველი ცხოვრება ფინთი იყო და ის გამოცვალეს, ნიკოლოზი, თავისი ჯანდარ - გარადოვებით,თავის ტერტერებით; ჯვარითა და ხატით საიქიოს ნალოუ - პლატეჟით გაგზავნეს, ძველი შნო და ლაზათი მაასპეს—ამა ჩვენი დოირანი უნდა დავარტყათ და სოციალიზმი უნდა გავაკეთოთო...

პაჟალუსტა, თუ მარიფათი გაქვთ, თოღ; გააკეთეთ; ჰამა თქვე ბემურაზებო; ამ სტილებისაგან რაღა გინდაათ და? თვეები და პრაზნიკები ლოტოს კოჭებივით გადაჰყვეს: ყველიერს შობა დაარქვეს, წყალკურთხევას—ახალწელიწადი, ბზობას იორდანე და ჰკუის დავთრები სულ ჰარისასავით აგვირიეს: ვეღარ გავიგე გოზინაყი როდის ვჭამო, მარხვა როდის შავინახო, ტერტერასთან საზიარებლათ როდის წავიდე; რომ ძველი ცოდვები მოფინანიო და სამოთხის პროპუსკი აქვე მივიღო.

ჰუზურში ხალხმაც ჰიშკილები გაიგო და აშ სტილებისგნით რეჟიმ ეკანომიას შვრება: ძველ სტილზე თუ სტუმრათ მიხველ მშიერს გამოგისტუმრებს: თუო:

— ჩვენ ახალი ვეიანია გავაკეთეთ, ახალ სტილ ძი ჩავეწერეთ და ახალწლის პრაზნიკიც უკე ვქენითო.

თუ ახალზე მიხველი მაშინ გებნებიან·

— ვაჰხ, არ იცი საქოჯან,—ძველ რჯულსა და დღათს არ უღალატეფ? მე ძველი სტილით ვიღეფ პაზდრავლენიას თორემ ერთი ლაზათიან პურ-მარილს გაჭმევდიო.

შორს რათ მიხვალ? მე თითონ ასე მიქნია... ეს ზაჭირუმალი წლები სულ ასეთი ოინბაზობით გავიყვანე სახლში სტუმრისთვის კოვზი და სტაქანი არ მიჩვენებია, რაც ჩვენი სტეპკუა გრანიცაში გავგზავნეთ, მე და შუშანა ეკანომიასა ვშვრებით და სულ მწვანილზე და პურზე გამოვდივართ. რომა რასაც ვოგებთ, იმას გაუგზავნოთ, ჰამაც ასეთ პრაზნიკებში სულ სტილს ვიმიზეზებთ, სტუმრებთან ისტიბარსაც არ ვიტეხდით.

ახში შარშან კი ფინთათ შავრცხვით, ეს ამოსაგდები თავი მოსაჭრელათ გავიხადეთ, ჰამაც ყალმაყალი სხვა იყო, გიქორა ეხლაც ნამდურავათ არის ჩემზე, სულ მანაჩივლი აქვს; უბიტკას თხოულობს მააშ?!

გიამბოთ? პაჟალუსტა, მაინც დრო ბევრი გვაქვა, ვიზიტს გიშვრებით, ეგ გოზინაყი აქეთ გადმოდგი, ჰამაც ჩილივკა დამისხი... ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ კეთილ ანგელოზს, რომელიც რომ კეთილი ანგელოზი მაღლიდამ გვიყურებს, ჩვენი ცოდო სწონს და იძახის:

— ძმებოჯან, ჩემა მზემ მეცოდებით; რომ თქვენი დროება წავიდა, ახალი ხალხი გაჩნდა; ახალი ცხოვრება გააკეთეს, ჰამა; ეხლა ვირის, ტალახიდან ამოყვანა აღარ შამიძლიან და ისევ გაუძელითო.

ჰო, იმას გებნებოდით: ხომ იცით, ჩემ გვერდით სპეცი გიქორა ცხოვრობს, მდიდარი კაცია, ყოველთვის კარქი სტოლი აქვს გაშლილი. შარშანაც ასე ქნა. გამართა სუფრა, ზედ კარქი ზაკუსკეული, ნალივკები, ინდაურები, ხიზილალა, გოზინაყი, ალვახაზი, ფსტა, ხუყლი, ალაჯანაბადი რამე—კაცნი ვართ, იქნება სლუჩაინათ სტუმრები მამივიდნენო.

პუპუზ, ზედ ახალწლის წინა დღით კამანდიროვკა მისცეს, ორი დღით ბათუმში გაგზავნეს.

მე და შუშანა ახალწლის დღეს ვიზიტზე დავდიოდით და ბედასლათ ფოდრაჩიკ ვანუასთანაც შაველით; კარქი პატივი გვცა, პურმარილი გვაჭამა და ისე გამოგვიშო. კარქი გოგო ჰყავს, მზიათვიანი ვინმეა.ჰამაც ისეთი

# ფოთის ტრამვაი

## ლევარსი როხროხაძის პროექტი

(საახალწლო საჩუქარი)

ვნახე ფოთი, მაგრამ, ვაი!
როგორია იქ „ტრამვაი“?!
ლევარსი როხროხაძე.



ლევარსის პროექტის მიღებისა და გატარების შემდე გ, თავიდან აცილებული იქნება:

1. მათრახების დიდი ხარჯვა, რითაც საკმაოთ მოზრ დილი თანხა დარჩება ფოთის ქალაქის ალმასკომის სალაროში.

2. თვითონ ცხენი ვერ გაექცევა თავისი მოვალეობის შესრულებას და ვერ გადაახტება ხელნარს.

3. ცხენის წიხლებისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან, როგორც მგზავრები რონოდაში ასვლა-ჩამოსვლის დროს, ისე კონდუქტორები.

4. ცხენი გადაეჩვევა უკულმა სიარულს (უკან დახევას), რადგან რონოდას თვითონ დაინახავს და ეცოდინება თუ რამდენი მგზავრი მიჰყავს (ნორმაზე მეტს არ წაიყვანს, ან და მეტს თივას მოითხოვს).

ამ ზომების გატარების შემდეგ შესაძლებელია ფოთის მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ ფოთის „ტრამვაით“.

ტუში.

# გზის-მაჩვენებელი ვარსკვლავი




ნასწავლია, რომ თეძოებამდისინ მოკლე კაბა აცვია, თმე-ბი გაკრეჭილი აქვს და ლორნეტით დადის. იმ გოგოს და ჩემ სტეპკუას ერთმანეთში თაბაუთი ჰქონიათ, მეც მინდოდა იმ გოგოს სახლში შემოყვანა. იმისთანა მზით-ვიან პატარძალს ვინ არ ინატრებს?

როცა მოვდიოდით, ვანუას ოჯახობას უთხარი·

— პაჟალუსტა ჩვენსკენაც გამაიარეთ მოგვილოცეთ მეთქი.

გულში კი ვიფიქრე, სიტყვის მაზანდათ მითქვია, ცა-ლი ყბით დამიპატიჟნია, რას მოვლენ მეთქი?... ალხეი-ნად წამოველ.

თურმე ნუ იტყვი, იმ ბემურაზებს აკურატნათ დაუნ-სომებიათ, დაუხვეტნიათ მთელი ჩუღურეთი და პუპუზ, მეორე დღეს არ მოგვადგნენ?

ჰელეთ - მელეთი მამივიდა, შუშანა აწრიპინდა, სი-რცხვილისგნით ვიწვით, მოვიდნენ და იძახიან:

— პაზდრავლაიმ ნოვი გოდ, ნოვი სჩასტია, ნოვი სტილ. სტარი სტილ ყველაფერი მოგვილოცნიაო?... ნა-სდილევები იყვნენ, ზოგი მთვრალიც იყო.

ეშმაკმა მამენტალნათ ჭკუა მასწავლა და შუშანას ვებნები:

— შუშან, ერთი შტუკა უნდა ვქნათ,

— რა შტუკა?

— გიქორას ოთახში შავიყვანოთ, გიქორას სტოლი გაშლილი აქვს, ჰამაც ყველაფრით მოწყობილია მები-ლით, რამით. ამ გაფხეკილ სოროში ვეჩვენოთ ხომ დაფრ-თხება ეს ბემურაზი გოგო და ღარიბებს რო გვნახავს სტეპკუას აღარ შაირთავს მეთქი... თანაც დამძღრები არიან, ჭამით არაფერსა სჭამენ და გიქორაც ვერაფერს გაიგებს მეთქი!...

ჭკვაში მოუვიდა და იძახის,

— ვაი ქი, რა რასტერიანი გავხდი, სიხარულისგნით ვეღარაფერი მოვახერხე, წამობრძანდით გოსტინაში, სტო-ლი იქ გამილშიაო...

წავიყვანეთ, დავსხით, ჰამა შიშისგნით პერანგი მის-ველდება, თელეთის მადლი არ გაუწყრეთ და იმ სხვის საქონელს ხელი არ ახლონ, არაფერი ჭამონ მეთქი.

სტეპკუას გოგო, იძახის:

— კაკაია პრელესტ, რა მდიდრულათ მოწყობილი გასტინა გქონიათო... მეც შავიფერე და ვებნები:

— ისე რაღა, კამაც-კამაც, შენ შენი თაბაუთი დაი-ჭირე, და სტეპკუა რომ ჩამოვა, უფრო კარქ გასტინაში შამოგიყვან მეთქი. იცანი.

ერთიც ვნახოთ, შამოუსხდნენ, ეს სტუმრები სტოლს, მე მამენტალნათ გავიქეცი და ჩემი სახლიდან მწვანილი და ყველი გამოვიტანე, აქეთ იქით ვაწვდი და ვებნები:

— პაჟალუსტა, მიირთვით ყველი, წიწმატი, ბოლო-კი, ტკბილეული მიბეზრებული გექნებათ მეთქი... ბან ჩუეს? ყურსაც არ მიგდებენ, ზოგი ტორტს იჭრის, ზოგი შიკალატს იღებს, ზოგი ხიზილალას, მშიერი მგლებივით დაედევნენ ამ გიქორას რამეებს.

ახრიზამანში ზარალი და ბრიაბრო ნეპრემენია რა-ღა. მე შუშანას ვანიშნებ, ის მე მანიშნებს, ვცდილობთ ეს სტუმრები სხვა რამეზე გავართოთ, ჯამბაზური მასხა-რობა დავიწყე, შუშანამ ლოტო მაარბენინა, ჰამა წამხ-დარ საქმეს არაფერმა არ უშველა. ყველაზე მეტათ კი ის ლუპუსტაცი ფარსადანი არაინობდა, ყველაფერი დაპრო-ბა, ყველაფერი ჩათრაქა, პარტი სალფეტკებიც კი დაჭამა, მე კი ტირილი მამდის და სისხლზე მოვდივარ... ერთიც ვნახოთ, ამ ფარსადანმა ნალივკის ბოთლიკა წააქცია, რუმკები დაამტვრია და სუფრაც დალაქა. მე ვეღარ მო-ვითმინე, წამოვხტი, სტოლს ხელი დავარტყი და ვყვირი.

— კაკოი ბეზაბრაზია, ნამუსი აღარ არი? რა აფთა-რი ჩაგიჯდათ მაგ მუცლებში, მტრები ხართ? ნეჩაინათ მა-გის პატრონი რომ მოვიდეს, რა პასუხს აძლევთ მეთქი. ყალ-მაყალი ჩავაგდე. შუშანას გული წაუვიდა. ხალხი აჩოჩქოლდა და ძლივს ფეხზე წამოიშალა. ამდროს, მა-მენტალნათ კარები გაიღო და გადაფითრებული გიქორა შამოვარდა თავისი მთვრალი ამხანაგებით, ხელში ლევ-როვი უჭირავსდა ყვირის:

— ნი სმესტა, ყველას უგალოვნში გაგგზავნით ქურ-დობისთვის, ჩემი სახლის გატეხვისათვის, ჩემი ზაკუსკე-ულის შაჭმისათვისო! თქვენ რა პრავა გაქვთ, რომ ჩემ სახლში, ჩემ რამეებსა სჭამთო.

ხალხი გაგზავნა, მილიციონი მაიყვანა, პრატაკოლი შაადგინეს და იმ ხალხში მთელი ჩემი სეკრეტი იასნათ გახადეს. აბა მაშინ გენახათ ყალ-მაყალი, შუშანას პრი-პადკები, იმ ფოდრაჩიკის გგოგოს გაქცუნება და ჩე-მი მასხარათ გაკეთება! იმას აქეთ საქმე სუდშიახან სლე-დაოტელი მიბარებს. ხანპროკლოვი,ხან ადვაკატები და გი-ქორაც ცალკე შტრაფსა და უბიტკებსა მთხოვს. ეს სულ იმ ბემურაზ სტილის ბრალია. სტილმა მიყო, თორემ მე ასეთი ოინი არ დამემართებოდა. მახლაზ, ესეც ყისმათია, უნდა გაუძლოთ...

ეხლა კი თითოც დავლიოთ... ერთმანეთს ისემე უყოთ, პაზდრავლენია რაღა, და ვთქოთ თუ, გაუმარჯოს იმ სტილსა, რომელიც რომ სტილი ამისთანა ხათას აღარ მოგვიტანს.

ფარსადანი

# ჩემბერლენი
## საახალწლო საჩუქარს აგზავნის ჩინეთში




# საახალწლო მზადება

### ტყიბული
### ნამდვილი ამბავი

მალაროების კოოპერატივის კარებთან გაჭიმულია გრძელი რიგი.

**პირ.**:—კაცო. ნეტა რისი რიგია? აქ ჯრას არიგებენ?

**მეორე**:—რავა, ამ დილის შემდეგ აქ დგეხარ ნიკოს ჯორივით და ახლა კითხულობ რისი რიგიაო?

**პირ.**:—რა ვიცი, ქვეყანა დგებოდა რიგში და მეც დავდექი; რასაც მომცემენ, იმას წავიღებ. სულ ერთია.

**მოხუცი დედაკაცი**:— შვილო, ამხელა კაცი რავა უნდა იყვე ასე გაუნათლებელი! რავა არ იცი რეიზა დგეხარ აქ? აწი მაინც იცოდე — შენ დგეხარ ფანელის ოჩერედში.

**პირ.** (გახარებული:—უი, მარიალა, ფანელი, თბილი ფანელი, დღე და ღამე იმას იძახის ჩემი ცოლი... კა არ გავახარე ეხლა!

**ქალიშვილი**:—ნეტა კიდოვ დაგვიანდება გაღებას?

**მუშა**:—გაალებენ ორ-სამ დღეში.

**ქალიშვილი** (გაჯავრებული):—შენ ვინცხა ხარ გააჩერე მაგ ენა, მე არ მეხუმრება, ჩამოვწყდი დილიდან აქ.

**ქალი** (იკივლებს):—ვაი, მაზოლი, მაზოლი მტკივა.

**მის უკან რიგში მდგომი მუშა**: — რაო ბატონო, მაროზოვის მიტკალიო. არიქა უშველოთ, სად არის.

**ქალი**:—მარაზოვის კი არა, ხარაზოვის არ გინდა? შენ გეუბნებიან — მაზოლი მატკინეთ, მაზოლი, გეიგე?!

**მუშა**:—ზურგზე თუ გაქვთ მაზოლი, არ ვიცი და ფეხები კი წინ გაქვთ და სიდგან დაგაჭერდით მე?

**პატ. ბავშვი**:—დედა, მსია.

**დედა**:—მოიცა შვილო, აგერ ფანელი ვიყიდო და გაგაძღებ.

**ბავში**:—დედა, კაი საწმელია ფანელი?

**დედა**:—კარგია, შვილო, კარგი (აჩუმებს).

**ერთი ქალი** (იყვირებს):—შენ, ეი, უზრდელო. ამხელა ოყლაყი რომ მომწოლილხარ უკან, რავა კედელი ხომ არ გგონივარ?!

**მუშა**:—რა ვქნა ბატონო, არც მე მინდა მოგაწვეთ, მარა მე უფრო მაწვებიან და სად წავიდე? (ამ დროს ილება სავაჭრო, ყველას უნდა წინ შევიდეს, ზოგი წაიქცევა).

**ხმები**:—მიშველე!

— გამჭყლიტეს...

— ვაი, მეხი კი დაგაყარეთ..

— ამბერკი, მე წინ მომეცი.

— ამბერკი, წერილია შენი.

— ამბერკი, მე მომეცი; სამუშაოზე მეჩქარება...

**ამბერკი** (ნოქარი): — ამხანაგებო, ყველას მოგცემთ, აი იქ მიეცით წიგნაკები კავშირის რწმუნებულს და ის გამოგიძახებთ (ონისიმეს). უშველე ონისიმე, დახლი არ შემოამტვრიონ დახლი( ონისიმე და ამბერკი შედგებიან დახლზე და ისე იგერიებენ ხალხს. ივლიანე კრეფს წიგნაკებს და რიგობით იძახის):

**ივლიანე**:—ბოქორიშვილისა მართა.

**ყველანი** (იყვირებენ:— ზდეს.

**ცირეკიძე**:—ზდეს.

**ივლიანე**: — მიიღეთ.

**ერთი ქალი** (ივლიანეს):— თქვენ ჩემი წიგნაკი ქვეშ ამოდევით! მე შეგხედეთ და გთხოვთ ამეიღოთ და ზევით დადვათ.

**მოხუცი ქალი**:—მეხიცა დაგათხლიშინე მა გაფხეკილი თავზედ: ქვეშ ამოდებაზე ნუ წავა საქმე, თორემ მე ვიცი როგორც უნდა ამოდება.

**ივლიანე** (გაჯავრებული):— ვინ ამოდევა ქვეშ. ოჩირიდ, ოჩერედი დეიკავეთ.

**მოხუცი**:—აი, შენი ოჩირიცა გამეხა და შენი ქოჩორიცა.

**ივლიანე** (აცხადებს):— ფანელი აღარ არის!

**ერთი ქალი**:— გაგითავდა, შვილო, ყორიფელი სიკეთე; შენ პატრონი არ მოესწროს შენ გახარებას (სავაჭრო იკეტება). ხალხი გარედ გამოდის, ზოგს აქვს ნაყიდი, ზოგს არა).

**ერთი** (მეორეს):—ქალო, შენ ქი... ეიღე მგონი ფანელი და რა უყავი.

**მეორე ქალი** (იწევს კაბას):— აგერ მაქვს შემოხვეული ბარძაყზე.

**პირველი ქალი**:— რავა, ბოშო, ესეც ხომ კონტრაბრატი არაა, რომ ასე დაგიმალავს?

**მეორე ქალი**:— არა, კონტრაბატი არაა, მარა სოფლიდან, რომ წამოვედი ბავშვები მეზობლებს დაუტიე, შემეხვეწეს ჩვენი ნორმაც ეიღეო, ახლა ვეტყვი — თქვენი კი არა, ვეღარც მე ევიღე-მეთქი.

**პირველი ქალი**:— აი, გაგახაროს ღმერთმა (იწევს კაბას და იხოვს მუცელზე). მეც ასე შევპირდი მეზობლებს და ქიარ გადაურჩი ახლა მათ საყვედურს.

ოკრიბელი რქიანი.

# ჩემბერლენის „ნაძვის ხე"



# საახალწლო მილოცვები

### სტალინს

ფოლადი ხარ და ფოლადის
ფოლადის კაცს გიმკობს გვარი
ყოველგვარი ფრაქციები
რკინის ხელით აღმოფხვარი
რას მიქვია ცხრანაირი
ფრაქციები პარტიაში,
აზრი ერთი, აზრი მტკიცე,
რკინის ძმობა „ბრატ-ია'ში".
არა, გვინდა „ნეოები"
გახვეული მანტიაში;
ვიცით ძალლი სად მარხია
„ახალ დემოკრატიაში".

### კახიანს

საახალწლოდ, ოცდარვაში
კვლავაც გხედავთ მძლავრ ხმიანს.
„მტერი მოხვდა მის ენაზე"
ასე გაიძახიან.
სიტყვას იტყვის, ქვას გააპობს,
სიტყვას კვაწარახიანს.
კვლავ მრავალ წელს გაუმარჯოს
ჩვენს ძმას, მიხა კახიანს.

### მამიას

ახალწელიწადს, მხნე ბელადს
მეტი რა გითხრა მამია,
მედგრად გეჭიროს შემდეგშიც
ლენინის დროშა, ძამია.

### მიხა ცხაკაიას

ვინ არ იცის, ვინ არ იცნობს
სულით ჭაბუკ ბელად მიხას
„როგორ არის ცხაკაია"—
გერმანელმა მუშამ მკითხა.
—„როგორ არის? უპასუხე:
—მაგარია როგორც კეტი,
ლენინური ურყევობით
დებოშირებს დასცა რეტი.

### ფილიპეს

ჯალარა ბელადს, ბელადო,
გჯობნის ბელადი რომელი,
მშრომელი ხალხის საქმის ხარ
მებრძოლი დაუცხრომელი.
მრავალ წელიწადს გისურვებს
ამიტომ ყველა მშრომელი;
შეც მოგილოცავ ახალ წელს,
თქვენი კეთილის მდომელი.

### [redacted]

საბელადოში ნამყოფი
ჭრთად უბელო სამია;
ცალკე ბელადობს ყოველი
—ერთი საჯდომი სკამია.
პლატფორმა შოსდევს პლატფორმას,
ვითომ-და დიდი რამეა...
პლატფორმას სჯობდა გენახათ
„სტანცია" დროზე, ძამია.

### ადგილობრივ ოპოზიციას

სამთა თავითა თაოსნობით
თავნი აქაც წარიხოცა;
რახან ნჯღრევას მოგვარჩიხე
თქვენი წასვლაც დაილოცა.

### ა.-კ. ფედერაციას

ძმათა ძმური საძმობილო ძმური ფედე
რაცია;
ძმათა ძმურმა ძმობილობამ საძმოთ გა
დააქცია,
მტერთა მტრული მტარვალობის მტვე
რათ იქნა აქცია,
მტერთა მტრობის სამტროთ იზრძვის
სამი ძმური ნაცია.

### მენშევიკებს

წელსაც უნდა ისევ-ისე
გაგიცხადოთ სამძიმარი,
თქვენი ყოფა, უნდა გითხრათ
მეტის მეტად სამძიმ არის,
საბჭ.-მელოსკენ ოცდარვაშიც
დახშულია თქვენთვის კარი;
კიდევ კარგი, რომ პარიზში
ბევრი არის კაფე-ბარი.
როგორა ხართ ხასიათზე?
გესიზმრებათ რა სიზმარი?
ყალბ ჩერვონცებს რომ აკეთებთ,
სულ შესანსლეთ ხატი, ჯვარი.

### შიუკაშვილს

გასულ წელში ძია სანდრომ
კარგი ყანა მოიწია,
თვეში ათჯერ მიდოდა
„ჩემანალა". მისი „ძია",
ალბათ წელსაც არ მოგვაწყენს
რადგან თვართოო გაიწია
ისევ-ისე ჩემანალობს
კომბალა და მისი „ძია".

### სტუდენტებს

ისწავლეთ, ახალგაზრდებო,
მეცნიერება სულ ხარით;
იქნებ წელს მაინც გაგაძღონ
ცხელი ჩაით და... სუხარით.

### სახკინმრეწვს

ჯერ იყო და „შუქურებით"
სულ წაგვართვით რაღა ძალა,
შემდეგ თქვენმა ანონსებმა
არაქათი გაგვაცალა,
ოცდაშვიდში მივეხალეთ
სახელგანთქმულ მარჯან-ამოკს.
ოცდარვაში მაგ თქვენს დუქანს
ჩამოჰკიდებთ ალბათ ზამოკს.

### მილიციას

ძმავ, ჯარიმათ საფურთხები
ბარე ათჯერ დავაკურთხე;
ღმერთი არ გწამთ?! ფურთხზე შტრა
ფი
არ იცით, რომ არის მწუთხე?
„სპრავკა" მინდა: ვსთქვათ არაა
უცაბედათ ახლოს კუთხე,—
აჯარიმებთ ვინც ამიტომ
მის პორტფელში ჩააფურთხებს?

# საახალწლო „მურაბა“

— ვენაცვალე შენ სულის ფითილას, მამა ჩემო! მამა ჩემი ისეთი კაცი იყო, რომ ყველ და პურთან იჭმევოდა. მოსელპრომის შოკოლადზე ტკბილი იყო. ხათრიანი, ჯიგრიანი, თავაზიანი, დარდიმანდი, პურმარილიანი, ერთი სიტყვით, გეუბნებით, ანტიკა რამ იყო მეთქი. ის რომ ეხლა ცოცხალი ყოფილიყო ჩემ ბედს ჩემბერლენიც*) ვერ დაჰყვეფდა. იმის ფრთის ქვეშ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ჩანგალისტი მუქთა კუბოში.

— ჩვენი სუფრა მუდამ გულუხვი იყო. აღდგომა დღეს ბატკანი არ გვაკლდა, და წყალკურთხევას —ინდაური. ახალ წელიწადზე ხომ ლაპარაკიც მეტია. რა არ იყო სტოლზე: გოზინაყი, შვინდის, ვარდის და კაკლის მურაბა, ჰინდის ხურმა, ალჯანაბადი, ჭანჭური, მიამფური: ქალისბადანი; კახური ჩურჩხელები და ლელვის ჩირი: წითელი ვაშლი და ცალკე ვაზაშიც თხილი და წაბლი, ფოჩვიანი კანფეტკებით მორთული.

— მაგრამ ვის შაეძლო ხელის ხლება. სანამ ცაონებული მამა ჩემი ახალ წლის დილის ცერემონიას არ გაათავებდა. ჩვენ ნება არა გვქონდა ხელი გვეხლო ტკბილეულობისათვის. ცერემონიას უწოდებდნენ „დაბერებას“ და ეს დაბერება არც ისეთი პუსტიაკი რამ იყო. ფრანგების ეკლესიაში იმდენი თილისმა შტუკები არა ხდება, რამდენიც ახალწლის „დაბერებას“ მოსდევდა.

— აი, საქმე რაში იყო, პაპაშა ადგებოდა. ხოლმე ახალწლის დილის გარიჟრაჟზე, წამოიხურამდა წელზე თავის შალის შარვალს, როგორც იმერულ ყაბალახს, აიღებდა ხელში ლეკ-ყაფურას მოკალულ სინს გოზინაყით, მურაბებით და თეთრი ფულით მორთულს. გავიდოდა კარში, სამჯერ შამოატარებდა ამ ძღვენს დკრეფანში თონის გარშემო და დაბრუნდებოდა სახლში ამნაირათ ნაკურთხ ტკბილეულობით და ფულით. შემოსვლისას დადგებოდა სტოლის წინ და სამჯერ იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა“. ამ ლოცვის შემდეგ ჩვენ, მძინარებს, ჩაგვიდებდა პირში ზოვს გოზინაყს და ზოგს კიდევ მურაბას. ვისაც ამ დროს გამოეღვიძებოდა, იმას ვერცხლის ფულსაც აჩუქებდა.

— სუყველა ამას ერქვა ახალწლის დაიერება. ეს იყო ძველ დროს, როცა რომ გირვანქა თაფლი თორმეტი კაპეიკი იყო და ნიგოზი რვა კაპეიკი. ქილებიც მურაბებით გატენილი გვქონდა. მამა ჩემი მაშინ შაურიან საქონელს ორშაურათ ჰყიდდა და კარგ გროშებსაც აკეთებდა. ეხლა კი ნარკომტორგი ათაბეგოვი გვიბრძანებს ორშაურიანი საქონელი შაურათ გაჰყიდეთო და ვექსილებიც პროტესტში არ გაუშვათო.

— მახლას, სულ ყველაფერი ამ თარ.ეღში ვერხნაგა. მათ არის და წლევანდელი ახალწელიწადიც ვერხნაგამათ გამოდის. ჩვენმა კასირმა ოცდა ორი. მანეთი მომცა, რომლიდანაც ზავხოზმა ოთხი მანეთი შეშის გამომიჩოტკა და მესტკომმაც რვა და ათი შაური კი—პროფკავშირისა. ავიოხიმისა, პადშეფნი ატჩისლენიე და უპატრონო ბოვშების სასარგებლოთ. მოდი და ამნაირ დვაინომ ბუხჰალტერიის შემდეგ გოზინაყზე და დაბერ.ებაზე იფიქრე.

— არაუშავს რა. გულს არ ვიტეხამ. თუმცა ფული არა მაქვს, მაგრამ გული ისე მაქვს სუფთა და გაპრიალებული, როგორც გოსიზდატის პარკეტნი პოლი. ვისაც ფული ბევრი აქვს, იმის გული და ნამუსი ხმალაძის პლევატელნიცასავით ჰუჭყიანი არის. გოსოპერას რომ ფული არა აქვს, იმიტომ ყველანი სიმღერაში არ ატარებნ იქ დროს, აი! დენგი ზდეს როლ ნე იგრაეტ. ტი ვსეგდა დოლჟენ ბიტ ვესიოლი.

— ვესიოლათ ვარ და ვესიოლათაც უნდა მოგილოცოთ ახალი წელიწადი. ჯერ ტელეფონით ვაპირებდი მოლოცვების გადაცემას, მაგრამ ჩემი გამოანგარიშებით თბილისის ტელეფონით სუტკაში შეიძლება ელაპარაკო თორმეტ კაცს და მე კი მინდა ერთი ორმოც კაცს მაინც მოულოცო.

— ვარჩიე ისევ ჩვენი „ტარტაროზი“, რომელსაც ნახევარ საათში ოცდა ორი ათასი კაცი კითხულობს. ტარტაროზჯან, გაქებ და პირველსაც შენ გილოცავ, იმიტომ, რომ ფელეტონების ფულები თავის დროზე გამომიგზავნო (არ დაგავიწყდეს, რომ შენვნით ორი თვეა მწარე არაყიც არ ვიცი, აი*).

**„ტარტაროზს“:**—1928 წელში იმდენი ახალი მკითხველები მოგმატებოდეს, რომ ცენტრობუმტრესტის და თანამშრომლების ძველი ვალი ასი პროცენტით გაგესწორებინოს. შენი მტრების ჯიბეები ისე დაიცალოს, როგორც ოპოზიციის რიგები იცლება.

**ოპერას:**—თუ გინდა რომ ახალწლიდან მეტი ასიამოვნო შენს მსმენელებს, პარტერის კრესლოები გადააკეთე კრავოტებათ (ადნასპალნი). კრავოტები შეგიძლიან შეიძინო მეტალოტრესტში იაფ-ფასებში.

**ქართულ დრამას:**—1928 წლიდან გისურვებ ჩემანანალა კომბალას ნეხვი გამოიხვეტო სცენიდან და ხელი მოჰკიდო ხეირიან რამეებს, არ დაგავიწყდეს, რომ „ამერიკელ ძიის“ შემდეგ თეატრი უნდა აკურთხებინო და პატარა ვენტილიაციაც მოახდინო.

**გოსკინპრომს:**—აპარატის გაჯანსაღება, ორმოცი ძიძის მოშორება და ერთი კარგი პატრონის შოვნა: პატარა გეგმა და დიდი საქმიანობა. ზედმეტი გოსტროლიორების, ყბედების და რუსთაველის პროსპექტის გმირების ჩამოშორება.

**ჩვენ ქვეყანას:**—1928 წელს ორასი ათასი ფუთი აბრეშუმი, ნახევარი მილიონი ფუთი ბამბა, ექვსი მილიონი ვედრო ღვინო, ოთხასი ათასი ფუთი თამბაქო, ორმოცი ათასი ფუთი ჩაი, რვა ახალი ელსადგური, ექვსი ახალი ქარხანა და ორასი ახალი სახლი.

**მენშევიკებს:** — კათალიკოსის ლოცვა-კურთხევა და ბერიას პოლნი პანსიონი.

**ოპოზიციას:**—ტვინის კლიზმა.

**ფოჩვიანი კანფეტი.**

---

*) ძაღლის მაგიერ.

*) რა ჩემი ბრალია, რომ შენ ფული არ გჭიროდეს და ჰონორარი არ მიგქონდეს დროულათ!

# „დალოცვილი წყევლა“



**ბამბუ:** (მის ნაცნობ უმუშევარს) ღმერთმა მრავალ წელს გვამყოფოს ასეთ მდგომარეობაში.

**უმუშევარი:**—!!! (პირიდან ლუკმა უვარდება).

# ქუთაისის ბაზარში



„ბიჭები“:—მე წავიღებ, ბატონო, პროვიზიას...
მოქალაქე:—გამიშვით, თავი გამანებეთ... რას ჭაილებთ, თქვე ოხრებო!... ერთ გირვანქა ყველს და წიწილას მეც კი წავიღებ!

# საახალწლო სიზმარი

### (ღვინით შეხურებულ პოეტის ძილში ნახული და გაგონილი

თბილისის ქუჩები თითქოს ძველი, მომაკვდავი წლის უკანასკნელ ამოსუნთქვას შეებოჭა, ისე იყო გარინდებული. იქნებოდა ღამის 3 საათი, რომ ქუჩაში მოისმა ხმა-მაღალი სიმღერა: „აბა დელი დელა“... ვიღაც ფარფატით მოდიოდა. მისი ხმის გამოძახილი მთელ არე-მარეს ედებოდა და თითქოს სხვა ქუჩებიდანაც აძლევდენ ხმას.

ეს გახლდათ დიდებული პოეტი სილოვან წიკუნტალაძე. თხელი პალტო მაგრად შემოეხვია ტანზე, ფეხზე მოღრეცილი ფეხსაცმელი ეცვა და ისე მოსტოპავდა ტალახში, თითქოს კარგ ამწვანებულ მინდორზე დადისო.

ის უცბად შეჩერდა. უაზრო თვალები ქუჩას მოავლო, ხელები წინ გაიშვირა და რიხიანათ წარმოსთქვა:

**ჩემო თბილისო, ღამე ფხიზლობ**
**როგორც რომ ჭოტი,**
**ისე მიყვარხარ, ვით საახალწლოთ**
**შემწვარი გოჭი.**

— ხა, ხა, ხა, აბა თუ ბიჭია ვინმე ქართველმა პოეტმა მაჯობოს ექსპრომტებში!—გადაიხარხარა მან და ტლაპა-ტლუპით წამოვიდა წინ.

უცბად შეჩერდა. სახეზე მოისხანება დაეტყო. ვიღაცას თვალები დაუბრიალა, აღელდა. ვიღაცას თვალი მოჰკრა. ქუჩაში ვიღაც მიდიოდა აბუზული, ფარაჯაში გახვეული, დიდი ჯოხით ხელში. სილოვანი აღშფოთდა, ნამდვილ ვეფხვს დაემგვანა და რიხიანი ხმით შესძახა.

— ჰაა! ვერ წამიხვალ ვერა! როგორ მიიპარება?! შესდექ!

უცნობი შესდგა, მხოლოდ სილოვანისთვის არ მოუხედნია.

— გიცანი ვინცა ხარ, გიცანი. ძველი წელი ხარ, და მიიპარები. ვერ გაგიშვებ ისე, თუ ჩემი შხამიანი ლექსით:

**იპარება, როგორც ტურა**
**ჩაჩანაკი ძველი წელი,**
**მივაყაროთ ქვა და გუნდა**
**წვერში ვსტაცოთ მაგრად ხელი.**

— ხა, ხა, ხა — ნელი ხმით ჩაიცინა და ნელა განაგრძო გზა.

ჩვენი სილოვანი ამან უფრო გააბრაზა. გაანჩხლებულმა მიაყარა ქვები, ჯოხები, რაც კი რამ ხელში მოხვდა. შემდეგ ვეფხვივით გადახტა, ამოიდო ქვეშ და დათვივით ბდღვნა დაუწყო.

უცნობმა მორთო ღრიალი.

ეს იყო მეეზოვე.

მეეზოვეს ყვირილზე მოცვივდენ მილიციონერები და ძლივს გააგდებინეს ხელიდან გამხეცებულ სილოვანს.

— კაცო, გამიშვით, ერთი მაგრად მოვბრიგო ეს ძველი წელი.

მილიციონერებმა ის კომისარიატში მიაბრძანეს და დიდი აყალ-მაყალის შემდეგ, მოასვენეს ცალკე ოთახში, სადაც მალე ტკბილად ჩაეძინა.

ახალი წელიწადია. საუცხოვო მზიანი დღე არის. სილოვან წიკუნტალაძე უქუდოთ მისეირნობს რუსთაველის პროსპექტზე. შუა დღეა. სილოვანი სამ სართულიანი ლამაზი სახლის წინ შეჩერდა და ზევით აიხედა. იქ არის „სახელგამი“ ე. ი. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, ე. ი. ყოველ ჯურის ქართველ პოეტ-მწერალთა სოციალურ-უზრუნველყოფის დაწესებულება. სილოვანი უცბად თვალს მოჰკრავს დიდრონი ასოებით დაბეჭდილ განცხადებას, სიხარულით იქვე გაქვავდება და დაიწყებს კითხვას: „ახალი წლის საჩუქარი სრულიად საქართველოს პოეტ-მწერლებს, — ასე იწყება განცხადება — სახელგამი ბოდიშს იხდის ქართველ პოეტების და მწერლების წინაშე, რომ დღემდე ვერ აკმაყოფილებდა ჰონორარით მათ; ვერ აძლევდა ერთბაშად და თავის დროზე ავანსებს, რისთვისაც ღირსეული საყვედური დაიმსახურა მათგან (მართალია ზოგიერთმა პოეტ-მწერლებმა აუარებელი ავანსები მიიღეს და დანაპირები არ შეასრულეს, არაფერი არ დასწერეს, — მაგრამ ეს იყო იმ დროს, როცა ბონები იყო ხმარებაში). დღეს 1928 წლის პირველი იანვარია ჩვენ განვიზრახეთ დღეიდან პირნათლად და სისწორით ვაწარმოოთ ანგარიშსწორება. დასამტკიცებლად ამის: დღეიდან ვიწყებთ სრულად ჰონორარების გაცემას (აღებული ავანსები ჩამოწერილია და არ გამოერიცხებათ)

დღეს შეუძლიათ მიიღონ ჰონორარი ქვემოდ ჩამოთვლილმა პირებმა. ხვალ სხვებმა, ზეგ კიდევ სხვებმა და ასე ამ რიგათ იმედი გვაქვს ერთი კვირის განმავლობაში სრულიად დავაკმაყოფილებთ და მთელი წლით უზრუნველვყოფთ მთელი საქართველოს ჩვენს ძვირფას, საყვარელ მწერალ-პოეტებს).

**ხია იმ პოეტ-მწერლების, რომლებმაც 1 იანვარს 1928 წ. უნდა მიიღონ ჰონორარი:**

**1) ჯავახიშვილი (ძველად ადამაშვილი) მიხეილი (იგივე მიშა)** — 124.000 მანეთი (უნდა წარმოადგინოს ოთხმოც და ცამეტი განსაცვიფრებელი ახალი რომანი, ორასი პატარა მოთხრობა და ორმოც და ათი დრამა. სცენარის წარმოდგენა სავალდებულო არ არის, რადგან ჯერ საკითხი არ გადაწყვეტილა ვინ უნდა გადაიხადოს ჰონორარი სახკინმრეწვმა თუ სახელგამმა).

**2) რობაქიძე გრიგოლ (იგივე გრიშა)** — 112.000 მანეთი (უნდა წარმოადგინოს ოცდა ათი ისეთი დრამა, რომლებსაც ვერც ერთი ქართველი მწერალი, ვერც ერთი მკითხველი და ვერც ერთი მაყურებელი 25 წლის განმავლობაში ვერ გაიგებს.



— ექიმმა მითხრა: ერთი ჭიქა ღვინო მოგიხდებაო!.., მე კი მესამე ჭვარტს ვსვამ, და ფეხზედაც ველარ ვდგები!

3) [illegible] ბოლოლ [illegible] 100 მანეთი (უნდა წარმოადგინოს [illegible] ოცდა ჩვიდმეტი ფუთი შაირ-ლექსი და ერთი ტონა სუფრის ექსპონტები).

**4) ტაბიძე ტიციანი** — 65.000 მანეთი (უნდა წარმოადგინოს 25 ცნობარი — ყველა დაბა - ქალაქებზე ცალკე; შეღვინიანებულ კაცის მონოლოგები — 15 და რამდენიმე ლექსი).

**5) ეული ალექსანრდე** (იგივე სანდრო) — 37.000 მანეთი (უნდა წარმოადგინოს პოემა „ცეცხლ მოდებული ქარხანა" და „გლეხი ბოსელში").

**7) ქუჩიშვილი გიორგი** (იგივე გიორგი ჩხეიძე) — 8.000 მანეთი (წარმოადგინოს ძველი და ახალი ლექსები).

**8) ტაბიძე გალაქტიონ** (იგივე გალაქტიონ ტაბიძე)—6.000 მან (ვალდებულია ჩამოიტანოს სოფლიდან ბუხართან დაწერილი ლექსები —რიცხვით 1764).

**10) წიკუნტალაშვილი** სილოვან (იგივე პოეტი ჩერიაძე) 2.000 მანეთი (უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მისი ახალ დაწერილი უკვდავი პოემა).

— ვაჰ! თქვენი ჭირიმე, თქვენი. ორი ათასი მანეთი, რავა იცხონეს სული. აბა ეხლა მე მიყურონ ქეიფი! — სიხარულით წამოიძახა სილოვანმა და ისეთი შეიკუნტრუშა, რომ ფიცრის ტახტიდან ძირს გადმოვარდა. წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და ლაზათიანად დაამთქნარა.

— ნუ თუ სიზმარი იყო და გაქრავით ოცნება? — ნელის ხმით ჩაილაპარაკა მან.

ხმაურობაზე მილიციონერი შემოვიდა და რაკი სილოვანი ამ მდგომარეობაში ნახა, სიცილით ახალი წელი მიულოცა.

— ხომ კარგად გამოფხიზლდი, ამხანაგო? ეხლა შეგიძლიათ სახლში წახვიდეთ.

სილოვანი წამოდგა ქუდი ჩამოიფხატა და დარცხვენილი გავიდა ქუჩაში.

მიდიოდა ტალახიან ქუჩაში და ნელი ხმით ღიღინებდა: „დალიე დაჰალევინე ეს ღვინო ოსერტიალი".

**ალმასხან.**

# გურული სცენა

აგი კომუნისტები ტყვილა ჩივიან: —რეჟიმ-ეკონომია გვაქო. ე, დალოცვილებო, მის კაპეიკს წვენს ადენენ: სხვისი კი აფერათ მიაჩნია. ყურგახვრეტილ შაურს არ ხარჯავენ ტყვილა: ეს მეც ვიცი. მარა ამ ჩემ ყაზილარებს რამ გააზზეკია ცხვირი განზე! ღდინძაღლები რამ გამოაჩერჩეტა ნეტავი ასე? რეჟიმ-ეკონომია აგენიზა დალიე-დამილიე ყოფილა და მეტი არაფერი. თუ ქალაქს ერთ ახალ წელიწადს ითენებს ხალხი, აგი სოფელი, ჩემი არ იყოს, რამ აატენტერა ნეტა? გული აგერ-აგერ გასკდება. ბალნები კომსომოლისტებში ჩაეწერენ. ღამე და დღე მე და ჩემ ცოლს ძილი აღარა გვაქვს. აგი დღესასწაულები სულ წამამწარა მაგ შეჩვენებულებმა, თვარა კარის გაღებაში ღამე ვინ ჩივა. თუ ქვეყნის საქმეს მაგენი გააკეთებენ, მე სულ კარებზე ყიქნები აყუდებული ყარაულათ.

ხო, იმას ვამბობდი, სახლში ორი ბიჭი ცეკვისტი მყავს. ერთი ოპოზიციორია. მე და ვარდოიე — ჩემი მეოთხე ცოლი, რაც სხვა ხალხია, იმ პარტიის ვართ. მეოთხე ცოლი იმაზე მყავს, რომ ამ ბალნების ჩხუბმა სამი შეინელა და მეოთხეც სარზე გადასაკიდს გავს. სადილზე ვჟდანვართ; ჩამოაგდებენ პოლიტიკურ ლაპარაკს: დოურთავენ თავში ნიგუზლებს ერთი მეორე და სულ რანცხავენ საინებს, ქიქებს და დოქებს (ეს პირველი რეჟიმ-ეკონომია ჩემს ოჯახში!).

ახლა ახალი წელიწადი მოდის, იგინი იძახიან:—ჩვენ ახალ მოდით უნდა ვიპრაზნიკოთო (ჭამაში კი აღარ ოპოზიციონერობენ). და ასე ერთი შობა და ახალ წელიწადი იმათ უნდა გადაუხადოთ მე და ვარდოიამ.

მოიყვანენ თავის ამფხანაკებს. მოხთიან ჰურებს თავს... ღვინო, ქათამი, გოჭი, ინდოური, მამალი... და ხანხლავენ.., მე და ჩემი ვარდო კი ამ დროს შვა მარხვაში ვართ

ნახუარი თვის მერე გათენდება ნამდვილი ახალ-წელიწადი. დეესწარით ყველა მრავალს... მარა ხორცის გასანახავს ვერ მეიძევ ოჯახში, — სულ გაათავეს და შეყლაპეს შვილებმა. დოუჯექი ცარიელ სუფრას, უყარე კაკალი და ჩეჩე მატყლი (სად არის თვარა!) თუ სამე მორჩა პურის ქფილი, გამოვაცხობიებ ქალს ერთ ან ორ პატარა ღვიძელს, მოვხარჩავ თუ ვნახე ბუდეში კვერცხები და ასე ვითენებ პრაზდნიკებს. აი, ასე ესმით ჩემს შვილებს რეჟიმ-ეკონომია: ერთი შობის და ახალ წლის მაგიერ, ორი უნდა ვიხადო ყოველ წლიურათ.

**ძნელ-ოღლი.**

## აღარც დღეს

ადგა დილით მღვდელი,
დაივარცხნა წვერი,
და ცოლს უთხრა:—სტოლზე
გადაწმინდე მტვერი.
წავალ მე ტაძარში,
გამოვაღებ კარებს;
ყველას ერთხმად დავრეკ
სამრეკლოზე ზარებს.
ჯეელსა თუ მოხუცს
გამოუჭედ ყურებს;
ალბად მომართმევენ
გოჭს და ხაჭაპურებს.
მოვაგონებ ყველას
მიცვალებულს-მკვდარსა
და საკურთხზე ნუ თუ
მეტყვიან მე ვარსა?!
და უცადა დიდხანს,
საღამომდი გვიან.
საკურთხი კი არ სჩანდა;
ან და რას მიქვია?!
და აწივდა მწარეთ
ცარიელი კუჭი
მიხვდა მღვდელი, რომ ცდა
იქნებოდა ფუჭი...
წამოვიდა სახლში,—
„შეუკურთხა“ საყდარს.
—რაღ ეშველება
ჩვენს ცხოვრებას წამხდარს.

**ქაჯიეთელი.**

## თელეთობა

**(ანუ ახალ წლის ვაჭრობა ბაზარში)**

**ყასაბი:** იფ!... მადამ-ჯან, საიდან გინდა მოგიჭრა; ნუ მაგვიანებ!

**ქალი:** ქარკოვისათვის მინდა, ბარკალი მომიჭერი.

**ყასაბი:** დალოცვილო, რა კარგი თამადასავით მეუბნები, ეხლა მთელ ცხვარს შენთვის ხომ არ წავახდენ?

**მექათმე:** დედიჯან, აი ეს ქათამი ჩემ ცოლის ჩუმათ გამომიტანია.. სახლში ბარიშნასავით გამომიზარდია, ეხლა ხომ იცი ახალი წელიწადია და ყველა ვემზადებით.

**დედაბერი:** ერთ მანეთს მოგცემ მეტი არა ღირს....

**მექათმე:** წადი შენი დედის საფლავიც.. არა, ბარემ სთქვით მუქთათ მომეცი-თქო

**დედაბერი:** ემ წუთას მილიციონს დაუძახებ, რას იგინები შე ოხერო კინტუავ!

**მექათმე:** ისე ცხონდი, რამდენიც რომა ჩემისთანა სტუდენტი შვილი შენცა გყავდეს... და შენისთანა სახაშლამე ხალხი იმ საიქიოს წინდებს უნდა ჰქსოვდეს; აფსუს დედამიწავ, ვის ატარებ ზურგზე!

**კინტო:** დედი, არჩევით არ მოგცემ; აქ ერკოპის პრუქტოვოი მაღაზია ხომ არ არის? კილო ვაშლი გინდა ეს ამირჩიე, ეს დამპალი არ ჩამიდო, ეს სწორეთ ასწონე... ვახ! რა ხალხი ხართ და!

**მოხუცი:** ვაი, სასწორში თითს არტყამ და ხმა არ ამოვიღო?

**კინტო:** დედიჯან, მაშ ტეხნიკუმი ტყუილათ გამითავებია?.. ოთხი მასწავლებლის ხელში ვყოფილვარ: ერთი ამ იარმარკია, მეორე დეზერტირისა, მესამე მაიდნისა და მეოთხე ჰავლაბრისა... :

**მოხუცი:** შვილო, გეხუმრები, ჯავრი რათ მოგდის?

**კინტო:** ვა ხუმრობა რომელია, მეც კაცი ვარ, ვირის თავი ხომ არა ვარ; ნერვები ამითამაშდება ხოლმე შენისთანა მუშტარი რომ მომიახლოვდება ხოლმე... შაფრანი კილო ტრიცატ!

**მეწვან.:** ორი კონა ბოლოკი და წვანილი, სულ ათი შაურია!

**მყიდვ.:** კაცო, ხუთი შაურის მაგივრად ათი შაური?

**მემწვან.:** ვა, დღეს ტელეთობაა, ამხანაგო, დვაინოვია.

**გლეხი** (მემწვანილეს): ძია-შვილო, ჩურჩხელას არ იყიდი?

**მემწვან.:** მამა-შენს ხვალ პადარკათ წაუღე... მიულოცე..

**გლეხი:** რასა მწყევლი შე ჩემანალა?!

**მემწვან.:** ვა, გიჟი ხარ შე მამაღმერთ ძაღლო: არ მინდა მეთქი!

**მემწვან.:** აბა დილმის მაწონი დილმისა...

**კინტო** (მემაწვნეს): მამობილო, რა მოგცე, რომ ეგ მაწონი თავზე დაისხა, შე ჩემის თექვსმეტიანო, რომელი კათათვის სიცხე დგას, რომ მაწონსა ჰყიდი?... ბარემ ვირებით მაროჟნი მაიტათ და გაყიდეთ.

**მემაწვნე:** ჰა, დილმელს მეძახიან; ბოლჩა არ გამახსნეიინო, თორემა... ივარები ჩვენა ვართ... აბა მაწონი ორი ქილაღაა!

**ერთი მოქალაქე:**—რა გინდა, ძმაო, ბურთი და მოედანი ამ ვაჭრებს დარჩენიათ, ორმაგ-ფასებში ასაღებენ საქონელსა.

**მეორე მოქალაქე:** ამ ვაჭრების თელეთობაა მეგობარო, თელეთობა.

**პირველი მოქალაქე:** მართლაც და ამ ახალ წელიწადს ამათ თელეთობა გაუთენდათ, ძაღლი პატრონს არ იცნობს....

**მეორე მოქალაქე** (ყვირის): — თქვენი ჭირიმე, ვის მივმართო, ჯიბიდან ორმოცი მანეთი ამომაცალეს... მიშველეთ რამე...

**მესამე მოქალაქე:** აი, ამას, გაუთენდა ბედნიერი ახალი წელიწადი.

**ქალი** (ხალხის ეკითხება):— უკაცრავათ ინდაური ამომაცალეს კარზინკიდან ხომ არ გინახავთ?

**მემწვანილე:** ქალბატონო, კითხავ ნინუასთან მიდი და ის გეტყვის სანამ ფურნეში არ მიუციათ შენი ინდაური.

**კოწახური.**

## შარადა

შილოცვები და ქეიფი
ადათი არის ჩვენია,
და მეც მსურს ჩემსა მკითხველსა
მივართვა მცირე ძღვენია.
მკითხველო, შენთან ვიყავი,
დავრჩები შენთან მარადა.
მსურს საახალწლოთ მოგიძღვნა
ეს ჩემი მოკლე შარადა.
ნუ დაიზარებ... მაშ აბა,
მომართე, ძმაო ხელია,
სიტყვა საჭირო ჩვენთვის
არც თუ ისეთი გრძელია.
ოთხი ასოთი შემდგარი
სახეს ამშვენებს ხშირადა;
ყველას არა აქვს, ძმობილო,
მოიპოვება ძვირადა!
წამომჯდარი არს სახეზე,
ხშირად ბალნითაც იმოსვის:
ნიკაპს, ცხვირს, ანუ ლოყასა
ამშვენებს იგი როს აზის.
ხელოვნურადაც კეთდება,
რომ დაიმშვენონ ტუჩია,
ქალებს ეს მოაშლევინო,
ამისი ცდა, ძმავ, ფუჭია!
ეს სამკაული სახისა
არ დაფასდების ფულადა.
ორ მარცვლიანი ეს სიტყვა,
შარადას უნდა სრულადა.
ახლა გვჭირია ანბანის
ასო პირველი მხსნელადა,
რათა ამ სიტყვას სათუთსა
წინ დაუყენოთ მცველადა.
მერე მართლწერას მივმართოთ:
ერთი ნიშანი გვჭირია,
რომლის ხმარებაც წერილში,
არს მეტის-მეტათ ხშირია
სხვა ნიშნებიდან, მკითხველო,
ის მუდამ მითი სხვავდება.
რომ იგი ისმის მაშინა,
როცა აზრები თავდება.
სამმარცვლიანი ეს სიტყვა
შვიდი ასოდან შესდგება,
პატარა ბრძოლა ჩვენ მასთან
აუცილებლათ შეგვხდება.
ვიშიშვლოთ ხმალი. ვეკვეთოთ,
გამოვჭრათ შუაში გულია:
ორ-ორი ასო წინ-უკან—
დავტოვოთ უკლებულია.
სამი კი გადავისროლოთ,
ეს გამოჭრილი ასონი,
ნარჩენის შეკოწიწება
ძნელი არ არის მე მგონი:
მივადგეთ ერთი-მეორეს
ესე ნაწილნი ნახულნი,
შეგვრჩება ხელში შარადა
აკინძულ-გამოჩარხული.
სულ ორი სიტყვით შესდგება
ესე შარადა გრძელია,
ის რომ ვერ ახსნას ისეთი
კაცის მონახვა ძნელია.
მივიღებთ სიტყვებს, რომელთაც
შეჰხარის ირგვლივ ყოველი
და მეც თვით მისგან, მკითხველო,
ერთობ ბევრს რასმეს მოველი.
ძველი წაიქცა, მოისპო,
მის ადგილს იჭერს ჭაბუკი,
ხალხი მას ხვდება ზეიმით,
იკვრის: ნაღარა და ბუკი.
ესე მოვლენა ჭაბუკის
არს მნიშვნელოვან დიადი,
მისგან გასწორდეს მთა-ბარი.
დაიმსხვრეს ბნელი, წყვდიადი!

**გოგია.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „ᲡᲐᲘᲑᲣᲚᲘ“ (რა თქმა უნდა —მყრალი)

თბილისელ სახლის-პატრონებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მათი კოლეგები (ამხანაგები) თელავში შეტევაზე გადავიდნენ მდგმურების წინააღმდეგ. მებრძოლთა ამ თავგანწირულ რაზმში შედიან: **კბილაშვილი** (ნივთებს გარედ უყრის მდგმურს და ეხმარება „გამოსახლებაზე“), **იორდონოვი** (თავზე ნაგავს აყრის, ალბათ სხვისი თავიც, როგორც თავისი სანაგვე ყუთი ჰგონია!), **იმერლიშვილი** (ფანჯრებს უმტვრევს, რომ ოთახში სუფთა ჰაერი შევიდეს), **ჩიკვაიძის მანია** (ჩხუბით და აწიოკებით თავს აქცევინებს და ართობს ქვრივ-ობლებს), **მუმლაური სიკოს სახლობა** (კარებს უკეტს, რომ ქურდი არ შევიდეს ბინაში და არც თვითონ დგმური), **ჰიპრიკაანი** (ხშირათ „ახურებს“ მდგმურებს, რომ სიცივე არ იგრძნონ), **მექაშვილის ოჯახობა** (წყალს ასხამს თავზე დგმურებს თავის დასაბანათ), **ლეკიშვილი თამარა** („პლეტას“ უნგრევს, რომ სათბობი მასალა არ დაეხარჯოს დგმურებს) და **ოლღა— ბალდოვაანთ რძალი** (კეტით გამოედევნება იმის გასაგებათ,— რომელია უფრო მაგარი—თავი თუ კეტი).




... ასეთი იშვიათი თაიგული რომ არ დაჭკნეს, **საჭიროა** ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვაზაში (ესე იგი მილიციის ან და გამსახლის საკანში ამყოფოს რამდენიმე დღით რათა ამ ქვეყანას დაუბრუნდეს. თუ ეს ასე მოხდება, მაშინ აღარ იქნება საჭირო

**„მუშის მათრახი“.**

## ᲛᲘᲔᲪᲘᲗ „ᲕᲘᲖᲐ“

არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ჩვენ გვეგონა. ბიუროკრატობა ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოა. ავიღოთ ცოცხალი მაგალითი:

> **ნოემბრის 20-ში ჩოხატაურში იპოვეს კლდეში გადაჩეხილი კ. ბოლქვაძე, რომელიც მიიცვალა მესამე დღეს. ამბობენ—აქ შურისძიებას აქვს ადგილიო. საქმე გადაეცა ოზურგეთის გამომძიებელს.. მიცვალებული ჯერაც დაუმარხავია.**

აი, სანამდი მიდის ოზურგეთის გამომძიებლის კაცთმოყვარეობა. მას შეებრალა, შეეცოდა მიცვალებული, რომელმაც ეს მშვენიერი ქვეყანა დატოვა და სიკვდილის შემდეგ ამდენ ხანს კიდევ აცდევინებს ამ ქვეყნათ.

მიცვალებული კი სამართლიანათ უსაყვედურებს გამომძიებელს:



რას მერჩი, ძმაო? მომეცი „ვიზა“ და გამიშვი ჩემს გზაზე!

საწყალი მიცვალებული ამდენი ხნის ლოდინში ისე გახმა და ჩამოჭკნა, რომ ჩონჩხს დაემსგავსა. }

{ ეს წერილი დასრულებული არ გვქონდა, რომ მივიღეთ ახლი მიცვალებულის განცხადებისა, რომელიც მას მიუცია

**ოზურგეთის მაზრის გამომძიებელს!**

### ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ:

**ერთი თვეზე მეტია, რაც გარდავიცვალე და მას შემდეგ ჯერ კიდევ დაუსაფლავებელი ვარ. ვიმყოფები ძალიან უხერხულ მდგომარეობაში, რადგანაც არც ამ ქვეყნისა ვარ და საიქიოსაც ველარ ველირსე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე არ მინდა პირისუფლების შეწუხება, წარმოიდგინეთ მათ მდგომარეობაში თქვენი თავი და მაშინ ადვილათ მიხვდებით. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოიკვლიოთ ჩემი კლდეში გადაჩეხის ამბავი. წინააალმდეგ შემთხვევაში მე იძულებული გავხდები საქმის დასაჩქარებლად დაგიჯდეთ კაბინეტში და არ მოგშორდეთ საქმის დასრულებამდე. ხუმრობა ხომ არ არის ამდენი ხნით დაუსაფლავებლობა!**

**ვრჩები კუბოში თქვენი ყურადღების მოლოდინში, ნახვამდის!**

## ᲐᲘ, ᲔᲡ

მუშკორია ახ-ლი და ის კი არ იცის და კითხულობს, თუ რა ეკადრება თბილისის საბარგო მოლარეს— პარმენ ბერიძეს, რომელმაც:

**იუკადრისა ქალის სამართლიანი შენიშვნა... ორი საათს აცდია... შემდეგ პაპიროსი მოიტანა და დასცინა —რომ გაჩუმებულიყავი, ასე არ შეგცივდებოდა!**



**აი, ეს ეკადრება:**

# ცნობათა მიღება



„დილას“ (ტყიბული):—„ტარტაროზი“ არ ერევა (ჩემ-ბერლენივით) სხვის შინაურ საქმეში და იცავს ნეიტრალიტეტს. სიყვარული ჩვენც გვაინტერესებს, მაგრამ არა რომანტიული, არამედ საქმისადმი. აი ამ მიზეზის გამო იბეჭდება მზგავსი წერილები.

კალთაროს (სამტრედია):—ჩვენ მოვიყვანთ თქვენს ლექსიდან დასაწყისს და ბოლოს:

**ტეჩე ორისა ანგარანს**
**განაგებს ნოე დიდია.**
**აქეთ და იქით პარპაშობს,**
**საქმე ფეხებზე ჰკიდია.**
**ამ კაცის გასასწორებლათ**
**გვჭირია თქვენი ჩანგალი;**
**თავში დაარტყი ჩაქუჩი,**
**წელში ამოვდოთ ნამგალი.**

შე კაი კაცო, ერთი მას ჰკითხე ყველა ამის შემდეგ შეეძლება თუ არა იცოცხლოს კიდევ?! თავში რომ ჩაქუჩი დაარტყათ და ნამგალი წელში ამოსდოთ,—განა ცოცხალი დარჩება კაცი? ეს მართლაც გასწორება იქნება, მაგრამ სამიცვალებულო გასწორება. ჩვენ ჯერჯერობით ვერ ჩავიდენთ მაგ ცოდვას.

„ხალამოს“ (ტყიბული):— თქვენ გვთხოვთ — ლევარსი როხროხაძემ გიპასუხოს,—თუ რატომ ასე ცივა ტყიბულის ახალი მალაროს სამკითხველოში და რატომ დამზგავსებია იგი საყინულეს?

ამაზე ლევარსიმ ასეთი პასუხი მოგვცა:—ალბათ იმიტომ ცივა, რომ ცეცხლს არ ანთებენო.

ამიტომ, არც გასაკვირია, რომ შიგ ვერც ჟურნალ-გაზეთებს ნახავს კაცი და ვერც მკითხველებს,—არავინ არ ეკარება.

დღეის სწორს ჩვენი აგენტი იყო მანდ და თვითონ მან ნახა ასეთი სურათი:

ჟურნალ-გაზეთები მიიპარებოდენ სამკითხველოდან.



ჟურნალი „ტარტაროზი“ (სხვა ჟურნალ-გაზეთებს):— მეგობრებო, თუ თქვენ გინდათ, რომ მკითხველმა წაგიკითხოს, აქედან წავიდეთ, თორემ აქ გაზაფხულამდი არავინ არ შემოიხედავს... ხომ ხედავთ—ფოსტალიონი შორიდან შემოგვაგდებს გატეხილ ფანჯრიდან და თვითონ გარბის... ესეც რომ არ იყოს,—თუ რამე „ცვალია ჩვენში“, ის აქ ჩაქრება და რითი გინდათ „გაათბოთ მკითხველი“?!

და წავიდეს..

ჟურნალ - გაზეთები: წავიდეთ წავიდეთ.

წავიდენ და ძალიან კარგიც ჰქნეს.

კალთ-ოს:—როდესაც შარადას აგზავნით, თან უნდა ახლდეს ახსნა.

შარადას ასე იწყებთ:

გაქანებულს (ტყიბული):— ისიც ეყოფათ, რომ ერთი მათგანი (რომელიც მსახურობს) ვერ თხოვდება ყოფილი ქმრის შიშით და მეორე სამსახურს ვერ შოულობს, რადგან პირველი ადგილს არ ანთავისუფლებს. ასეთი ამბები ჩვენ არ გვაინტერესებს.

ა. ორიკელს (აბალღება, გურია). — თქვენი რადიოს შესახებ უკვე იყო „ტარტაროზში“ წერილი და კიდევ რა საჭიროა ამისი მოთავსება:

**დიდი ხანია ბრძანდება**
**ხახალხო სახლის მდგმურათა;**
**ახლა არაფრათ არ ვარგა,**
**არც მჭადათ, არცა პურათა...**

სინჯეთ, ეგებ ლომათ გამოგადგეთ!

შემდეგ სწერთ ადგილობრივ ჩარჩებზე (ალექსაძდოფ და დომენტი კი მიხვდებიან, რომ ლაპარაკია მათზე!):

**ეს ორი სპეკულიანტი**
**გაგვიჩნდენ მელა-ტურათა.**
**მათთვის გვჭირია ქვის სახლი,**
**გამოდგეს საწვავ ქურათა...**

ჯერ-ჯერობით დაიცადეთ; თბილისის აღმასკომს განზრახული აქვს ააგოს კრემატორიუმი. მაშინ კი შევასრულებთ თქვენს თხოვნას.

**ცუდათ ჯდომას ვარჩიე**
**რომ დამეწერა შარადა**
**ძალა არ მეცა ფეხისთვის,**
**არ მევლო წარა-ნარათა.**

ჩვენ მცირეოდენი, უმნიშვნელო შესწორება შევიტანეთ:

**უქმათა ჯდომა გერჩივნოთ,**
**ვიდრე ასეთი შარადა;**
**თუ ჯდომა გიჭირთ,—მაშინ კი**
**იარეთ წარა-მარადა.**

თავკვახას:—„პირველათ გიგზავნით მასალას და თუ ჰონორარს გამომიგზავნით, კიდევ მოგაწვდით მასალებს-“ო.

ოღონდ ასეთ მასალას ნუ გამოგვიგზავნით და ჰონორარს პირიქით მოგცემთ.

**ოკიშაბს:** გულახდილათ სთქვით — რამდენს სტყუით!

**კომსომოლისტს** (სოფ. მღვიმევი):—რა ვუყოთ, ვერ აუკრძალავთ, რომ მღვიმის დედათ მონასტრის დიომიდე მღვდელმა მონაზნებში ასე დაალილინოს:

**ახალ სტილზე გადავედი დიომიდე ვაშაძეო.**
**მონაზნები დავპატიჟე. მოვიწვიე ვახშამზეო.**
**მთელი ღამე ვიბურთავეთ, ვიქეიფეთ გემოზეო,**
**ერთმანეთსა ვეალერსეთ:—ჩემო მთვარევ, ჩემო მზეო.**
**ღვინო როცა მოგვეკიდა,—გადავედით ყიაზეო...**
**(ნეტა ასე დრო ვატაროთ ყოველ შაბათ-კვირაზეო).**

კიკა-კას:—საქმე იმაშია, რომ —რასაც თქვენ აწერთ ხახუტას, ის ლევარსი როხროხაძის თავგადასავალია, რომელიც ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული ორი წლის წინეთ.

**კოდალას** (ს. ჭელიაღელე. რაჭის მაზრა):—რა ვუყოთ, თუ დავით მომცელიძემ **ლიკ** (ვიდაკია) **ხკოლეზის** ფულს ლიკვიდაცია უყო. აქ ლიკვიდაცია ყოველმხრივ გატარებულია.

**„ცხრა თვე გადის და ეს კი ფულის დაბრუნებას არ ფიქრობს.**

მოსალოდნელია ასეთი ამბავი შეემთხვეს დავითს:

**ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,**
**ლხინით გჭამე,**
**ქვათ შემერგო**
**და მე შენი შეჭმისათვის**
**გამსახლშია ჯდომა მერგო.**

ვალიკოს:—თქვენს ოთხ მცნებას ჩვენ დავუმატებთ მეხუთეს:—არ უნდა სწერო ისეთი წერილი, რომელსაც არ მოათავსებენ. თქვენი „სიშჩიკობა“ მხოლოდ ეხლა გამოგვადგება—უფსკერო გოდორში თქვენი წერილის მოსანახავათ.

# დიაკვნის ოინი





1. — ვისია, ძამია, ეგ კუბო?! — ჰკითხა ნიკო დიაკვანმა სოფლელებს, რომლებსაც კუბო მიჰქონდათ.

— მე უბედურს ძმა მომიკვდა ესტატე! — სტიროდა ჭირისუფალი.

2. — უი, ღმერთო, მომკვდარი ეხლავე!.. საწყალი ესტატე! რა კაი კაცი იყო! უნდა ვიტიროთ აუცილებლათ! — და ნიკო უკან გაჰყვა, თუმცა და მიცვალებულს ვერ იცნობდა.





3. — ვაიმე, ვაიმე, ძმაო ესტატე! — აღრიალდა ნიკო დიაკვანი ეზოში შესვლისას. — გახსოვს რა კაი მეგობრები ვიყავით! რატომ მოკვდი! არ გრცხვენია!

4. ჭირისუფალმა სუფრა გაუშალა ნიკოს, როგორც მიცვალებულის კარგ ნაცნობს და მეგობარს. ნიკო ქელეხში პირველ ადგილს დაიბრძანეს.



5. გათენებისას გამძღარმა ნიკომ სახლისაკენ მოჰკურცხლა: — ვერც გიცნობ ვინა ხარ, წადი, შვილოსან, და ბაბუა ჩემს მოკითხვა უთხარი საიქიოში.

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. № 66

კვირა. 8 იანვარი 1928 წ. № 134 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ჩემბერლენის ნათლის-ღება



...და გამოვიდა „სული წმინდა" (ამერიკა) და მოისმა ხმა:—„ესე (ჩინელები) არს გასაწყვეტი ყველა",— ისმინეთ ჩემი!

დასძახა: ნათლის მცემელმა (ჩემბერლენმა): „ღმერთსა" მაღლა: მოგვნათლე ისინი სისხლსა შენა თვისახა. ამინ!

# „პროპაგანდისტი"

საშეფო კომისიის სხდომაზე ღვინიაშვილმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

— ამგვარათ, ამხანაგებო, საჭიროა სოფლათ პროპაგანდისტის გაგზავნა. სოფელი ჯერ კიდევ ძველი სტილით დღესასწაულობს ქრისტეს შობას და ახალ წელიწადს. სწორედ ასეთი დრო უნდა შევურჩიოთ სოფელს ანტირელიგიურ კამპანიისათვის.

კრებამ აირჩია სოფელში გასაგზავნად ღვინიაშვილი, რომელიც დიდხანს ვარობდა, მაგრამ რა გაუვიდოდა?

ანდა რატომ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგი, როცა თავისთვის ასე ამბობდა:

— მეც ეს მინდოდა... წავალ სოფელში და ლაზათიანათ მოვსჭამ ამ დღესასწაულებს!

თემაღმასკომში წინასწარი მოხსენება გააკეთა, მოხსენების შემდეგ ღვინიაშვილი აღმასკომის თავმჯდომარემ სახლში მიიპატიჟა.

— არ იფიქროთ, თითქოს დღევანდელ დღეს, მე ვდღესასწაულობდე. არა; ეს ჩემი ცოლის „ხლაფორთია"... მას ჯერ კიდევ არ გაეგება, თუ რა არის სოციალისტური რევოლიუცია, თორემ დღეს ამ სუფრაზე, რომელიც ასე არის გაწყობილი,—გოჭი, ინდაური და სხვა ასეთები კი არ იქნებოდა, არამედ ლობიო და სხვა ასეთი უბრალო საჭმელები!—უხსნიდა მდგომარეობას აღმასკომის თავმჯდომარე ღვინიაშვილს.

— კიდევ კარგი რომ არ გაეგება!—გაიფიქრა თავისთვის ღვინიაშვილმა და თავმჯდომარე გამოიყვანა „უხერხულ მდგომარეობიდან:—არა უშავს რა; დროთა მსვლელობა ყველაფერს გამოასწორებს!—ამ სიტყვებით იგი მიუჯდა სუფრას სწორეთ იმ ალაგას, სადაც შემწვარ გოჭს კბილები დაეკრიჭა დიდ თეფშზე და პირში ფოჩიანი კამფეტი ჰქონდა გარჭობილი.

— მე ახლურათ [illegible] ორივე დღესასწაული!—თავს იმართლებდა და ბოდიშობდა აღმასკომის თავმჯდომარე,—ეს ყველაფერი ჩემი ცოლის ბრალია, თორემ მე, როგორც აღმასკომის თავმჯდომარე, როგორც სოციალისტურ რევოლიუციის რევოლიუციონერი, რომელიც ბრძოლას უცხადებს სარწმუნოებას და ღმერთმა ჰქნას, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვსულიყო, ე. ი.... პროლეტარიატს როგორსაც ფეხებზე ჰკიდია ღმერთი და მღვდელი.. უკაცრავათ მამაო კირილე——ბოდიში მოუხადა [illegible] მღვდელს, რომელიც ვიზიტზე მოსულიყო თავმჯდომარისას.—არც მასეა საქმე.. დღეს ცოცხალი ეკლესია ჩვენ გვიჭერს მხარს და ჩვენთვის ლოცულობს... შეგვეწიოს იმის მადლი,—და თავმჯდომარემ პირჯვარი გადაიწერა.

— ამინ... ამინ!—გაისმა კირილეს ხმა; ეტყობოდა, მღვდელს დიდი ლუკმა ჰქონდა პირში..

— აი ამიტომ, ბატონო ამხანაგებო,—ამბობდა შეზარხოშებული მასპინძელი—გაუმარჯოს ყოველივე კარგ საქმეს!—დაასრულა სიტყვა მასპინძელმა და შეუდგა ყანწის დაცლას..

— მეგობრებო, დაიწყო სიტყვა ღვინიაშვილმა,—მართალია, მე „ზაკონ ბოჟში" „დვოიკა" მქონდა, როგორც ყველა სხვა საგნებში, მაგრამ სამღვთო რჯულიდან ერთი ამბავი ძალიან კარგათ მახსოვს. ეს არის—ქრისტემ რომ წყალი ღვინოთ აქცია და ქორწილი ყარაჩოღულათ ჩაატარა. მაშასადამე, ასეთი კაცი დღეგრძელობის ღირსია. ვსთქვათ; ახლა რომ ჩვენ ღვინო შემოგვაკლდეს და ამ არე-მარეში არ იშოვებოდეს—მაშინ ხომ დავიღუპეთ?! ასეთ შემთხვევაში კიდევ არაფერია რომ შემოგვაკლდეს მასპინძელს, მაგრამ თქვენ აიღეთ ქორწილი, სად მიძვრება მაშინ მასპინძელი?... ჰო-და, იმას ვამბობდა, ასეთი კაცის დაბადების დღე არის დღეს. გაუმარჯოს ასეთ კაცს და ვუსურვოთ, რომ ასეთები ბევრი მოვლინებოდეს ქვეყანას... მაშ მრაააააავალ ჟამიეეეერ!—დაიწყო ღვინიაშვილმა და მღვდელთან ერთად მთელი სუფრა აჰყვა მას.

„მრავალ-ჟამიერი"-ს გათავებასთან ერთად, ღვინიაშვილმაც გამოსცალა ყანწი და შემოსძახა სიმღერა:

**ღვინოს დავლევ, წყალს არა—**
**შენ გაკოცებ სხვას არა..**

და გადახედა მოპირდაპირე მხარეზე მჯდომ ქალიშვილს, რომელმაც სირცხვილისაგან თავი დახარა.

გაისმა თამადის ბრძანება ყურადღებისათვის და ბოთლებზე დანის ხმაური:

— ყურადღება და გაგონება. სიტყვა ეკუთვნის მამაო კირილეს!

— ვაშა, ვაშა!—დაიძახა ღვინიაშვილმა და ყველამ მის ძახილს და ტაშს აჰყვა.

მღვდელმა ჯერ პირჯვარი გადასწერა მთელ სუფრას და დაიწყო:

— ზოგიერთებს ტყუილათ ჰგონიათ, რომ სამღვდელოებას, ე. ი. ღვთის მსახურთ სძულთ და ეკრძალებათ ქეიფი და დროს ტარება?! არა, შვილებო! სახარებაში ბევრია ისეთი ადგილები, რომლებიც მოწმობენ, რომ ღვინის სმა და ქეიფი არ არის ღვთის გმობა და მისი შეურაცხყოფა. წეხან ჩვენი პატივცემული სტუმარი ბრძანებდა, რომ ქრისტემ წყალი ღვინოთ აქციაო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტესაც უყვარდა ღვინო, ქორწილი და დროს ტარება.

აიღეთ ზიარება. რა არის ზიარება? ზიარება არის ღვინო. მაშასადამე, ღვინო და მის სმა დასაძრახიის კი არ არის,—პირიქით საჭიროა... ნუ გაგიკვირდებათ, რომ მე ასე ვსვამ... იყო დრო, როცა საზიარებოთ მოტანილ ღვინოს ბოთლობით ვსვამდი, მარა ეხლა სად არის... ალავერდი ვარ თქვენთან, ღვინიაშვილო. ღმერთმა ორივეს გაგვიმარჯვოს თავის საქმეში!

— გაგვიმარჯოს, გაგვიმარჯოს!—დაიძახა ღვინიაშვილმა და მამაოს აკოცა.

— ვინც არ დალიოს, ცოლი გაექცეს!—დაუმატა მასპინძელმა.

— თუ კი გამექცევა, აღარ დავლევ... ოღონდ გამექცეს და მე სხვას შევირთავ!—დაიწყო ღვინიაშვილმა ყანწის სმა და თანაც უცქერდა მიზანში ამოღებულ ქალიშვილს.

— ეხლა, ამხანაგებო, ჯერ გაუმარჯოს ჩვენს დიასახლის, რომელიც ქმარს არ უჯერებს და ძველი სტილით ხვდება დღესასწაულებს, რომ ამით მე საშუალება მომცეს ქალაქშიაც ვიქეიფო და აქაც...

ჰო-და იმას ვამბობდა, ჩვენთან სუფრაზე ზის მშვენიერი ასული... დიახ! განშორებით თქვენი სადღეგრძელოა!—მიმართა ღვინიაშვილმა მიზანში ამოღებულ ქალიშვილს!—თქვენ პირდაპირ ანგელოზი ხართ!... თქვენ მე მაგონებთ ციგანკის სახეს... თქვენ ციგანკა ხართ, ნამდვილი ციგანკა!

— რაო?! ციგანიც ხარ და ციგანზეც უარესი; შენ ვიღაც ოხერი მოთრეულხარ!—დაიკაპასა ქალიშვილმა და სამი ბოთლი ერთმანეთს შეხვდენ ღვინიაშვილის თავზე. (პირისუფალიც გამოექომაგა ქალიშვილს).

როცა მეორე დღეს ღვინიაშვილი ქალაქში ჩამოიყვანეს თავ-გატეხილი და საავადმყოფოში მოათავსეს—ამხანაგებს ასე ეუბნებოდა:

— ხომ კი ვამბობდი, რომ სოფლათ ჯერ კიდევ დიდი პატივისცემით ხვდებიან საეკლესიო დღესასწაულებს!?. თავი გამიტეხეს ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების დროს!

**ისელი.**

# „მიმზიდველობის და წინაალმდეგობის კანონი“

ამერიკის ნავთის კომპანია უდიდეს ზარალს აყენებს სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოს, სადაც ძვირათ ჰყიდის ამერიკა თავის ნავთს. საბჭოთა ნავთი უფრო იაფია. ამიტომ მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

**(დეპეშებიდან).**



# ლექსი პროზად

**ძლიური ნაწყვეტი**

შვიდი წელია პროვინციებში
რალაცას მგონი მეც ვბოგინობდი,
„პირი ხოფლისკენ“ მქონდა ყოველთვის
და ქალაქი კი მივიწყებული.
უმუშევარი თავიდან ვიყავ
და თბილ ადგილებს ვინ შემკადრებდა;
მაგრამ „ნე დუმალ“ თუ კი თბილისში
ღამის გათევაც მეძნელებოდა!
ძველ მეგობრებში—ამხანაგებში,
ისეთიც ვნახე გადიდებული.
მან არ გამხადა სალამის ღირსიც.
გავხდი მე მისგან დავიწყებული.

ზოგს კი ისეთსაც გადავეყარე,
რომ უსაქმოთა დადის ქუჩაში,
ათვალიერებს დიდ მაღაზიებს
და არ უჩყავის გროში ჯიბეში.
რესტორანს დღეში ათჯერ ჩაუვლის,
ყნოსვით გადააქვს კუჭის საკითხი,
შემწვარ გოჭის თავს რომ გადახედავს,
ნერწყვს გადაყლაპავს და მით გაძღება,
და ვფიქრობ... ვფიქრობ—ასე ცხოვრება,
თვით როხროხაძეს გაუძნელდება.
მაგრამ მეც რაღა. მოვყევი „ამბავს“,
თითქოს „ნოველსტი“ წარმოვსთქვი რამე.

**ახკანელი.**

# საბჭოთა მუშაობის გაცხოველება

### (ზოგიერთ დაწესებულების თანამშრომელთა კრების თითქმის სტენოგრაფიული ანგარიში)

კრებას გახსნილად ვაცხადებ, ამხანაგებო!—განაცხადა თავმჯდომარემ.—სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წარმომადგენელს, აქტიურ მუშაკს.

საბჭოს წარმომადგენელი ალაპარაკდა. ილაპარაკა დალაგებით, მარტივად და გასაგებათ. მოუწოდა დამსწრეთ—ხელი შეეწყოთ საბჭოს მუშაობის გაცხოველებისათვის.

ერმალომ (მე-9-ე კატეგორიის მოსამსახურე გაბლავთ) აიღო შემდეგი სიტყვა. ერმალო, მართალია, საბჭოს წევრი არ იყო, მაგრამ ფრიად აინტერესებდა საბჭოში შესვლა და აქტიურ მუშაკის სახელის მოხვეჭა. ბოროტი ენები ამბობდენ, რომ სახელის მოხვეჭაზე უფრო იგი დაინტერესებული იყო ტრამვაის უფასო ბილეთის მოხვეჭით; (მოგეხსენებათ, საბჭოს წევრი უფასოდ მგზავრობს ტრამვაით), მაგრამ...

ერთი სიტყვით, ერმალო ამეტყველდა.

— რაკი-რიკი-რაკი-რიკი... კირი-კარა-კირი-კარა... —„რაკარუკობდა“ ჩვენი ერმალო. ილაპარაკა საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ და ბოლოს შეეხო საბჭოების მუშაობას.

— მიღწევები უამრავია, მაგრამ არის ნაკლიც...—ამტკიცებდა ერმალო. ნაკლი ჩვენ ვერ შეგვაშინებს, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, რა არის შიში. მართლაც რა არის შიში? შიში არის ერთგვარი შეგრძნობა, რომელიც შეშინებას მოსდევს. ამიტომ უნდა მოვსპოთ თვით შეშინების სათავე. ეს სათავე კი არის სოციალიზმის აშენების უიმედობა ერთ ქვეყანაში. აქედან — უშუალო დასკვნა: ბრძოლა ოპოზიციონურ ელემენტებთან. რა არის ელემენტი? ელემენტი არის ოპოზიციის ობიექტი, რომელსაც ტროცკისტები იყენებენ, როგორც ბრძოლის მეთოდს. მეთოდი და მეთოდიც ერთი და იგივეა, ამას იდენტიზმი ეწოდება ბაქტეროლოგიაში. აქედან დასკვნა: ბრძოლა ბაქტერიებთან. ბაქტერია, როგორც ასეთი არ წარმოადგენს ობსტრაქტულ მოვლენას. იგი ჩვენი საბჭოს ზოგიერთ მუშაკების ტვინშია გაძვრალი და ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ, ჩვენი უპირველესი მიზანია ბაქტეროლოგიურ ინსტიტუტის დაარსება. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფსიქიატრიულ სამკურნალოს გაფართოებას და ანტირელიგიურ კამპანიის ჩატარების საკითხს...

თავმჯდომარემ ძლივს შეაჩერა ორატორი.

— თუ დამაწინაურეს ახლა, თორემ სხვა დროს ვეღარ ვეღირსები. ინტელიგენტებს ეგენი მაინცა და მაინც არ აწინაურებენ,—გაიფიქრა გულში ერმალომ და ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

სიტყვა აიღო შემდეგმა ორატორმა.

ამხანაგი ერმალო ასცდა პირდაპირ საკითხს — საბჭოების გაცხოველების საქმეს, —დაიწყო ახალმა. — საქმე ბაქტიერებზე კი არ არის, არამედ საბჭოებზე. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აბასთუმნის კანალიზაციას, რადგანაც ქალაქიდან ბევრი მიდის საავადმყოფო აბასთუმანში.

— ეგ საკითხს არ შეეხება!—შეაწყვეტინა თავმჯდომარემ...

— დამაცადეთ, ამხანაგო!... რაღაი კანალიზაციაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა გავიხსენოთ თვით ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობა. საქმე იმაშია, რომ ქალაქში ავტომობილები მეტად გამრავლდნენ; ისინი ზაფხულობით მტვერს აყენებენ და ზამთრობით ტალახით ავსებენ ქუჩებს. ამიტომ ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ავტომობილიზმს და გადავიდეთ ზაჰესის ენერგიის მოხმარებაზე. ამ საკითხში ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პლეხანოვის, კიროვის და კამოს ქუჩების კეთილმოწყობას და მუშკოოპის კრედიტის თავის დროზე მიღებას.

თავმჯდომარემ კვლავ შეაწყვეტინა. ორატორმა ისევ განაგრძო.

— შემდეგი საკითხია მთვარის დაბნელების მოწესრიგება. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ მთვარის დაბნელება აღარ განმეორდეს, რადგანაც ასეთი მოვლენები მოსვენებას უკარგავს მოსახლეობას. უნდა მოწესრიგდეს აგრეთვე მიწისძვრის საკითხი, რადგანაც იგი უშლის ხელს მშვიდობიან ცხოვრებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მიწისძვრის ცენტრი კაპიტალისტურ ქვეყნებში გადავიტანოთ და მისი საშუალებით დავამხოთ ევროპის ბურჟუაზია....

ალლარ-ალლარხან.

## ტარტაროზი მღვდლის როლში



იკითხეთ

ტარტაროზი

# იმედის გაცრუება

ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში ლუმელებს არ ახურებენ. ქირურგიულ განყოფილებაში სიცივის გამო იყო ავადმყოფობის გართულების შემთხვევები.



პირ. ავადმყოფი:—რახ დალონებულხარ თამრი-კო? ახალი წელია, დაგებედება.
მეორ. ავადმყოფი:— როგორ არ დავლონდე! მეგონა— შობა-ახალწლისათვის მაინც გაგვითბობდენ ბინას. მაგრამ იმედი გამიცრუვდა!

# მოსამზადებელი მუშაობა

დაიწყო საბჭოების გადარჩევის კამპანია და სოფლის აქტივი— საყოველთაო ამხანაგი ყარამანი გაოლოცხლდა.

— სამი კვირაა, რაც უკანასკნელი კამპანია ჩავატარე და ეს დალოცვილი კამპანია რომ არ დაწყებულიყო, ხომ გამოვყრუვდებოდი კაცი! —ამბობდა იგი.

ყარამანი, საერთოდ, კამპანიის ვაცია. უკამპანიოთ მას ვერ წარმოუდგენია ცხოვრება, ოღონდ იყოს,— სულ-ერთია რა ხასიათის კამპანია იქნება. რასაკვირველია, უფრო საინტერესო ისეთი კამპანიაა, რომელსაც სადღეგრძელოები ახლავს, მაგრამ ჩვეულებრივ კამპანიასაც არაუშავს.

დიდი დავიდარაბის შემდეგ ყარამანი საარჩევნო კომისიაშიც მოაყოლეს. ამას შემდეგ ყარამანისთვის გზა ხსნილი იყო.

— მთავარია, ამხანაგებო, მოსამზადებელი მუშაობა, —ამბობდა იგი კრებაზე.—მეტი ყურადღება წინასწარ მოსამზადიბელ მუშაობას, რადგანაც მოუმზადებლობით არავითარი კამპანიის ჩატარება არ შეიძლება.

— ჩემი აზრით, —ორატორობდა ყარამანი ორი კვირის შემდეგ,— უპირველესი ყურადღება უნდა მივაპყროთ წინასწარ მოსამზადებელ საქმიანობას. იგი უნდა გახდეს ჩვენი ყურადღების უმთავრესი ცენტრი. საერთოდ, ცენტრალური ადგილი მოსამზადებელ კამპანიას უნდა დაეთმოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მომზადება თავი და თავი საქმეა.

სოფლად ხმა გავარდა: ყველამ გაიგო, რომ ყარამანი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის უფროს თანაშემწეთ იყო არჩეული.

სოფლის კულაკმა ყარამანის პატივსაცემათ კამპანია გამართა. ყარამანმა დილითვე ჩაატარა ამ ახალი კამპნიის მოსამზადიბელი მუშაობა: გაიპარსა წვერი, მაღალ ყელიანი ჩექმები გაიწმინდა და სადილათ კულაკისას გადავიდა.

შეიქნა ყანწების ტრიალი. ყარამანი თამადათ აირჩიეს.

— დიდებული კაცია ეს ჩვენი ყარამანი,— ამბობდა სადღეგრძელოში კულაკი.—იგია ჩვენი სოფლის თვალი. ამიტომ არ შემიძლია აქ პატარა სასმისით (ხელში კვარტიანი ყანწი ეჭირა) არ უსურვო მაგას დღეგრძელობა. ამასთან ერთად, იმედია ჩვენ გაჭირვებასაც მიაქცევთ ყურადღებას და საარჩევნო ხმის უფლებას მოგვანიჭებთ. მართალია: აქ მე კულაკათ მნათლავენ. მაგრამ ვინც ჩემ სილარიბეს ჩაუკვირდება, —დარწმუნდება, რომ ჩემისთანა საწყალ კაცს კულაკათ არაფერი ახლავს. მაშ, იცოცხლეთ, ბატონო ყარამან, და იმუშავეთ ამ პატარა საქართველოში. ნუ დაივიწყებთ ჩვენს სილარიბეს და ხმის უფლება ისევ მოგვიბოძეთ...

— ვეცდები, მეგობრებო, ვეცდები! ჯერჯერობით ჩვენ უმთავრეს ყურადღებას მოსამზადებელ მუშაობას ვაქცევთ, მაგრამ სიების შედგენის დროს....

გავიდა ერთი თვე. შესდგა საარჩევნო კომისიის მეთორმეტე სხდომა.

— მოგიწოდებთ, ამხანაგებო, არ დატოვოთ უყურადღებოთ საარჩევნო კამპანიის უდიდესი პერიოდი. ეს გახლავთ არჩევნების წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. ადგილობრივი ხელისუფლების ვალია სათანადოთ ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა.

მეზობელ რაიონებში მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა და საანგარიშო პერიოდი დაიწყო.

ყარამანი ისევ ემზადებოდა.

— კაცო, ყარამან, გვაგვიანდება. შეუდგეთ საანგარიშო კამპანიას.

— მოიცა, შე კაცო, რა მაჩქარებს. ხომ გაგიგონია: „მოსამზადებელითა მით მუშაობითა შენითა

ბოიკოტე კამპანია შენი".— იხუმრა ყარამანმა.

გავიდა დეკემბერი და იანვარი. ძიიწურა თებერვალი.

— მე ვფიქრობ ამხანაგებო, ახლა უკვე დროა მთლად სერიოზულად შევუდგეთ წინასწარ-მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას. ამას გვავალებს საარჩევნო კომისიის უკანასკნელი თათბირის რეზოლიუცია, რომელიც ჩვენ ერთხმად მივიღეთ.

— საერთოდ, მეგობრებო, თუ გახსოვთ, ჩვენი რაითათბირის დადგენილების მეხუთე მუხლში აღნიშნულია მოსამზადებელ მუშაობის აუცილებლობა. ამიტომ, ეს ორიოდე თვე წინასწარ საქმიანობას უნდა მოვაცდომოთ.

ისევ გაგრძელდა მოსამზადებელი მუშაობა. დანარჩენ ადგილებში საარჩევნო კრებები დამთავრდა და ყრილობები დაიწყო. ყარამანის ინიციატივით საბჭოების სამაზრო ყრილობას მისასალმებელი დეპეშაც გაეგზავნა.

**„ჩვენ ხოფელ გვიანეთის მცხოვრებნი, რომლებიც წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ვატარებთ, მოგესალმებით თქვენ საბჭოს წევრებს და გისურვებთ კარგად ყოფნას.**

**მოსამზადებელ ნაწილის გამგე ყარამან ყარყუმაძე".**

დეპეშამ შესაფერი შედეგები გამოიღო: ყარამანი გაანთავისუფლეს მოსამზადებელ ნაწილის გამგეობის თანამდებობისაგან და საარჩევნო უფლებაც წაართვეს.

— საკვირველია, რას მერჩის ეს ხალხი,— წყენით ამბობდა განთავისუფლებული ყარამანი.— ალბათ დეპეშის შინაარსი არ მოეწონათ, თორემ მე, რომელიც ვიყავი მოსამზადებელ მუშაობის სული და გული, ვინ გამიბედავდა დათხოვნას?

— არაფერია, როდესაც კამპანია კიდევ დაიწყება და მაშინ მე მკითხავ მაგათი პატივისცემა. ინუგეშა თავი ყარამანმა და შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას მოსალოდნელ კამპანიის შესახვედრათ.

**ტერსიტე.**

# „ძმური დახმარება"



**ბურჟუა** (ჰყვირის):— მიშველეთ... მომკლეს მუშტების ცემით!

**მუშა:**— რა გაყვირებს, შე ოხერო?! მტრობით კი არა გცემ,— პირიქით, მინდა მოგანელებინო ამოვსებული სტომაქი!

# საიქიოში

ჯანზე კარგად ვიყავი: ჭამის მადა კარგი მქონდა. მაგრამ ერთ სადილს დავწევი თუ არა, გავაფშიკე ფეხი.

არც ისე ძნელი ყოფილა სიკვდილი, როგორც ამბობდნენ, პირიქით: მოვედი თუ არა, მევისვენე სავსებით: არც შეშაზე ფიქრი, არც ოთახის ძებნაზე, არც ცოლის საყვედურები და, ერთი სიტყვით,— არაფერი.

ამომძვრა სული თუ არა, ჩემს წინ ვეებერთელა მწვანე მინდორი გადაიშალა. აი, თურმე სად ყოფილა წასასვლელი?! რომ ჩავაკალი ბათომში თავი და წვიმებს დავალპობიე ფეხები, რა მიშავდა წამოვსულიყავი აქეთ?— ამ ფიქრით მივდიოდი, რომ ვიღაც კაცი შემეჩეხა წინ.

— შენ სად მიდიხარ?— შემეკითხა ის.

— არც მე ვიცი, ამხანაგო, მე მგონია სამოთხეში ვარ მოსული და, კარგი იქნება, თუ აქაური ხართ ბიძას მასწავლი.

— გაქვს რამე წამოღებული?

— წამოსაღები რომ მქონოდა, ჩემი ცოლი რავა მომკლავდა ასე უდროოდ? ან და რა უნდა წამომეღო? ერთი წყვილი კალოშებისთვის შვიდი დღე ვიდექი რიგში და ვერ ვიყიდე. რომ მეყიდა და ჩაცმა მოვესწრო, იქნებ არც მომკვდარიყავი?

— კალოშები რად გინდოდა, ოოცატანზე არაფერი გაცვია?— მართლაც მთლად შიშველი ვიდექი მის წინ. შემრცხვა.

— რა მოგსვლია შე საცოდავო, ვინ გაგხადა ტანსაცმელი?

— მაგის რა მოგახსენო, მაგრამ ჩემი მევალეების მეტი რომ არავინ იქნებოდა, ის კი ცხადია. შენი ჭირიმე, ბატონო, მომიხერხეთ რაიმე, იქნება სადმე ტანსაცმელი მაშოვოთ!

— დაველოდე მე.

— მერმე ფულები გაქვს?



ვექილი (ქურდს):— აკი ამის წინეთ რომ საქმე გქონდა სასამართლოში, დაგიცავი და როგორც იქნა გაგამართლეე!

ქურდი:—ახლაც იმიტომ მოგმართეთ, რომ კარგად გცოდნიათ ჩემისანა ხალხის დაცვა.

— ვაიმე, ფულები?—მოვირტყი შუბლზე ხელი,—ბატონო, შედიაი ჩემს მდგომარეობაში, მასესხეთ რამოდენიმე გროში.

— ჯერ ის მითხარი: რომელ პარტიას ეკუთვნი?—ეხლა კი დამცხელა. რა ვიცი რომელი პარტია მოსწონს! რა ვუთხრა? რა ვქნა?

— სთქვი, სთქვი, რას უცდი!

— მე... მე... მე, ბატონო!— მერმე ვიფიქრე: კომუნისტებს გარდა რასაც ვიტყვი, არაუშავს-მეთქი და მივახალე—მე, ბატონო, გახლავარ ნაციონალ-დემოკრატი, — მაგრამ რახან შევატყვე წარბების შეხუშვა, დავახალე—დიახ, ნაციონალ - დემოკრატი ვიყავი, მერმე კი....

— გამოიცვალეთ ხომ?—სწრაფად შემეკითხა ის.

— დიახ, დიახ, და ერთბაშათ მენშევიკი გავხდი!—ამის გაგონებაზე ცოტა გაიღიმა. ვიფიქრე: ალბად, სოციალისტური პარტია მოსწონს. რახან მენშევიკებზე გაიღიმა, კომუნისტებზე გადიხარხარებს - მეთქი, — და მივარტყი ხელად:— მენშევიკების გაქცევის შემდეგ გავკომუნისტდი და ეხლა....

— ოპოზიციაში გადადი თუ? — აღფრთოვანებით შემეკითხა ის. ეხლა ჩემი გზა გაწალდული დარჩა.

— დიახ, ბატონო! როცა შევხედე, რომ ყველაფერი უკუღმა მიდიოდა, როცა შევხედე, რომ ცეკამ გლეხების გამდიდრება იწყო, მუშების გაინტელიგენტება, სავალდებულო სწავლა შემოიღო და სხვა ასეთები, გადავწყვიტე ოპოზიციის შექმნა.

— გამარჯობა ამხანაგო!— აღფრთოვანდა ის და გადამეხვია. როცა გული დაიწყნარა, დამიწყო ამბების გამოკითხვა.

— ერთი მითხარი თუ კაცი ხარ, როგორ მიდის ჩინეთის საქმე — დაიწყო მან.

— აა ხათაბალა თუ გინდა აგაა! ყველაფერის რაღაცა მესმოდა, მაგრამ ჩინეთის ამბის არაფერი გამეგებოდა სახლები ვერ დავიმახსოვნე: მერმე არც ვკითხულობდი მაგ ამბავს. უცებ ორი სახელი გამახსენდა: ჩანკაიში და შანხაი. სახელები რომ ჩინური იყო, ვიცოდი, მაგრამ რომელი იყო ადამიანის და რომელი ქალაქის, ეს ვერ გავიხსენე.

— სო, შანხაი რას შვება?— გამიმეორა მან.

— ალბათ კაცია შანხაი!—ვიფიქრე მე. და ვუთხარი:— აი სწორედ ამ დღეებში შანხაიმ ჩანკაიში აიღო; მეტად დიდი ბრძოლა იყო.

— თუ ჩანკაიშიმ აიღო შანხაი?

— დიახ, დიახ, სწორედ მაგრე მოხდა.

— ეხლა უნდა მითხრათ რამე ოპოზიციაზე.

— ოპოზიცია კარგა ხანია, რაც არსებობს და დღითი-დღე სიმპატიას პოულობს. არამც თუ რუსეთის, უცხოეთის ბურჟუაზიაც კი მათ დროშის ქვეშ დარაზმვას ფიქრობს. მართალია: ყრილობაზე გამარჯვება ცეკას დარჩა, მაგრამ რა ვუყოთ მერე! — ამ ლაპარაკში რომ ვიყავი, უცბათ ცამ დაჭექა, გაიხსნა კარები და ამოვყავი ბნელ ჭურღუმლში თავი. ისე ბნელოდა, რომ ბათომის ქუჩები მონაგონი არ იყო მასთან. ჩემ წინ რაღაც შავი არსება გაჩნდა და ცეცხლის მგზავსი თვალები შემომანათა.

— საიდან ხარ?!— მიყვირა მან.

— ბათომიდგან?— მივუგე მე.

— ცოლიანი თუ უცოლო?

— უცოლო რომ ვყოფილიყავი, რა მომკლავდა?!

როცა დაკითხვა დაათავა, ამოიღო რაღაც ქაღალდი და დაიწყო:

— ვინაიდგან შენ აუარებელი ბრალდებები მიგიძღვის, ამიტომ მისჯილი გაქვს „უმაღლესი ზომა“. ამის თანახმად შენ უნდა იყო ამ სიბნელეში თვრამეტი წელიწადი უწყლოთ, უფეხსაცმელოთ ამ ლაფში და მიშვლად ამ სიცივეში. საბოლოო სიტყვა შენია: რას იტყვი?

— რაღა უნდა ვთქვა. მადლობას ვუცხადებ მაგ სასამართლოს, რომელმაც ასეთი მცირე სასჯელი მომცა, მხოლოდ მინდათ გკითხოთ მერმე სად გადამიყვანთ?

— ხა, ხა, ხა,—ჩაიხარხარა მან, — განა ფიქრობ გაძლებას ამდენ ხანს?

— მაგი რაა ჩემთვის, ჩემო ბატონო: ბათომში უარესი გამომიცდია!

— მაშ, შენი აზრით, აქ ყოფილა უმჯობესი?

— ყველა ზემო ჩამოთვლილ სასჯელს ჩემი ცოლის სისასტიკეს თუ დაუმატებ, რა თქმა უნდა, აქ ცხოვრება ნეტარებაა!

— გეტყობა: დიდი ბოროტმოქმედების ჩამდენი ხარ და ისევ უნდა გადაგზავნო! — მითხრა მან და გაქრა.

უცებ დაელვა-დასჭექა და თვალებიც გავახილე. ცოლი იგინებოდა და მწყევლიდა. როგორც სჩანდა, ჯიბეები გაეჩხრიკა და შიგ, რასაკვირველია, ვერაფერი ენახა.

მივხდი სიზმარი ყოფილიყოო და მეწყინა.

ბ. -იბოლი.

# ვიზიტმა მიყო

— ერიჰაა, ახში ახალი წელიწადი ფინთათ დაჟეხედა რაღა, ცალკე ტყეპა, ცალკე კუტუზკა, ჰამაც ზონტიკი და კანგრის შლაპკაც ქუჩაში დამრჩა. იქაც შტრაფი ჩადი. თანა ცუსდში მიცემული ვარ, ქროთამს მაძლევდაო.

ვა, ბლენა? ათადან - ბაბადან ქროთამი და პურმარილი ღმერთს გაუჩენია, ახარ. მე ხომ ბალშევიკების ზაკონის—კანონები ზეპირათ არ ვიცი, რომ ქუჩაში სტატიებით ვიარო, ვინმე ჩლუპუზის მასხარობაზე არ შემეშინდეს და ჩემი თაბაუთი არ დავიჭირო? ნუ კაცნი ვართ რაღა, ნიჩაინათ მითქვია თუ:

— უსტა სლედაოტელ, კანც შტრაფი არ გადავიხადო და კაზიონის ხაზინა არ გავამდიდრო შენ მოგცე ჰაზირ? ცოდო შუაზე გავყოთ, ძოდი ხუთმეტ ჩერვონცს მოგცემ ხელი აიღე მეთქი... ბან ჩუნეს, უჯათობის ვირზე შაჯდა, ერთი გაჯვარდა, ერთი ჯორას ტლინკებივით ფრანციცული სიტყვები დამაყარა:

— ასმა ეგ იურისპრუდენციის კოდექსის ზაკონის ასოცდაოთხი სტატიის მეთოთხმეტე პუნქტის შენიშვნის კვალიფიკაციით სისხლის სამართლის დანაშაულიაო და ამ ნიმუტში პროკლოვის ხელში ჩაგაგდეფო მააშ!.. წავიდა, საჩივარი შეიტანა. რაზბორი მალე იქნება, თუ კარქი მარიფათიანი ადვაკატი არ წავიყვანე საქმე მორჩომილია....



პუზურში შარი სულ ვიზიტიდან დაიწყო. მე როა იმტოლი მანახორები არ მეთრაქა და ინთილა არ მეკრა ჰკვასაც თავში შავინახამდი, ჰამა ერთი ბოთლიკით მეტი მამივდა და ჰოპოპებიც ავაფრინე.

ახალი წლის დილით ფეფელას ვეპნები:

— ფეფელ, ჰა, ჩქარა დაპირე. სარისტა, კარქათ მაირთე, წამოდი ვიზიტები დავარტყათ, თორემ ვინმე ახმახი შემეეხეტება და რაც ისემე გვიქნია, ახალწლის რამეები რაღა, გოზინაყი რამე, სულ შაგვიჭამს, ისევა სჯობია, სტუმრები სალამოზო შამოუშოთ, ჰიმტა ალაჲ ექნებათ-მეთქი.

ჩაიცო, კარქი მოდნის ტანისამოსი, ტერ-კოსტუმს ხურჯინივით ძალარის მუფთა წამოიცო ყაპყაპიანი შლაპკა რამე და ახში ქუჩაში გაძოვედით.

— ფეფელ, ვისთან დავარტყათ პირველი ვიზიტი?

— ჰინკა გოგოლასთან, კარქი ვინმეაო.

— დედაკაცო, გოგოლა,—ქვრივია, ოჯახი არა აქვს, ჰამაც ქალების მუსუსს ამბობენ, რამე აბიდა გაჰამოს მერე რას აპიროფ?

— უი ფჩახეს, არა ყველგან ასეთი რევნივი უნდა იყო? შენ ეხლა შარზე ხარ, გინდა რომ მარტო იგულაო, პაეალუსტა წადი სადაც გინდა, მე სხვა ვისთანმე გავაკეთეფ ვიზიტებს, ჰამაც მერე სახლში წავალ და სხვებიც მე გამიკეთებეხო..... აკუნტრუშდა ეს ბემურაზი და წავიდა... მეც ჩაუხვიე იარმუკისკენ და ჩვენ ყიყვიან ოსკანასთან მავედი. იქ ცოტა ჰანგალი ვინმეები შამხვდნენ. მერე მეშლაპკე დარჩუასთან გადავედით, იქაც კოლოტები დავალბეთ და თავში პაეარმაც აიწია.

ახრიზამანში საქმე ისე გამოვიდა, რომ პუპუზ ერთ კუდვარდა ფოშტის სეკლეტრის სახლში მოვხედით... ამას გალუსტიკიანი ვინშიები ჰყვანდა და ჰამაც პერედნაში ბაბორიანი პალტოები ეკიდა.

მოკლეთ გითხრა, ლაზათიანათ ჩავასხით, ხორაგი და სასმელი ბლომათა ჰქონდა, ერკოპიდან ნისიათ მიეცათ კანიაკი. მანახორი რამე—ყველაფერი იყო. ბოლოს ზოგმა პოლიტიკაზე ლაპარაკი დაიწყო, ზოგმა ტანცი, ზოგმა ფსტანი და დოზანა. მე და დარჩუა კი ვხუხამთ, პაეარი მაღლა ადის, გოგრაში გრადუზები იწევს.

ბოლოს ერთ თეფშზე ოთხი რუმკა ერთათ დამიდგია, შიგ ნახევარი კანიაკი ჩამისხია, ნახევარი ხიზილალა ჩამიყრია, ჰამაც პურის ნაწილი და მარილიც ზედ დამაყოლებია და ვიძახი:

— ძმებოჯან ესეც ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს მარიფათს, ჩვენს ჯეჰელობას, ამ რუმკებით პურმარილის სადღეგრძელოსა ვსომ და ვინც უარი თქოს პირძაღლი და დედალი იყოს მეთქი.... ჩემი ჰამქრის ბიჭებს მოეწონათ, ყველამ დალია და იმ ინტლიგენციებმა კი უარი თქვეს. მე გავჯიუტდი, და ერთი გალუსტიკიანს შიგ სიფათში შავასხი ოთხივე რუმკა.

ჩავარდა ყალმაყალი. ჩხუბი რამე, ჰამა მე არ მეშინოდა, იმიდი მქონდა ამოტოლა ხალხში ჩემ თავს არ ატყეპინებდნენ. ბოლოს ამხანაკები აშიტყდნენ და წამოვედით.

ასეთი რასტერიანი გავხდი, რომ პერედნაში, ჩემი ზემოთა ფინჯაკის მაგიერათ სხვისი პალტო ჩამიცვია.

წამოვედით. ქუჩაში ჩვენი ბიჭები აქეთ-იქით ლოპრებივით გამიძვრენ. ჰერევანსკზე მე და მებელჩიკი გრიქულა დავრჩით. ორივე ჰანგლობის გუნებაზე ვიყავით და გრიქოლას ვეპნები:

— გრიქულ, ხურდა ფული გაქვს?

— მაქვს, რამდენი გინდა?

— ცოტა ტუჩული გექნება მომეცი, ერთი შტუკა უნდა გავაკეთო.

მამცა, დაუძახე მეშნუშოკე ბაზრის ბიჭებს და ვებნები:

— აი, ერთ მუჭა ფულს გაძლევთ და ვინც რომ ამ ქუჩაზე ნუგბარი ქალია ყველას ჩემ ჩოთში აკოცეთ, ახალი წელი მოულოცეთ, უთხარი უფალმა ღმერთმა იღ-

ბლიანი სტილი მოგცეთ უთხარი, ფეფელამ გააჯავრა და თქვენი კოცნით სამაგიეროს უხდის უთხარი.

ეს ლუპუსტაცი ბიჭები დაერივნენ და ვინც რომ კარქი ქალი იყო ყველა დაკოცნეს... გაჩნდა წიოკობა, დასტა-ბუბუ და ჩარბუზანა, დაუძახეს მილიციონებს, ასტეხეს შუშტუკების დაკვრა და ის კიხტოები დაიჭირეს.

ჰუზურში იშკილიც გამოირკვა და ბოლოს მე და გრიქულასაც მოგვადგნენ. გრიქულა გაიპარა და თულეთის კურატივით მე ხელში ჩაუვარდი. მამცვიდნენ დაკოცნილი ქალები, ზოგი ზონტიკს მარტყამს, ზოგი მეჩხუბება—თუო, მე მაგისთანა ცინგლიანების კოცნას დაჩვეული არა ვარო. ვებნები:

— ძადამჯან. ჩემი სიყმე თქვენ გენაცვალოს, ნუ კაპარჩხინობთ, დაგებედებათ, მართალია, იმ ბიჭებმა ჩვენ ჩოთში გაკოცეს. ჰამა ბედნიერ დღეს კოცნა საწყენია? ჰანგლობის გუნებაზე ვიყავ. ყველანი მამეწონეთ. თუ იმ ციგლიანის კოცნა გეწყინათ, პაქალუსტა მე გაკოცებთ მეთქი და ჰამაც ერთ ნუგბარ დედაკაცს მაგარი პაჩი დავარტყი.

ბაც!.. საიდლანაც თავში მეხი დამეცა და თვალებში ზაჭესი ამენთო, ეხიდამ ერთი ახმახი ვინმე მელილხანე მიხაკას ტაბოლისტოლა ჰუშტს მარტყამს. მამინტალნათ გამოვფხიზლდი, ჰაჰა, ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე, ისე გამაფრინეს კამისარიატში. იქ ობისკი დამარტყეს და ჯიბეში ლევროვი არ მიპოვეს? ვაჰხ! ჰელეთ-მელეთი მაშინ უნდაგენახათ, აი: ისე გამოვფხიზლდი, რომ მა ჰუზმო გეგონებოდით:

— ამ ლევროვის რაზრეშენია გვაჩვენეო.

— შითქი ეგ ჩემი არ არის!

— როგორ თუ შენი არ არის, შენი პალტოს ჯიბიდან ამოვიღეთო.

— არც პალტოა ჩემი, სადაც რომ ვიზიტნათ ვიყავით, იქ პატარა აშიპკა მამსვლია, სხვისი პალტო ნეჩაინათ ჩამიცვია მეთქი... ხათას ბალაც დაემატა. სამი მეტრო პრატოკოლი შამიდგინეს და ის ღამეც კუტუზკაში გამათენებიეს.

მეორე დილით პალტოს პატრონი მოუყვანიათ, თურმე ის ბეშურაზი თითონ პროკლოვის სლედოვატელი ყოფილა და სტატიები სულ მამოჩვენოსავით სცოდნია:

—ხულიგნობისათვის სამი თვე ციხლოვნი მოგეცემაო. ქურდობისათვის ორი წელიწადი პრინუდიტელნიო. ლევროვის ურაზრიშენიოთ ტარებისათვის ან დახვრეტა, ან ათი წლის გადასახლებაო, ჰამაც პალტოს წამოღებისათვის ოცდა ათი ჩერვონეცი შტრაფი გადაგხდება ხაზინის სასარგებლოთაო.

ამაზე უთხარი თუ ხაზინას თავი დაანებე, ხუთმეტ ჩერვონცს პირდაპირ შენ მოგცემ მეთქი. გაჯავრდა და საჩივრის ქაღალდი დასწერა. ქრთამის მოცემისთვისაც ცალკე სტატიას გამოგინახავთო.

მეორე დღეს ნატყეპი, უფინჯაკოთ, უშლაპკოთ და უზონტიკო დავბრუნდი სახლში. ფეფელა ხმას აღარა მცემს, იმასაც ფინთი ფათერაკი მოსვლია. ახში ჰინკა გიგოლასთან ყოფილა და იქიდან გაჯავრებულ წამოსულა, ასმა გრუბათ მამექცაო.

ეხლა ამ უსდის მოლოდინში მეც ჰელეთ-მელეთი მამდის და ადვაკატის ფულზე ვფიქრობ.

გებნები ფინთათ დამებედა ახალი წელი და ჰუზურში ეგრე ბედასლათაც გაივლის—მახლაზ, ესეც ახალი ყისმათია. თუ ფარახადანმა მაინც არ გაიგო ეს ჩემი ოინები და ტარტაროზის ლუკმათ არ გამხადა, კიდევ რახმი იქნება.

ფარხადაზ.

მზადება



შეხვედრა



შედეგი



# ქაფით აქაფა

## (სცენა ქუჩაში)

**რძის გამყ.:**—მალაკო ერკოპა!.. პა-პა-პა-პა... რა რძეა! აბა მუშტრებო ჩემსკენ!

**ქალი:**—ჩამისხით ორი კრუშკა... ოჰ, რატომ აქაფებთ მაგრე?

**რძის გამყ.:** ვა, დალოცვილო, ვაქაფებ რა! რომელი მიკოიანის აბანოს მექისე მე ვარ.

**ქალი:**—ეს ორი კრუშკა კი არა, ერთიც ძლივს გამოვა; სულ ქაფით აქციეთ რძე; რაშია საქმე?

**რძის გამყ.:**—ქალიშვილო, ეს ისეთი რძეა, რომ უნდა აქაფდეს: წყალნარევი ხომ არ არის?!? ის არა ქაფდება! ხან თუ ნაკლები მოდის, ეს იმიტომ ხდება, რომ ანგარიშში არ დამაკლდეს... ცივია, ყინდება...

**ქალი:**—მაშ, თუ საქმე მასეა, მეც ნაკლებს მოგცემთ ფულსა!

**რძის გამყ.:**—ერიჰა! ყველამ რომ ნაკლები მამცეთ, ჩვენი ერკოოპის პრავლენიას ისედაც დააკლდა 21 ათასი მანეთი, რომ გაიტაცეს; ის ვის მოვთხოვოთ?

**ქალი:**—ახლა შენ ისე იძახი, რომ რძე ნაკლები ჩაგვისხა და იმ „აქაფებულით" დაფარონ ნაკლი, მარა ამას თქვენ ბოროტათ იყენებთ—თქვენთვის იქაფავთ, დიახ (გაჯავრებული მიდის).

**რძის გამყ.:**—(მეორე ქალს):— მადამ, ვამ სკოლკი ნალიტ?

**მეორე ქალი:**—ტრი კრუჟკუ ნალეიტე.. ნო ტოლკო ნე აბმანივაიტე! ვჩერა ტოჟე ნე ხვატალ—მენშე ტი ნალილ.

**რძის გამყ.** (მესამეს):— თქვენ რამტოლი გინდათ?

**მესამე ქალი:**—ოთხი კრუშკა ჩამისხით... მხოლოდ იცოდეთ, რომ მაგ ჭურჭელში სრული ოთხი ჩადის და გუშინ კი ჩემ გოგოს მოატყუეთ—ნაკლები ჩაგისხათ.

**რძის გამყ.:** ეგ მართალია, მაგრამ ჩვენი რძე ძალიან ფაფუასავით არის და ქაფდება.

**მეოთხე ქალი (ნიშნის მოგებით):**— აი იმიტომ ქაფდება, რომ კრუშკას ძალიან შორს იჭერთ; მაგრე ნაკლებს იძლევით.

**რძის გამყ.:** —არ შაიძლება, რომ არ აქაფდეს! (იქ მდგომ მოხუც კაცს) პაპაშა-ჯან, ამ ჯანჯალ მუშტარს როდის ვასწავლით ვაჭრობის ყაიდას ჰა? პირდაპირ თავს მატკიებენ ყოველ დღე: ესაო ნუააქაფეო, ეს ახლოს დაიჭირე კრუშკა კრანტთანო, ჩემი ჭურჭელი ოთხიანიაო და სამი რათ ჩაგისხიაო და ჯანაბა...

**მოხუცი:**—შენც ოთხის მაგივრათ სამი რომ არ ჩაასხა, სამ-ნახევარს ვერ ჩაუსხამ?

**რძის გამყ.:** პაპაშა-ჯან, ახარ ჩვენი ხელობა უბრალო ხომ არ არის, თუ კი ქაფდება?

**მოხუცი:** —ვა, შენც გახდი „ზარია ვასტოკას" სტამბის პირდაპირ ერკოოპის მეპურე?! მამაძაღლი მუშტარს ისე არ აუწონამს პურსა, რომ აშმუშკა არ მოატყუოს; ხალხის წინ სასწორზე დაანარცხებს პურსა და ისე აძლევს; ხალხიც მუნჯები და ბრმები არიან—ვერა ხედამენ, რომ „აქაფებს" ხოლმე... თუ ძმა ხარ, ახლოს მიიტა კრუშკა,—არ ააქაფო; მეც ჰარიფი არა ვარ?!

**რძის გამყ.:**—აი. აჰა, ახლოს მიჭირამს. ნუ გეშინიან.

**მოხუცი:**—ვა, რისა უნდა შეშინოდეს?.. გუშინ ერკოოპის მენავთესა ცოტაც დარჩა მეცემნა და დამეჭერინებინა.

**რძის გამყ.:**—რათა პაპაშა-ჯან? იმანაც ხომ არ აგიქაფა?

**მოხუცი:**—კაცო, აქაფება და ისე? ათი გირვანქიანი ჭურჭელში ცამეტი გირვანქა გამაიყვანა... ვა ბნელა?

**რძის გამყ.:**— ეხ, რა უყოთ პაპაშა-ჯან, ეხლა, ჩვენი ბრალი ხომ არ არის, თუ კი ქაფდება?

**მოხუცი:**—კაცო, რატომ ეხლა არ აქაფდა, რომ გითხარი—ახლოს დაიჭირე კრანტთან კრუშკა მეთქი?... მაგრამ ბრალი ჰარიფებისა, რომ მართლა აუქაფებთ ხოლმე... არა რომელი რევიზია ან და რომელი კანტროლი დაგდევთ უკან, რომა. ზამეჩანია გიყონ!?

**რძის გამყ.:** — შენ ეგა სთქვი, პაპაშაჯან, და გათავდა. (აძლევს საყვირს და მიდის).

კოწახური.

# კუპლეტები

## („ამერიკელი ძია"-ს ხმაზე)

**საქო:**

კარაპეტ-ჯან ვეღარ გნახულობ ხშირად.
  წინათ გახსოვს ქეიფობა გვიყვარდა.
ეხა ვამჩნევ ჩვენთვის სულ მთლათ ბინდდება,
შიმშილისგან ვირიც აყროყინდება.

**კარაპეტ:**

კაი მნახავდი—გარეთ ველარ გავდივარ
სახლში ძველი მეშოკივით ვაგდივარ:
სახლშივე მყავს ალმასკომი, რევკომი,
ეხლა სურთ, რომ დამიარსონ ერკოპი.

**საქო:**

მაშ, შენ დუქანს ვინღა დაეპატრონა?!?
ან რასა იქს შენ ცოლი მატრონა?!
ხომ არ არის იგი მძიმე მწოლარეთ?
შენი ვაჟი მგონებ არის მოლარეთ?

**კარაპეტ:**

ჩემს დუქანში დღეს ვირთხები ბატონო
ქალი მდივნობს, ცოლი პრედსედატელი
ბიჭმა სჭამა სახაზინო ფულები,
და მეტეხის პოვა საფეხურები.

**საქო:**

კარაპეტჯან, რა მამენტი მავიდა!
ჩვენი საქმე ხედავ ფინთათ წავიდ
თავში ტვინი სულ მთლათ აწეწილი
ფულისაგან ჯიბეც გაწმენდილია.

**კარაპეტ:**

შენ რა გიშავს,—მე ვიკითხო, თორემა,
გზა-გზა ვფანტე რაც გამაჩნდა გონება.
ჩემი ბიჭი შტატნი კამსამოლია,
ჟენოდელში ჩაეწერა ცოლია.

**საქო:**

ჩემს ქალიშვილს შაუყვარდა ვიღაცა.
მასზე ეშხით თმებიც კი შაიპარცა,
მამენტალნათ გაუსუქთა მუცელი;
მიკვირს იმ დარდს თუ როგორ გაუძელი.

**კარაპეტ:**

ჩემი ცოლი მიდგენს რაზნი ზაკონებს.
სხვა ახარებს, მე კ მწარეთ მალონებს,
პატარა მყავს—ისიც პიონერია
და ოჯახიც ოპტომ გადამერია.

**საქო:**

აღარ მოსწონთ განათება მთვარესი,
ააშენეს ვებერთელა ზაჰესი,
  ეხლა რიონს დაეძგერენ ვეფხვივით.
სურთ კლდეები რომ აქციონ ნეხვივით.

**კარაპეტ:**

ერთი მითხარ რა ხალხია, ეს ხალხი,
არც ღმერთი სწამთ და არც კიდევ ჰალახი.
აღარ ეყოთ, რაც გაგვაძრეს ტყავია;
ეხლა თითქმის კრუგომ რავნოპრავია.

ძველი ბიჭი.

ნუშკოოპის მიერ მიცემული კრედიტით არაფერ სახეირო ფართალს არ იძლევიან რასაც იძლევიან, ისიც ისე ცოტა რაოდენობისაა, რომ შიგ არაფერი გამოდის.




მომხმარებელი:—ამ მარკების ოდენა ფანელს რომ იძლეოდენ. ერთ ხალათს მაინც შევიკერავდი!

# ინტერვიუ (ტფ. ალქასკომში)

მე:—გვითხარით თქვენი აზრი და შეხედულება ძველსა და ახალ წელზე?

აპეცი:—ძველი წელიწადი ჩვენი წარმოების ისტორიაში ოქროს ასოებით აღინიშნება, რადგან ხსენებულ წელიწადში ჩვენი წარმოება ისე გაიზარდა. რომ შტატში კიდევ მივიღეთ თორმეტი კაცი, რომლებმაც გამოიძლეს მშიერი კუჭი.

## ალმასკომის მდივანთან

მე:—უკაცრავათ! ადგილკომი სად არის ვერ გვეტყვით?—შევეკითხე დერეფანში ერთ თანამშრომელს, რომელსაც საჭი ლამაზი ქალი შემოხვეოდა.

ის:—მე გახლავარ, ამხანაგო, და ჩემი ოთახი კი იქ არის! მიბრძანდით და ეხლავე მოვალ.

მართლაც, არ გასულა სამი-ოთხი საათი და ადგილკომის მდივანი შემოვიდა თავის კაბინეტში.

ადგილკომის მდივანი:—ამხანაგო!—შემოსვლისთანავე მითხრა,—ამჟამად არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის ალმასკომში...

მე:—მე ადგილის სათხოვნათ არ მოვსულვარ!

ადგ. მდ.:—როგორ? მართლა?—გაუხარდა მას,—ნუ თუ შესაძლებელია, რომ ჩემთან ვინმე მოვიდეს არა სამსახურის სათხოვნელათ, არამედ სხვა რამეზე?

მე:—დიახ! მე სულ სხვა საქმის შესახებ მოვედი!

ადგ. მდ.:—თუ ნებას მომცემთ, ნიშნათ ჩემი აღტაცებისა და თქვენდამი უაღრესი პატივისცემისა,—გაკოცებთ

მე:—არა, ეს არ არის საჭირო... მე მინდა გავიგო, თუ როგორი იყო გასული წელი და როგორი იქნება ახალი?

ადგ. მდ:—ძველი წლის გასაცნობათ, საკმარისია გადახედოთ ამ წერილებს!—და მომაწოდა აუარებელი წერილები, შედარებით ათასჯერ უფრო მეტი, ვიდრე „ტარტაროზი"-ს უფსკერო გოდორში იგზავნება წერილები თვითეულ ნომრის დროს.

ეს საპროტესტო წერილები იყო და ყველა ერთსადაიმავეს სთხოვდა ადგილკომის მდივანს—ადგილის შოვნას...

მე:—ვერ ყოფილა თქვენთვის გასული წელი მაინცდამაინც ხელსაყრელი და სასიამოვნო!

ადგ. მდივ:—და ჩემი უბედურებაც სწორეთ იმაშია, რომ არც ახალი წელიწადი მპირდება კარგ რამეს!

## უქსის გამგესთან

როგორც ყოველთვის, ესლაც საშიშრის მტვრევა იყო უქსის გამგის კაბინეტის კარების წინ. მაგრამ ამხედრებულ რიგს ვერ შეეშინებია დარაჯი, რომელიც თამამად იდგა კარებთან და ხშირ-ხშირად დასძახებდა:

— სიჩუმე... წესიერება დაიცავით!

მე მივედი დარაჯთან. (იგი ჩემი კარგი ნაცნობია) თვალით ვანიშნე და მანაც საჩქაროთ გამიღო კარები.

— არ შეიძლება!.. ეს რას ნიშნავს! ჩვენ აქ დგომით რევმატიზმი გაგვიჩნდა და წყალი ჩაგვიდგა ფეხებში...

— ის ალმასკომის თანამშრომელია და სამსახურის გამო შევიდა შიგ!—დაამშვიდა დარაჯმა აღელვებული რიგი. ეს სიტყვები კაბინეტში გამგესაც მოესმა და მე ამხედ-დამხედა. ის იყო ხელი აიღო და თავში უნდა ეთხლიშა, თუ რატომ შევედი ურიგოთ, რომ მე უცბათ ვიშიშვლე სადარბაზო ბილეთი და ხელში მივეცი.

მე:—თქვენ ხართ უქსის გამგე?

ის:—არა. მე არა ვარ, მე არაფრის გამგე არა ვარ!

მე:—როგორ!? თქვენ ხომ კალანდაძე ხართ?

ის:—დიახ! კალანდაძე ვარ, მარა არა უქსის გამგე!

მე:—აბა ვინ არის უქსის გამგე?

ის:—ყველა, მხოლოთ არა მე!

მე:—კი მარა, აქ რომ სწერია—**ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით უქსის გამგეთ დაინიშნა ამხ. კალანდაძე?!**—და ვუჩვენე გაზეთი, რომელშიაც ეს ამბავი ეწერა.

ის:—მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამჟამათ. გეუბნებით, რომ მე არა ვარ უქსის გამგე.

მე:—ეგებ მე ვცდები—თქვენ არა ხართ კალანდაძე.

ის:—არ ცდებით; მე კალანდაძე ვარ, მაგრამ არა უქსის გამგე...

მე:—ვერაფერი ვერ გავიგე!

ის:—ვერც მე ვერაფერი გამიგია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მე უქსის გამგე არა ვარ, რადგან ოთახებს ყველა ანაწილებს ჩემს გარდა,—მაშასადამე: გამგეებიც ისინი ყოფილან... ამგვარათ, თუ თქვენ ბინის საკითხი გაინტერესებთ, მიბრძანდით ალმასკომის ყველა თანამშრომელთან. რადგან თვითეული მათგანი ანაწილებს ოთახებს; მე კი ამ საქმეში ცოდვა არ მიმიძღვის!—და კაბინეტიდან გავიდა.

**გორისელი.**

# სამტრედია

სამტრედია ჩემთვის,
გახდა რაღაც ხათა!
ირგვლივ ბურუსია,
ღამე ქსელებს ხლართავს.
სოკოსავით გაჩნდნენ,
მტრები ბედისწერის!
რომლებიც რომ მოვსპე:
წერით, წერით წერით.
ეს რკინისგზა ჩვენი
არ მსურს გათამამდეს!
არ შეშვენის. არა,
ასე მის თამადებს.
„წითელ პორტფელს" უნდ.
მზე და შუქი დიდი!
დე, იარონ შემდგომ,
სწორი გზით და ხიდით.
სახაზინო სახლი,
იქვე დგას და არის!
ნეტავ რად არქმევენ,
მას მეორე პარიზს?!
ყურადღება ჩემი
აქ იქნება ქუდამ!
და შემდეგ კი ვიცი,
წერა როგორც უნდა.
ალმასკოპზე უნდა
ვსთქვა მე სიტყვა სწორი!
მოვათავსე მასზე
ლექსი ორჯერ ორი...
და ვამბობდი მაშინ:
ქუჩა გვინდა ქუჩათ!
და მის დუმილს კიდევ
ბოლო აღარ უჩანს.
ბესოს—თავმჯდომარეს
უნდა ვკადრო ლექსით:
ბესო, ჩემო ძმაო,
კიდევ აღარ გესმის?!
თუ გწამს „ჯვარი, ხატი",
თუ გწამს „ღმერთი, რჯული"
თუ გწამს ჩემი ძმობა,
მემოგვხედე გულით.
„ამერიკელ ძია"-მ
პოვა ჩვენთან ბინა!
და დარბაზი კლუბის,
ხან ტირის, ხან გმინავს.
ჩვენს „არტისტებს" მისცა
აქმე სამუდამო!
შალვა ჯაფარიძევ,
ხომ კარგათ ხარ ძმაო?!
წითელ სასადილოს
ბედი არ ჰქონია!
(აქ მიმუხთლებს მგონი,
ძალა და ღონეა).
არ ეშველა საწყალს,
თხოვნამ, არცა წერამ!
(ველარ გადურჩები,
მე მის ბედისწერას).
ყოველივე, როგორც
იყო, ისე რჩება!
ჯობს სიმშილით მოკვდ
დომას, იქ დარჩენას.
ქარხანაზე წინათ
დაიწერა ბევრი!
დღესაც მისთვის ვწვალობ,
ვტირი, აღარ ვმღერი,
კამპანიებს—ქეიფს,
ბოლო აღარ უჩანს!
ღამეს აწამებეს,
დილაზე კი ქუჩას.
გაგვიძვირეს: პური,
არაყი და ღვინო!
ამის შემდეგ მითხარ,
როგორ დავიძინო?!
კიდევ დამრჩა ბევრი
ამ ჩემს „პანთეონში"!
მაგრამ შემდეგ იყოს—
დღეს მოვიკალ ხოში.
ახალ წლიდან დავწერ
ლექსთა ახალ რითმებს!
რაც ვითმინე დღემდე
მას აწ ვერ მოვითმენ...

ჭაგნელი ბზიკი

# მესტვირული

პირველად ვნახეთ შალიკო—
ძმა-ბიჭი ანაგელია.
„ეპოსის" გამგე ბრძანდება,
სამი სოფლისა მცველია.
ბევრჯერ თუმცა ნავთი, ასანთი
საპონიც შემოელია,—
მაგრამ რა უშავს როდესაც
ყაფაზა ისევ მთელია.
განყოფილება გერივით
რათ უჩანს საკითხელია,
იქვე მოვნახოთ მეორე,
საკრედიტოა გვერდზედა,
მიულილინოთ გიორგის
მესტვირულისა წესზედა;
ვკითხოთ:— სად არის მოგება
კარდანახისა წილია?
რად მიაკუთვნე ანაგას?
განა ვაშლი და თხილია!?
(იცოდეს მისი მოდავეც
ცხრაკბილაც კარგი შვილია!).
აქედან სტვირო ვეწვიოთ,
სილნალიც შემოვიაროთ
და ჩვენსა კოტე მართაშვილს
ცოტა რამ გაუზიაროთ
ეპო, რომ, ძმაო, არა გვაქვს
როდემდის ასე ვიაროთ?
მატულობს კერძო სავაჭრო
(ბარე ამჟამათ ხუთია).
და ერთი თვისა შემდეგა
იქნება ოცდა-ხუთია.
ნუ თუ არა ვაქვს დროება
ერთ საათს ერთი წუთია?
მოგვეცით ხება გავალოთ
ჩვენი ბედისა ყუთია!
რას გვემართლებით, არ ვიცი,
...ის რა დაგვიხუთია?

ცხრაკბილა.

# ბედნიერი დღე




ხაშურელი მოქალაქე (მეორეს):— სად გარ-
ბიხარ, კაცო, ასე გაშმაგებული?
მეორე:—ხმები გავრცელდა, თითქო ზაკტპოს ფუ-
რნეში პური გამომცხვარა!?!

# ჩვეულებრივი მოვლენა

ზოგიერთ სახლებიდან ქუჩაში წყალს და ღამის უსუფთაობას ასხამენ. ამას ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშკორის შენიშვნა.



— ეს ოხერი ღრუბელი არსად არა ჩანს და ახეთი მოკისპირული წვიმა საიდან მოდის?!

# სამტრედია

**ალმასკომის თავმჯდომარესთან:**

— ამხ. ბესარიონ! როგორ ფიქრობთ ჩვენი ქალაქის ქუჩების შესახებ? აუტანელი მდგომარეობაა—ხალხი ტალახსა და წუმპეში იხრჩობა!

— ვ...ვიცი ამ...ამხანაგო! მარა გაიგეთ, რომ მე პალიატივები არ მწამს ქუჩებში ოდნავ შესაძლებელ მიმოსვლის აღდგენისათვის. სულ მალე ქალაქის ქუჩებში, გარდა ბაზრისა. გაჩნდება მდინარეები და აი იმ დროისთვის ვამზადებინებ ნავებს სანაოსნო მიმოსვლისათვის. ალრიცხვაზე ამყავს დახელოვნებული მცურავები (მენავეები), დავაარსე „სანაოსნო სექცია".

**განათლების კავშირის თავმჯდომარესთან:**

— ამხ. სიდერიან! რა კარგი სიარული გაქვს...

— გმადლობთ. ალბათ ეს ჩემი კავშირის წევრ ქალებმა გაგრძნობინეს და გითხრეს. რომ მე კარგი სიარული ვიცი... მე ხომ ძველი ნიკოლოზის აფიცერი ვიყავი...

— ყოჩაღ.—ყოჩაღ ჩემო სიდერიან... ერთი ეს მითხარი რატომაა, რომ პროფმუშაობა შენს კავშირში სრულიად არ არის და არც ერთი წრე არ გაქვს. გასულ წელს მგონი შენამდე სამი სხვადასხვა წრეც არსებობდა; უთუოდ „რეჟიმ ეკონომიას" ანხორციელებ ხომ?

— მე ძმაო. აქ ქალებისაკენ მაქვს „უკლონი". მათ კი სრულიად არ აინტერესებს პროფსაკითხები და მეც ხომ მათ სურვილს უნდა ვანხორციელებდე. რაც შეეხება წრეებს: წრეებში სამუშაოთაც ვერ შევაწონებ „არარადუტელნი" ხალხს და მეორე კიდეც, წრეები რომ დავაარსო და მუშაობა გაცხოველდეს—ამხანაგურათ გეუბნები მაშინ. ხომ გამოირკვევა. რომ მე „პროფმუშაკობა"-ზე ცოტა არ იყოს „უკაცრავად" ვარ.

— არა—სიდერიან! ეგ ტყუილი შიშია. შენ პროფმუშაკობა რომ იცოდე. ამას ისიც ამტკიცებს. რომ შენ ეხლა გამგეცა ხარ, კავშირის თავმჯდომარეც და ერთ-ერთი სკოლის ადმინისტრატორიც!

**დირხიბომბომ.**

# კუთაში

უნდა მოვიდე, თუძცალა
არ ვიტყვი რომ არ მცხვიან.
ჯერ ასე იყოს, მიიღე
ჩემი პატარა ძღვენია.
გერასიმეა პირველი.
არ მოგვცა მოსვენებაო.
მინდა ჩანგალი ამოვკრა
თუ კი შენ მომეც ნებაო.
ხალხს უთხრა:—ველარ ვიღებ
თქვენგან ნაცოდავ ფულსაო.
მის ნაცვლათ სიმინდს თუ მომცემ
თითო ორ-სამსა ფუთსაო.
ამ გერასიმეს იცნობდეთ:
ნადიაკვნარი ძველია.
განდევნის ნაცვლათ სოფელმა
ეხლა აკურთხა მღვდელია).
მეორე არის ივანე
ტეხნიკათ წოდებულიო.
გზა რომ პირდაპირ ვერ გაჭრა.
ნაზით უკვდება გულიო.
შეკეთებაზე არ ფიქრობს,
საქმე ფეხებზე ჰკიდია.
საგზო-სექციამ ასწავლოს,
განა ეს მოსარიდია?!
ტარტაროზ. ვიცი ნამდვილათ
დამერწმუნები ამაში:
კვლავ ძველებურათ მოხშირდა
ხლუსტი-ბაქარას თამაში.

**ცხრათვალ**

# „ალმშენებელი“

**სცენა წარმოარგენს ოზჩის სიმ. მის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტს, რომელშიაც თავმჯდომარე ლეო (იგივე ლეონიდე) მონოლოგს ამბობს. ხელში უჭირავს გაზეთი 8 ნოემბრის თარიღით.**

ჰმ! ხა-ხა-ხა-ხა... რას მიქარავს ეს გაზეთი და მისი გლეხკორი! ბრმასაკ კი მიწოდებს! ვინაა, ბიჭო, ბრმა? ისე ვპრაწავ და ვაბრიალებ თვალებს, როგორც მარუაშვილის კურო... ოჰხ! მუშგლეხინო, შენი სისხლი... როგორი მოსვენებული და მყუდრო ცხოვრება მქონდა! არ დავეძებდი იმ თოფს, მივაშავებდი იმ ჩემ! „თექსტილტიანს“, მარა გაზეთშიაც, რომ გამომჭიმეს?! ეჰხ! სწორეთ ეს მალონებს, რომ პირველათ არა ვარ გამოჭიმული გაზეთში... ეხ! ჩემო ძვირფასო და დაუვიწყარო სამსახურო, იცის „ბატუშკა“ ამბაკოს დედალ-მამალმა ენგელოსებმა, რომ შენსავით არავინ მყვარებია ამ ცოდვილ ქვეყანაზე.. ჩამოჰკრეს არჩევნების ზარებს... ჩემს თავმჯდომარეობას უახლოვდება აღსასრული. შეირყა ჩემი ოთხი წლის ბატონობის ტახტი... ამიტომ მე უნდა ვალვიარო ჩემი საქმენი წმინდანი.

ობჩამ იცის ყველაფერი... ეს დაიწყო ოთხი წლის წინეთ, როცა ობჩას ტეხნიკის „კაკარდით“ მოვევლინე. სწორეთ ამიტომ დამნიშნეს დროებით თავმჯდომარეთ. მინდოდა ეს ბარაქიანი სამსახური არ დამკარგოდა და, ამიტომ, ჯერ კიდევ ნორჩმა ახალგაზრდამ—ოცდაორი წლის ქაჰაუკმა წვერი მოვუშვი გალაქტიონ ჩარკვიანის პლანზე... ნამდვილი თავმჯდომარე გავხდი. ავტორიტეტისათვის ბიუროკრატობა დავიწყე...

მინდოდა, რომ გვერდში ღირსეული თანამშრომლები მყოლოდა. ამიტომ ჩემს თანაშემწეთ დავნიშნე მაუზერისტი **მიხა ახრახაძე,** რომელიც ებრძოდა პარტიზანულ ომში ჩემი პირადი მტრების წინაალმდეგ, რადგან იგი მენშევიკების მილიციის მოლარე იყო და აგვისტოს ბანდიტების ხელმძღვანელი. მდივნათ ბურჯანაძე დავისვი, წონით ასი კილო, და „წოდებით“ პროპორშჩიკი. შემდეგში კომისარი...

შევუდექით მუშაობას.

გლეხებს არ ვაძლევდი ხე-ტყის დაზადების ნებას,—სამაგიეროთ მე მიმქონდა, და ავაშენე მშვენიერი ოდა, მას ბოსელი მოვადგი, ბოსელს ხულა, ბეღელი და. წარმოიდგინეთ ნაკელის შემოსავლობათაც საუცხოვო მუხის ფიცრები შევიძინე...

 აი, ასეთი მშვენიერი **ალმშენებელი** ვიყავი; **ჩემი** თავმჯდომარეობის მოკლე დროის განმავლობაში,—ეს შევსძელი, ოჯახი ავიშენე, მაგრამ, ოჰ, უმადურებავ! ხალხი არ მაფასებს. მე მათთვის ვზრუნავდი...

სოფლათ არც ერთი სამკითხველო არ გამიხსნია, რომ გლეხები არ მოეცდარიყვენ მუშაობას ჟურნალ-გაზეთების კითხვით. **მოჯამაგირეთა** (შორის) **მუშაობას** დიდ ყურადღებას ვაქცევდი. მაგალითად: ჩემს მოჯამაგირეს დილიდან საღამომდი ვირივით ვამუშავებ...

ყველაფერს მივსწვდი, ყველაფერში გავიმარჯვე; კაცმა ოჯახი შევქენი, დავცოლ-შვილდი და... და... ოჰხ! ეხლა კი... განა სოფელს შეუძლია კაცის დაფასება?.. ახლოვდება არჩევნები! რალაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს... დეე, რაც უნდათ ის ჰქნან; ჩემისანა **„ალმშენებელი“** სხვაგან არსად არ იქნება...

არა უშავს... ოჯახი და დაქორწინება ხომ კი გამოვრჩი თავმჯდომარეობას... აწი მოსვენებაც მომინდება.

**თენებოურის ქაჯი.**

# ფანელი და კალოშები

## სცენა გათომის კოოპერატივში

მარუსა:—კოლია, კაცო, კოლია?! ერთი აქეთ გამოიხედე?! რა დაგემართა შე დალოცვილო, ჩემკენ რომ სულ აღარ იხედები!? ვერ მიცანი თუ?! რაშია ბოშო საქმე!.. ვერ ხედავ, ამის სიშორედან მოვსულვარ ამ საშინელ წვიმაში! რაცხა კალოშები და ფანელი მოსულაო გავიგე და იმიტომ წამოვედი, თვარა ისე აბა რა ჯანდაბა მინდოდა!... თუ კაცი ხარ გადმომიწყვე ჩემი პორცია ყველაფერი!.. ჰა, ჩემი წიგნაკი, იცოდე არაფერი დამაკლო, თორემ...

**კოლია:**—დეიხიეთ, პატონებო უკან, დეიხიეთ!.. რა იქნა? რავა ერთი მეორეს აჯდებით ზურგზე! რა დაგემართათ? პაჟარი ხომ არ გაჩენილა?! **ხომ** ხედავთ —საქონელი ბევრი გვაქვს, ყველას მოგიწევს თავისი პორცია. მხოლოდ ჩადექით რიგში და მოგვეცით მუშაობის საშუალება!...

მარუსა:—ბატონო, დილიდან აქ ვდგევარ და ნუ თუ ამდენხანს აღარ მოაღწია ჩემამდე რიგმა?!.. მოვკვდი ქალი ფეხზედ დგომით!...

**კოლია:**—თუ დაიღალეთ, —გაბრძანდით გარეთ, ცოტა ქუჩაში გასეირნეთ და მერე შემოდით... სულერთია, ერთ ორ საათს თქვენამდე რიგი მაინც არ მოაღწევს!...

**მარუსა:**—ქუჩაში გავიდე და მერე ისევ შემოვიდე?—შენ მასხრობის გუნებაზედ ჰყოფილხარ ვინცხა ხარ?! ეხლავე მომეცი ყველაფერი, გესმის, ეხლავე!.. გამიშვით! გამიშვით!...

**არშაკა:**—ბარიშნაჯან, მოითმინეთ ცოტა. ვა, საით მიძვრებით?!

**კოლია:**—არ გამოუშვათ, კაცო! მართლა რა ამბავია! პაჟარი ხომ არ გაჩენილა?! აგერაა ის საქონელი ამ თაროზე დაწყობილი... დაგვაცალეთ მუშაობა და ყველას გაგინაწილებთ!.. აბა რა ვქნათ მეტი?!..

**აჰარელი:**— აფხანიკო, ერთი საიი წყვილი აზიატსკი კალოშები გამომიწერე!.. ჩქარა აფხანაკო. თვარა ლინეიკაზე დამაგვიანდება?!

**კოლია:** — აფხანიკო, თქვენ ჯერ რიგში ჩადექით... ურიგოთ არ იქნება!... მარა ამ თავითვე უნდა გაგიცხადო, რომ აზიური კალოშები არა გვაქვს... არის მხოლოდ ევროპიული კალოშები...

**აჰარელი:** — რათ მინდა, აფხანიკო, ევროპიული?!.. აქ, აჰარისტანია!.. აქ ფუხარა ხალხისათვის გამოსადეგარი საქონელი უნდა იყიდებოდეს და არა ბურჟუების მოსახმარი!... აი, წავიდე ერთი გამგეობის თავმჯდომარესთან!...

**კოლია:** — მე რას მერჩი, აფხანიკო, მე ხომ არ მომიტანია?!. მე რაც ჩამაბარეს, იმას ვყიდი!

ბესო: — ხა!.. ხა!... ერთი შეხედეთ სად გასულა ეს ქალი!.. ზედ შკაფის თავზედ არ დაბრძანებულა?! კაი საჯდომში კი მოუნახავს, მე და ჩემმა ღმერთმა!...

**კოლია:** — ქალბატონო, მანდ ჯდომა არ შეიძლება!... ჩამობრძანდით ძირს?!.. მოქალაქენო, როგორ შეიძლება ასეთი თავხედობა!...

**მარუსა:** — ძალიან კარგად გახლავართ!... ნუ სწუხდებით!.. განაგრძეთ მუშაობა... მე აქედან კარგად შემეძლება თქვენთვის თვალყურის დევნება თუ ვის აძლევთ საქონელს, და თუ ვინმეს რიგს გარეშე მიეცით —ვაი თქვენს ტყავს!...

**კოლია:** — ნუ იმუქრებით, ქალბატონო.. გთხოვთ ძირს ჩამობრძანდით!...

მარუსა: — არ ჩამოვალ და ახლა?!

**ბესო:** — ალბათ ისე შეყვარებია აი ჩვენი კოლია ამ ქალბატონს, რომ ერთ წუთას თვალს ვეღარ აშორებს საწყალი!...

**მარუსა:** — ოი, თაგვის შაქარი კი დაგაყარე მაგ ენაზე!..

**კოლია:** — ბატონებო, მუშაობის ვადა უკვე თავდება!.. აწი მაღაზიის დახურვის დროა!... გთხოვთ ეხლა წაბრძანდეთ სახლში და ხვალ დილის ცხრა საათზე ისევ მობრძანდეთ!.. ამასთან ერთად უნდა მოგახსენოთ, რომ ფანელი სულ გათავდა!... იმედია, შემდეგში კიდევ გვექნება!..

**მარუსა:** — რაიო?!... სახლში წადიო, ხვალ ისევ მოდიო. ფანელი გათავდაო?!.. **ეს ვის** გაუგონია, ბატონებო?!... **ეს** არის კოოპერატივი?!.. გამიშვით!.. გამიშვით!;;;

**კოლია:** — არ შეიძლება, ბატონო, არ შეიძლება!.. ხომ გაიგონეთ, სავაჭრო დაკეტილია!... გთხოვთ გარედ გაბრძანდეთ!.. მილიციელ!!! (ხალხი ჩოჩქოლით გადის).

**სოროდი.**

ვაი იმისთანე თავის დანებებას—არ გულია დიდ დროს და იბდგვინა ცეცხლმა ლოგინში. მოვაქვრეთ, მარა რაღა დროს? ჩემი ერთად ერთი საპა- ნი მთლად დეიბუგა და ერთი ლებიკ თან მიყვა. ზარალს ქე გოუძლებ—ცა რიელ პოლზე დავწობი, ჰარა ელპი- ტოს ბუზღუნს ველარ გოუძელი. მომ დგა მარა, რა მომდგა, მლანძღა მარა რაფერ არ იტყვით?

— შე თვალებ დასაბრმავებოლო, შე ასეთო, შე ისეთო, რეიზა არ გა- ახილე მაგ დასაბრმავებელი თვალები, როცა ყიდულობდიო!?

— იმე ბოშო რავა ლაპარიკოფ! გა- ვახილე და წევიკითხე კაროპკაზე ეწერა „პერვოი სორტიო"?

— დაწერას რა ჰქუა აქ? რაფარც გინდა, ისე დააწერ კაროპკას! გეეშინ ჯავდი იქინე და თუ ივარგებდა, ვი- ყიდდი თუ არა და, თავს დაგანებებე- დი!

— ბოშო, შენ ხომ არ გედეიროე? კომპერატიაში რომ საქონელს რჩევა და სინჯვა დოთოწით ნიკიფორე თავს გაგიტეხს.

ხო--კი.




— ეს რა პური მოგიტანია!? ამას ვინ ჭამს?

— მეც იმიტომ მოვიტანე, რომ არავინ ჭამს და პური არ შემოგვაკლდება,—ყოველთვის იქნება შკაფში.

# „ჩემი ვაჭრობა"

ერთ კვირა დღეს პირი ვქენი ხრე- სილის „იარმუკისაკენ". ჩემმა ცოლ- მა ელპიტომ გამორგო თავი კარებში და მომაძახა:

— ბოშო, სახლში ერთი ღერი სფი- ჩქა არაა და წამეიძღვანიე!

ელპიტეს ბრძანება ზაკონია ჩემ- თვის,—დედი შენის შვილი ხარ და ნუ შეასრულებ, არ გიწერია მაშინ სახლში მისვლა.

ჩევედი ხრესილში. რამდენა ობო- ლაძის დუქანთან თავი მოუყრიათ ხალხს და ლაპარაკობენ:

— კაცო, ამ ნიკიფორეს გამოცვე- ლას აღარაფერი ეშველა. ათჯერ შევ- სტრეს თამაში, ქურდობაში—ზოგს ერთი ფუთი სიმინდის მაგივრად 35 გირვანქას აძლევდა, ზოგს 45 კაპ. ჩა- თში 60 კაპ. ახდევინებდა. მარა არ შეგჭამოს ჭირმა—იმას არაფერი ეშ- ველა. გაგვაძრო ტყავი, პირდაპირ გაგვაძრო.

—იმე. ბიძია, ნათქვამია: „კაცს თუ ღმერთი წყალობს, ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებსო"—ჰო-და კაცს გამგეობა წყალობს. თვარა ათჯერ იყო გაზე- თებში ჩაგდებული, მარა გამგეობას გაფრთხილებაც არ მიუცია!—დაამთა- ლაჯა მესამემ.

მომწყინდა იმე ამათი ყურება და ჩემს საქმის გასაკეთებლად წავედი. შემომხვდა მიკიტანმა მინაია ქარქა- შაძემ და მომაძახა:

— მოდი ერთი ბოთლი ღვინო დაგ ლიოთო,—მარა მე სათოფეთ არ მივ- კარებივარ—ვიცოდი მისი ოინები: ჯერ თვითონ დაგიძახებს გპატიჟობო, შეიტანს კაი ღვინოს, კაი საჭმელებს და ვინც გეიარ-გამეიარს გზაში, ყვე- ლას დოუძახებს, მერე დეძი შენია შვილი ხარ და ფულს ნუ მისცემ.

შევედი კომპერატიაში. დიდი არეუ- ლობა იყო; ზოგი ხურდას ითხოვდა და ზოგი რას.. მოვძებნე ჯიბეში მაუ- თიანი, მომცა როგორც იქნა ერთი სფიჩქა, მარა ხურდა კი არა...

მოვედი სახლში და ერთი კაროპკა ელპიტოს ჩავაბარე სპიჩქა.

— ხომ ვარგა თუ იცი?—მკითხა, მეც გამოვართვი და ჩავარუსულე კოლოფზე დაწერილი. (ერთი ორი ღერი რუსული ქე ვიცი);—კი, კაია, „პერვოი სორტია"!

გამეიტანა ელპიტომ სანავთე, გოუ- ქია სპიჩკას, მარა რა ფერ გოუ- ქნია—გასკდა სფიჩქა ამერიკანსკი ბომბივით. მოხვდა ჩემს ელპიტოს თვალში და ერთი კედარო წამწამი და წარბი ზე შეატრუსა. მოუვიდა ჯუ- ლი, გადააგდო სფიჩქა და ერთი კარ- გა ლაზათიანათ შემიკურთხა:—არა- ფელი გიყიდია ამაზე უკეთესი შენს სიცოცხლეშიო;

— დედაკაცო, შენ გაქნევა არ იცი- დე და სფიჩქის რა ბრალია? გამოვარ- თვი და გოუქნიე.ეხლა ვარესად არ გა სკდა ის ჩემი ცოდვით საფსე. ერთი ნახეთქი მომხვდა ზე კაკალ ულვაშ- ში და შემატრუსა. გოუქნიე კიდე; სარაფთეს ქე მოუკიდე. მარა ვაი ამი- სთანა მოკიდებას, ერთი ნაფხრეწი ეხლა ქვეშაგებელში ჩავარდა. მეც ბევრი ვეძიე, ელპიტომაც, მარა ვერ ნავხეთ და ქე დავანებეთ თავი, მარა

# საშობაო საჩუქარი

ეხლა ასე მღერის
ქამანჩა და სტვირი:
—მოდის ახალწელი
და ჩვენ აღარ ვსტირით.
ყველა ეშხით სტკბება.
ყველას უძგერ გული.
რადგან შრომა მეფობს
სხივებ მოქარგული.
და მეც მინდა გითხრათ
ეს ამბავი ყველას:
(რადგან ჩვენი მღვდელი.
ვერ პოულობს შველას)
მოწყენილი ერთ დღეს,
ჩვენსას მოსულიყო.
და ბებერთან წყევლას
თურმე ხელი მიჰყო:
—დამეკარგა ძველი
შობა-ახალწელი.
ღმერთმა ამოგდოს,
ვინც დრო შექმნა ძველი
მილამდება გული,
ყველა მაძაბუნებს
და ეს ჩემი ჯვარი.
ტყვილა არაკუნებს.
ყველას ჰქონდეს ჭირი
და არ გახარება.
ვინც რომ დაჰგმო წირვა
და ეს სახარება.
შობა მოდის, მაგრამ
არ მაქვს ნეტარება.
ღვეძლები და ღვინო
ძლიერ მენატრება,
ასე დავალ ყველგან,
თავს მეხვევა რეტი,
ყველა მინდა ვნახო
კომუნისტის მეტი.

ჯ. ჭირიმე

# „ბ უ ლ მ ა გ ა რ ი"



1. დიდხანს იყო უმუშევრათ კაპიტონი და, როგორც იქნა ერთი ლამაზი ქალის პროტექციით სამსახურში მოეწყო საქმის-მწარმოებლის თანამდებობაზე ერთ დაწესებულებაში, სადაც ერთგულათ მუშაობდა იგი.

2. ერთ დღეს აბბავი უთხრეს:—ცოლი გაგექცა და სხვაზე გათხოვდაო!

— არა უშავს! ცოლის მეტს რას ვიშოვი! სამსახური ყველაფერი!—სთქვა კაპიტონმა და დამშვიდებით განაგრძო მუშაობა.



3. დარაჯი შემოვარდა და შიახსენა: — მაპატიეთ.. მაგრამ—მამა თქვენი გარდაიცვალა!

— ხელს ნუ მიშლით!.- დინჯათ უთხრა კაპიტონმა. — მერმე რა იყო, რომ გარდაიცვალა? ძალიან კარგი უქნია... სამსახურია ყველაფერი, თორემ...

4. თქვენს სახლს ცეცხლი გაუჩნდა და უშველეთ, ეგებ რამე გადავარჩინოთ!—გააგებინეს სამწუხარო ამბავი.

— ეს არაფერია!... სამსახური მქონდეს, და სახლს კი ვიშოვი. სახლი მიქარვაა სამსახურთან შედარებით! — ამბობდა კაპიტონი.




5. გაფლანგვისათვის თქვენ ათი წლით იძულებითი მუშაობა მოგისაჯეს!—განუცხადა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

— არც ეს არის დიდი რამე... კაცნი ვართ, ყველაფერი მოსავალია!—და ისევ განაგრძო ქაღალდების ჩაწერა.

6. შეშინებული კანცელარია კაპიტონის ოთახში შემოვარდა... კაპიტონი გულწასული და მომაკვდავი ეგდო... იქვე ნახეს დეპეშა, რომელშიაც ეწერა: „გარდაიცვალა შენი პროტექტორი".

პოლიგრაფტრესტის მე-ს-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა. 15 იანვარი 1928 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

№ 135



ჩინეთის „ტურა-მგლები“ ინგლისის „ლომს“:

ჩვენო ხელმწიფევ—მხეცთა მეფეო,
ტყვიის და ცეცხლის მოიეფეო,
მიიღე ჩვენგან ეს ძღვენი ტკბილი,
მაგრად გაჰკარი მაგ ბასრი კბილი.

# დაფუნებული

„სოფ. თელეთში სკოლაში მიმავალ მასწავლებელს გზაში მგელი შეხვდა, შეშინებულმა მასწავლებელმა ხეზე შეაფარა თავი".



**მასწავლებელი** (მგელს): ოღონდ დამეხსენ, ნუ შემჭამ და ჩემს ...ილს დაგითმობ!

**მგელი:** გიჟი ვა 'ა! შენი სამსახური შენ გკლავს სიმშილით და მე რას მიზამსო. შენს სამსახურს შენი თავი კირჩევნია... ჩამოდი შენი ნებით, თოაულერთია, ვერსად წამიხვალ...

# სახლი სტილზე

როდესაც ქართულ ხუროთმოძღვრობის მოყვარულმა კოწია გაზეთის მესამე გვერდს მიადგა, თითქოს გულმა უგრძნო, რომ ამ გვერდზე რაღაც განსაკუთრებული ამბავი მეტყოდებოდა.

მართლაც, ცოტა ხნის კითხვის შემდეგ ასეთ შენიშვნას წააწყდა:

წუხელის შესდგა ახლად დაარსებულ საბინაო ამხანაგობის „ქართული ცხვირის" გამგეობის მორიგი სხდომა. გამოსამუშავებული იყო ასაგებ შენობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები, თუ რა საფუძვლებზე უნდა გამომუშავებულიყო ეს პირობები, ამაზე მოხსენებით გამოვიდა თვით თავმჯდომარე.

უკანასკნელმა იშვიათის ცოდნით და პათოსით გააკეთა მოკლე ისტორიული ექსკურსია საქართველოს კულტურის სამი ათასი წლის საუკუნეთა მტვერით დაფარულ წარსულში, გააშუქა ქალდეას მონუმენტალურ ქალაქების შენობათა სტილის თავისებურობანი, შეეხო ხეთების კულტურულ და ეკონომიურ გავლენას ეგვიპტეზე და ბოლოს დაწვრილებით გაარჩია თამარ მეფის დროის ხუროთმოძღვრების მიღწევები.

ამ მეტად საინტერესო მოხსენების შემდეგ გამომუშავებულ იქნა კონკურსის პირობები. პრინციპიალურად ისინი გამოიხატებიან შემდეგში:

1. სახლი უნდა იყოს წმინდა ქართული სტილის.

2. სტილს არ უნდა ემჩნეოდეს გავლენა არც ერთ სხვა უცხო სტილის, როგორც მაგ.: ბიზანტიურის, სპარსულის, მავრიტანულის და განსაკუთრებით რომელიმე ევროპიულის.

3. ფასადის გარდა, სტილზე უნდა იყოს დაგეგმილი ოთახების მდებარეობაც და შიგნითა სახეც.

4. არ უნდა დარჩეს გამოუყენებელი არც ერთი ნიმუში ჩუქურთმისა.

პირობების გამომუშავების შემდეგ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა დაათვალიეროს ყველა ძველი ნაშთები, ეკლესიები, მონასტრები და შეკრებილი მასალები წარუდგინოს კომისიას.

დაბოლოს, თავმჯდომარემ უსურვა გამგეობას, ისეთი სახლი აეშენებინოთ, რომ საბინაო ამხ-ბა „ქართული ცხვირი" ყველასთვის თითით საჩვენებელი გამხდარიყოს.

შენიშვნის წაკითხვის შემდეგ კოწიამ ოცნებით ჩაილაპარაკა:

— ნეტავი, ერთი თვე ასეთ სახლში მაცხოვრა და შემდეგ რაც გინდა დამემართოს!..

ორი წლის შემდეგ, თავის ძველ ბინაზე, კოწია ჩაჯდომოდა დღიურს და სწერდა:

**5 ოქტ.** ვინ იფიქრებდა, თუ როდისმე დღიურს მოვკიდებდი ხელს. მაგრამ ასე იცის სიხარულმა. პირწმინდათ ამისრულდა ორი წლით უკან გამოთქმული სურვილი, თითქოს სიზმარი იყო ყველაფერი. გუშინ ვინახულე საბინაო ამხ-ბის „ქართული ცხვირის" თავმჯდომარე. არ ვიცი, ბინის კრიზისმა იკლო თბილისში, თუ ხალხი გამოიცვალა, იგე ზრდილობიანად და სიხარულით მიმიღო, თითქოს მთხოვნელი ყოფილიყოს ის და არა მე. მცირე მოლაპარაკების შემდეგ გამოიოკვა, რომ თუმცა სახლი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ცოტაღა უკლია, მაგრამ ერთი ოთახის დაკავებაზე არავის საწინააღმდეგო არ ექნება.

**10 ნოემბ.** დღეს თავმჯდომარემ შემომითვალა: სახლი მზადაა და, თუ გინდა დაათვალიერეო. წავედი დასათვალიერებლად. საუცხოვო გუნებაზე ვიყავი. რამოდენიმე წუთის შემდეგ იმ სახლის წინ ვიდექი და ფასადს ხარბად შევცქეროდი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახლი ჯერ არ აშენებულა საქართველოში. ყოველი აგური სტილზეა დადებული. ამბობენ ნამდვილი ხელოვნება პირდაპირ გულში წვდება ადამიანსო. ალბად მეც ასე დამემართა. შენობის დათვალიერების შემდეგ რაღაც სევდა ვიგრძენი გულში. მთელი უკანა გზა მძიმე ფიქრებში გამოვიარე. ვიგონებდი ბაბუაჩემს, ბაბუას ბაბუას, ამ უკანასკნელის ბაბუას, კიდევ შემდეგ ბაბუას და ასე... მთელი ღამე ქვითინში გავატარე, ჩვენი წარსულის და ძველ ხუროთმოძღვრობის მოგონებაზე... ასე იცის სტილმა...

**12 ნოემბ.** როგორც იქნა გადავსახლდი ჩემს ახალ ბინაზე. თავიდან ცოტა უსიამოვნებას ქონდა ადგილი. საქმე შემდეგში იყო. არას გზით ტახტი ოთახის კარებში არ შეეტია. რამდენი არ ატრიალეს მუშებმა ეს

# უსაფუძვლო საყვედური



მომხსენებელი: ამხანაგებო, გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე. ასეთი მაგარი ხვრინვით თქვენ ხელს მიშლით მოხსენება დავასრულო!

წყეული ტახტი, ხან გვერდით, ხან სიმაღლით, ხან ყირამალა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ყველაზე უცნაური ისაა, რომ ტახტი სრულებით ჩვეულებრივია და არაფრით განსხვავდება სხვა ტახტებისაგან. ორი საათის წვალების შემდეგ მუშებმა მოითხოვეს სამმაგი ფასი და წავიდნენ. დავრჩით მარტო მე და ჩემი ტახტი პირისპირ. გზა არ იყო, უნდა დამენგრია და ისე შემეტანა ოთახში და შემდეგ ისევ ამეწყო. ასეც მოვიქეცი...

18 ნოემბ. ერთი კვირაა, რაც ახალ ბინაზე ვცხოვრობ. როგორც ვატყობ, პირდაპირ ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი, რომ მერვე ან მეათე საუკუნეში ვცხოვრობდე. ოთახს ოთხი თალი აქვს და შუაში უზარმაზარი სვეტი დგას. სინათლე ისეთი მცირეა, რომ სრულებით დავანებე თავი გაზეთების და წიგნების კითხვას. ელექტრონის შუქი კიდევ არ არის გამოყვანილი. ამაზე დღეს შევეკითხე კომენდანტს (ყოფილ თავმჯდომარე). კომენდანტი გაკვირვებული შემომაჩერდა.

— ელექტრონის შუქი რომ გამოვიყვანოთ, ხომ დაკარგა შენობამ თავისი სტილი?!. გარდა ამისა შუქის გამოსაყვანი ფული ჩუქურთმებს მოვახმარეთ... ამაზე ფიქრიც ზედმეტია... მე მაგალითად, ჩირაღდანი მინთია...

— ჰოო....

გარდავწყვიტე კართოფილის სანთელით დავკმაყოფილდე. ნავთის ლამფა კი მეძველეს მივყიდე, რადგან მეშინია საერთო სტილი არ დაარღვიოს....

22 ნოემბ. უცნაური ოთახია... ღამე თითქოს შიში მიპყრობს.. ხან ზაქარია მხარგრძელი მელანდება და ხან მირიან მეფე... ერთი მდგმური იყო მეზობლად და ისიც გადავიდა... გარდა ყოველივე ამისა, ოთახში ცივა გრილა. ღუმელი არ არის, ბუხარი კი ისეთია, რომ მუშკოპის ბუდკა თავისუფლად შევა შიგ...

6 დეკ. ბნელ დერეფანში ერთად მივდიოდით, როდესაც კომენდანტმა (ყოფ. თავმჯდომარე) შემომჩივლა, ცოლი გამექცაო. მე ეს არც გამკვირვებია.

— მიზეზი?

— წერილი დატოვა, როდის იყო მონასტრებში ცოლებიანად ცხოვრობდნენო... თუ სულის ცხონება გინდა, მე ხელს არ შეგიშლიო....

რა კუპასუხე არ მახსოვს. შემდეგ კომენდანტმა მთხოვა, ამაღამ ჩემთან გაათიე ღამე, რაღაც ცუდათ მძინავს და მეშინიაო.

ასეთ მუსაიფში გავიარეთ ოცამდე თალი, ავედით და ჩავედით 15 კიბეზე, შემოვუარეთ გარშემო ორმოცამდე სვეტს, და ის იყო უკანასკნელი თალი უნდა გაგვევლო და კარში გამოვსულიყავით, რომ ახლო ისეთი ხმაური მოისმა, თითქოს ვიღაცამ კედელს თავი მიახალაო.

— ერთი ვიცოდე, რა იყო ასეთი მაგარი!—წამოიძახა კვნესით კომენდანტმა, გაუქნია ასანთს და კედელს მიანათა.

— ჩუქურთმა!—წამოვიძახეთ ორივემ.

კარში რომ გამოვედით, შევნიშნე, რომ კომენდანტის შუბლზე საკმაოდ მოზრდილი კოპი იჯდა.

16 დეკემბ. წუხელის თვითონ ვახტანგ გორგასლანი მესტუმრა და შემომჩივლა: სამღვდელოება მოსვენებას არ მაძლევს, გინდა თუ არა, ეს სახლი მონასტრისათვის უნდა დაგვითმოვო. მე კომენდანტთან გავგზავნე. გამოირკვა, რომ კომენდანტი უკვე წინა ღამით გაპარულა. მაშინ მე ვუთხარი გორგასლანს, რომ მართლაც ამ შენობისთანა სამონასტრო სახლს სამღვდელოება სხვას ვერ იშოვისთქო, რადგან საბინაო ამხანაგობას „ქართულ ცხვირს" სწორედ ეს ქონდა მხედველობაშიო, და ჩემის მხრით, სრული თანხმობა განვაცხადე ბინის დაცლაზე....

აქ თავდება კოწიას დღიური.

17 დეკემბ. კოწია უკვე თავის ძველ ბინაზე იყო, რომელსაც ძლივს მიუსწრო, საღამოს, როდესაც ელექტრონის შუქი მოვიდა, კოწიამ ამოალაგა კალათიდან ახალ ბინაზე დაგროვილი წაუკითხავი გაზეთები და შეუდგა კითხვას.

ერთ-ერთ ნომრიდან კოწიამ გაიგო, რომ კიდევ დაარსებულა ერთი ახალი საბინაო ამხ-ბა „ქართული წულა-მესტი". გაზეთის უკანასკნელ გვერდზე კონკურსის პირობებიც იყო გამოცხადებული, მაგრამ კოწიას იგი აღარ შეუნიშნავს.

**ხინემატო.**

# დადგენილება №

შემთხვევით ხელში ჩაგვივირდა ერთ-ერთ დაწესებულების, ერთ-ერთ განყოფილების დადგენილების ასლი, რომელსაც აქვე ვათავსებთ, შინაარს თქვენ თითონ გაეცნობით, რაც შეეხება სტილს, იგი თითქმის მთლიანად წააგავს ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებათა სტილს.

თანახმად დადგენილებისა უმაღლესისა მის ორგახოებისასა, 1923 წლის 12-სა დღესა დაწესებულებისა ჩვენისა განყოფილება ესე ადგენს:

**პირი იგი,** რომელიცა რომა, ცდუნებითა მით კონტრ-რევოლიუციონურითა, გაბედავს და აიღებს ხელსა მას მუშაობასა საბჭოთა ზედა და შეუდგება საქმის წარმოებასა მას დამოუკიდებლათ, განიდევნების დაწესებულებისა ჩვენისაგან, ვითარცა ბოროტი და უგნური, და ვითაარცა ხელის შემშლელი აღმშენებლობისა ჩვენისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**შენიშვნა ა.** დადგენილებაი ესე არ შეეხების თანამშრომლისა მას, რომელიცა უცოდინარობითა მით გრამატისა, პოლიტიკურისა, აღიღებს ყალამსა თვისსა და შეუდგების ჯღაბნასა ქაღალდისასა, რომელიც ენაჯა ზედა მუშგლეხისასა. ბუშაგომარანიათ იხმობის.

**შენიშვნა ბ.** დადგენილებასა მას ჩვენ ვერ გავავრცელებთ თანამშრომელთა ისეთთა ზედაც, რომელთაც არ მიუღიათ სტაჟი იგი რეგისტრატორობისაი, და რომელნიცა დაწესებულებასა შინა ოთხი წელი მარტოოდენ მუშაობენ.

**2. განსამარტებლათ** ზემოაღნიშნულისა, განყოფილებასა მას ჩვენსა სწადს დაურთოს თანანადებნი შემდეგნი:

გაჭიანურებათ საქმის წარმოებისა იწოდების მუშაობა ისეთი, რომელიც ოტნოშენიასა მას უბრალოსა ზედა ვერლა აღირსებს პასუხს ჟამსა მას დაუსრულებელსა, რომელსა შიგან იგულისხმების წელიწადი სამი.

3. საქმისმწარმოებელი ყოველი, იქნება იგი ჭაბუკი თუ მხცოვანი, ვალდებულ არს სამი კვირის განმავლობაში განჭვრიტოს მიმართვა სხვისი და შემდეგ მოსახსენებლათ წარუდგინოს მმართველთა საქმეთასა, ანუ დროებით აღმასრულებელსა საქმეთა მათ მმართველის მოვალეობისასა..

**შენიშვნა:** დალაცა თუ მმართველი საქმეთაი, ანუ მოადგილე მისი არ არის ხასიათსა ზედა სამხიარულოსა, ნუღარა წაეჩვენების მას მწარმოებელი საქმისა, რამეთუ ჩვენი ვალია არ შევაწუხოთ სპეციალისტნი ჩვენი.

4. გაუწყებთ რა ამას, საჭიროდ ვრაცხთ დაურთოთ, რომ თანახმად დადგენილებისა უმაღლესთა მათ ორღანოთა, ჩვენ იძულებულ ვართ ჩავატაროთ სოკრაშჩენია 20 პროცენტიანი იგი.

**შენიშვნა ა.** შემცირებასა შინა შეიძლება მოვაყოლოთ მუშაკი ისეთი, რომელსაც არა ყავს არც ბიძა, არცა ნათლია და არცა თუ ნათესავი ისეთი, რომელიცა რომა იწოდების მწიგნობრად ტარტაროზისასა და რომელსაც შეუძლია შემცირებისა გამო ასტეხოს აყალ-მაყალი დიდი.

**შენიშვნა ბ.** შემცირებისა მის შემდეგ ხურამც შეეცდებით კულავ მყისვე შეავსოთ და გაადიდოთ შტატი იგი, არამედ დაიცადეთ თვე ორი-სამი და შემდეგ მიიღეთ ახლები.

---

**ამაღლება (გურია)**



**ამ ძველ ჩარჩის ნაგრამხა**
**დრო ჰგონია მისია.**
**გლეხებს შეჯდა კისერზედ,**
**ერთს ორათ ხწერს ნისიას.**

5. თახახმად, განმარტებისა ცირკულიარისა მის გამგისა ჩვენისასა, თანამშრომელი ყოველი ვალდებულ არს დილით სამსახურში მოვიდეს ჟამსა დაწესებულსა ზედა.

**შენიშვნა ა.** დადგენილება ესე არ შეეხების გამგის თანაშემწესა, არცა თუ თანაშემწის მოადგილესა და არცა მოადგილის მოვალეობის დროებით აღმასრულებელსა.

**შენიშვნა ბ.** შიგან მე-8-სა მუხლსა აღნიშნული დადგენილება არ შეეხების აგრეთვე საქმეთა მმართველსა, ბუხგალტერსა მთავარსა და პასუხისმგებელთა მათ თანამშრომელთა:

რეგისტრატორი, საქმისმწარმოებელნი და უმეტეს მათთა შიკრიკნი ვალდებულ არიან ყურად იღონ ზემორე მუხლი და თავის დროზე გამოცხადდენ სამსახურსა შინა.

6. შიკრიკთა მათ, რომელთა შორის დაწინაურებული მუშებიც არიან, ევალება სასტიკად, მედგრათ იდგნენ კაბინეტსა წინა გამგისასა და მტკიცედ დაიცვან შეუვალობაი კაბინეტისი.

**შენიშვნა ა.** მუხლი ესე მე-9-ე არ შეეხების ნათესავთა გამგისათა, სიდედრ-სიმამრსა და ბანოვანთა მათ კეკლუცთა, რომენლიც ცხადდებიან კაბინეტში პირადი სურვილითა მით ფრიად პასუხისმგებელისა მის გამგისა ჩვენისასა.

**შენიშვნა ბ.:** დალაცათუ გამგეს მიადგების მთხოვნელი რაიმე საქმესა ზედა,—შიკრიკნი მოვალენი არიან ძალ-ღონითა შეერთებულით მიიტახონ იერიში და განდევნონ ოპფუზიციონერი იგი.

7. ნურავინ უგულებულ ყოფთ თავსა თქვენსა მოიმატოთ კატეგორია ზედმეტი, არამედ მუშაობათა მით სვერხუროჩნითა მოიპოვეთ გამოსარჩენი მცირე.

**შენიშვნა:** გამოსარჩენის უფლება ეძლევის მარტოოდენ ზავხოზსა, მოლარესა, ბუხგალტერსა და სხვათა მათ ღირსეულთა.

8. საერთოდ კი წინადადება გეძლევათ აღიღოთ მახვილი თქვენი ბიუროკრატიზმისა, საქმის გაჭიანურებისა, უყაირათობისა, ხელგაშლილობისა და საქმეთა-მათ შეუფერებელთა წინააღმდეგ.

დედანთან სწორია:

**ალლარ-ალლარსაშ.**

# სტყუიან!




**უმუშევარი: — ერთი ჩემს ყოფაში იყო! ნახავ მაშინ თუ სიხარულით მოგეჩვენება სიცოცხლე?!**

# სიცოცხლე—სიხარულია

თქვენ იცით რა არის სიცოცხლე? —შემეკითხა ერთი ნაცნობი, რომელმაც ოპერის თეატრის კასასთან მაზოლზე დამაბიჯა ფეხი და ბოდიშის მაგიერ დამაიმედა, რომ სხვებსაც აქვთ მაზოლი და შენს თავზე არაფერი განსაკუთრებული არ ხდებაო.

— სიცოცხლე რესტორანია, აგერ პლეხანოვის პროსპექტზე. იქ შემწვარი გოჭის თავები პატარძლებივით ილიმებიან და მწვადი ხომ მარგებალია კუჭისათვის. იქ...

— არა, არა, რა არის სიცოცხლე, მეცნიერულად, მეცნიერულად, —დაუჟინებია ჩემს მოსაუბრეს.

— სიცოცხლე წამებაა, სიცოცხლე წვალებაა, ცოლია, შვილია, ახალ წლის დღესასწაულების გადახდაა, სასამართლოა, ალიმენტებია, ბიფშტექსია, კატლეტიც, ვალებიც, სახლის ქირა, უთანხმოება, უშეშობა, ცოლთან უბრობა, სამსახურში საყვედურები —სიცოცხლე —სისულელეა სიცოცხლე... ახ, ნეტავ ერთი სათხო გული მომცა, რომ ავიტანო ყველფერი ეს.

აი, მე ეხლა უნდა შევიდე ოპერაში— განაგრძობდა ჩემი მოსაუბრე ისეთი ექსტაზით, რომ ყველა იქ მდგომის ყურადღება მან მიიზიდა,— შევალ თეატრში და მოვისმენ ამ ახალ ოპერას, რა ჰქვია... „სიცოცხლე სიხარულია“, ჰო, .ო! არაყიშვილმა უნდა დამიმტკიცოს, რომ სიცოცხლე სიხარულია, თორემ მე დაუმტკიცებ მას რაღაცაა სიცოცხლე.

ვარჩიე გავცლოდი. ვინ იცის უცბათ გადაირია და სულით ავადმყოფთა სახლში ხომ ადგილები არაა; უნდა შემოვაკვდე ვიღაცას.

კი მაგრამ რა არის სიცოცხლე? მონადირე ამაზე თქვენ გიპასუხებთ: სიცოცხლე ნადირობაა. რა კარგია დათვებთან და გარეულ ღორებთან ბრძოლა, დღეში ხუთი ფუთი ტყუილის თქმა, კვეხნა და... ერთი ჭლექიანი კურდღლის ჩამოკიდება მხართეძოზე.

**ვექილი გეტყვით:** სიცოცხლე წარმოუდგენელია დიდი ბოროტმოქმედობების გარეშე. მაგალითად ძმამ ძმა მოჰკლა და გადარჩენილს ამართლებენ. შენ მას იცავს, იგი ცრემლებს ღვრის მოკლული ძმის საფლავზე, სასამართლო შედის მდგომარეობაში. კაცს 10 წლის ციხეს მიუსჯიან და შენ ასიანებს ღებულობ. შენი ჭირიმე. სიცოცხლეა მაშ რა არის ასეთი საქმე!

**ექიმი იტყვის:** სიცოცხლე—სიკვდილია, ავადმყოფობაა, ეპიდემიებია, იარე და იარე ავადმყოფებთან, მიიღე თითო ჩერვონეცი, გოუშვი ხალხი რასხოდში და იცხოვრე. არა კარგია სიცოცხლე.

**ინჟენერი არ დაფიქრდება:** სიცოცხლე?— ხარჯთაღრიცხვა, გეგმა, კოორდინატები, საგაკვეთილო დებულების მუხლები. წნევა, დაქანება გრადუსები 600 მანეთი თვეში. სიცოცხლე ფუნქციაა, რომელიც კოორდინატებით უერთდება გამოსავალ წერტილს. კი!

ღვდელი გაკვირვებული შემოგხედავთ: სიცოცხლე, შვილო, ჰო სიცოცხლე. სახარებაში ლუკა მოციქული ამბობს... ეჰ, ახლა სიცოცხლე აღარ მინდა. სიცოცხლე უწინ იყო. აფსუს!

პოეტი არ გაკვირდება და გადისვამს თუ არა ქოჩორზე ხელს დაუფიქრებლათ გეტყვით (ფიქრი რა საჭიროა):— სიცოცხლე ლექსშია ჩასკვნილი რიტმი, რითმი, ასონანსი დისონანსი: ჩახრუხაძისეური. ხედავ მზე იღიმება და ათბობს ადამიანთა გაციებულ ძვლებს. აგერ ჩიტები, ხედავ... „ამწვანებულა მდელო, ამწვანებულა მთები, ლექსები სიყვარული შენს ბეჭდვას მოვესწრები“?

უკანასკნელი სიტყვები ისე გოუკიდა, თითქოს მღერისო და რადგანაც მე სიცოცხლე მაინც მიყვარს, ამიტომ ავერიდე თავში არაფერი დაერტყა.

ოპერაში სასწრაფო დახმარების ეტლი გამოიძახეს. საწყალ ჩემს ნაცნობს დამბლა მოსვლოდა და ბევრ უბედურთა მზიდავი ავტო მას საავადმყოფოში მიაქანებდა.

ვერავინ გაიგო: თეატრის სიცარიელემ იმოქმედა მასზე, დაშიშვლებული ქალების ცქერამ, ოჯახურმა უსიამოვნებამ, ბალეტმა თუ...

— რა გვეშველებოდა რომ სიცოც[illegible] არ იყოს?

დ—ძე

# „პრინციპიალურად“

— მათხოვარი ვარ? ვისა? ვიღაც ცხვირ მოუწმენდელ ლაწირაკს ვსთხოვო სამსახური? ნურას უკაცრავად, ამას „პრინციპიალურად“ არ ვიზამ, სულ რომ სული ამომხდეს.

— არა, კაცო, შენ თუ თავის დამცირებად სთვლი, პირადათ კი ნუ მიხვალ... გაუგზავნე ვინმე, მისი კარგი ნაცნობი... ერთხელ გადაულაპარაკებს და მორჩა, მეორე დღესვე სამსახურში ამაყობ თავს.

— რაო? ესე იგი, თქვენ მირჩევთ, პროტექციას მივმართო? ნურას უკაცრავად, ჩემს „პრინციპს“ ვერ ვუღალატებ. ერთხელ ვსთქვი და მორჩა. პროტექცია არის ბოროტება და უნდა ვებრძოლოთ, გახურებული შანთით უნდა ამოვწვათ ასეთი მოვლენა ჩვენს სინამდვილეში. პრინციპი, პრინციპია მთავარი... მეორეჯერ არ მითხრა, თუ ღმერთი გრწამს.

— არა, კაცო, პროტექცია აქ რა შუაშია! მე გელაპარაკები, რომ ყოველთვის საჭიროა შუა კაცი, რომელიც შენც გიცნობს და გამგესაც... ის გაგიკეთებს ერთგვარ რეკომენდაციას, იტყვის, რომ ესა და ეს კაცი ასეთი და ასეთიაო... შუბლზე ხომ არ გაწერია, რა ავლადიდების პატრონიც ხარ. გამგე მას ენდობა და მოგაწყობს.

— არა, ჩემო მეგობარო; ეს მაინც პრინციპის შელახვაა. შიშველი ვივლი, და ამას ვერ ვიზამ.

— კარგი, მაგრამ ამდენი ხანია „კეთილშობილი უმუშევარი“ ხარ... ერთხელ მაინც ამოიღე ხმა, თუნდაც შრომის ბირჟაში, რომ პირველ რიგში მაინც გაგაგზავნონ. ყოველთვის უკანასკნელ რიგში რომ ხარ, ეს იმის ბრალია, რომ არავის სიტყვას არ ეუბნები, არავის არ აწუხებ... ისინიც ფიქრობენ, რომ შენ არაფერი გაჭირვება არ გაწუხებს და არც იცხელებენ თავს შენთვის..

— პრინციპიალურად, არ ვიზამ, გეფიცები პატიოსნებას, რომ პრინციპის მოღალატე და უსინდისო კაცი ერთია... არ ვიზამ, არა და არა.

ასეთი დავა მქონდა ერთ ჩემს კარგ ნაცნობთან ორი წლის წინ. ერქვა მას სახელად არხიპო და სახით მიამგზავსებდით იესო ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს, თუ რომ გინახავთ საიდუმლო სერობის სურათზე.

ეს იყო ორი წლის წინად. პრინციპიალურად ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ პროტექციას, ყოველგვარ შუამდგომლობას, ყოველგვარ შუა—კაცს. იყო ასე ვსთქვათ, „პრინციპის კაცი“.

ცხოვრობდა მარტოთ. სოფლიდან დროგამოშვებით მოსდიოდა მცირე სურსათ-სანოვაგე. იყო „პრინციპიალურად“ ცივსა და ბნელ ოთახში.

ბევრი ვედავე, რომ ვინმე შეეწუხებია, ვინმესათვის თხოვნით მიემართა, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, ყურსაც არ ათხოვებდა ჩემს ლაპარაკს.

ირიცხებოდა შრომის ბირჟაში, და იყო ხმა ამოუღებლად ატუზული ბირჟის კარებთან. მორცხვად შეხედავდა ბირჟის შენობაში, მოეჩვენებოდა ხალხს და ხმის ამოუღებლადვე წაიდოდა.

არ იტყოდა ზედმეტ სიტყვას „პრინციპალურად“.

ამ საახალწლოდ სოფლიდან დედას არხიპოსთვის გამოეგზავნა ერთი ცოცხალი ინდაური. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოუთმენლად მოელოდა არხიპო ახალი წლის გათენებას.

სამიოდე დღე დარჩენილიყო ახალ წლამდე. მე შემთხვევით შევიარე არხიპოსთან.

ოთახის ერთ კუთხეში არხიპოს დაბმული ჰყავდა ერთი ძალზე გამხდარი და მისუსტებული ინდაური.

— ეს ჩვენ ერთად უნდა შევჭამოთ!—მითხრა მან და მიმითითა ინდაურზე.—ხვალ ჩემის ხელით მოვსჭრი თავს და ჩემის ხელითვე გავამზადებ თუ კაცი ხარ ახალ წელს ჩემთან. რომ არ შემოიარო, მეწყინება...

— კი, ჩემო არხიპო, მე ღვინოსაც მოვიტან და ერთი მაგრად ვიქეიფოთ.

— ეჰ! შენ კიდევ რომ არ ატრიო, არ იქნება, მე ხომ იცი ღვინოს „პრინციპიალურად“ არ ვსვამ... ლოთობას წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ... შენ თუ გინდა, შენთვის მოიტანე, მე კი „პრინციპიალურად“ არ დავლევ...

გათენდა ახალი წელი. მე ვერ მოვითმინე არხიპოს უნახაობა და პირველი ვიზიტი ერთი კვარტი ღვინით მას გაუკეთე.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორედ არხიპოზე შეიძლება ითქვას.

შევაღე კარები. არხიპო ხის მაგიდასთან დაღვრემილი, არც კი შემოუხედავს.

— მომილოცავს ახალი წელი,—დავუძახე მხიარული ხმით არხიპოს და შემოვკარი ხელი მკლავზე.

არც კი განძრეულა.

ამ დროს გავიხედე და დავინახე, რომ ინდაური ისევ იმ ადგილას კუთხეში იყო ოთახის სიბნელისგამო, პირველად ვერ მივხდი რაში იყო საქმე.

— კაცო, დაანებე თავი, მკვდარია,—მითხრა არხიპომ; საჭმელი აღარ წამოვიღე!—ვუსაყვედურე მე და ფეხი წავკარი ინდაურს.

ინდაური გადმობრუნდა, კიდევ წავკარი ფეხი, გადაბრუნდა ისევ „უპროტესტოდ“...

—კაცო, დაანებე თავი, მკვდარია,—მითხრა არხიპომ და ერთი მაგრად ამოიოხვრა...

მე მივხვდი, საქმე რაში იყო და რომ შემემსუბუქებია ამხანაგისათვის მწუხარება, თითქმის ის არაფრად ჩავაგდე და ვუთხარი:

— ადექი, კაცო, წავიდეთ რამდენი ნაცნობები გვყავს, ვესტუმროთ, გაუხარდებათ, მივულოცოთ...

— „პრინციპიალურად“ წინააღმდეგი ვარ სხვისი შეწუხების!—მითხრა არხიპომ და იქვე ლოგინზე წამოწვა.

მე კიდევ დავუწყე დავა „პრინციპის“ გარშემო. იმდენი ვიდავეთ, რომ მაგრად წავეჩხუბეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს არხიპომ „პრინციპიალურად“ უარი ჰყო ქალაქი და გაემგზავრა სოფელში.

სებეირ—ბენ—შეიხ.



**ცოლი:** სად ჯანდაბაში იცეთრევი

**ქმარი:** ხელი გამიშვი; შენთან სიცოცხლეს თავის დახრჩობა მირჩევნია.

**ცოლი:** ჯიბეში რომ ხუთმანეთიანი გაქვს, იგი დატოვე და მერმე რაც გინდა ის ჰქენი.

# „დაჯილდოვებული“ მომხსენებელი



მომხსენებელი:—ალბათ ძალიან კარგი იყო მოხსენება, რომ ყველა ტაშს მიკრავს!
— ტყვილა გგონია! მოხსენება რომ გაათავე,—გაუხარდათ და იმიტომ უკრავენ ტაშს!

## რუსთველისებური

ჰა, ზამთარო, რასა გვეხარ? რად ჰყინავ ჩვენს სახე-
ცხვირსა;
გაყინულსა სითბოსათვის არბეინებ ვითა ვირსა.
ვისაც ეხლა პალტო არ აქვს ის კანკალებს, მწარეთ
სტირსა,
კალოშების უქონლობა დიდათ ავნებს ფეხის ძირსა
(ტალახი და თოვლი-ყინვა შიგ შედის და გამოდის).

უპალტოო.

# ოცნებები თეატრში

# თ გ

გებნები ხალხი გადაბრუნდა მეთქი, მშობლის ჯიგარი უვაჟენია, ამაგირამე ფას, ფსტიაკ, მაისპო ყველაფერი.

შორს ნუ წახვალ, პრიმერი ხელ'ში მიჭირამს; ჩემი მიწა გასახეთქი გოგოც გამიფუჭეს, დროებას და მოდნას გააყოლეს, მარაქაში ჩააგდეს, ტრიატებში შააჩვიეს და პუპუზ, ერთ დღეს სახლიც ტრიატათ მიქცია. ამ პრაზნიკ დღეებში მე და შუშანას ზაჰალა წაგვართო:

— პაპაჯან, თუ გიხდა რომ კარქი რამე ნახო, ქვეყნის ლაზათი და შენობა გაიგო, ტრიატში წადითო, დღეს ფითოევის ტრიატში დეზერტიკას აკეთებენ და თქვენთვის უჟე ბილეთები მამიტანიაო, ჯეჰელი არტისტები მყავს ნაცნობი და იმათ მუქთათ მამცესო.

მე და შუშანამაც ვთვქვით თუ, კანც სახლში არ ვამთქნაროთ ჰაზირ ტრიატის რამეები ვნახოთ, ჰუზურში მუქთი ქელეხია და სარფაა მეთქი.

მე და შუშანამ ჩავიცვით და გოგოს ვებნებით:

— სათინიკ, შენ მაგ კაბით მოხვალ?

— არა პაპაჯან, მე არ მოვდივარ, სტუმრებს ველიო, თულუხჩიანთ სეროჟა მოვა და უროკი უნდა მიკცეო, თითონ სტრუმენტი არა აქო და ამიტომ ჩემს ორტოფიანზე ვაკვრევინეფ ხოლმე ნოტებსაო.

— გოგო, უროკი რომელია, ამ ცარიელ სახლში, ჯეჰელ ვინმეს მარტო შენთან უშვებ, ნამუსი არა გაქვს?

— ჯერ ერთი მაგისთანა მეშჩანცკობა და სტროგობის დრო წავიდაო და ჰამაც ის მარტო არ მოდის, ორი მოწმე უნდა მაიყვანოსო, ორივე არტისტები არიან, ისეთი განათლებული ვინმეებია, სულ ულვაშები გაპარსული აქვთო მააშ?... შუშანამაც აქედან ამოფს თუ, თოლ, საქოჯან, ნუ უშლი, ვინმე გაიგებს და გაუნათლებელი ვინმე ეგონებაო.

მახლაზ, წავყევი; წავყევი ჰამა გული მაინც მეთანალრება, ვინ იცის, კაცხი ვართ, ერთიც ვნახოთ, ის არტისტები არ მოვიდნენ მეთქი...

ტრიატში ნაინტერეს რამე ვნახეთ: მუზიკა, ტანცი, სიმღერა რამე, ჰამაც ძველი, ქრისტიანული დრო, კედლებზე სულ ღენერლების და პრისტავების კარტიჩკები, რამე მააშ!

შენ ხალხი თქვი: აფიცრები, კნიაზები, ნამესნიკის ვინმეები, ჰამაც ვაჭარი ხალხის პაჩოტი ერთის სიტყვით ძველი მარიფათიანი დრო არ გახსომს? ის იყო რაღა: ჩინ-მენდალი რამე, ისეთი გამბედავი ვინმეები იყვნეს, რომა ამ ბალშევიკურ დროში ბოჟე ცარი სახრანი დაუკრეს; მეც ჰიმტაზე მოველ, ავდექი და ჩესტი გაუკეთე,— მააშ?! ატყდა ყალმაყალი:

— გააგდეთ, არესტუიტ მამმენტალნა კონტრიუციონერ, ძველი რეჟიმი უხარიან მაგ რაზბონიკსაო, მამცვივდა ხალხი და ცოტა მოვრჩი—ხბოს თეშხვასავით არ გამგლიჯეს.

— ვა, ვიძახი ძმებოჯან, თუ ეს ფინთი რამეა, ძაზ რათ აკვრევინებთ: იმ ბემურაზებსა? ვინც უკრამს იმათ არ არაფერს ებნებით და მე მარტყამთ მეთქი?—სადაური კანონია?

— თუო, ისინი ხუმრობენ, თამაშობენო და რაზრიშენია უშერებითო!...

— მეთქი, თამაშობენ არა, ტანცაობენ... თუ ისინი ხუმრობენ, მეცა ვემასხაროფ ნუ, მორჩა, გათავდა ხელი აიღეთ რაღა... შუშანამაც მხარი დამიჭირა და ბევრი ჩალიშის მემრე დაშოშმინდნენ. ხელი აიღეს. თანაც მასხარათ გამაკეთეს, თუო, ძველი რეჟიმის ვინმეა, კუპეცი კაცია და თავისი დრო მააგონდაო. ნუ, თოლ. თქონ, ახარჩხუპს ხომ არ გავმართავდი? შემეშინდა, მიცვალებული გავხდი, თევზივით პირი დავიგუბე.

ფარდა დაუშვეს, ლიხტრიცკი აანთეს და ჩემი მურაზიც წავიდა: ყველა ქალებმა ლორნეტები და დურბინდები მემაშვირეს, მშინჯამენ და იძახიან:



— შემდეგ ვაგონში!

— კაკოი იდიოცკი კუპეწ, სტარი რეჟიმ სპამინაიტო!

ამ დასტა-ბუბუში, შუშანას პრაგრამა უშოვნია და კითხულობს თუო, პირველი ფარდის მემრე, მეორე ფარდამდისინ ოთხი წელიწადი უნდა გავიდესო.

მე კვებნები—ადე შუშან, წავიდეთ.

— ვა, წახვიდე რომელია, დაჯე, დაეთხარე, უფრო ინტერესნი მერე იქნება და შენ კი მიხვალო?

— დედაკაცო, შენ იალქები ხომ არ აგიშვია? დაჯე რომელია, ოთხი წელიწადი აქ უნდა იჯდე?

— ე, დარდაკ მიხოსი საქოჯან, უსწავლელი ვინმე ეგონები, რის ოთხი წელიწადი, რის ფლანი, რის ფსტანი, აქ კაბრაჟენია უნდა გააკეთო, მითომ ოთხი წელიწადი უჟე გასულა, ეხლა ფარდას აუშვებენ და მენშევიკის დრო მოვა, მემრე კი ბალშევიკი გახდებაო მააშ!

დავჯექი, ჰამა ახალი ხათა გაჩნდა: ერთი ძირ გაპარსული ახმახი ვინმე მოვიდა და მებნება ერთი ნიმუშით კულისებში ითხოვენო. გული გამისქდა, ვიფიქრე ალბათ კულისები ჩეკასა ნიშნავს მეთქი და იმ ჩესტისთვის პასუხსა მთხოვენ.

— ძმაოჯან, ხამი ვინმე ვარ, ვეხვეწები ერთხელ მიმიქარნია. სიყმეს გეფიცები მემრე აღარ ვიზამ, ხელი აიღე მეთქი...

არაო სხვა რამეაო, ძალიან ნეპრემენი საქმეა და უეჭველათ წამოდიო. წავედი. ტრიატის უკან გამიყვანეს და მებნებიან: თუ—პეტრუზას ტანისამოსი გარდიროპჩიკმა არ მაიტანაო და ჩეთვერ საათით შენი პრუხელის შარვალ - ახალუხი გვათხოვე, ქირას მოგართმევთ. ჰამაც კარქ კრესლას მოგიტანთ და კულისებიდან გვიყურეო. მივეცი.

ჩაიცვეს. ფარდა ახადეს. გამოვიდა არტისტი პოდაპირ კუკლასავით მორთულია, ისე თამაშობს, რომ ყველა იმას უყურებს. ვასტორგში მოდის. მე ვიღაცამ პალტო წამამასხეს, ვზივარ და ვინც რომ გაივლის ვებნები:

— პაჟალუსტა, კარქათ არა თამაშობს პეტრუზა?

— ვა, კარქათ და ეგრე? ანტიკაა რაღა, ყველაზე სჯობიაო:

— იმიტომ, რომა ჩემი ტანისამოსი აცვია, უხდება, ამშვენებს და ეშხზე მოჰყავს მეთქი. იცინიან.

ასე ტერტერას ყავარჯენივით აყუდებული უყურეფ. მიხარიან და ვიცინი... ბოლოს კი ეს ბემურაზი

# ...ლისის სადგურში




— შემდეგ ვაგონში. — შემდეგ ვაგონში!

პეტრუზა გაჯავრდა და იძახის თუ ეს რა ზაკონიაო, ყველაფერი წამართვეს და ეხლა ყარაიაზში შეშის საქ-რელათ მგზავნიანო, ფუი ამისთანა მენშევიკებს რა უთხრაო, პრაზისგნით გაგიუდა და ჯერ ქუდი დაახეთქა, მერე საათს სეფოქკა მააგლიჯა, მერე ახალოხი ჩამაიხია. ვხედამ, ზარალში მაგდებს, მე სიკეთე მიქნია, ის კი ასე ჰარმათ მიდის. მეთქი, გავბრაზდი, და ვეძახი:

— პეტრუზჯან, ეგ რა ნამუსია, მაგ ტანისამოს რო ხევ, ატვეჩაი ვინ არი, მაგისთანა ყარამანდულას სად მიშოვი, ვინ მიზლამს მეთქი?

ბან ჩუნეს? ის უფრო მეტათ გადაირია და ახალოხი ნახევარზე ჩამოიხია, მე ველარ მოვითმინე და პირდაპირ სცენაზე შაუვარდი.

— პეტრუზ, მე ბემურაზო ახალოხს რათ მიხევ, სეფოქკა რათ მოსწყვიტე, ქუდი რათ გამიჭუჭყიანე?

ვაჰი, მთელი ტრიატი ფეხზე დადგა, ზოგი იცინის, ზოგი ტაშს მიკრამს, ზოგი ყვირის გააგდეთო... მამენტალნათ ფარდა დაუშვეს, შიგ მილიციონები შამაიყვანეს, ამწიეს და პირდაპირ ქუჩაში გამიტანეს. ამ გაწამაწიაში იმ პალტოს პატრონიც მაძვარდა და იძახის:

მე ლიპიანო, ჩემი პალტო სად მიგაქვსო? გამაძრო პალტო და იმათ კი თეთრეულიანი ფაიტონით უჩასკაში წამიყვანეს. იქ დაპროსი გამიკეთეს და პრატაკოლში ჩასწერეს თუ ტრიატში ყურებისგნით გაგიუდა და სცენაზე ტიტლიკანა შავარდაო. ჰამაც სკორი პომოშჩისთვის დაუძახნიათ საგიჟეში გაგზავნას მიპირობდნენ.

ამ ყალმაყალში, დრო გავიდა, შუშანას იქ დიდი სპორი უქნია, ჩემი ტანისამოსი გაუხდია და მამიტანა, ჰამაც არტისტები მოვიდნენ. კაჭისარს აბისნენია გაუკეთეს და ძლივს გამააშვებინეს ჩემი თავი. ძალიან გაჯავრებული დავბრუნდი და გულის ბოხარი ისევ სათინიკაზე ვიყარე, ჰამაც შუშანას სპორი უყავი და ნიგაორი მივეცი, რომ, იმ ბემურაზ არტისტების ფეხი სახლში არ დამანახონ და ტრიატის სახელიც არ გამაგონონ.

ფარსადან.

# ეწყინა




— შე ოხერო, რას დაღონებულხარ? აკი გაგამართლეს სასამართლოში?!

— მეც იმიტომ ვარ დაღონებული... იმედი მქონდა ამ ზამთარს ციხეში გავატარებდი უზრუნველათ... ეხლა კი,—წადი და ეძებე ახალი საქმე.

ტარტაროზი № 137 სპეციალური
ნადირობა-ზე და ცხოველებზე

# ოზურგეთის გზა



ტარტაროზი:—მე საიქიო ჯოჯოხეთში ვაგზავნიდი საჯოჯოხეთო ხალხს! თურმე აქ ყოფილა ნამდვილი ჯოჯოხეთი... აწი კი აქეთ გამოვაგზავნი.

# ტრამვაის კონდუქტორის სიყვარული

**ჩემო მშვენიერო!**

როცა პირველად შენ გაგიცანი, გული მოსკოვის ვაგონის „ნასოს"-ივით ამიმუშავდა. როდესაც შენს ტუჩებს მე მივადევი ჩემი „კალოტკა", ასე მეგონა კასიდან პროცენტებს ვიღებ-მეთქი. ჯამაგირს ორ-პროცენტიან მომატებას ისე არ გაუხარებია ჩემი დაჩაგრული გული, როგორც შენმა შემოხედვამ! მართალია, ზოგიერთი შენი სახის გამომეტყველება სრულიად არ ეთანხმება ტრამვაის ადმინისტრაციის მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს არაფერია. რა უყოთ, გენაცვალე, რომ ბილეთებს ჰყიდი: ეს ყიდვა-გაყიდვა ისეთი რამეა, რომ უამისოთ ტრამვაი ვერ იარსებებს.

დუშკაჯან! ამ ცივს ზამთარში შენ ისეთი თბილი ხარ, რომ შევარცხვინე ჩემი სპეცტანისამოსი. შენთან, შენი ნაზი ხმა მომაგონებს ჩემი სიგნალის ხმას, უბილეთო მგზავრები ისე არ გაახარებს ჩემს გულს, როგორც შენი შემოხედვა. შენ რომ დაგინახავ, ტაში ტრამვაის ტოკი მარტყამს (550 ვოლტი). გარეგნული შეხედულება შენ ისეთი ლამაზი გაქვს, როგორც მოსკოვის ვაგონს. შიგნიდან კი ისეთი რთული ხარ, როგორც იგივე ვაგონი.

შენ რომ ერთი წუთით თვალს გაშორებ, ასე მგონია მგზავრებისგან სიფთა არ მინახავს-მეთქი. შენი ლამაზი მოქცევა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, როგორც კონტროლები. შენი სიცილი ტურფავ, მომაგონებს მოსკოვის ვაგონის ზარის ხმას.

მშვენიერო, როდესაც შენ მოილუშები ხოლმე, ასე მგონია დღეს ფული არ არის სალაროში. როდესაც „პრიცეპკა"-ზე ვიკიჩხები სიცივისაგან, უმალ შენ გაგონებ—ეგებ სიცივე გადამავიწყდეს-მეთქი. შენზე ფიქრებით ისე ვარ გაწვალებული, როგორც მგზავრებისგან, როდესაც „ნაურაზე" სხდებიან ვაგონში.

ჩემი გული, ლამაზო, ისეა შენს მიერ შებორკილი, როგორც ჩვენი უფლებები მგზავრებისაგან, ოღონდ შენ კი შემიყვარე და თავის დღეში მგზავრებს აღარ „შეუკურთხებ!" მე ვიცი ჩემი ჯამაგირი შენ არ დაგაკმაყოფილებს, მაგრამ დღეს თუ ხვალ კანტორაში ვაპირებ გადასვლას (ამხ. ასრიევი დამპირდა) და მერე ხომ იცი უფრო და უფრო ნელ-ნელა, ავიწევი „პოდიომში" (მერე მიყურე რა ბიჭი ვიქნები!?).

მეფისტო.

# ყრუ ზარი

ინდოეთში ინგლისის საქონელს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. (ტიპეშებიდან)




**ინგლისელი:**—ამდენი ხანია ზარს ვრეკ, და კარს კი არავინ მიღებს!

## ყურმოკრული

**(ძველი გავაზი. თელავის მაზრა)**

**მოხუცი:** ჩვენმა ალმასკომის თავმჯდომარემ ველოსიპედი იყიდა; 220 მანეთი მისცა შიგ. ხედ შეჯდომაც არ იცის და სხვები უპტკრევეს... დაწყებული საქმე კი ვერ მოვაგვარეთ. ოთხი წელიწადია დაწყებული გვაქვს წყაროების და ელექტრონის გამოყვანა, მაგრამ ბოლო დღესაც არ უჩანს.

**ახალგაზრდა:** ასეც სჯობია ჩვენთვის — ახალგაზრდებიათვის! პაემანს ასე ენიშნავთ— „იმ წყაროსთან მოდი". ძალიან კარგი ადგილია... რაც შეეხება ელექტრონს,—მავთულები ფრინველების დასაჯდომათ არის გაყვანილი. უსინათლობა და სიბნელე კი პირველი საქმეა მიჯნურთათვის... ამ ამიტომ...

**მოხუცი:** კაი, კაი შვილო, შენი ეშმაკი დიდი იყოს ჩემს ეშმაკზე...

ავტორი.

## „ბლანშე"

**ხალხურ კილოზე**

კინო-არტისტი კარო და ძოუმვია წვერი.
რად სჭირია „გოსკინპრომს" ნეტავ ამდენი ბერი"
(შიო-ღვიმის მონასტრის სურათი ხომ არ მიდის?!)
ამ ბოლო დროს გაივსო ეს თბილისი ბერებით.
ზოგი თითქოს არტისტობს... ზოგმა დრო მოიხმარა—
დალაქს აღარ ნახულობს, ისე დადის წვერებით.
თითქოს მოდაშია ბლანჟეები ცანცარა.
ნუ თუ საპარიკმახერო სულ ერთბაშათ დახურეს?
სულ ნისიათ გაგპარსოთ „გოსკინპრომის" ჯინაზე.
უცხო ტომს ჩამოგავხართ, ქვეყანა თქვენ შეგყურებს.
მისამართი მოგვეცით,—მაინც გნახოთ ბინაზე.
თუ აღჯერა პროსპექტი აიარ-ჩაიარეთ.
სადალაქოშიაც შედით—შაბათობით რა ხდება.
„გოსკინპრომო", თუ ძმა ხარ, პარიკები იხმარე.
თორემ ამ ცოტა ხანში ყველა ბერი გახდება.

კოლიელი.

# „ციებ-ცხელება“




— ქალო, რამ აგაცახცახა ასე!? ტანსაცმელს გარდა, ტანზე ცხრა მეტრო კოვერკოტი გახვევია, და კიდევ გცივა?„!

— სწორედ იმიტომ მაცახცახებს! ვერა ხედავ იმ ჩეკისტს?

# მგზავრობა

მოაწია თუ არა ხუთშაბათობამ ზე კაკალ ტყიბულის მაღაროების წითელ სასადილოში მოვადინე ლეწა. დილის ცხრა საათი იყო, რომ მაგიდას სადილის საჭმელად მოუჯექი და ღამის 10 საათზე კიდევ იქ ვიყავი: კაცს არც მოუტანია ჩემთვის რამე და არც ხმა გაუცია.

გამიკვირდა; მე თუ გინდა არაფერი,—მაგრამ ამ მუშებს რა ძვირათ დაუჯდათ იქ სადილის ჭამა! ერთი დღე გაათეინეს სადილის მოლოდინში..

აგერ ვიღაც ევროპიულათ გამოწყობილი კაცი შემოვიდა და წამსვე მიართვეს ყველაფერი.

იმე! გავსკდი გულზე; ავდექი და,—თქვენ მოგიკვდეს თქვენი ხუთშაბათელა, თუ თქვენ კარგი შტუკა არ გიქნათ-მეთქი:

დავკარი ფეხი და სულ სირბილით ჩამოვედი ორპირში. ვინათხოვრე პალტო; ქოკე თავზე წამოვიხურე და ისე გამოვისკნარე, რომ ნამდვილი ჩემბერლენი გეგონებოდით.

მივედი, შამოუჯექი მაგიდას და იცოცხლე ვიღაც პუდრით შელესილი ქალი წამსვე ჩემთან გაჩნდა... ისეთი სადილი გიახელით, რომ ჩემს დღეში არ დამავიწყდება... მუშები ქე მეცოდებოდა, რომ ისევ კვლავინდებურათ მშივრები შეჩერებოდენ მაგიდას, მარა რა ჩემი ბრალია! ჩამოვიდენ ისინიც ორპირში, ინათხოვრონ პალტო, ქოკე და სადილს ისინიც ჩემსავით იოლათ მიიღებენ.

არ გაუგონიათ ნათქვამი: „ტყვილა ჯდომას, ტყვილა სიარული სჯობია“-ო?. რა დიდი საქმე არის 30 ვერსი გზის გარება, თუ კი ამის შემდეგ ტყიბულის წითელ სასადილოში სადილის ჭამას ეღირსები?!

ნასადილევს შეუდექი სატარტაროზო მასალის ძებნას. ათისთავმა მოსე გვენტაძემ მირჩია სატარტაროზო მასალას ძალიან იაფ ფასებში ტეხნიკურ პერსონალიდან შეიძენო.

მივედი ინჟინერ მალჩანოვთან, რომელიც ისე გალეშილი იყო ღვინით, რომ ვერაფერი გამოვკითხე. ინჟინერ მინდელს სწორეთ იმ დროს ვეწვიე, როცა იგი თავისი „სტუმრების“ ამბავს ჰყვებოდა:

— მე „დუმბა, დუმბას“ ვმღეროდი. ინჟინერ ელიაძეს იატაკზე ცეკვა მოსწყინდა და აი ამ შკაფის თავზე ავიდა სატანცაოთ!—მიმითითა უშველებელ შკაფზე, — ის იყო ლეკური უნდა ჩამოევლო, რომ ამ დროს შკაფი წაიქცა და ელიაძე ყირაზე გადავიდა. შკაფი გულზე შეაწვა და ძლივს-ძლივობით გამოვაძვრეთ. შემდეგ ისევ ბავშობა მოგვაგონდა—„დამალობია“-ს თამაშობა დავიწყეთ, მაგრამ ხელი შეგვიშალა მაღაროებში გაჩენილმა ცეცხლმა...

მე შევკითხე:—მასალები მინდა და იქნებ გაგაჩნიათ რამე?

— უუუ! მასალებს ჩვენ რაჭიდან ვყიდულობთ და რა მასალა უნდა მოგყიდოთო.

ხუთშაბათელა.




თავის წევრებს — კერძოებს

# „წ მ ი დ ა  ლ ო რ ი“

ერთმა ღორმა რომ სამი ღორი გასვარა, ეს ანდაზა ყველამ იცის, მაგრამ ნატანებელმა ღორმა რომ ქვეყანა შესძრა, ეს ალბათ ყველამ არ იცის.

ეს არის მთელი ტრაღედია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს: „ერთი ღორი, რომელმაც შესძრა ნატანები“.

ღორი ღორს ქვია. ცოცხალი ღორისაგან ბევრ რამეს უნდა მოელოდეს ნატანები, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ დაკლული ღორი ამოქმედდა და საქმე სასამართლოშიც გადაიტანა.

ღორი, რომელიც ნატანებში დაიკლა, ახლა ცოცხლების რიცხვში აღარ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ცოცხლობს მისი აჩრდილი და ავი სულივით ევლინება ნატანების მოსახლეობას.

ნეტარხსენებულ ღორის შესახებ ვინმე ბუჯგუტლამ თავის დროზე დასწერა ნეკროლოგი, სადაც აღნიშნავდა, რომ კაცმა მეზობლის ღორი დაკლა და წარმოიდგინეთ.... შეჭამაც მოუნდომა. ამაზე აღიძრა საქმე, ამოძრავდა ნატანების საზოგადოებრივი აზრი, გაჩნდა დიდი მითქმა-მოთქმა.

დღეს ირკვევა, რომ ღორის დამკვლელს დაუკლავს... საკუთარი ღორი და მომჩივანი— ვინმე გოგი შეცდომაში შეუყვანია დაკლული ღორის პოჭოკს, რომელიც თურმე გოგისეულ ღორის პოჭოკს გავდა.

ამ სახელგანთქმულ ღორის შესახებ ალბათ ისტორია იტყვის თავის სიტყვას. ჯერჯერობით ვალაპარაკოთ ერთ-ერთი მემატიანე, რომელიც უახლოეს მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო მნიშვნელობის ღორის პროცესში.

ეს არის ცხონებულ ღორის თანამედროვე მწერალი, რომელიც გ-ტის ფსევდონომს ამოფარებია. აი, მისი ლექსი:

გ. წ. თავის ოჯახით ნაქებია შაირშიო,
მართალ პიროვნებას ტანჯავს მეტი აღარ ესმის თავში
ხაკალანდო ღორი ჰყავდა მის მეზობელს თავის სახლში
თურმე გ. წ-ს უნდოდა. რომ წაეღო თავის სახლში.
დროც მოვიდა: ღორი დაკლეს. მას მიუხდა გ. წ.
სახლში.
და გაქნილ ღორს ხელი სტაცა, მიათრევდა უკან კარში.
გ. წ. იძახის: ღორი ჩემია და თქვენ არ ახლოთ ხელია.
ეკითხებიან, ჩვენ გვითხარ, „ღორი რით იცით
თქვენია“?
ის პასუხს ასე იძლევა: „ჩემ ღორს უგავს პოჭოკია“.
ცრუ-მოწმეც კარგი იშოვა ლ-ტი მისი ლაქია,
ნუ გეშინიათ გოგი თქვენ, თუ რომ ცრუ მოწმეთ
ვერ გარგებთ აბა რაღა კაცი მქვია.

ამრიგათ, თუ მემატიანე გ-ტის დაუჯერებთ, ღორი, როგორც ასეთი, ქალოონს დაუკლავს. პრეტენტენტ-მეზობელ გოგის, პოჭოკების შედარებაში იაღლიში მოსვლია და უბრალოთ აუყეხებია კორიანტელი.

რასაკვირველია, საბოლოოთ იმის თქმა, თუ სად არის ძაღლის, ანუ უკეთ—ღორის თავი დამარხული, აქედან არ შეიძლება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: არც ერთი მოვლენა ისე ღრმად არ შეჭრილა ნატანების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც იმ მირონცხებულ ღორის თავი, რომელიც, შეიძლება მრავალმა ადგილობრივმა მორწმუნემ ნატანების წმინდანებში ჩარიცხოს.

ტეოხიტი.

## ლეღვან-მარელისი

ალმასკომო, რა გიქნია?
ხალხში ფული აგილია!
ფოსტა, ხიდი და სკოლები
ხვთის ანაბრად გაგიშვია.
ხალხობ-ნათესავებისთვის
ფულით ხელი გაგიწყვია
ხიდისათვის დიდი შრომით
ორი ბოძი დაგისვია.
ფოსტის გახსნის ხარჯისათვის
ფული ბლომად აგილია:
მისი დაარსებისათვის
გროშიც კი არ გაგილია.
სკოლებისთვის შეში შრომით
სახურავი აგიხდია,
და კარები არც ერთს არ აქვს,
მინები სულ აგიცლია!
მოწაფეებს პარტა არ აქვს,
ფეხზედ დგომით დაღლილია:
სკოლის შესაკეთებელი
ფულები ქე აგილია.
ი!, თანხები ყველა ერთად
შენ ვაჭრებთას წაგილია,
მათი წელში გამაგრება
შენ კისერზე აგილია.
შორაპნის სატყეოსაგანა
შენ ფიცრები პიგილია:
სახელად მას თეში ერქვა,
შენ კი სახლში წაგილია.
რევიზიამ რომ შეგნიშნა,
ხმაც აღარ ამოგილია;
ამგვარ მუშაობისათვის
პირველობა აგილია.
ეს ამბავი სულ მართალი
ტარტაროზსაც გაუგია.
შენ თუ კიდევ აგირჩიეს.
ხმაც ველარ გამოგვილია.

„ჩემა-ნალა".

კაკო კუტუბიძე ხშირათ თვრება. გამოდის შარა-გზაზე და რევოლვერით აშინებს გამვლელ - გამომვლელს, რომლებსაც ცემასაც არ აკლებს.

ბასილეთელი პომბოლი ;ი




— თავს ვუშველოთ! კაკო კუტუბიძე მოდის!

# ძველით თუ ახლით

პირველი გლეხი:—კაცო, ჯერ ერთის გადახდა მიჭირდა და. ახლა ორჯერ უნდა გადაიხადო! რაცხა ეშმაკათ სოციალისტათ ჩევეწერე, მივყავი ხელი ახალი სტილის ამბებს, მე ვიფიქრე—ყველა განათლებული ხალხი ახალი სტილით იხდის და მე ამათ წავბაძავ-მეთქი. გედევიხადე ახლით ახალი წელიწადი; კარგადაც ვიქეიფე,—დავპატიჟე ყველა ჩემი ახლომახლო ამხანაგები.

მე მეგონა—გათავდებოდა საქმე ამით. მაგრამ არ შეგჭამოს ჭირმა. მოვიდა ძველი სტილით პირველი იანვარი, ამიტყდა დედაკაცი: ახლა ჩემი ახალი წელიწადიაო და უნდა მოვეპზადოთ, მე უთხარი: გენაცვალე ეფროსი, ერთხელ ქე გადავიხადეთ და მეორეთ რატომ გადავიხადო მეთქი!

მაგრამ აღარ მომცა საშველი; თუ ახლა ჩემთვის არ გადაიხადე,—ახლავე გაგეცლევიო!

იმე, გამიჩნდა ცეცხლი გულზე, რა ღას ვიზამდი. დავეთანხმე; ვიფიქრე, მართლა არ გამექცეს და უარესი ხარჯი არ მომცეს მეთქი; (მეორეჯერ ცოლის შერთვას ხომ დიდი ხარჯი უნდა!?).

მივეცი ნება. დაერია და სულ გასწყვიტა ბატი. ინდოური. ქათამი, გოჭი, (ვაი მის გამომცემელს მოტყდა კოჭი) ხო და ასე არის ჩემი საქმე ჩემო ძმაო და შენ კი მეუბნები რა გაწუხებსო, მეტი რაღა შემაწუხებს, თუ ორი ახალი წელიწადი ვიხადე, ორი შობა, ორი ნათლიღება, ორი აღდგომა, ორი ქორწინება, მაშინ ორმოცი ჩაფი ღვინო კი არა, ორმოცი საპანე რომ მომივიდეს, მაინც ვერაფერს გავხდები,

ო-და თუ არ დავანებე თავი სოციალისტობას, ჩემი საქმე ძალიან ცუდათ არის,—ვერ გაუძლებ წელიწადში ორ-ჯერ „პრაზდნიკების" გადახდას.

მეორე გლეხი:—მართალია ძმაო, მართალი: უბედურებაა ეს ორ-ორი დღეობები,.. მარამ რას იზამ უნდა გაუძლო, ჭირსაც გაძლება უნდაო. მაგრამ ერთი რამ მომწონს მე:

პირველი გლეხი: რა არ მოგწონს მითხარი, ბიჭო? იქნება მეც დაგეთანხმო!

მეორე გლეხი:—რა იყო და ის, რომ ზოგიერთი ჩვენი პროვინციის პასუხისმგებელი პირები ჩამოდიან სოფლად და ესტუმრებიან მაინც და მაინც იმ დღეს, როდესაც შენ არ გინდა გადაიხადო და შენ ცოლს კი უნდა მერე ოჯახის დაქცევა. ქე-მაინც აუხსნან იმ შეუგნებელ ცოლებს, რომ არ კარგა ძველი ადათი და ჩვეულება; კი არ უნდა მიუჯდეს სუფრას და არ უნდა დეიწყოს დღეგრძელობა, მილოცვა მირა რა ენაღვლება, ბიძია,—ასა თითის პურ-ღვინოზე ავალიანი ცეკვას შვებოდაო.

მეორე გლეხი: — ეგეც მართალია. რაღა მაშინ გაახსენდება ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ"?, რაღა მაშინ მიუნდებათ სოფლის მეურნეობაზე მასხარობის გაკეთება? სხეიმის მოვიდეს, მაგრამ რა ენაღვლებათ ორ კურდღელს იჭერენ ერთად ახლით ქალაქში ქეიფობს, ძველით კი სოფელში. იმის მაგიერათ, რომ უთხრან რამე ჩვენს შეუგნებელ დედაკაცებს,—სადღეგრძელოს ჭიმავენ და სანსლავენ ჩემს მოყვანილ ღვინოსა და პურს.

თეკლეს ბიჭი.

# ცნობათა მიღება



**ბ. კოლას** (ბათუმი): ადგილობრივ ცხოვრებიდან სხვა მასალები მოგვაწოდეთ. ესენი არ გამოგვადგა. წარწერების მოთავსება უკეთესია ხახატების ქვეშ.

**მეტეორს** (ქარახი): იწერებით, რომ:

> სამკითხველოს სტანჯავს
> ფიქრი მეტად მწარე;
> მის გაზეთებს, ჟურნალს
> ქარი ათრევს გარეთ...
> აქ ძველ შენობასა
> წვიმა ანადგურებს..
> ქარხკომი კი ხედავს,—
> და არ იბერტყს ყურებს...

საკვირველია: ქარი, რომელიც სამკითხველოდან ჟურნალ-გაზეთებს იტაცებს, რატომ არ „იჭრება" ქარხკომის „ყურებში"? ალბათ იჭრება, მაგრამ „ერთ ყურში შედის და მეორეში გამოდის". ვნახოთ ამის შემდეგ როგორ „დაიბერტყავს" ყურებს ქარხკომი. თუ საშველი არ დაადგა, ყურების დაბერტყვას, იმათი დაბერტყვა სჯობია.

რაც შეეხება კულტკომისიას, რომ

> ასი თუმანი ფული
> დათომ გაგვიქაფა....
> შემოსთვალა შემდეგ:
> — დააწერეთ დაფას!..

პატიოსნათ მოქცეულა: დაფაზე დაწერილი დიდხანს გაძლებს (მას შეეძლო შემოეთვალა—ყინვაზე დააწერეთო!).

**კ-ოს.** (ფოთი): თქვენ გვატყობინებთ, რომ:

**„ამჟამად ფოთის სამასალო საწყობს ჰყავს ოთხი გამგე და არ იციან რომელია მათ შორის პასუხისმგებელი. ამიტომ ადგილკომი სთხოვს ლევარსი როხროხაძეს გამოარკვიოს ეს საქმე".**

ლევარსიმ თავისი საკუთარი ხელით ასე წააწერა:

**გადაადუღეთ ოთხივეს თავი ერთად და, შეიძლება ერთი ხეირიანი, საშუალო თავი მიიღოთ (თუმცაღა იმედი არა მაქვს!).**

დაუჯერეთ ლევარსის; სინჯეთ, ეგებ რამე გამოვიდეს.

შემდეგ ნოეზე სწერთ, რომ ავტორზე ბრაზობს და ურჩევთ:

> თავის მართლება შოვის წავა,
> ტყვილი იქნება წადილი.
> სახლში წასვლა სჯობს ადრიან,
> არ გაუცივდეს ხადილი.

კარგი რჩევაა. ალბად ჰასეც მოიქცევა.

**ვაზს** (კარდანახი): არ დაიბეჭდება.

**წიგნობარს**: თქვენი ლექსი მხოლოდ ერთ ალაგას არის კარგი:

> აფრინდა ქორი, აფრინდა,
> არაგვი ჩაინადირა;
> მცხეთას დაეცა დედალსა
> ავჭალას მტვერი ადინა.

ეს ხომ ხალხურია?—სთქვა ლევარსიმ და ... თარლა იგი:

> აფრინდა თქვენი წერილი
> და გადაფრინდა გოდორში;
> ცხვირით დაეცა მის ფსკერზე,
> რაც მოუვიდა ხომ მიხვდი!

— დედალს შენ კი არა, მეც კი ვადენ მტვერს!— გაიკვირვა ლევარსიმ,—და მით უფრო მაშინ, თუ იგი მოხარშულ-შემწვარია.

პატიოსანი.... პატიოსანი კი არა, სულგრძელი ყოფილა ის ქორი, რომელმაც დედალი მცხეთაში დაიჭირა და ავჭალამდი პირი არ ახლო.

შესაძლებელია, შეეშინდა და იმიტომ გამოფრინდა ავჭალისაკენ. ის და ავჭალის ქალებში უკეთესათ შეექცეოდა დედალს.

**ქასნარელს** (გამოჩინებულის თემი. სადგ. საჯევახო): თუ ის არ შეიძლება, რომ ნოქარი:

> ლამაზ ქალებს შესთავაზებს
> და ხელს მოხვევს შიგ კლავშია;
> მსმენელები სიცილს მორთავს
> ურა ურა და ...ძია,—

არც ასეთი ლექსის წერა შეიძლება:

> ალმასკომს მივულილინოთ.
> და ვნახოთ საქმე რაშია?
> ესტატე გლეხებს აგინებს,
> ისე ისტუმრებს სახლშია.

მართალია: ასეთი ლექსის წერა არ შეიძლება, მაგრამ, არც ეს შეიძლება:

> სამკითხველოს ალარ გვილებს
> ეს ჩვენი გამგე ილია.
> გაზეთები ალარ მოგვდის,
> გლეხები მოწყენილია.

აი, ეს კი შეიძლება და ძალიან კარგიც იქნება, თუ:

> ჩემო სტვირო დაისვენე,
> და შესწყვიტე მაგი სტვენა.
> მქონდა ენის მე ქავილი.
> მოვიფხანე ამით ენა.

**მაშტის** (ხონი): რასაც სჩადიხართ, ისიც კმარა,—და რაღას აქვეყნებთ.

**გვლალატობს ამ დროს ელნათურის ხუსტი ხინათლე**
**და ჩვენს კინოში შეიძლება აურ-ზაური..**
**ჩაღდება უცბათ არშიყობა, კოცნა ქურდული...**
**ვინ, ვის „უპწკინა", არ იციან არის ხმაური...**

თქვენ ტყვილათ გგონიათ, რომ ხონის კინოში ყოფილიყო ოდესმე შოთა რუსთაველი და იქ დაბადებულიყოს თავში „ვეფხის-ტყაოსანი"-ს შესავალის შემდეგი ალაგი:

> მძულს უგულო ხიყვარული,
> ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

**რადიო-მსმენელს** (ს. ენისელი): რას ერჩით ალმასკომის თავმჯდომარეს, რომელმაც უარი განაცხადა ქალთა სადელეგატო კრებაზე მოხსენება გაეკეთებია და ამის მიზეზათ ის დაასახელა, რომ:

**„მალე საბჭოების არჩევნები მოხდება. თქვენ გინდათ, რომ ჩემი მოხსენებით ვისმეს ვაწყენინო და ხელახლათ თავმჯდომარეთ ალარ ამირჩიონ"...**

აი, ასეთი წინდახედული და შორს-მჭვრეტელი კაცი ყოფილა თქვენი თავმჯდომარე! რასაკვირველია: მომავალ არჩევნებშიაც გაიმარჯვებს (იმედი ჰქონდეს).

**„არ გეწყინოს"** (ჩიბათი): შენ თუ არ გეწყინება, ჩვენ რა გვენაღვლება, თუ:

> ნესტორი და ქრისტოფორე
> ხასწორზე სწონენ ხელებსა.
> თუ შევნიშნე და ვუთხარი,—
> გვერდებსა გამიცხელებსა.

**პროგრესისტს**: მოგვყავს თქვენს ლექსიდან შემდეგი:

> იქით გორა, აქეთ გორა
> შუაში მთაა ნისლიანი.
> დავთვერი და ჩემი ხელით,
> ხახლი დავწვი ისლიანი.

ყოჩაღ! კარგი გიქნიათ. მეოცე საუკუნეში, როცა ნიუ-იორკში ცათამბჯენები ზეცას სწვდებიან, რა საჭიროა ისლიანი ქოხ-მახი. ჭეშმარიტათ დიდი პროგრესისტი ხართ.

# „ვარიეტე“

## კინოში





1. შვილი:—მამილო, შენ რატომ არ უკერავ დედიკონას დახეულ ჩულქებს?! აი, ხომ ხედავ იგი ძია როგორ შვრება!?

დედა:—მაგრე, შვილო, მაგრე,—ჭკუა ასწავლე მამაშენს! ეგებ მიხვდეს, თუ როგორ უნდა ცოლს პატივისცემა და მორიდება!

2. შვილი:—მამილო, სხვა კაცი რატომ ჰკოცნის იმ ქალს!

მამა:—ისე... ისე... მისი... მოყვარეა;;; მეზობელია;;;

შვილი:—შენ რომ კოცნი და ეხვევი, როცა დედა სახლში არ არის, დედი-და თამროს ისე ყოფილა აქაც!






3. შვილი:—შეხე; შეხე... ეხლა ქალი ეხვევა იმ კაცს... დედიკო, შენ რომ ძია სანდროს ეხვევი და ჰკოცნი, როცა მამა სამსახურშია... აქაც ისე არის.

ქმარი (ცოლს):—ოჰ! შე გარყვნილო, შენა!

ცოლი (ქმარს):— მეხი კი დაგაყარე მაგ თავში, შე გათახსირებულო შენა (ერთმანეთს სცემენ).

შვილი: (სტირის) ვაიმე მამააა... დედაა!

კვირა. 22 იანვარი 1928 წ. № 136 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## „მომარაგება“




— ეს რა ამბავია, რომ ამ დილა-ადრიან ჩვენი დაწესებულების წინ „სასწრაფო დახმარება“ დგას?!
— ეს იმიტომ, რომ დღეს გამოცხადებული იქნება შტატ-შემცირებულთა სია.

# ციხე შიგნიდან გატყდება

ბოლო დროს საგრძნობლად გაუარესდა კერძო ფურნეებში გამოცხობილ პურის ღირსება.

იმ დროს, როდესაც მეფურნე იოსება მშვიდობიანად ხვრინავდა ლოგინში და სიზმარში თეთრი ფქვილით გატენილ ტომრებს ხედავდა, სხვენზე დედალი ვირთხა — კუსია მიდგომოდა ფურნიდან ამოთრეულ სილანარევ პურის ზორბა ნაჭერს და გემოიანად ხრავდა.

კუსია მადლიერი იყო თავის ბედის, ამიტომ ხან გულში და ხან ხმამაღლა გულწრფელად იმეორებდა:

— ღმერთო, შენ მიეცი ბარაქა ჩვენს იოსებას, მის შვილებს და შვილისშვილებს... აავსე დოვლათით მათი ოჯახი, ისე როგორც სავსეა იოსებას პურით ამ სხვენის ყოველ ვირთხის სორო... შეუწყვე ყოველნაირად ხელი მეფურნეობის საქმეში, მიეცი გამოულეველად პურის ქვილი რომელი ხარისხისაც სურდეს და ააშორე სამუდამოდ წუნია და მონისიე მუშტრები!...

ასე იმეორებდა ვირთხა — კუსია. ქვევით კი მეფურნე იოსება განაგრძობდა ხვრინვას და სიზმარშიაც აზრად არ მოდიოდა, რომ სხვენზე ვირთხები მის ოჯახის დოვლათზე ლოცულობდნენ.

კუსიამ უკვე შეხრა ნაჭერის ნახევარი, თაჯი გამაძღარად იგრძნო და ის იყო მეზობლისაკენ უნდა გაადმბტარიყო სალაზღანდაროდ, რომ გემოს ჩასატანებლად ერთი კიდევ გაუქნია კბილი ნატეხს და უეცრად პურის გულში რაღაც თოკის მსგავსს წააწყდა.

კუსიამ ცნობისმოყვარეობით გამოსწია იგი და არ გაუვლია ერთ წამსაც, რომ საშინელ შეცხადებამ შესძრა მთელი სხვენი.

— ვაი... ვაი... ვაი;;; ამას რას ხედავს ჩემი თვალები!..

ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს კატამ გაირბინა სხვენზეო, (რაც ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან კატას იოსებამ დიდი ხანია გააგდებინა სულთ ხორცის ერთ პატარა ნაჭრის გულისათვის).

— ვაი... ვაი!—იცხადებდა კუსია.

— რა იყო?.. რა ამბავია?!—მორბოდნენ ყოველ მხრიდან დიდი და პატარა და კუსიას ეხვეოდნენ გარშემო.

კუსია კი უკვე გულწასული ეგდო იატაკზე. ამ სურათის დანახვაზე სხვენზე იყეთი ორომტრიალი დადგა რომ ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა.

შეიძლება, ასეთ აურზაურში გულწასულ კუსიას აღარც კი ძოებრუეებია პირი ამ ქვეყნისაკენ, რომ კრიტიკულ მომენტში ერთ ვირთხას, ლიპიას, არ გამოეჩინა ფხა.

— დეიხით უკან!—შეუტია მან მოზღვავებულ ხალხს,—ხომ ხედავთ ადამიანი გულწასული გდია!... მიეცით ჰაერი!... დეიხით უკან, ძე ძაღლებო გელაპარაკებით!..

მალე ლიპიას სხვებიც მიეშველნენ და საკმაო ხნის შემდეგ შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა.

ამასობაში კუსიამაც გაახილა თვალები.

— მომკალით ბარემ, ვინა ხართ ქრისტიანი! მომკალით!— დაიწყო ისევ მოთქმა კუსიამ.

საერთო ძღელვარება მატულობდა, თუმცა არავინ იცოდა, თუ რაში იყო საქმე.

— რა იყო, ქალო, რა ამბავია!—კითხულობდნენ გარშემო შემოხვეულნი.

— ვაი ჩემს მოსწრებას და სიცოცხლეს.... ღმერთო შენ ამოაგდე ძეფურხე იოსებას გვარი და ჯილაგი ძირიან-ფესვიანად!... შამაო უფალო. შენ დამართე მის შვილებს და შვილისშვილებს ის ამბავი, რაც მან ჩემს წრიპიას დამართა.

აქ კუსიამ თოკის მსგავსს ნაჭერზე მიუთითა:

— შეხედეთ, ეს ჩემს საყვარელ წრიპიას კუდია!? აი ამ პურის ნატეხში ვიპოვე მე იგი. რაღა მეშველება აწი მე ბედშავს... დღე და ღამ იმის ოცნებაში ვიწვი, გამეზრდება და სიბერის ჟამს პურის პატარა ნატეხს მეც მომაწვდისთქო და ამის ნაცვლად კი რას ვხედავ... წრიპია, ბიჭო, რა მიყავი ეს? რა დაგემართა შეუბედურო იმისთარნა, რომ მხოლოდ შენი კუდი-ღა ვნახეთ მარტო?!

— მთელი დღე სოროში არ მოსულა... ვფიქრობდი მეზობელ შენობაში თუა გადასული, იქ ერთ სამიწე გოგოს იყო გადაკიდებული და დილას ისევ დაბრუნდებათქო... რა ვიცოდი თუ ასეთი ბედი შეემთხვეოდა და იოსება პურში გამოაცხობდა შეუბრალებლად... ვაი..; ვაი;;; შენს დედას, შვილო!;;;

— კი მაგრამ, თავი და ტანფეხი რაღა იქნა?—გაკვირვებით იკითხა ერთმა.

— ცხადია რა იქნა!—უპასუხა მეორემ.—პურის გაჭრის დროს ალბად მეორე ნაჭერში მოხვდა და პურთან ერთად ვინმე მუშტარს ხვდა წილად!...



სანიტარი (მიცვალებულს): მე [illegible] შენა, რატომ არ დაიცადე ჩვენს მოსვლამდის?!

მიცვალებული: მე თქვენ მთელი კვირა გიცადე, თქვენს მოსვლას საშველი არ დაადგა და, უკაცრავად, მაგრამ ვეღარ ავიტანე მეტი!

# უმოკლესი გზა

„ქუთაისელ რკინის-გზელებს ავათმყოფობის დროს დახმარებისთვის მიმართვა უხდებათ სამტრედიაში“.
(მუშკორის წერილიდან)




ავადმყოფი რკინის - გზელი: მგონი სამტრედიამდე ვერც კი მივაღწევ... უახლოესი ხადგური საიქიოა...

---

ამ მოსაზრებამ მთელი აღშფოთება გამოიწვია. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ წრიპიასთან ერთად დაკარგულა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ვირთხაც და მათი ნაწილებიც მალე იქნა აღმოჩენილი პურის სხვა ნატეხებში.

ძაღლებმა მეორედ იყივლეს. ქვევით იოსება კი ისევ სიზმრებში იყო გართული. მაგრამ სიზმრებმა ახლა თითქოს ცუდი ხასიათი მიიღეს. თეთრი ფქვილით გატენილი ტომრებ გაქრენ და მათი ადგილი დაიკავა სოფლიდან ჩამოყვანილი მოჯამაგირემ, რომელიც სულთამხუთავით დადგომოდა თავზე იოსებას და ემუქრებოდა:

— კავშირში ჩამწერე... დამაზღვევე... ჯამაგირი დამინიშნე... მამუშავე რვავ საათი... მომეცი გასასვლელი დღე... ერთი თვის შვებულება... როცა ავათა ვარ არ მამუშავო... ცუდათ სიტყვა არ მაკადრო... დედა არ შემაგინო... წინაპრების ძვლები არ ამოიღო საფლავიდან!.. როცა ცომში მაქვს ხელები, წიხლი არ მკრა... მუჯლუგუნის კვრა ხომ არ გაბედო დაარგაბედო!...

იოსებას სული ეხუთება, მაგრამ მაინც განაგრძობდა ძილს. ამასობაში სხვენზე ვირთხა—ლიპია ასე ამხედრებდა აღშფოთებულ საზოგადოებას:

— ამ საქმის ასე დატოვება შეუძლებელია... გუშინ წრიპია თუ წრუპია დაიღუპა... დღეს ან ხვალ ჩვენც დავიღუპებით. სად არის გარანტია, რომ თანდთან მეფურნე იოსება ყველა ჩვენგანს თავის ფურნეში არ გამოგვაცხობს?!? ეს მისთვის არც ძნელი საქმეა და არც საზარალო... ყოველდამ რომ ხუთ-ხუთი ვირთხა გამოაცხოს, ეს უკვე ზედმეტ 20 გირვანქა პურს უდრის, და სამიოდე კვირაში ჩვენც მოგვეღება ბოლო... გარდა ამისა, თავი რომ დავანებოთ იმ საფრთხეს, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს მოელის, ამის შემდეგ ვერც ერთ პატიოსან ვირთხის კბილი ვერ გაეკარება იმ პურს, რომელშიდაც ჩვენი მოძმეები არიან გამომცხვარნი!

— მართალია!... მართალი!—გაისმოდა საზოგადოებაში.

— ამიტომ ასე გაჩერება არ გამოგვადგება. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ იოსებას, რომ არ მოვითმენთ ისეთ პურის გამოცხობას, როგორსაც ის აცხობს დღეს. ჩვენც ხალხნი ვართ. და გაჭირვების დროს ჩვენც მოგვიხდება გზას სანიტარულ კომისიისაკენ. მეტის მოთმენა შეუძლებელია... კუსიას უბედურებამ ყველა ჩვენგანს უნდა დასწვას გული!...

გათენებისას სხვენზე უკვე ვრცელი განცხადება იქნა შედგენილი სათანადო უწყების სახელზე.

ნაწილი ამ განცხადებისა ამბობდა ასე:

....„ნუთუ ამისთვის ვიბრძოდით და ვღვრიდით სისხლს?... ჯერ იყო და პურში მჭადის ფქვილი გაგვირია. შემდეგ ნაცარიც მიაყოლა, შემდეგ სილა და ხოჭოები, შემდეგ პირდაპირ მტკვრის ნაპირიდან მოტანილი ხრეში და ბოლოს ჩვენი თანამოძმეებიც გამოაცხო შიგ. ამის იქით წასვლა შეუძლებელია. ამიტომ, მოგმართავთ რა ამ განცხადებით, გთხოვთ მიაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება და რაც შეიძლება საჩქაროდ მისცეთ წინადადება მეფურნე იოსებას, რომ თუ მეფურნეობა სურს გამოაცხოს ისეთი პური, როგორც წესი და რიგია, თუ არა და გადასცეს თავისი ფურნე მუშკოოპს. ბოლოს დაბოლოს, ვინც რა არ უნდა თქვას, ჩვენი კუჭიც კუჭია, და შეიძლება უფრო ნაზიც, ვიდრე იოსებას ზოგიერთ მუშტრების“...

აი, ასეთი ამბავი ხდებოდა სხვენზე. ქვევით კი ხელპირდაუბანელი იოსება მოჯამაგირესთან ერთად შესდგომოდა თავის საქმეს და ცდილობდა ერთ ფუთ ფქვილისაგან როგორმე 15 ფუთი პური გამოეცხო.

ის კი არ იცოდა, რომ სხვენზე უკვე საღერძო მარკას აკრავდენ განცხადებას.

ხინჯმატო.

# საქულა და ტელეფონისტკა

**საქულა:** (ტელეფონის მილი ხელში უკავია და ძალიან ღელავს): — ტენტრალნი შენ და ასტუწუკრაკ. საათნახევარი გირეკამ და შენ კი ეხლა მიპასუხებ?! ესეც ერკოოპის მაღაზია არის, რომ საათობით ოჩერედში ვიდგე?! რა, მოროზოვის მიტკალსა ჰყიდი, თუ შტიგლიცის შევიოტს?

**ტელეფონისტკა:** — რას იგინებით ავლაბრელ კინტოსავით?

**საქულა:** — მა არა და შენმა მზემ, ორივე ლოყეპს დაგიკოცნი მაგნაირ პარიადკებისათვის? საათნახევარში მთელ ქალაქს შემოვივლიდი ფეხით და შენ კი ჩემი თავი ჩემ ცოლ მაქთალინას ვერ შეუერთე. სულ ოცი საჟენია აქედან—აი!

**ტელეფონისტკა:**—შენობით თქვენ შეგიძლიანთ თქვენ ცოლს ელაპარაკოთ და არა მე, რომელიც არც როდის თვალითაც არ გინახამთ.

**საქულა:**—შენ ჩემ ცოლზე რითი ხარ უკეთესი? ხმაზედაც გეტყობა რა სიფათის პატრონიც იქნები. ერკოოპის მერძევეს ტრუბასავით რომ სჩხავი, მემრე რაჟა სჩხავი?! ვინ გინდა რომ შეაშინო შენი ქორფა - ნუბგარი ხმით? მოგიქნია ყბები ძაღლის ქონით და სწრიპინებ მოშლილი არღანივით. ტი მნოგა ნი რასუედაი! დავაი ნუმერ 20—98.

**ტელეფონისტკა:**—ვი უჟასნო გრუბი ი ნევოსპიტანი ჩელოვეკ... ვაშ ნომერ გოტოვ.

**საქულა:**—გრუბი? შენმა მზემ, მა არა და შენი ხათრისათვის კატო ყულჯანოვის პანსიონში მივებარები, რომ ვასპიტანიე ვისწავლო და რევერანსები გაგიკეთო (ტელეფონში): მაქთალინ, შენა ხარ? ერთი გოგოჯან, ხმა ამოიღე და ეს დასიებული ჯიგარი ჩამირეცხე... ჰა, რა ხრინწიანი ხმით ლაპარაკობ — ოპერაში შესასვლელათ ხომ არ ემზადები? არ გაგიჟდე და მაგნაირი რამ არ ჩაიდინო!

**უცნობი ხმა:**—თქვენ ვის ელაპარაკებით? აქ ჩვენ მაქთალინები მიწის ქვეშ გვყავს!... ეს ხოჯევანქის სასაფლაოს კანტორა გახლავთ და თუ ვინმე გყავთ გამოსასვენებელი, საქმეს მოგიწყობთ — ექვსი ბეზრაბოტნი ტერტერა ოჩერედში დგანან და მუშტრის მოლოდინში მაყალთან თბებიან.

**საქულა:**—თუ ძმა ხარ, მაგ ტელეფონს ნაზატი მიეცი, რომ იმ ნამუს ჩამორეცხილ ტელეფონისტკას ნუმერი გამოვაცვლევინო... ცენტრალნი?... ბარიშნა, შენა ბრძანდები? შენ, თუ ჰკვა გაქვს კონკრობოსტოს კარობკაში, ცოტა რიგიანათ იყავი და ყბას ნუ გამალებინებ, თორემ ისე მოგნათლამ, რომ ტკვარმა ვეღარ გაგრეცხოს... დავაი მნე ნუმერ 20—98; ხოჯევანქს კი მამაშენი შეუერთე.

**ტელეფონისტკა:**—სლუშაიტე, ჩტო ვი პრისტალი კა მნე კაკ ბანნი ლისტ?! ესლი ნე პერესტანეტე ხამიტ, ტო სვაშიმ მაქთალინომ ვამ სევოდნია ნე უდასტსა პოტელეფონუ ლიუბეზნიჩატ.

**საქულა:**—შენ აბანოზე ლაპარაკს თავი დაანებე. ეგ ნუმერი არ გაგივა; მე ჩემ მაქთალინას მერი პიკფორდზე არ გავცვლი და შენ კი აბანოებზე მელაპარაკები? დავაი მნე ნუმერ 20—98 ი ბოლშე ატ ტებია ნიჩევო ნი ხაჩუ.

**ტელეფონისტკა:**—კაკოი ვი ნესნოსნი ჩელოვეკ? კაკ ვაშა ჟენია მოჟეტ სვამი ჟიტ?!? ვაშ ნუმერ გოტოვ.

**საქულა:** კაკ მოი ჟინკა სამნოი ჟივიოტ ტებე ნე კასაიცა; ნაში სემეინი სეკრეტ მი დლია სებე პრიაჩიმ.... მაქთალინჯან, სტუმრები გყავს სახლში? ეგ რამდენი კაცი ლაპარაკობს ტელეფონში? ვა, კაცო, რა ხმაურობა მესმის? ორბელიანის ობშჩი აბანოა, თუ ტელეფონი? ვინა ლაპარაკობს?

**ხმა კოლია ივანიშვილისა:** — სამტრედიის კვერცხებზე კირილე კაკაბაძე დაჯდა; ცხინვალელებმა ავანსები მე გამომართვეს და ვაშლი კი მოსკოვში გაყიდეს; შვეიცარიის ყველი ბორჩალოს აღმასკომმა რუსეთში გაგზავნა და მე კი მეუბნებიან:—ძროხის კუდები და იხვის ტყავები გაიტა საზღვარგარეთ გასასყიდათო,—ეს ექსპორტია? ეს პარიატკებია?.. ალლო. ვინ მიშლის ლაპარაკს? დიახ, ძე ზაკგორსტორგი ვარ...

**საქულა:** შენ პირს შაქარი. თუმცა მე მაქთალინა მინდოდა, მაგრამ შემთხვევით ვისარგებლებ და ერთ კარგს პრედლაჟენიას ვიზამ. მე მინდა ზაგრანიცაში ერთი იცოდე ტელეფონის ჩინოვნიკები გავიტანო და მაგიერათ შემოვიტანო ტელეფონის ახალი მართულები და მაშინები; თუ ძმა ხარ, კოლაჯან; ეს საქმე როგორც იყოს მომიწყე და მადარიჩი ჩემზე იქნება.

**ივანიშვილი:**—თქვენ მაგ საკითხზე მოელაპარაკეთ ნარკომტორგს, რომ ექსპორტნო-იმპორტნი პლანში შეიტანონ თქვენი წინადადება; უამისოთ ჩვენ არაფერი შეგვიძლია.

**საქულა:** — მადლობელი ვარ. თუ ძმა ხარ, ერთი ტელეფონს აბრატნი მიეცი, რომ მაქთალინას გამოუძახო.... ცენტრალნი? ბარიშნა. რა დაგიშავე, რომ ასე მაწვალებ? მე განიერი შარვალი მაცვია და დოშლუღური ახალოხი, წელზეც გობაქიანი შვიდგირვანქა ნიხევრიანი ვერცხლის ქამარი მარტყია. ჩემი კარტიჩკა რომ ნახო, ცხვირს მოფსიკა ძაღლის კუდივით აიწევ მაღლა. რას მეხუმრები? შენმა მზემ, მე შენ ეუნიხათ არ გამოგადგები. რას მატრიალებ ხმალაძის სემაფორივით? დავაი ნუმერ 20—98, შე რჯულიდან ხელ-აღებულო რაღა!

**ტელეფონისტკა:**—საედინილა!.. ნახალ!

**საქულა:**—მაქთალინჯან, ძლივს მე და შენ საედინენიე არ გვიყვეს! ტერგევურქამ ჩვენ კარმირ - ავეტარანის ეკლესიაში ნახევარ საათში ჯვარი დაგვწერა და ჩვენ ტელეფონით საედინენიეს კი მთელი დღე მოუნდა. გოგოჯან, თუ რომ ტერტერა მოვიდეს საწყალკურთხევოთ სახლის საკურთხებლათ, სახლი აკურთხებინე, შვიდი მანეთი ხურდა გამოართვი და უთხარი ჯამაგირის მომატებამდის თუმანი ჩემზე დაწეროს... ვა, ესეც რამეა? ჩემ სახლში ვაჟკაცს რა უნდა კაცო? ვინა ლაპარაკობს?

**მამაკაცის ხმა:**—კავო ვამ ნუჟნო? უტელეფონა ნაჩალნიკ ტელეფონოი სეტი.

**საქულა:**—შე მამაცხონებულო, ტელეფონს სეტი რათ უნდა, ქუჩის ძაღლებს ხომ არ იჭერ ზრზრიანცივით? ტავარიჩ ნაჩალნიკ, ქართულათ ნათქვამია—**ქათამმა წყალი დალია და ინდაურს შეჰყურაო.** არ იქნება რომ ერთი მოწყალების თვალით ჩვენც გადმოგვხედო? ჩვენ პოლნოვლასტნი გრაჟდანინები ვართ, თუ შენი ტელეფონისტკების იგრუშკები? მე ჩემ ოჯახობას მინდა დაველაპარაკო და შენ ტელეფონისტკას კი კატაფალკის ცხენივით ჩემი თავი ხოჯევანქისაკენ მიაქვს. განა ეს დისციპლინა არის? მაგისთვის ვიბრძოდი სოღანლუღის ფრონტზე, რომ შენმა ტელეფონმა ჩემი ნერვები საბედოს ყაჰის ძაფით აწეწოს? სამი საათი ვეწვალები და ერთი ნომერი ვერ შევაერთებინე.

**„ნაჩალნიკი“:**—თუ რომ გინდათ სწრაფათ შეერთება, თქვენი ტელეფონისთვის სააპარატოში შეიძინეთ წითელი ლამფა, და მაშინ სიგნალიზაციით მალე შააერთებენ თქვენ ტელეფონის ნომერს სხვა ნომრებთან რიგის გარეშე.

საქულა:—კაცო, მე წითელი ლამფა რათ მინდა? ზაევედენიას ხომ არ ვაღეფ, რომ ჩემ ნუმერს წითელი ფანარი გაუკეთო. თუ ძმა ხარ უბრძანეთ, რომ მომცენ 20—98.

„ნაჩალნიკი“:—დარეკეთ.

საქულა:—მაქთალინჯან, სინამდის შენთან საიდინენიე მიყვეს, მე როგორც კელეპტარი ისე დავდნი... ამ ორ-სამ საათში 14 გირვანქა ქონი დამიდნა:.. მაქთალინა არა ხარ: მა რა ზაჰრუმანი ხარ? ბალნიცა?... რა ბალნიცა?... ფსიხიატრიაჩესკი?.., ტოესტ გიჟების ბალნიცა ხარ რაღა?;;; დიახ, ვერავარ ქკვაზე კარგათ... მარტო მე ხომ არა ვარ ავათ.... ეს ეპნდემიჩესკი სატკივარი არის თბილისში.... ვისაც რომ ტელეფონთან საქმე აქვს, იმათ სუყველას ტვინის კნოპკები უფუჭდებათ... ექიმმა მითხრა ამ სატკივარს ლათინურათ ვეძახითო: „ტელეფონიზმუმ პერპეტუმ დანჯღრეულუმ“... მამაჩემო, შე სულით განათლებულო, რა ბედნიერი კაცი იყავი, რომ ტელეფონით ლაპარაკი არ იცოდი.

მშვიდობით ჩემო კოხტა მაქთალინო; შენ სამუდამოთ დაჰკარგე შენი აზიზი საყვარელი ქმარი...

„ვინმე“.




ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი გაზეთების ახალ ამბებს და ქრონიკებს, იგი აუცილებლათ შეამჩნევდა, რომ ამ ბოლო ხანებში (ესე იგი ზამთარში) ძალიან გახშირდა ადუღებულ სამოვრების ქურდობა.

მე ეს ამბავი მიკვირდა.

და საკვირველიც იყო ჩემთვის.

მარტოხელა კაცი ვარ ჩაის იშვიათად თუ დავლევ სახლში. არ იფიქროთ თითქოს სამოვარი არ მქონდეს!

მაქვს, მაგრამ ერთი კაცისათვის არც კი ღირს მისი „ხლაფორთი“, ანუ ადუღება.

თუ მაინცდამაინც მომინდა სახლში ჩაის დალევა, „კერასინკაზე“ ავადუღებ; მორჩა და გათავდა.

ჩემი ბინა პატარაა... და, ამიტომ, სხვა ხიბაკებთან ერთად, სამოვარიც აივანზე მიგდია.

აივანი ქუჩაშია: მაშასადამე: ჩემი სამოვარი ქურდებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ..

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ...

აქ რაღაც საიდუმლეობაა და, თუ გნებავთ, ძაღლის თავიც არის დამარხული.

მაინცდამაინც დიდი ნაცნობობა არა მაქვს ქურდებთან.

მაგრამ ამ მოვლენამ ისე დამაინტერესა, რომ მე გავიცანი და „დავუმეგობრდი“ რამოდენიმე პროფესიონალურ ქურდს, რომ გამეგო „ადუღებულ სამოვრის საიდუმლეობა“.

ყველა ქურდებმა, რომლებსაც მე გამოვკითხე მათი კომპეტენტური აზრი იმის შესახებ, თითქმის ერთდაიგივე მითხრეს.

ამიტომ მე მომყავს მათი შეჯამებული სიტყვები:

— თქვენ ტყვილათ გიკვირთ, რომ ჩვენ ადუღებულ სამოვრებს ვიპირავთ!—ასე იწყებდა თითქმის ყველა მათგანი,—საქმე იმაშია, რომ ადუღებულ სამოვრის ქურდობა უფრო ადვილათ მოსახერხებელია.

სამოვარი ჩვეულებრივ დროს ყოველთვის შენახულია შკაფში. ასე რომ, მისი მოპარვა, როგორც ხედავთ არც ისე ადვილი საქმეა.

ადუღების დროს კი იგი (სამოვარი) დერეფანში, აივანზე, ან და სამზარეულოშია.

ამ სიცივეში ყარაულათ არავინ არ დაუდგება სამოვარს.

ჩვენ ქუჩიდან ვხედავთ ადუღებულ სამოვარს (ღამის სიბნელეში ცეცხლის ალი შორიდანაც მოსჩანს), და ასე მოგვაქვს, რომ დიასახლისი და მსახური ღიღინით გვაცილებენ (სახლში მღერიან),—ხოლო მტირალე ბავშები ჩაის თხოულობენ.

მაშასადამე: სამოვრები გამოტანილია „ბაზარზე“ და...

— კი მაგრამ, ამდენი ხანია სამოვარი უპატრონოთ აივანზე მიდგას ქუჩის პირათ და არავის არ წაუღია! — გავიკვირვე მე.

—არ ვარგებულან თქვენი უბნის ქურდები... რომელ ქუჩაზე და რომელ ნომერში ცხოვრობთ, რომ ჩვენ გამოვასწოროთ ჩვენი ამხანაგების შეცდომა?— შემეკითხა ერთი მათგანი.

მე ვიცრუე.—სხვა მისამართი მივეცი.

— შენ რომ სწორ მისამართს მეუბნები, ისე სწორათ იაროს მილიციამ ჩემი ძებნის დროს!— მიმიხვდა იგი და სხვა განაგრძო:

— არის კიდევ სხვა მიზეზი.

ადუღებულ სამოვრის მოპარვის უპირატესობა ისიც არის, რომ იგი მზა-მზარეულათ ჩაისთვის ადუღებულ წყალსა და სითბოს იძლევა.

საღამოს მოპარული ადუღებული სამოვარი ჩაის გვალევინებს, ღამით გვათბობს ორმოებში დამალულებს და დილით კი ფულს ჯიბეში გვიჩხრიალებს— ბაზარზე ვყიდით.

ისიც საქმეა, რომ ვინმე გაჭირვებული იაფათ იყიდის ჩვენგან სამოვარს.

აი, თუ კი ყველა ამას გაითვალისწინებთ, და მხედველობაში მიიღებთ, ძაშინ თქვენთვის არ უნდა იყოს გასაკვირი,—თუ რატომ გვირჩევნია ჩვენ ადუღებულ სამოვრის ქურდობა.

ნუცი.

# „არ შამოკრა ბესარიონს?“

მთელი ქვეყანა დამივლია და ქუთეისისანა წამხდარი ხალხი არ მინახავს. (ზესტაფონი გაასწრებსო, მარა არ ვიცი; არ ვყოფილვარ).

მოსკოვიდან რო მოდიოდე, ბოშო, უბილეთოთ,—რიონის ტანციიდან ქუთეისამდი დაგიჭირავენ.

რალაცა საუბედუროთ და სამამაძაღლოთ რეგისტრაციაში არ ვიყავი გატარებული,—ვოენი სლუჟბას რო ეხება ბოშო! დაგიჭირავენო, დაგხვრეტენო, ოპრუქს მოგიქერენო თავშიო.

რაც მართალია მართალია, შემეშინა. დავკარი ხელი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და წამევედი ქუთეისში. წამევიღე რალაცეები. ხომ მოგეხსენება ხიბაკ - ხუპაკები. გავყიდითქვა, ვიფიქრე. და რო ღმერთი გაუწყრეს შენს მტერს (პირი ქვისკენ მიქნია), დამიჭირონ-თქვა,—ქემაინც ცოტა გროშები მექნება-თქვა.

ტყვილი რო არ გამოვიდე., კაი ხანია არ მჯდარვარ პოეზში. (ქე რა ეშმაკები მინდოდა!)

პოეზში სიარული და ღლიტი-ღლიტინი ჟორდანიამ მომათავებია.

— არიქა თათრები დაგვეცენ. არიქა ბათომი ეიღეს! არიქა დენიკინი! არიქა ლემცები!—და რა ვიცი ათასი უბედურობა იმათ. მივღლიტინობდი ხან იქით, ხან აქით.

ბილეთს ვინ კითხულობდა. ერთი ბოთლი ვოტკით თუ მინდოდა პოეეზს ჩემ სახთან სამ საათს გავაჩერებდი.

ხანდახან ისედაც ჩერდებოდა. ხანდახან კი არა, ბოშო, ერთხელ ტიფლისში მივდივართ ბოლშენიკებს ვეჩხუბებით. (ქეც იმიტომ გეიმარჯვა ჟორდანიამ ჩემი იმედით რო ჩხუბობდა). გაჩერდა ამ წიფაში. შიგ კაკალ ტუნელში არიქა! აქით ეცენ, იქით ეცენ; შენ არ მამიკვდე. მიასვა ფეხები დავით აბუთიძის ცალუღელა კამბეჩივით და ქეა გაშეშებული.

თურმე ნუ იტყვი! მაზუთი არ ჰქონიათ. შეშით არ მიჰყავეთ, ბოშო, პოვეზდი?!. ქე რავა წევიდოდა თუ ღმერთი გწამს ა?! იქანა კაი სამ დღეს დავრჩით. ვერ ვგებულობდით. ვერც გათენებას, ვერც დაღამებას. ქე ვიყავით წამოკუცხული ტურებივით.

მერე, ბოშო, მოაბეს წინ და უკან პოვეზები და მთელი თვე მოუნდით ტიფლისამდი ჩასვლას. თუ ტყვილი იყოს, ტყვია მეცეს კანკრაზ გულში.

ხო და იმას მოგახსენებდი, ჩემო ბატონო. ჩევედი რიონში — ბილეთი კაცს არ მოუთხოვია. არც მე მიყიდია. მეშვიდე წელიწადია გარეთარგამოვსულვარ და მე ისევე ისე მეგონა. ან ქე რა მინდა ტყვილა რო ვიარო იქით-აქით?! ომი არაა და კვერცხები...

გამოვედით რიონიდან. ქი რა მომადგა კონდუქტორი? ბილეთი სადაა! არაყი მქონდა ერთი ბოთლი, იგი ვაჩვენე (ასე ვიყავი ძველათ მიჩვეული.) ქე არ გამსკანჩეს! მიმიყვანეს სადგურის უფროსთან ქუთეისს. გადამასვლევიეს შტრაფი. აწი ქე ვისწავლე ჭკუა, მარა რაღა დროისაა.

გევედი ბაზარში. მინდა ე ხაბაკები გადავასაქმო.

— არ შამოკრა ბესარიონს!—დაიძახა ვილაცა ურიის ბიჭმა. ბიჭოს! მოვიხედე არავინ არაა. ბესარიონი მე მქვია.

— არ შამოკრა ბესარიონს, არ შამოკრა ბესარიონს, არ შამოკრა ბესარიონს!—ასტყდა ყვირილი.

მივხვდი: ალბათ ციგნობენ-თქვა და გავჩერდი, მარა გევიფიქრე: ყველა ყვირის მე რომ გავჩერდე ხო გეიგეს ჩემი სახელი და ამიგდეს მასხარათ-თქვა, და მოვრთე მეც:

— არ შამოკრა ბესარიონს, არ შამოკრა ბესარიონს!

ხმაურობა რო შეწყდა, ამოვალაგე ვოტკიანი ბოთლები და ვუცდი მუშტარს.

ერთი მევიდა: გაშინჯა. არ ვარგაო,—და ქე შეაყოლა.

მეორე მევიდა:—პიმპილი გაგირევიაო. (იმანაც გვარიანად გადაკრა).

მესამე მევიდა. დოუსხი: დალია... წევიდა...

მეოთხე მევიდა. დოუსხი, დალია.... წევიდა.

მეხუთე მევიდა. დოუსხი..; დალია;;; წევიდა..; ყველამ დამიწუნა ვოტკა და ღვინოც;

გულზე ქე ვსკდები რო ვასმევ, მარა ვეოაფერი ვერ გოუბედე; ქარ გამიცარიელეს ამ ოჯაქორებმა ე ტიკჭორა!?

— ყალიონი, ყალიონი, ყალიონი.. უუუ! — აჭყვიოდა ურიის ბავშები.

— აი თქვე მამაძაღლებო!—იგინებოდა ვილაცა მოხუცი კაცი, რომელსაც ფხარზე კოკა ედგა და ხელში ყალიონი ეკავა.

— არ შამოკრა ბესარიონს, არ შამოკრა ბესარიონს, არ შამოკრა ბესარიონს!—გაიძახოდენ ეს ურიის ბელატლები.

— აწი გინდა შამომკარით და გინდა თავში ქვა იეცით-თქვა!

წამოვედი კამისარიატში. იქანა ქე გამანთავისუფლეს.

სახლში რავა გავამხელდი ჩემს სიგლახეს. ასე ვუთხარი: — თავი მოეხსნა ტიკჭორას და დაქცეულიყო!

შიხლინსკი ბომბ.

# „ხშირი სტუმარი“



— არა გცხვენია, რომ კვირაში სამი ღამე კომისარიატში გძინავხ?

— რომ მძინავდეს, კარგია, — მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში ისეთი ხრიალი და ხმაურობაა, რომ ძილი თვალებს არ ეკარება.

ტარტაროზკორებო, შემოკრბით „ტარტაროზი"-ს გარშემო!

# კვაჭარახი

№ 7 „ტარტაროზი"-ს უპასუხო დამატება № 7




## ლოცვის რეკორდი

**იქიდანვე.** მაკდონალდმა 37 საათი გაატარა ლოცვაში. აქედან 29 საათი მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი სთხოვდა ღმერთს ინგლისის მეფის გიორგის დღეგრძელობას და გაახალგაზრდავებას.

მეფემ. ნიშნათ მადლობის გამოცხადებისა. ნება მისცა მაკდონალდს ნეკის ფრჩხილზე ამბორისა.

## ყურების აწევა

**ვარშავა.** გუშინ, ღამით, როცა პილსუდსკი ძილში ბოდავდა: —„**მე ვარ თანამედროვე ნაპოლეონი**", გამოცხადდა ნაპოლეონის აჩრდილი, რომელმაც ყური აუწია პილსუდსკის და ასე უთხრა:



**— რას მიჰქარავ?! სიცხე ხომ არა გაქვს თავში?!**

## სკამზე ვერ ჯდება

**ლონდონი.** ინდოელების მიერ ამოკრულმა პანღურმა ისეთი იარები მიაყენა ინგლისის წარმომადგენელს, რომ ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია სკამზე დაჯდომა და მუდამ ბოლთას სცემს, რაც, როგორც ამბობენ, გამოწვეულია ნიშადურის ამოცხებითაც.

## უიმედო ქორწინება

**პარიზი.** საფრანგეთ- ამერიკის დაქორწინებას კიდევ უფრო უიმედოთ სთვლიან, ვიდრე ინგლის-იტალიისა.

ამბობენ —მალე მოხდება გაყრა და საფრანგეთი ალიმენტს მიიღებს ამერიკიდანო.

## შავი კატა

**ნიუ-იორკი.** ამერიკამ „მოკითხვის ბარათი" (ნოტა) გაუგზავნა საფრანგეთს, რომლიდანაც მოითხოვს ვალების განაღდებას და დაბრუნებას საქორწინო ნიშნებისა.

## „ამერიკული საჩუქარი"

**ვაშინგტონი.** ახლათ გახსნილმა პან-ამერიკულმა კონფერენციამ ნიკარაგუაში საჩუქრათ სამი ჰაეროპლანი ყუმბარები გაგზავნა.

## ყურების ჩამოყრა

**ბერლინი.** მემაღაროელთა მოთხოვნილებამ ყურები ჩამოაყრევინა და ჭამის მადა დაუკარგა მაღაროების მეპატრონეებს.

## ხუმრობა

**ვენა.** სამხერთ-სლავიის წარმომადგენელი პოლიციის უფროსთან პრელიჩი ვილაცამ ხუმრობით დასჭრა სასიკვდილოთ.

პრელიჩი უკვე გაემგზავრა სამკურნალოთ საიქიოში.

# შემთხვევები

**— ფულის ამოცლა.** სახლიდან სამსახურში წასვლის დროს ვაიმისცხოვრებაშვილს მისმა ცოლმა ლორიგინამ ჯიბიდან ამოაცალა უკანასკნელი გროშები (ტრამვაის ფული).

**— უეცარი გარდაცვალება.** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უეცრათ გარდაიცვალა უცნობი მოქალაქე, რომელსაც აღმოაჩნდა სამი ჭრილობა.

**რედაქტორის — ლევარსი როხროხაძის მოულოდნელათ ავათ გახდომის გამო, დღევანდელი „კვაჭარახი"-ს ნომერი შემოკლებით. ავათმყოფობის მიზეზი შემდეგ ნომერში იქნება გამოცხადებული.**

**— მსხვილი ქურდობა.** „მორგებულ" მარკატელის საშუალებით დაძმამ გაალო შკაფი, რომელშიაც იყო ორი ნაჭერი გოზნაყი. ქურდობაზე შემოესწრო დედა, მაგრამ მოასწრეს გოზნაყის გადაყლაპვა.

გალახულ ბავშების ტირილი მთელი ორი საათის განმავლობაში აწუხებდა მეზობლობას.

**— „მეფუტკრეობა".** თეთრეულობის მიღების დღეებში, მუშკოოპს მყიდველები ბუზებივით ესევა.

**— ცარიელი თავი.** თანახმად განსვენებულ პოეტ ქარაფშუტაძის ანდერძისა. რომლითაც ქარაფშუტაძე სიკვდილის შემდეგ მეცნიერებას უტოვებდა თავის ტვინს შესასწავლათ.— უნივერსიტეტის პროზექტურაში გასჭრეს განსვენებულის თავი, რომელშიაც არაფერი არ აღმოჩნდა.

**— ხანძარი.** მოქ. ვეტერაძეს, როცა ის მთვრალი პროსპექტზე მიდიოდა, ერთ ლამაზ მანდილოსანის დანახვაზე გაუჩნდა ხანძარი, რომელიც ძლივს ჩააქრეს კომისარიატში მთელი ღამის განმაელობაში.



# შენიშვნები

## სოფ. ხიბლა

გრიგოლ ეილავა იმით კი არ არის საინტერესო, რომ იგი მემუხრუჭეა, არამედ —თავისი ექიმბაშობით.

**მიტომ გვხურს მისი ხსენება**
**რომ ის კავშირის წევრია,—**
**თორემ აქ ექიმბაშები**
**მის გარდა სხვებიც ბევრია.**

(პანტულო)

## ფოთი

საავადმყოფოში თანამშრომელი ქალი კატო ყველას უდიერათ ეპყრობა, მაგრამ

**რა ენაღვლება, გაუდის**
**ამგვარი მახინაცია,**
**რადგან მას წყალობს ევგენი**
**—ექიმი, დიდი კაცია.**

(მათრახი)

## სოფ. იანეთი

სოფელში ქურდობისათვის ხელსაყრელი დროა ღამე, როცა ქათამი ვეროთიერს ვერ არჩევს და მისი მოპარვა ადვილია.

ამიტომაც ღამით არ სძინავთ იუსტინეს და ნინას, რომლებისაგან

**გლეხი თავისი ქათმების**
**ვერ არის დამფარველია**
**იუსტინ მიმთითებელი**
**და ნინა მომპარველია.**

(ალოს ბიძა)

# ანგელოზის ჩექმები

— მახლას! საქმე ფინთათ გათავდა, რაზვოდი უკვე დავარტყით, ზაქში ხელი მოგვიწერია, სახლის ვეჯიც გავიყავით, ჰამა ეგ ბუმერაზი ბინიდან არ მიდის ჯიუტობს, ახში საქმეს სასუდეთა ხდის: ამოტოლა ვირისთავი ვარ, ჯერ სასამართლოში არა ვყოფილვარ და ეხლა კი პროკლოვის სუდში საჩივარზე მგზავნის მააშ!? პირი ფინთი არლანივით მოუშო, ყალმაყალს მიმართამს:

— კვარტერაც ჩემია და ვეჯიცაო, სადაც გინდა იქ წადიო ორი სტოლბის შუა ჩადექიო და ეგ ჰოპოპებიანი თავი ხან აქეთ ახალე და ხან იქითაო, ჰამაც შენ გგონია ჩემ გაყრას შეგარჩენო? ჟენადელში გიჩივლეფ და ისეთ ელეთ-მელეთს დაგასხამ, რომ კამეჩები ტერაცუები გეგონოსო, გირჩევნია, პრიმირენია მიყო, თორემ იდრო ინანეფო მააშ?! რა მაზალოა და, ბემურაზო, დარბაისელი კაცი ქვეყნის მიშკინა გამხადო, ჩემთვის რქიანი ხვადაგი აქახნინო. ჰამაც ანგელოზის ჩექმებზე სანთლები აჰანთებინო და პირჯვარი მაწერინო, ახრიზამანში ეს ანგელოზი ავაგორეაანთ დარჩუა გამოდგეს, მტყიპოს და ისევ შენვე უგროზი მიყო? ნამუსი და სამართალი არ არის? ბლენა ღმერთი ბრმების შკოლაში კურიერათ დადგა? გოცირიძისა არ იყოს, ეს სპრავედლივოსტია?

— ეხლა ჩასტნობა აღარ არიო, სიყვარული თავისუფალიაო, საქონელი ხომ არა ვარ დამისაკუთროვო? სლუჩი იყო რაღა, მე და დარჩუა ერთმანეთს ვკუსით შავხდითო ჰაა, ჰა, მორჩა წავიდაო. აქ საყალ-მაყალო და საზაქსე. რა არიო?

ახარ მოდი შენ და ამისთანა ჰაკარაკს ელაპარაკე.

ჰუზურში ეგ რა გავატყუნო? მოდნის ბრალია, რასაც ხედამს, იმას აკათებს, ჩასძახებენ, ამაიძახებს, ყურს მოჰკრავს, პავტარენია იზამს—რა დაუშლის, ჰკვა? მაგას შავი ქათმისტოლა ჰკვაც კი არ აქვს მააშ? ყური დამიგდე. ყველაფერს პატრობნათ გეტყვი:

ჯერ ჩაცმიდან თქვი: ერთ დღეს შემოვარდებოდა და იძახდა:

— მიხაკჯან ფული უნდა მამცე.

— რათ გინდა ვირსიკჯან?

— კაბა უნდა შავიკეროო, მოდნა უკე მოსულა, ყველას აცვია, მეც ხომ ტიტლიკან არ ვივლიო? მივეცი. პუპუზ, მესამე დღეს ვხედამ ამ დედაკაცს მუხლისთავება უჩანს, პადუსკები კაბის ქვევითა აქვს. ჰელეთ-მელეთი მამდის, ვებნები:

— ვარსიკ, ფული იმიტო მოგეცი, რომ ახალი კაბა გეყიდნა და ჩაგეცო, შენ კი გატიტვლებულხარ?

— ეხლა მოდნაში მოკლეა და მეც მოკლე იმიტო შევიკერეო. რას იზამ?

ერთი თვის მემრე მოდის და კიდევ ფულსა თხოულობს, კაბისთვინ მინდაო.

— დედაკაცო, ამას წინათ არ იყიდე პლისროვოჩნი მოკლე კაბა, ჯერ ხომ არ გაგიცვეთნია?

— ის მოკლეა, მოკლეების მოდნა პარიზში უკე გასულაო, ეხლა გძელი უნდა შავიკეროო.

— ვაჰხ, თქვე ბემურაზებო, ერთ სრედნ რამეზე დადექით რაღა, დღეს მოკლეების მოდნა გაქვთ, ხვალ გძელებისა, რასა ცუნცრუკობთ?

— მაშ რა დოზანათ გინდა მოგება, თუ მოდნაში გამამარჩევო, ერთი უშვილო დედაკაცი ვარ, ჩემ ჰიას ვახარეფო, ჰამაც შლემის შლაპები შამოვიდა და თმები უნდა გავიკრიჭოო.

— დედაკაცო, გაიკრიჭო, რომელი დრაგუნის ცხენი ხარ? ქრისტიანული დალალცკავი გქონდა, პრიჩოსკა გაიკეთე, ახლა გაკრეჭვა მოგინდა?

მოდანაო... ნუ, თოლ, მოდნა იყოს, წავიდა გაიკრიჭა. ახალ დაჩემს არ იტყვი? ეს კისლავოცკაო, ეს ჟელეზნავოცკაო, ეს ბორჯომიო, ეს აბასთუმანიო. კვირაში ერთი დაჩა ჰქონდა, ყველგან ახალი კავალრები—ახალი პიკნიკები. რამე, შენ კი უგზავნე მიხაკჯან ფულებს?..

წლეულ ჩვენი ტერ-კოსტუა მებნება:

— მიხაკ, ამ სიბერის დროს ვარსიკამ რქები არ ამოგიყვანოსო.

— ტერ-კოსტაჯან, რას ხუმროფ, ჩემი თავი კრუხის მუკელივით მოლოპრილია, ზედ ბეწვი არ ამოდის და რქას აქ რა უნდა მეთქი? იცინა, ჰამა გამაფრთხალა,

— ასმა ავაგორეაანთ დარჩუსთან თავი სტროგათ დაიჭიო, ვარსიკა ჯეჰელია, შენ ხნიერი ხარ, ვინ იცის, კაცში ვართო.

ჰუზურში ნეპრემენი სიმართლე თქო რაღა; ახში საქმეც ისე წავიდა. მე დილიდან საღამომდის დუქანში
ქმეც ისე წავიდა, დარჩუამ ხშირი სიარული დაიწყო ჩვენსა, მე დილიდან საღამომდის დუქანში ვარ, საღამოთ მოვალ და ვინ დაგიკარქამს, ვის ეძეფ? ვარსიკა სახლში არ არი: ეს კლუბში წავიდაო, ეს ტრიატში წაიყვანესო. ეს კინოს კარტიჩკა უნდა ნახოსო, ეს ბალეტიო, ეს ფლანი და დოზარაო. სახლში ამგელოზები არია.



ბევრ ამბულატორიებში იმდენი ავათმყოფები აწყდება, რომ მთელი დღეების განმავლობაში ელოდებიან რიგს.



— ქალო, შენ რა ავათმყოფობა გაქვს?
— ამდენი ხნის რიგში დგომით იმახ ხხვა ბევრი დაემატა... რევმატიზმიც გამიჩნდა...



— მაშ ადუკატჯან წავაგეთ, წავაგეთ საქმე სავსემ რალა?!
— რას ვიზამთ,—სიმართლე იმათ მხარეზე იყო!
— ვა, შე დალოცვილო, სიმართლე რომ ჩემს მხარეზე ყოფილიყო, შენ რაღა ზახრუმალათ მინდოდი?! ჰიპრიან-შადვალში ისეთ სადღეგრძელოს ვამოფ ხოლმე, რომ შენი რეჩი ფას იმასთან.

სულ დარჩუას ოინები იყო, იმან აურია პეპელები თითონ კინოს არტისტი გახდა, ვაჟნობს, ვარსიკასაც რამე ჰგონია. ეე, დარდაკ, ეხლა ვინ არ არის კინოს არტისტი და რეჟისორი? მაგაშიც—რამე ყრია?

ერთის სიტყვით, ამისთანა ბოლმებით, გული ტერტერას ხურჯინივით გატენია, ჰამა საო მოვთვალო?

შორა, წასვლა რათ გინდა, ისევ ანგელოზის ჩექმების ამბავს გეტყვი:

ეს იორდანობა დღეს იყო, ნათლიღებას რალა: მე და ჩაჰყაპეანთ იაგორა სირაჩხანაში შეხვდით ძველი დროება მოვიგონეთ და თითო ბოთლიკა დავლიეთ, თითოს თითოც დავაყოლეთ და კამაც-კამაც თუნგიანებში ჩავსხედით... მერე ჰავლაბარში, ჰიპირასთან წაველით, იქ ძმაკაცების კამპანია დაგვხვდა.

იქაც ჩავსხით... ბოლოს ჰანგლობა დავიწყეთ: მეღროგე კიკლიამ საჰყურა სედრაკას დუქნიდან ანთებული ფეჩი გაიტაცა და საყდარში შაარბენინა, იქ ოლარიან ღვდელსა ცხენის ხამუტი ჩამოაცა—ასმა ოჟებს გაგიკეთეფ და გაგაჭენეფო. ბოლოს მე გავჯავრდი და ვარსიკას პადეზდი დაუკაკუნე.

— ვარსიკაჯან, გამიღე, ცოტა აპაზდანია მამივიდა, ჰამაც ცოტა გრადუზებში სწეული ვარ, მეთქი... ჰიმანუმეს? არ მიშვებდა, დიდხანს მალაპარაკა და ახში შემიშო. ხმა არ გამცა ისე დავწექ.

ერთიც ვნახო, ოთახში ვიღაცამ დაამთქნარა: ავანთე სპიჩკა, შირმის უკან ვიღაცას ფეხებთან ვხედამ. მე სიმთვრალის და შიშისგნით სტალბნიაკი მამდის.

— ვარსიკ, ეს ფეხები ვისია?

— რის ფეხები, რას როტავ, მთვრალი ხარ გეჩვენება.

— არა ვარსიკჯან, ნასტაიშჩი ფეხებია, შოგრინის ჩექმები აცვია.

— ჰოო, მაშ შაიძლება ანგელოზი იყოს, არ იცი რომ დღეს იორდანობაა და ანგელოზები ყველას სახლში დადიან და იაზმას ასხამენ?

ეს რო თქო, ავდექი, პირჯვარს ვიწერ, ბარბაცით მივდივარ, გუფეთის უჯრიდან წმინდა სანთელს ვანთეფ და იმ შირმასთან მიმაქ, ვხედამ ნამდვილი ფეხებია, რანტავოი ჩექმა აცვია. ვიძახი ანგელოზოჯან, შენი სადავათის ჭირიმე, რაც რომ მინაოთობა მიქნია მაპატიე, პირჯვარი დამწერე, იაზმა გადმამასხი მეთქი და თან ანთებულ სანთელს ჩექმაზე ვაკრამ. ვარსიკა იქიდან მიყვირის, გაუშვი, ანგელოზი არ გააჯავროო, მამეხტალნათ ჩაცმა დაიწყო და დგება.

ერთი ნავხოთ, ცალი ფეხი მაღლა ასწია ახლა მეორეზე მივაკარ, უცბათ სანთლისგნით პაჟარი გაჩნდა, ანგელოზს შარვალზე ცეცხლი მოეკიდა და დაბალის ვირივით მაგარი წიხლი მკრა, ის იქით აღრიალდა, მე აქეთ, შირმა გადავარდა პუპუზ, რის ანგელოზი, რის ბოზბაში? ის ბემურაზი დარჩუა ცხვირწინ ბურნუთის კოლოფივით არ ამეტუზა?

თურმე ის ყოფილა შირმას უკან დამალული იშკილოიასნი გახდა. ჰაი ჩოჩქოლი, ჰაი ყალმაყალი, ჰაი წყლის დასხმა პაჟრის ჩაქრობა რამე ჰამაც ახრიზამანში ლაზათიანი ტყეპა —ჩემი რალა, დარჩუას მე მოვერეოდი? ბოლოს მუქარით წავიდა.

— ასმა გრანიცის შარვალი გამიფუჭეს და ჩექმები დამიხრუკეო.

ვებნები —დარჩოჯან, აქ საქმე იაღლიშია, შე ლუპუსტაცო, ფალშივი ანგელოზი გამოსდექი, სახში შემოპპარულხარ და ნააბაროტ საყვედურსაც იძახი? ბან ჩუნეს? მუქარით წავიდა თქო, ატვეჩაის გაქნევინეფო.

ნუ, ეს იყო რაღა, შარის თავი აქ დაიწყო, მე ვარსიკას აბიდა მივცეი, ყალ-მაყალი უყავი და ბოლოს საქმე რაზვოდით გათავდა.

ეხლა ბინას აღარ მიცლის, სუდში მგზავნის. ერთი პაჟალუსტა პარუნ ცარსადანჯან, პროკლოვთან წამამყე, გზა მასწავლე, შენ შასული კაცი სჩანხარ, ადვაკატებში ძმა-ბიჭები გეყოლება—აქაც საქმე არ წამაგებინო.

ფარხადან.

# რომანი

ქუთ. რკ. გზის სამკითხველოში
ყრთათ ახედან ტრფობით
ლავრენტი და ლენა.
იმათ წვა და დაგვას
ვერ გამოსთქვამს ენა.

---

მარუსიამ გამგეს
უთხრა ეს ამბავი.—
და ამ ამბავს მოჰყვა
ქალთა ჩხუბი ავი.

---

ატყდა მითქმა-მოთქმა
და ოქმების წერა.
ექვიანი ლენა
ზინას დაეძგერა.

**პროლოგი**

რაც მოხდება აწი
შევეკითხოთ ილოს
შეწყნარების თხოვნა
უნდა გააწბილოს.

**კოსტაიდი.**

---

# ძღვნად

**ქუთაისის საბჭოთა მუშაკთა კლუბს**

აქ კლუბი მოურთავთ
ნოხებით, ფარებით.
დარბაზი სავსეა
სპეკულიანტ-ჩარჩებით

---

ჩხუბი და სკანდალი
აქ ერთობ ხშირია;
(ტარტაროზ. იმათთვის
ჩანგალი გვჭირია).

---

თუ მუშებს მათ შორის
ვერ პოვებ, ვერ ნახავ
ამისთვის კლუბს განა,
ტარტაროზ, დაძრახავ?

---

ასეა. თუ ისე
„მუშათა კლუბია"
შიგ აყალ-მაყალი
და მუდამ ჩხუბია.

**ხაფანდი.**

---

# ნიმუში

ნარსია—პუნქტის ექიმი
ვითომ წითელი სპეცია!
მის გაცემულმა წამლებმა
ბევრს თვალი, დაალეცია,
საიქიოში წასვლისთვის,
„ვიზაა" მისი „რეცეპტი".
აღარ შორდება კანტორას
მუნ ფეხი მოუკიდია.
თუმცა ქალია, რა ვუყოთ
მართ ღვთისა დანაბალია.
ღვთისგანვე არის ყოველი
ქონება რაც აბადია.
თავისით მოდის სულყველი
მახვილი, ძიძა, გადია.
(სული და გული მზათ არის
ყოველი რაც რომ გწადია!).

**„კიტკიტა".**

# დაგვიანებული სიზმარი



ერთხელ ვნახე (სიზმრათ მგონი) აბულაძის ლექსიკონი*)
(ხელისმომწერი).

# კოსტაიას გასაჭირი

კაი, ჩემი ცოდვა მიეცა, ვინცხაშ ეს ოპოზიცია მეიგონა და ჩემი შაქარყინულივით ტკბილი ოჯახი ძირომწარეთ გადამიქცია! რავარც იქნა ჩავეწერე კაცი პარტიაში, დევიკიდე წინ მაუზერცკის ლივერი, გევირჭვი. ღლიავში დიდი პორთფელი და ჩემზე ბედნიერი კაცი თუ იყო ქვინმე დუნიაზე, აღარ მეგონა!

ბიჭო, ვყოფილიყავ მე უბედურა ჩემთვის, მარა რომ შემომიჩნდა ჩვენი იორდანე რიკრიკაძე, არ იქნა და აღარ მომცა საშველი:

ე, ბიჭო, გადმოდი ოპოზიციაში, თუ გინდა რომ დიდი კაცი გახდეო.

მეც ვიფიქრე, საცხა ტროცკი იქნება, იქინე მე რა გამიჭირდება თქვა და ავსწიე მეც და ვშველიჭე თავი ოპოზიციაში. განა არ მომცეს ამხანაგებმა წიპადადება:

— ე, ბიჭო, კოსტაია, ნუ შობი მაგ საქმეს, დაანებე თავი ოპოზიციას, თვარა ინანებო!

მარა რომ მივასვი ფეხი ოლიფანტეს ჯორივით, რაღაი ვსთქვი, აღარ გადავსთქვი!

ერთხელ გამაფრთხილეს, ორჯერ, სამჯერ და მერე მკრეს პანღური და კი გამომაგდეს პარტიიდან! ამართვეს პარტბილეთი, ამყარეს იარაღი, გამომდღლიზეს პორთფელი და დამტიეს მშრალზე! ვიფიქრე, კი გავბრიალდი, მარა რაღაი ქალს უყვარივარ და ჩემს მზეს ფიცულობს, კიდო მადლობა ღმერთს, იქნება არ დევიკარგო-თქვა.

უყვარივარ კი არა, მის მერე, რავარც კი მე პარტიიდან გამომაბუზურეს, ჯის ის გლახის ჭირი ჩემი აგრაფინა და მოსთქვამს! ტირის და ტირის:

— რავა, მე შენ კომუნისტი რომ იყავი იმიზა გამოგყევიო, ის ლივერი რომ გქონდა დაკიდებული ის მიყვარდაო და შენ კი თავი გეიბრილადე!

---

*) გამართლდა თქვენი — უკვე გამოვიდა აბულაძის რუსულ - ქართული ლექსიკონი.

ველაპარაკები: ბოშო, გეციმარჯვებთ ოპოზიცია და დიდი კაცი ვიქნები-თქვა!

ძარა არ შეგჭამოს ჭირმა, მე თუ ვერ დავაშოშმინე! სულ დიომიდე ხუცესის ჯორივითა ყრის ტლიპკებს.

— ვაი, შენ გეიმარჯვე შავს მიწაშიო! მერე, რაეალი გშვენოდა ია, დაკიდებული რომ გქონდა გრძელა ლივერიო.

აგერ სამი თვეა რაც პარტიიდან გამოძაგდეს და ეს სახლ-კარ დამწვარი ჩემი აგრაფინა ახლოს არ მიკარებს! ერთი კოცნიზა ერთი თვეა ვეხვეწები, მარა არ შეგჭამოს ჭირმა, რავარც დამდუღრული ძაღლი, ისტე მიღრენს:

— შენ თუ ჩემი ალერსი გიხდოდა, თავს არ გეიბრილადებდიო.

დედა, რავა დევილუპე თავი, რაჲა მევიჯაყე კაცი? პარტიის ჩლენობა ვიჩივლო, მაუზერის ლივერი, პორტფელი, თუ ჩემი ხაბურზაკივით გარგვალებული აგრაფინა! ბიჭო, მე ოპოზიცია უფრო კაი რამიზა მინდოდა. თვარა თუ ასტე მევისპობოდი კაცი და ბერათ წასვლა დამჭირდებოდა, აგი რავა მეგონა.!..

ქს რავქენი მე სულელმა,
ეს რა საქმე ჩავიდინე,
დედა, რავა საბოლოვოთ.
მე სახელი წავიხდინე!
არც მანდატი, პარტ-ბილეთი.
არც ლივერი—მაუზერი,
ცოლი ახლოს არ მიკარებს,
გავხდი, ძმაო, სწორედ ბერი!...

გოგია.

# ცდუნება

ჩაილურში (სიღნაღის მაზრა) სოფლელებს წყლის მოტანა უხდებათ მეორე სოფლიდან, რადგან ადგილობრივათ წყალი არ არის გაყვანილი..



ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ (ვირს ვედრებით):—შენი ჭირიმე, წამოდი თორემ სადილის გაკეთება დამიგვიანდა! წამოდი და სახლში რომ მივალთ მე ვიცი შენი პატივისცემა.

ᲕᲘᲠᲘ:—ვიცი რა პატივსაც მცემ,—მიმაკრავ ბოძზე და ეინს ამოიყრი.

# ქუთაისი

**თუ-ჩელა, სიჩეჩელა, ოვა, ოვა, ოვა-ვაა,**
**რასაც შეჭამ, ის შეგრჩებ, ოვა, ოვა, ოვა-ვაა!**

აგიშენდება ოჯახი — ქუთაისში კი შეჭამო რაჲე რომ შეგრჩეს.

ამასწინათ დავჯექი ჩემს მარტოხელა ოჯახში და შეუდექი ხარჯთაღრიცხვის შეყენებას ზამთრისათვის..

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, დავადგინე ერთხმად შემდეგში, რაიც აქვე არის აღნიშნული რეზოლიუციაში:

1. ზამთრისათვის არ იქნას შეძენილი არც ფეჩი და არც შეშა, ვინაიდან ორივე ძალზე ძვირია (ამ მუხლის მიღების დროს თათბირზე მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მე დღე და ღამის განმავლობაში ვარ ჩემ საწყალ ოთახში 6—7 საათს, რაიც საჭირო არის ძილისათვის).

2. შეძენილი იქნას მაშინკა, რითაც ადუღდება დილას ჩაი და ნაწილობრივათ გაათბობს ოთახს (ამ მუხლის მიღების დროს მხედველობაში იყო მიღებული შემდეგი ციფრები, მაშინკა, რომელიც შეიძლება სამი წლის ნახმარი ფეჩის ფასათ იყიდო, წარმოადგენს ოჯახის სიმდიდრეს და ხმარებაში იქნება 4 ან 5 წელიწადს. მაშინკით შეიძლება ადუღდეს ჩაი, რომელიც დილას ამ ზამთარში ცოტას შეგათბობს. მეორეც ის, რომ ჩაიზე დაიხარჯება ნახევარი გირვანქა პური, ღირებული 4 ნახ. კაპ., ჩაი, ჩაქვის; 2 კაპ. შაქარი ნატეხი; 1 ხახ. კაპ. და ყველი (დიდ კაცურათ). 3 კაპ. სულ 11 კაპ. ერთი კაპეიკიც მოულოდნელ ხარჯებისათვის. სულ — 12 კაპ.

კერძი და პური კოოპერაციაში ღირს 38 კაპ. კერძოთ 35 კაპ. (3 კაპეიკი „სკიტკა“ არის მიცემული კოოპერაციაზე). ასე, რომ 38 კაპეიკის ნაცვლათ შეიძლება საკუთარ ოჯახში დახარჯო — 12 კაპეიკი. განსხვავება რეჟიმ-ეკონომიაში გადასარიცხათ 26 კაპ. დღეში. 26 კ. თვეში 7 მან. და 80 კაპ. წელიწადში კი 93 მან და 60 კ. სამი წლის თავზე იქნება (სწორედ როდესაც ვაპირებ ცოლის შერთვას) 280 მან. და 80 კაპ. ამ თანხით შეიძლება უყიდო ახალ ნათხოვარ ქალს პალტო კავერკოტის, ლაქის ტუფლები, შლაპა, და ორი ცალი მუხლებამდის გრძელი კაბა.

ასე რომ, სამი წლის თავზე ჩაის საშუალებით მოვიღებ ახალ ცოლს კულტურის უკანასკნელი სიტყვით გამოწყობილს.

რეზოლიუციის მიღების მეორე დღესვე გავემგზავრე მაშინკის საყიდლათ კოოპერაციაში. მაშინკა „გოსშვეი-მაშინა“-ში და „ბოეც“-ში ღირდა 8 მან. და 50 კ.

## „პტი-შვო“

იკურთხოს შენი ჩანგალი,
იკურთხოს შენი ცელიც,—
შენა ხარ ჩვენი პატრონი,
შენა ხარ ჩვენი მცველია.

—:—

ბევრი რამ გამოასწორე,
ბევრი რამ მოსპე ნაკლია,—
მაგრამ ბევრს რამეს ჯერ კიდევ
გამოსწორება აკლია.

—:—

მთელი სამყარო მე ვფიქრობ,
შენს ხელ'ში არის ძგოხია.
მუშების ყვლეფა აშკარათ
აპა ვის გაუგონია?

—:—

ლოტოს—„პტი-შვოს“ და „ბუ-
ლებსა“,
მოუცვამს მთელი ქუჩები.
ღლისით ნაშოვარ ფულებსა,
სულ იქ ტოვებენ მუშები

—:—

სახლში ცოლ - შვილი სიმშილობს
ტანი და ფეხი აკლია,
შენც უნდა გამოასწორო
ეს ერთი დიდი ნაკლია.

—:—

არა კავშირის წევრები
შენც იცი ვაჭარი-მღვდელია;
ასეთებს იქ ვერ შეიყვან,
ძალით რომ სტაცო ხელია.

—:—

ახალგაზრდობაც ებმება
ამ მატყუარა მახე'ში
ხომ მომავალი თაობაც
უნდა მივიღოთ სახეში.
სოფლად მშობლები ხომ იცი
რა რიგ შრომობენ—წვალობენ?
მათი შვილები თბილისში
„პტი-შვოს“ და „ბულებს“ სწავ-
ლობენ,

გელაიყლი.

## „ღ ე რ ბ ი“

საფთიაქო სამმართველოს პირველ აფთიაქს ხუთი გამგე ჰყავს, რომელთა მარტო ჯამაგირი უდრის თვეში 758 მანეთს.




სააფთიაქო ღერბი ლევარსი როხროხაძის პროექტით

ეე კი, როგორც წევრი კოოპერაციის, მივეცი კოოპერაციაში იგივე მაშინკაში 10 მან. და 50 კ. რითაც მოვიხადე ჩემი დიდი მოვალეობა კოოპერაციის წინაშე, რის მოხდაც დამიჯდა ორი მანეთით მეტი. ჩაინიკი კი კოოპერაციაში ვერ ვიშოვე და კერძოთ მივეცი 4 მანეთი. ამის შემდეგ საჭირო იყო ნავთისა და პურის ყიდვა, რომ შევდგომოდი სამ წლიან გეგმის ცხოვრებაში გატარებას; იმ დღესვე მივედი სანავთით ხელში № 10 კოოპერაციასთან: დიდ ყაფანთან, სადაც დამხვდა ნავთის მყიდველთა ოცსაჟხიანი რიგი. მაღაზიის გამგე მიჯდომოდა ცარიელ ნავთის ბაკს და აბრუნებს კრანს წაღმა-უკუღმა, რითაც გვაცნობებს, რომ ბაკში ნავთი არ არის.

გამოვბრუნდი ცარიელი უკანვე და დავდექი თათრის ფურნესთან პურისათვის. იქ კი რიგი არ იყო და გამარჯვება ხვდებოდა უფრო მძლავრებს. ვიღაცამ ისეთი მუჯლუგუნი მკრა, რომ ორი ნეკნის ძვალი ლამის მუცლის სიღრუეში შეაგდო. ამის შემდეგ რაღას გავჩერდებოდი იქ! წავედი პირდაპირ სახლში..

**თუ-ჩელა-სი-ჩეჩელა, ჩელა, ჩელა, ჩელა-ვა!**
**რასაც ვერ ჭამ, რა შეგრჩება, ოვა, ოვა, ოვა-ვაა!**

„გოჩელი“.

ტარტაროზი

№ 137

სპეციალური ნომერია
ნადირობა-ზე და
ცხოველებ-ზე

# ჯოჯოხეთის კუთხე






ერთი შეხედვით ასე გეჩვენებათ, თითქოს გლეხები სიხარულისაგან მღერიან, რომ ამ აფთიაქში შეძენილმა წამალმა უშველა ავადმყოფს.

მაგრამ ყური დაუგდეთ სიტყვებს, რომელსაც მღერიან:

**ორი ქოთანი ვიყიდე**
**ყურიანი და უყურო;**
**აფთიაქში რეცეპტი მაქვს,**
**რამდენი უნდა უყურო?**

ამ კითხვაზე იგივე „ჭინკა" იძლევა პასუხს:

**საიქიოს როცა წავალთ,**
**იქ მივიღებთ წამალსაო.**
**აფთიაქმა საიქიოს**
**გზა უჩვენა მრავალსაო.**

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ აფთიაქის მესვეურებსაც სხვა გზას უჩვენებდენ.

## თვალი აუხილეთ

ამერიკაში ცხენებს თვალებზე უკეთებენ სათვალებს, რომლებითაც ცხენები უკეთესად ხედავენ.

ჩვენში კულტურა უფრო გვიან შემოდის.

მაგრამ სანამ ცხენებს გავუკეთებდეთ სათვალებს, ჯერ ჯერობით მაინც დავიწყოთ ადამიანებიდან.

პირველი ცდის მოსახდენათ მაგალითი მზათ გვაქვს— **რევიზორი კალანდაძე.**

რა თქმა უნდა მაგალითისათვის მხოლოდ მაშინ გამოგვადგება, თუ იგი მთვრალია.

მაგრამ ეს ადვილი საქმეა,—გაგზავნეთ რევიზორათ და,—ყველაფერი მზათაა.

ზოგი ამტკიცებს, რომ მთვრალ კაცს მხედველობა ისეთივე აქვს, როგორიც ფხიზელს.

მაგრამ ჰკითხეთ კალანდაძეს, რომელმაც მგზავრს დაუჩემა, რომ მას (მგზავრს) სამტრედიის ბილეთი კი არა აქვს, არამედ საჯავახოსი. (მგზავრს სამტრედიის ბილეთი ჰქონდა).

ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რკინის გზის სამმართველომ ლოთ რევიზორებს მისცეს, **„ამერიკული (ცხენის) სათვალები"**, რომლითაც ხსენებული რევიზორები გაარჩევენ ბილეთებზე სადგურების სახელს.

## „მ ზ ი თ ყ ვ ი"

ლაპარაკია სოფ. ქალაზე (ოზურგეთის მაზრა), რომელსაც ჰქონდა კოოპერატივი, საქონლის დიდი ბრუნვა, სანამ ნოქარმა არონამ მის დახლში დაიწყო ბრუნვა.

ბოლოს გაძვალტყავებული, ელპატეს გადააბარეს; ორი სამარილე ბოჭკა და ერთი სასწორი ჩააბარეს.

(„უტუ").



ჯერ კიდევ ახალგაზრდა (თერთმეტი წლის იყო) კოოპერატივი გარდაიცვალა და თან წაიღო გლეხების საწყვრო გადასახადი.

აცხონოს არონამ სული მისი!

## იღბლიანი ორთქლმავალი № 2427

ტარტაროზი ათავსებს ბედნიერ ორთქლმავლის სურათს. ეს ორთქლმავალი თავისი მატარებლით № 521 გადარჩა კატასტროფისაგან.

რა თქმა უნდა, ეს მიეწერება მემანქანე **სიმონიძის** და მისი თანაშემწე **ბახტაძის** ყოჩაღობას.



საქმე იმაშია, რომ ღვინო კაცს ათრობს, როცა გადაჭარბებით სვამს.

ამიტომ არც გასაკვირია, რომ სიმონიძე და ბახტაძე დათვრენ...

დათვრენ, მაგრამ მალე იგრძნეს, რომ მთვრალი მემანქანე და მისი თანაშემწე მატარებელს ვერ მოუვლიან.

საჭირო იყო გამოფხიზლება, რომ ღვინის გაზი თავიდან გამოსულიყო.

ამიტომ მატარებელზე ერთმანეთში ასტეხეს ჩხუბი, მაგრათ მოზილეს ერთმანეთი, რის შემდეგაც ორივე გამოფხიზლდა და მატარებელიც მშვიდობიანათ ჩამოიყვანეს ხაშურიდან ტფილისში.

განა ასეთ ხალხს საყვედური უნდა გამოუცხადოთ?!?

არა, ამხანაგო ბელლოველო, პირიქით, მადლობის ღირსი არიან.

მერე რა ვუყოთ, რომ იმათ ჩხუბის გამო მატარებელმა ერთი საათი და 20 წუთი დაიგვიანა.

ხომ გაგიგონიათ: დრო ბევრი დახარჯე და შინ მშვიდობით მიდი!

## ასე სჯობია!

მთნგოლი მოიოხოვს, რომ სადგ. ლიხის სამორიგეო ოთახში, სადაც 4—5 თანამშრომლისათვის მხოლოთ ორი სკამია, რის გამოც ერთ სკამზე ორს უხდება დაჯდომა,— მოუმატონ სკამები.

ლევარსი რობაქიძემ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და გამოიტანა თავისი ავტორიტეტული დასკვნა:

**ერთ სკამზე ორის ჯდომა სჯობს.**
**ვიდრე ორ სკამზე ერთისა.**



ტარტაროზი იზიარებს ლევარსის აზრს, მაგრამ ამავე დროს საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თუ ლიხის სადგურის თვითეულ თანამშრომლებს მისცემენ თითო სკამს.

როცა ტარტაროზმა თავისი შეხედულება გაუზიარა ლევარსის, ამ უკანასკნელმა მიიღო ტარტაროზის აზრი და ასე სთქვა:

**ერთ სკამზე ერთის ჯდომა სჯობს,**
**ვიდრე ერთ სკამზე ორისა.**

## „ცილისწამება“

წკეპლას ალბად არ დაუნახავს ჯუგაანის თემის (სიღნაღის მაზრა) ალმასკომის თავმჯდომარე ზედელაშვილი, თორემ არ უსაყვედურებდა ასე:

ჩვენი თემალმასკომის თავმჯდომარე ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ლოთობა, ლანძღვა-გინება, გლეხების დაშინება.—აი, მისი საქმიანობა!

ზედელაშვილს კი უკვირს (საკვირველიც არის) და თავისთავს ეკითხება:




— რას მიქარავს რომ ამბობს: ზედელაშვილი ვერ სდგას თავის სიმაღლეზეო? განა ამაზე უფრო მაღლა და აძაყათ უნდა მეჭიროს თავი?! ეს ვიღაც „წკეპლა“ არის,— წკეპლა კი არა, კეტი მოუხდება!

## ხრესილი

ხრესილში მიკიტანია,
ვინმა მინა ქარქაშაძე;
რომელიც მუდამ „მობრძანდის“
იძახის მკაფიო ხმაზე.
ხრესილში მიკიტანის
ავსწეროთ მისი დუქანი;
(ღვინო ტიკებით უწყვია,
თვითონაც არის მსუქანი).
ეს მიკიტანი რას სჩადის,
ეს არის საკვირველია;
სიმღერას თვითონ დაგიწყებს:
„ოდელა დელა-დელია“
დღეში აქ მაინც გაივლის
მგზავრები ასზე მეტია;
(თუ არ ესტუმრა მინასა,
მოხვდება მისი კეტია).
აღარ არსებობს იმაზე,
სამშრომის ნიხრი, ტარიფი;
სულ მთლად გაგაძრობს ის ტყავსა,
თუ დაგინახა არიფი.

**ხო—კო.**

## ტყიბული

ბაზარში როცა გაივლით
ნახავთ სანახავს ლამაზსა,—
აქეთ მოდიან მუშები,
ხარჯავენ მრავალ აბაზსა.
აქ უპატრონო დუქნებში,
მღერიან „ჰარი - ჰარალეს“;
ზოგმა გაუტეხეს თავები,
ჯიბე კი დააზარალეს.

**დონ—გან.**

# ცნობათა მიღება



თედოს:—ძველი ამბავია და ისიც მოსაწყენი.

გუბელს:—თქვენს წერილსაც თქვენებრ დაემართა.

„გიჟი ვრაც“:—ძველი ანეკტოდია, რომელიც ყველამ იცის.

დონ-განს:—დაბეჭდილი წერილების მსგავსია. სხვა რამეზე მოიწერეთ.

ზმანებას:—თქვენი „ქათმის ფერხვა“ ტარტაროზმა გოდორში ფერთხა.

ჩიმ-ჩაირა-ჩაირას. —თქვენც რომ თავისთვის დაეტუვოდეთ, უმჯობესი იქნება (რაღა სხვებს ასწავლით ჭკუას?! თავისთავმა ქვა გარტყათ თუ?!).

„ანტიქრისტეს“ (ძარელისი):— თუ კი ტარტაროზ სთხოვთ, რომ:

> შენი ჩანგალი ამოჰკარ,
> აუწვი მწვავეთ კუდია.
> ისე გარბოდეს ხიმწრისგან,
> რომ ვერ წაიღოს ქუდია,—

მაშ რატომ სთხოვთ:

> მარელისის ფაბრიკაც,
> სურვილითა გნახეო,
> ჩხიკვიშვილი მანდ არის,
> კარგად შემიხახეო?!.

თუ მან ქრისტე „კომუნისტათ მონათლა“, ეს იმიტომ, რომ თვითონაც ისეთი კომუნისტი ყოფილა, როგორიც ქრისტე (ეტყობა—მონათლა ჰკლებია!).

„პომპოლიკს“: (ამაღლება, ურია):—დეპეშას გვიგზავნით, რომ:

> საშინელი სენით (ბრონხიტით) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა:
>
> **ამ°ღლუბის-რადიო.**
>
> რის შემდეგაც გვეღირსა მოსვენება.

ჩვენც ვუერთდებით თქვენს განუსაზღვრელ სიხარულს.

მეთვალყურეს (ობჩა):— ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება. მასალა იწერება ქაღალდის ცალ გვერდზე.

„ყველას ქვე გიცნობყე“.ს (ხონი): — თქვენ ამბობთ. რომ:

> გახშირდა ქეიფი და სროლა. ნუ თუ ეს არის გასამხედროება?! მაგრამ ღამით ხომ ვერ დაინახავენ ნიშანს?!.
>
> ქეიფობენ მუდამ ჟამს
> ისმის სროლა ღამეში.
> ქეიფობა და ლხინი
> წინ წაგვიყვანს რაშეში?
> ძილს უფრთხობენ მცხოვრებლებს,
> ზრდილობა არ იციან.
> ალბათ ეს რომ არ ესმით
> ძილშია მილიცია,

საკვირველია: თუ კი იმათი სროლა მცხოვრებლებს ძილს უფრთხობს, რატომ მილიციას არ უფრთხობს?

ყოჩაღ მილიცია! მიუხედავად ქალაქში ისეთი სროლისა და განგაშისა, იგი ისეთი გულმაგარი და ყოჩაღია, რომ ყურადღეასაც არ აქცევს ამ ამბავს და უდარდელათ განაგრძობს ხვრინვას.

ცხრათვალას (კულაში):— „ალილო“-დან „ალილუია“-მდე მოკლე მანძილია და უფრთხილდეს სიმონი, თორემ ჩვენ შევასრულებთ თქვენს თხოვნას:

> თუ კი ჩანგალსა მათხოვებ,
> აუწვავ კუდის რიკსაო.
> უფრთხილდეს—არ ჩამოშორდეს
> კომკავშირლების რიგსაო.

როგოს:—ლექსის ბოლოში ასე სწერთ:

> დავსწერე ლექსი, რა ლექსი
> გადასარევი კაცისა.
> სიხარულიდან ხტუნვაში
> მიმბაძველი ვარ ვაცისა.
> ვიცი: დღეის ხწორს ვიხილავ
> მე „ტარტაროზში“ ამ ლექსა.
> დიდ მაკარიჩსაც გადვიხდით
> მე, თედორე და ალექსა.
> დღეებო, ელვის ხისწრაფით
> გაჰქროლდით, როგორც რაშია,
> რათა მოვიდეს კვირა დღე,—
> იმას ვაშა და ტაშია.
> ამ ლექსიხ ყველა რითმები
> ავკინძე ვაი-უიდან.
> ღმერთო, ამ სიხარულითა
> არა შემშალო ჭკუიდან.

ნუ გეშინიათ! ჭკუიდან შეშლისაგან დაზღვეული ხართ.

ბრძენს:—როგორც იმას არ უნდა დიდი მტკიცება,

> რომ სიკვდილამდე ვიცოცხლებ, ალბათ, ეს კარგათ ვიცი და კიდეც მჯერა,

არც იმას უნდა მტკიცება,

> რომ ეს არის ნამდვილი ლექსი და ლექსებს უნდა ხხვაგვარათ წერა.

მოსაზრებულს:—მართლაც კარგათ მოგისაზრებიათ:

> თუ მასალა არ დაიბეჭდება, ნუ მიპასუხებთ „ცნობათა მიღება“-ში, რადგან ისედაც მივხდება, რომ ჩემი წერილი უფსკერო გოდორში წავიდა.

ჩვენც ვასრულებთ თქვენს თხოვნას.

„პარნახელს“:— ბარაქალა თქვენს ბიჭობას! მიუხედავად იმისა, რომ:

> როცა აუროყინდა
> ვერის ხიდზე ვირი.—
> მე დაღმართზე მაშინ
> გავიტეხე ცხვირი,—

ამოდენა ლექსი მაინც დაგიწერიათ. როგორ გაუძელით ცხვირის ტკივილს? ნუ თუ წერის დროს არ გაწუხებდათ ის? მართალია კ. კაპანელი, როცა ამბობს. რომ „ტანჯვა—შემოქმედებაო“.

> მელნათ მე სისხლი ვიხმარე
> ცხვირიდან გამოხულიყო.
> კინაღამ უცბათ დავლიე
> მე ამის გამო სული.

კიდევ რამოდენიმეჯერ რომ ასეთი ბედნიერება შეგემთხვეოდეს,—დარწმუნებული იყავით—დიდი პოეტი გახდებით.

დარდი არ გმართებთ, და მით უფრო, როცა:

> თუმცა მე ცხვირი მომტეხა ვირმა,
> მაგრამ საყოფი მაინც კი დამრჩა;
> და ამიტომაც, რაღა თქმა უნდა,
> იგი გალახვას ჩვენგან გადარჩა.

თქვენი ლექსიც გადარჩა დაბეჭდვას!

ფლოლის:—თქვენი წერილის „ყოფნა არ ყოფნა“—არ ყოფნად გადაწყდა.

ქურქუცალას (ხრესილი):—გვწერთ: თუ იქნეს ოდნავ მაინც მოხაწონი, მომითავსეთ შარადაო.

ვერ ვათავსებთ. მაშასადამე... (თვითონ მიხვდებით!).

# „თბილი ოჯახი"

„ზოგ დაწესებულებებში (როგორიც არის მაგ. — სააფთიაქო სამმართველო) მოსამსახურეთა მთელი შტატი შესდგება ოჯახის წევრებისა და ნათესავებისაგან".



შტატი ოჯახში




შტატი დაწესებულებაში

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა. 29 იანვარი 1928 წ. № 137 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ყოჩაღი მონადირე

მეგობრული შარჟი




ტარტაროზი (ამხ. ანდრო ლოლიძეს): ყოჩაღ ანდრო, ზორბათ გინადირია!
ამხ. ანდრო: არა უშავს, მაგრამ კიდევ ბევრი დამრჩა სანადირო.

# ნაამბობი

მასპინძელი, რომელმაც ქეიფში მომიწვია, ჩემდა საუბედუროდ მონადირე გამოდგა. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ყოველი წვეული (ჩემს გარდა) მონადირე იყო.

რასაკვირველია, მთელი ლხინის განმავლობაში ირმებზე, ჯეირნებზე და დათვებზე იყო ლაპარაკი (არ დაუტოვებიათ ხოხბებიც!).

მრავლად მოვისმინე ნადირობის ეპიზოდებიც.

— შემოდგომაზე,— დაიწყო ერთმა მონადირემ, — აზერბეიჯანში ვიყავი სანადიროთ და ოცი ხოხობი მოვკალი. თითო ხოხობი ათ გირვანქას იწონიდა..

— შენ ეგ რად გინდა!—შეაწყვეტინა მეორემ.— ამას წინად, ყარაიაში ვიყავი სანადიროთ. ორი გარეული ღორი შემხვდა. კამეჩების ოდეხა იქნებოდა. თითო მეტრი ეშვები ქონდათ. შევხედე... რაღას შეხედავ! ორივე ჩემკენ მოდის. რა უნდა ვქნა: თოფში მხოლოდ ერთი გასროლაღა დამრჩა. დაუმიზნე ერთს ეშვის ძირში, ვესროლე და ცალი ეშვი მოვტეხე. ღორი იქვე წაიქცა. ფირცხლად მივარდი, მოტეხილ ეშვს ხელი დავავლე და მეორეს შიგ ბეჭის თავში ჩავეცი! ისიც იქვე გადატრიალდა....

მე აღტაცებამ შემიპყრო.

— მერე, მერე?!

— მერე, არაფერი!— დინჯათ წარმოსთქვა მონადირემ.—ჩავიწყვე ორივე ჩანთაში და სახლში წამოვიღე.

— ნუ თუ? ძნელი დასაჯერებელია...—თავაზიანათ შევკადრე.

— როგორ არა, ეგ ადვილი საქმეა!— დამამშვიდა მეორემ, რომელიც დამშვიდებით უსმენდა ამბავს. — ერთი თვის წინად თრიალეთის მთებში წავედი სანადიროთ. ექვსი ძაღლი წავიყვანე. სხვები შინ დავსტოვე. ერთ ხევის თავს წავადექი. ვნახოთ, ხევის მეორე მხარეს ირემი წამოსკუპულა და ბალახობს. იქნებოდა ასე, ასი საჟნის მანძილზე. ფეხიც არ გადამიდგამს. გადმოვიღე და დაუმიზნე. იგრიალა თოფმა და...

— მერე, მერე?

— მერე, თქვენც მიხვდებით ალბათ, რა მოხდებოდა. რასაკვირველია, ირემი წაიქცა. ხევზე გადავხტი და ირემს თავს წავადექი. ვხედავ, სპილოს ოდენა ირემი გაშხლართულა. ფეხში ხელი დავავლე და სახლში წამოვიღე... დავამარილე და ექვსი თვე სულ ვარახულას ვიძახოდი.—დაამთავრა მან.

— შენ ეგ რად გინდა!—წამოიძახა მესამემ.— ამას წინად მყინვარს გადაღმა ვიყავი სანადიროთ...

— ამ თოვლში როგორ გადახვედით?!— შევეკითხე.

— ჩეპუხა!— მიპასუხა და განაგრძო:— მყინვარზე რომ ავედი, საკმაოდ შეღამებული იყო. ცხენი დავაბი. ცეცხლი გავაჩაღე, ჯიხვი მოვკალი და შამფურზე წამოვაგე. ტიკით ღვინო მქონდა წაღებული, ცოტა კალბასი და რამეებიც იყო. ერთი სიტყვით, ლაზათიანად ვივახშმე. დამეძინა. შუაღამისას ცხენის ფრუტუნმა გამაღვიძა. შევხედე, რაღას შეხედავ! ეტლი ვიღაცას ხრამში გადაუგორებია და მარტო ცხენია დარჩენილი...

ძილმა ისევ დამძლია და მიმეძინა. ისევ გამაღვიძა რაღაცა ხმაურობამ. გული მომივიდა და ზეზე წამოვხტი. ვნახოთ რომ, უზარმაზარი ვეფხვი მირბის და ჩემი ცხენიც თან მიაქვს...

საშინლად გავბრაზდი, გამოვეკიდე და... მინდა ვესროლო... უცებ გამახსენდა, რომ ვეფხვს ცხენი უკვე მოკლული ყავს და საჭიროა თითონ ვეფხის გამოყენება ცხენის ადგილას. დავეწიე, ფეხში ხელი ვსტაცე და ცხენი გავაგდებინე. წელიდან ქამარი შევიძვრე და ვეფხს ყელში მოუჭირე.

— მერე?

— მერე და წამოვიყვანე, უნაგირი შევადგი (ეტლის თავი აღარ მქონდა) და სახლში დავბრუნდი.

— დაუჯერებელია: ვეფხი ამ ზამთარში, ისიც უნაგირით...

— ასე კია და გინდ დაიჯერეთ, გინდა ნუ!

— მერე ვეფხი რა უყავით?

— აი, ის რომ იყო... ტო-რამა, ცირკში, რომ თამაშობდა იმას მივყიდე.

— რამდენი გამოართვით?

— ერუნდა! ათას სამასი მანეთი! ერთი პაპიროსი მომაწევინეთ!...

— აპოლონ! ის როგორ იყო შენ რომ ხანჯალი დაკარგე?—შეეკითხა ვიღაც ერთ პატარა ტანის ძოხადორეს.

— ნუღარ გამახსენებთ, თუ ძმა ხარ.

— გვიამბე მამა ნუ წაგიწყდება!

— დამანებეთ თავი...

— მოყევი, მოყევი, მეძებარს გაფიცებ!

— ამას წინად სანადიროთ გავხელით,— ჩაახველა აპოლონმა,— მცხეთაში ჩავედი და არაგვის პირს ავყევი. ოცი ვერსი გავიარე, თოფი მქონდა და ხანჯალი. ასამდე ვაზნაც მქონდა.

მივდივარ. შევხედე, რაღას შეხედავ! არაგვის პირს, მაღლა ბატი მოფრინავს. ბატია. მაგრამ იმოდენაა, რომ ჰაეროპლანი მასთან ბეღურას ოდენა არ გამოჩნდებოდა. დაუმიზნე და ვესროლე. შიგ კუჭში მოხვდა და ძირს წამოვიდა.. წამოვიდა, მაგრამ ის შეჩვენებული მდინარეში ჩავარდა.

ჩავარდა და მოაქვს წყალს. დავედევნე. ვფიქრობ:— იქნება სადმე გარიყოს, ხეს წამოედვოს... თქვენც არ მომიკვდეთ! მიაქანებს წყალი. მიაქანებს და მეც მივდევ, მივდევ, მივრბივარ. ვახტები ქვას, ხეს, ჯაგს და ბუჩქებს, თოფი მაღლა მიჭირავს. უცებ რაღაც ჯაგს წამოვკარ ორივე ფეხი და მიწაზე გავიშხლართე. კინაღამ გული წამივიდა. ნეტავ მომკვდარიყავი კიდეც!

— რატომ შე კაცო?

— რატომ და დაცემის დროს მაღლა დაჭერილი თოფი ჩემდა უნებურათ შორს გადავისროლე,—ხელში არ ჩამატყდეს-თქო, გადავისროლე და... შიგ შუა მდინარეში ჩავარდა...

— ფხხხ!— შესკდა ვიღაცას სიცილი.

— საცინარია სწორედ!— სთქვა აპოლონმა.—თოფი ჩემი ხელით გადავაგდე წყალში...

მერე, მერე?

— მერე და დავრჩი მარტო ხანჯლით! თქვენ იცით ჩვენ გვგონია, რომ მარტო ხანჯლით მონადირე ვერაფერს გახდება.

დავბრუნდი და სახლში წამოვედი. მოვდივარ ტყეში. მარტოკა ხანჯლით. ვნახოთ, რაღაც ბურტყული მომესმა. შევხედე უშველებელი დათვი დამჯდარა გზაზე და ბურტყუნობს... ალბათ, მოხსენებას აკეთებდა მონადირეთა კავშირის მუშაობის შესახებ...

საერთოდ დათვის მე არ მეშინია. ეს ყველამ თქვენგანმა კარგათ იცის, მაგრამ ტყეში, უიარაღო კაცს, რომ გაუნათლებელი დათვი შემხვდეს, არ არის მაინცა და მაინც სასიამოვნო.

დავდექი და უყურებ.

ისიც მიყურებს.

— ჩაიარე!—მითხრა მან დათვურ ენაზე.

— გზა დამიცალე და ჩავივლი. რა მილიციელივით

დამდგარხარ შუა გზაში, რუსთაველის პროსპექტი ხომ არ გგონია?

— რას დაეხეტები ამ ტყეში?—შემეკითხა დათვი

— რა შენი საქმეა.

— მაინც მაინც?

— სანადიროთ ვიყავი.

— მონადირე ხარ?

— მაშ არა და!

— კავშირის წევრიც იქნები?

— ცხადია.

— მიბოძეთ წიგნაკი!

— ერიჰაა! შენ რომელი გამგეობის თავმჯდომარე ხარ, რომ აქ რევიზიას მიკეთებ?! ხომ არ გინდა ერთი...

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოწმობა ამოიღე! —მიბრძანა დათვმა.

— თოფი მოიტა მგონი!— გაიმეორა დათვმა და თათი წამკრა.

ეს კი ზედმეტი იყო. ამით [illegible] აღარ შევიძელი, ერთი ისეთი სილა გავაწანი, ლეები ჩაუმსხვრიე (ბებერი იყო და რქის სათვალეებს ატარებდა). დათვი წაიქცა და მე ჩემს გზას გაუდექი.

— ახ ტი ხულიგან!—მომაძახა დათვმა და გამომიდგა. გამოვფრინდი. მოვრბივარ, მაგრამ ვატყობ, რომ მიახლოვდება. ის- ის იყო თათი დამკრა ბეჭში, რომ შემოვბრუნდი და ზურგზე შევახტი პირუკულმა. დათვი გახელდა. პირიდან დორბლებს ყრიდა და საშინლად მაგინებდა მეც და მთელ მონადირეთა კავშირს, ერთი კბილიც გამკრა.

ეს ველარ მოვითმინე და ხანჯალი ამოვიღე. ვფიქრობ, სად დავკრა. მოგახსენეთ, რომ პირუკულმა ვიჯექი



მყინვარზე ეტლით ასვლა

რაღას ვიზამდი. ამოვიღე და მივეცი.

— საწევრო ფული არ გაქვს შეტანილი.

— მერე შენ რაში გეკითხება?

— რაში და იმაში, რომ ნადირობის უფლება არ გაქვს. ეს წიგნაკი ჩემთან დარჩება. ფულს რომ შემოიტან მიიღებ.

— შენ ეი! მოუფრთხილდი!

— შენ იე! მიფრთხილდი!

მოიტა!

პირდაპირ გავგიჟდი კაცი. როგორ უთხრა ამ დათვს, რომ თოფი წყალში გადამივარდა. ხომ ამიგდებს სასაცილოთ. იქნება დათვკორიც არის და გაზეთში გამომაჭრელოს...

დათვზე. სხვა ადგილი აღარ იყო ჩასაკრავი. ავიღე და ტანის უკანა ნაწილში,— სახელდობრ კუდის ძირში ჩავკარი და ტარამდე ჩავიყვანე.

— ვაიო! ერთი დაიღრიალა და შორს გადამისროლა... მოვიხედე! სადღაა დათვი... სადღაც შორს მირბის და ღრიალებს. ჩემი ხანჯალიც თან მიაქვს... ამოღება ველარ მოვასწარი...

— მერე, მერე?

— მერე და, დავბრუნდი სახლში უთოფოდ და უხანჯლოთ. საწევრო წიგნაკიც წაიღო იმ შეჩვენებულმა..,— დაამთავრა აპოლონმა.

ალლარ-ალლარსან.

გამოიწერეთ თებერვლისათვის
„მუშა" და „ტარტაროზი"

# ლევარსი როზროზაძე

**„კვანწარახი“-ს გასულ ნომერში ჩვენ ვაცხადებდი თ. ლევარსის ავადმყოფობას, რის გამოც ხსენებული ნომერი შემოკლებით გამოვიდა. რედაქციამ მიიღო დაწვრილებითი ცნობები ამ ამბის შესახებ. ცნობებს თვითონ ლევარსი გვაწვდის.**

ამხ. ზმუკო!

წავიკითხე „ტარტაროზი-“ს გასული ნომერი, რომელშიაც აცხადებ ჩემს ავადმყოფობას.

ეს არ იყო საჭირო.

წარმოდგენილი მაქვს, როგორ შეწუხებული იქნება ეხლა საზოგადოება!

ამიტომ ვიჩქარი მოგაწოდო საავადმყოფოდან დაწვრილებითი ცნობები ჩემი მდგომარეობის შესახებ.

—:—

დილა-ადრიან სამსახურში როგორც კი მიველი, მაშინვე ტელეფონით მაცნობეს:

**სადგურში კატასტროფა მოხდა: ექსპრესი დაეჯახა სამგზავრო მატარებელს. ორივე დაიმსხვრა. მსხვერპლი დიდია. გთხოვთ დახმარებას. თქვენი მოსვლა აუცილებელია.**

ამ დროს მოისმა მატარებლების ყვირილი, თითქოს მეორე მოსვლაო.

მე საჩქაროთ გადავიცვი ჩოხა, ხანჯლიანი ქამარი წელზე შემოვირტყი, თავზე ცილინდრი დავიხურე, ყურებზე სათვალეები ჩამოვიბი, ხელი დავავლე პორტფელს და გარეთ გამოვედი.

ავტო კარებთან დამხვდა.

შიგ ჩავჯექი და სადგურისაკენ მოვკურცხლე, რათა მალე მივსულიყავ კატასტროფის ადგილზე.

ისეთი სისწრაფით მიჰქროდა ჩემი მანქანა, რომ ქუჩაში ყველაფერი ამღვრეულ, უსახო საგნებათ მეჩვენებოდა.

ქუჩის მოსახვევში ხალხს თავი მოეყარა.

ბევრი იყო ბავშები.

ისე თავდავიწყებით და აღტაცებით უყურებდენ რაღაცას, რომ ჩემი ავტოს ყვირილი არც კი ესმოდათ და გზას არ გვაძლევდენ.

ავტო შესდგა.

გულმოსულმა შოფერმა მოინდომა მათი გარეკა, მაგრამ...

მე დავინახე დათვი, რომელსაც ათამაშებდა და აცეკვებდა პატრონი.



შოფერს თვალი გადაუბრიალე.

ქალმა (ალბათ დათვის პატრონის ცოლი იყო) დოლი შესწყვიტა და დათვიც გაჩერდა.

— წავიდეთ—?შემეკითხა მორიდებით შოფერი.

— დაიცადე!—ვუთხარი უკმაყოფილოთ და დათვს თვალიერება დაუწყე ავტოდან.

დათვმაც დამიწყო ცქერა და თვალებს აღარ მაშორებდა.

ბოლოს აბურდღულდა. დაიწყო წუხილი, მოუსვენრობა და...

უცბათ ხელიდან გაუსხლტდა პატრონს.

შეიქნა პანიკა, წივილ-კივილი.

დათვმა ისკუპა და უკანა ადგილზე ავტოში გვერდით ამომიჯდა.

ცალი თათი მხარზე გადამდო და კოცნა დამიწყო; თანაც რაღაცას ბურტყუნებდა; დიდი სიხარული ეტყობოდა.

**მიცნო.**

**ვიცანი.**

ეს ის დათვია, რომელიც მე ჯეელობის დროს (მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი) ტყეში დავიჭირე, უკეთ რომ ვსთქვათ,—მოვიპარე, როცა დედამისი სანადიროთ იყო წასული.

ერთ ქალაქელ მეზობელს ვაჩუქე.

ალბათ, მან გაჰყიდა... და ეხლა კი ეს არის, რაც არის.

მას შემდეგ ორმოცდაათი წელიწადი გავიდა. კაცი დავბერდი, მაგრამ ეს დათუნია კიდევ ყოჩაღათ არის.

ცოტა გავისეირნეთ ავტოთი, მაგრამ პატრონმა პროტესტი განაცხადა:

— მე ეზოებში ვუჩვენებ დგმურებს... თუ შეიძლება ხელს ნუ გვიშლით!

მე და დათვი ჩამოვხტით ავტოდან.

— ნუ სწუხდები, ბატონო ჩემო; თქვენ თქვენს გზაზე წაბრძანდით,—მე კი ჩემს მოვალეობას შევასრულებ! —თითქოს ასე მეუბნებოდენ დათვის თვალები, რომლებიც სავსე იყო ცრემლებით.

— არა უშავს! აწი მაინც გვიანია. კატასტროფა უკვე მოხდა და გათავდა... მე შენთან წამოვალ; დღეს სულ შენთან ვიქნები საღამომდი!— ვუთხარი ჩემს გულში და ეზოში შევედით.

საწყალი დათუნია...

ქალმა დოლი დაუკრა.

პატრონმა გრძელი ჯოხი მისცა დათვს, რომელმაც უკან დაიწყო ფეხებზე.

მე სრული სიხარული ვიგრძენი—ჩემს მიერ დაჭერილი პატარა დათუნია ასე გაიზარდა, ასე დავაჟკაცდა და ასე მშვენივრათ ცეკვობს..

ველარ მოვითმინე.

ახალგაზრდობის ნიავმა დამქროლა და დათვთან ერთად მეც ჩამოვუარე.

ეზო დიდ თეატრს წარმოადგენდა.

სახლის აივნები და სართულები კაცს ლოჟებს და ბალკონებს მოგაგონებდენ.

დიდი აღტაცებით გვხვდებოდენ ყოველ ეზოში

ასე ვიარეთ ეზოდან **ეზოში** მთელი დღის განმავლობაში.

საღამოს შვიდ საათზე, როცა საკმაოთ დაბნელდა, მე უნდა გამოვშვიდობებოდი იმათ და საჩქაროთ კატასტროფის ალაგას მივსულიყავი, მაგრამ არ გამიშვეს და ერთ სარდაფში სუფრაზე მიმიპატიჟეს.

# „ორი ქალბატონი“




მადამ მუსოლინს შეჰფერის
მისებრ მსუნაგი მგელია...

მადამ ჩემბერლენს ამშვენებს
მისებრ ცბიერი მელია.



რაღა ბევრი გავაგრძელო, გვარიანათ შევზარხოშდით.

ქალმა დოლი დაუკრა.

ქმარმა ჩამოუარა და დათუნია გაიწვია საცეკვაოთ.

დათვი არ გაჰყვა.

პატრონმა შემოჰკრა.

დათვს გული მოუვიდა, დაიწყო ბურტყუნი, მაგრამ თავი შეიმაგრა,—სამაგიეროთ არ დაარტყა პატრონს.

პატრონმა კიდევ შემოჰკრა.

ბრაზისაგან დაელვეს დათვის თვალებმა...

ამის შემდეგ აღარაფერი აღარ მახსოვს; გარდა იმისა, რომ მთელი თავისი სიძლიერით მეორე თათი მე გამაწნა კისერში.

— შენი ბრალია ჩემი ასეთი წამება!—თითქოს მომესმა დათვის სიტყვები.

ამჟამად საავადმყოფოში ვარ. ექიმები იმედს მაძლევენ. მეც კარგად ვგრძნობ თავს.

შესაძლებელია კისერი მომელრიცოს. ჯერ-ჯერობით არ იქნა მისი გასწორება. დათვის შემოჰკრა ისეთი მძლავრი იყო, რომ კისერი განზე მომიქცია.

გიგზავნი ჩემს სურათს, რომელიც გადაღებულია მოღრეცილ კისრით.

შენი ლევარსი როხროხაძე.



**ჟ. შ.** ეხლა მომაგონდა შენ მწერ გაცხობო, თუ რატომ მაცვია შერეული ტანსაცმელი: ჩოხა, ხანჯალი და ღალსტუკიანი პერანგი, თავზე ცილინდრი და ფეხებზე ბოტინკები.

აქ საკვირველი არაფერია.

ვინც ღრმათ ჩაუკვირდება ჩვენი მდგომარეობისა და სინამდვილის სიღრმეს, იგი ამას ადვილათაც მიხვდება.

ეს არის სინტეზი

და სინტეზი აი რის:

ჩვენი ქვეყანა ხიდია, რომელიც გადებულია ევროპასა და აზიას შორის; ჩვენ ვაერთებთ ქვეყნის ამ ორ ნაწილს. აქ უნდა მოხდეს ორი კულტურის შეხვედრა და დაქორწინება.

ამ ქორწინების ნეფე ისე უნდა იყოს მოკაზმული როგორც მე ვარ.

გარდა ამისა, ასეთი ტანსაცმელი გამართლებულია ეროვნულ-ინტერნაციონალურ მიდგომითაც.

მართალია: ჯერჯერობით ეს ეჩოთირება თვალებს, მაგრამ ყოველი ახალი მიღწევა და გამოგონება პირველ ხანებში ყოველთვის პროტესტს იწვევს.

საზოგადოება დაამშვიდეთ!

მე კარგად ვარ!

**ზმუკი.**

# „კულტუროსანი" მონადირენი

და



ჩინური „სეტერები"

# „სამშვიდობო ალაგას“



— ს:—რა ამბავია ამდენი ჭილყვავები? დაგვსვარეს!
ვაჟი:—ალბათ სანადირო ადგილებიდან მოფრინდენ, რადგან იქ გაწბილებული მონადირეები მაგათ მოსაკლავათ დაესხოდენ!

# ლევარსის „მაძებარი“

## მოგონება

როცა ნადირობიდან ვბრუნდებოდით, ერთ სოფელში ჭიშკარზე ასეთი განცხადება წავიკითხეთ:

**იყიდება მაძებარი ძაღლი.**

ეზოში დავინახეთ ერთი გამხდარი ძაღლი.

დავიძალეთ.

მასპინძელი გამოვიდა სახლიდან და შემოგვეგება.

ეს ლევარსი როხროხაძე იყო (მაშინ მას არ ვიცნობდი).

— თქვენ გყავთ მეძებარი ძაღლი გასაყიდი?—შეეკითხა ჩემი ამხანაგი...

სახლში შევედით, ხოლო ის მაღალი ძაღლი, რომელიც ჩვენ ჭიშკარიდან დავინახეთ, სამზარეულო სახლში შევიდა.

— დაბრძანდით!— გვითხრა ლევარსიმ.

ჩვენ დავჯექით.

ამ დროს სამზარეულო სახლიდან გამოვარდა ის ძაღლი; მას პირში ერთი კეცი ქადი ეჭირა. ძაღლმა ვერ მოასწრო გაქცევა, რადგან სახლიდან გამოსროლილი, კეტი მოხვდა ფეხებში; მორთო ყვირილი და ქადი პირიდან გაუვარდა.

— ეს არის „მაძებარი“!?— გადმომიჩურჩულა ამხანაგმა.

— რას სულელობ! ეს წუნკალი, წუწკი ძაღლია!— დავაიმედე ამხანაგი.

სამზარეულოდან ქალი გამოვიდა (ლევარსის ცოლი—ედუკი) და ძაღლის მიერ ტალახში მიტოვებული ქადი აიღო; თანაც იწყევლებოდა:

— ცოფმა დაგაძრჩო, ცოფმა... შემიჭამა მაგ ოხერმა ყველაფერი. დერგში ყველს არ მიტოვებს, ბუდეზე — კვერცხებს, წისქვილში — ფქვილს, ეზოში — წიწილებს..

— რა გაყვირებს, ქალო?— გადასძახა ლევარსიმ უკმაყოფილოთ.

— რა მაყვირებს და ის მაყვირებს, რომ, ხომ ხედავ მთელი კეცის ქადი გაიტაცა და ტალახში ასე ამოსვარა?!

— არა უშავს; ეს ქადი წვენში ხომ მაინც უნდა ამოგესვარა? ახლა აღარ დაგჭირდება წვენში ამოსვრა, — მაგიც წვენია!

ამ ლაპარაკში იყო ცოლ-ქმარი, რომ საქათმესთან ქათმებში პანიკა მოხდა.

— ქორი დაეცა, ან ტურა მოუხტა ქათმებს!— წამოიძახა ლევარსიმ და ყველა ზეზე წამოვდექით.

სახლის წინ გამოირბინა იმავე ძაღლმა; პირში ვარია ეჭირა.

— აი, შენი მაძებარი!— დასცინა ცოლმა ლევარსის და ძაღლს კეტი მოუქნია, მაგრამ ძაღლი ღობის შემდეგ ყორეზე გადახტა და ვარიას მისართმევათ ბუჩქნარში მიიმალა.

— ასეთი დიდებული მაძებარი ძაღლი ჩვენში სხვა არ იქნება- —დაგვიწყო ლევარსიმ ლაპარაკი.— კარგი ხანია სანადიროთ არ წამიყვანია და ძაღლს ისე მოენატრა ნადირობა, რომ აღარ იცის რა ჰქნას. სხვა რომ ვერაფერი გააწყო, სახლში დაიწყო ყველაფერზე ნადირობა. დღე ერთიან და სამ-ოთხჯერ ასე თუ არ ინადირა, გაცოფდება ნადირობის სურვილისაგან.

ზმუკი.



# ცხვარი და მგელი

## იგავ-არაკი




ჩვენ არა გვწამს სალვთო წიგნების თქმა:

— **„და დადგება დრო, როცა მგელი და ცხვარი ერთად იქნებიან ველათ საძოვარათ ბალახისა“.**

ცხოვრებამ გაამართლა ეს წინასწარმეტყველება და ჩვენ სასტიკათ „დაგვამარცხა“.

მაგალითი გნებავთ?

ინებეთ სახელდახელოთ ორი ცოცხალი და ხალასი მაგალითი:

**გერმანია და პოლონეთი.**

ეს ორი სახელმწიფო —„რესპუბლიკებია“.

ამ „რესპუბლიკებს“, ანუ „ცხვრებს“ სცავენ და უვლიან ჰინდენბურგ-პილსუდსკი, ესე იგი ორფეხა მგლები

ასეთი ჯიშის ცხოველები მოაშენეს ამსტერდამელებმა მეორე ინტერნაციონალის ზოოლოგიურ ბაღში, სადაც დიდი ხნით არსებობდა საამისო ექსპერიმენტები, ევოლიუციონური (არ შეშალოთ რევოლიუციონურთან), სისტემით და კიდეც მიაღწიეს მიზანს.

ამის შემდეგ, მოდით და ნუ დაუჯერებთ მათ, რომ იმათმა უკვე დაამყარეს ქვეყნათ სამოთხე (—რესპუბლიკა), სადაც მგლები (ჰინდენბურგ-პილსუდსკი) და ცხვრები (გერმანია-პოლონეთის „რესპუბლიკები“) ერთად სძოვენ ბალახს.

ცხვრის ფარა ჰყავდათ საძოვრათ ერთად
ორ მწყემს—მეზობელს: გენოს და პავლეს.
შემოეჩვიათ მსუნაგი მგლები,
რომლებმაც მათ ცხვარს მუსრი გაავლეს...
და, რომ საშველი არსიდან იყო,
მაშინ მოთხარეს ბარიკადები...
მგლებს ჩაუსაფრდენ, — და გაუწბილეს
მხეცებს ცხვრის შეჭმის გულის ნადები.
გაიგეს მგლებმა ამბავი ცუდი,
ბრაზით ანთხიეს დორბლი და ცოფი,—
მაგრამ ამითი რას გახდებოდენ,
როდესაც მწყემსებს ხელთ ჰქონდათ თოფი?!
**— ეჰხ! წახდა საქმე! (ამბობს თავისთვის),—**
**ვერას გავხდები ჩემი ღონითა....**
**ნაპირზე მუდამ უნდა გახვიდე**
**შამონახული სადმე ფონითა.—**
(ჯერ სამშვიდობო მისცა ნიშანი...,
ეს იმიტომ, რომ მწყემს უკვე ჰქონდა
ამოღებული მაზე მიზანი):.
**— განადგურდება მთლად თქვენი ფარა,**
**თუ ის მგლებიდან ვერ დაიფარეთ.**
**მე ვიცი ყველა მათი გზა-კვალი,**
**და დასაცავათ მე მომაბარეთ.—**
გულუბრყვილობამ დასძლია მწყემსი,
თან სიზარმაცემ იჩინა თავი:
**— ის იგუშაგებს,— მე დავიძინებ,**
**რისთვის ვათეთრო მე ღამე შავი?!—**
და მიუჩინეს ორივე მწყემსმა
ასეთ პირობით ცხვარს მცველათ მგელი.
**— მინამ ცოცხალი იქნება ცხვარი,**
**დაფარონ იგი არ ახლონ ხელი.—**
...და ამის შემდეგ სცავენ ცხვრებს მგლები;
არ დაარღვიეს „ხელშეკრულება“,
თუმც ისეთი აქვთ. როგორც ჰქონდათ,
ბატკნებისადმი მათ ერთგულება..
სცავენ. მაგრამ რა?! საწყალი ცხვრები
მთლათ ჩამოაჭკნო გულის ფრიალმა,
მათ გაუჩინა ქლექი-ციება,
„მცველთა“ თვალების მტრობით ბრიალმა.
ასე ამბობდენ თავისთვის მგლები:
**— ცოცხლათ შეჭმისა არ მაქვს უფლება,**
**თუ კი მელირსა მისი დაჭრჩობა,—**
**მას ეს კბილები დაეუფლება.—**
**კბილების ღრჭენით, თვალთა ბრიალით**
**გულს გავუხეთქავ,—და ჩაძაღლდება:**
**ასე ამგვარათ, რაც მე მწადია,**
**სულ ახლო ხანში მთლათ განაღდება.—**
მართლაც, წადილი მათ უსრულდებათ:
აჩრდილათ იქცენ ცხვრები მათ ხელში...
(ან როგორ უნდა გასძლონ საწყლებმა
ასეთ ყოფასა და განსაცდელში?!).
სცავენ თვის ბატკნებს და ამავე დროს
ერთმანეთის-ზე უჭირავთ თვალი,
რომ დრო იხელთონ და დაეძგერონ
და ჩაისველონ მით ხახა მშრალი.
ასეთ ყოფაში ქვაც კი დადნება,
არა თუ გასძლებს „უმანკო ცხვარი“.
სად გაგონილა ბალახს რომ სძოვდეს
ერთად მინდორში მგელი და ცხვარი!?

**ინუქი.**

# ლევარსის შეგირდი



1. დავინახე უშველებელი გარეული ღორი; ამოვი-ღე მიზანში და ვესროლე.



2. იბრუნა ჩემსკენ პირი...... და მე შიშისაგან თოფი გამივარდა ხელიდან.



3. მეცა ფეხებში, შემისვა ზურგზე და გამაქანა უღ-რან ტყეში დასამტვრევათ.



4. მაგრამ... ვერ მივართვი ბადრიჯანი. ისე გადმოვ-ხტი, რომ ღორს არც კი შეუტყვია.

## „ნადირობის“ ერთი დარგი

ჩაი დალია პლატონმა მურაბა-მალინიანი
და შემდეგ გადინადირა ბაზარი წვანილიანი.
ჩამოუარა ყასაბებს (დაეკლათ ხარი რქიანი),—
უნდოდა ხორცი ეყიდა ქონიან-ბარაქიანი.
წავიდა, იქ მიცუნცულდა, სადაც ქათმები წყვტებაო.
ბატ-ინდაური-გოჭები დაკლული იყიდებაო.
მათ დანახვაზე პლატონსა ნერწყვი პირს მოადგებაო.
ფიქრობს:—ამით რომ გამოძღეს, მკვდარიც კი წამოდ-
გებაო.

— — —:—

ერთ დაკლულ ინდაურისა მან ყიდვა განიზრახაო.
ჯიბეზე ხელი გაიკრა და შიგ საფულე ნახაო.
მოლებულსა საფულეს დაალებინა ხახაო...
ამ დროს მახლობლათ გაისმა სიცილი: ხა-ხა-ხა-ხაო.

ჯიბგირებს ფული წაელოთ,—იძახდა წიავ-წიავსა.
(გამოედევნე, სად ნახავ? სად დაეწევი ნიავსა?!).
ეს როგორ ჰკადრეს პლატონსა კაცს ეგზომ დიდს და
ჰკვიანსა?!
იგი ჯიბგირი რომ ნახოს, პლატონი ესვრის ტყვიასა.

— — —:—

ჯიბგირობაც არის ხოლმე ნადირობის ერთი დარგი.
(სულერთია რას მოგპარავენ: ფული არის ის თუ ბარგი,—
მათთვის მაინც სასარგებლოთ ცუდი არის ის თუ კარგი).
ჯიბგირების ჯიბეთათვის მეტის-მეტათ საქმე მარგი.

**იშტაპიტონი.**

# „გულადი მონადირე“

— მე და ახოტნიკი? დათვების და კაბანების დამჭერი? მგლების და მელიების დამხოცი? ე-ე-ე, ჭკვაზე მოდი, სამჯერ პიოჯვარი დაიწერე, ვანქს სანთელი აუნთე, ჰამაც თელეთის სახელობაზე შანა შაიბი, რომ მაგითანა აპასნი რამეები გულში გაივლო და ჰუზურში ჭკვა მაინც მთელი დაგრჩეს, გულის რაშირეხია არ მოგივიდეს და სობესის შასანახი ინვალიდი არ გახდე. მე შენ გეტყვი ხომერიკმა მამენტალნათ პენცია არ დაგინიშნოს, აი!.. მერე დადექი სიონის კარებთან და ბრუციან ბეჟანასავით იძახე:

— გამიკითხეთ ბუკეტებოჯან, დღეს თელეთობაა, ხვალ სიონობა იქნება, ჰამაც ერთი კვირის მემრე გერისთობა მოდის..

ბან ჩუნეს? ჰაინუში ვინ ჩაგიგდებს, კაპიკს ვინ ჩაგიდებს? მემრე ადექი და პირი ტალახიდან ამაიყვანე! აფსუს გეოჯან-?...

არა, სიტყვა ჩვენში დარჩეს და ძაან ხათას გადავრჩი აი, ახში ზარალი კი მამივიდა, ის ხურჯინი და ზაკუსკა ვართრაფათ წავიდა, ჰამაც კარქი თოფი და ზონტიკი დავკარგე, ჰამა მე რომ იმ მგლის კერძი არ გავხდი, არა რომ ესეც დიდი ხრაბრობა და ვაჟკაცობაა?

ეს სულ მაგ ბემურაზ ფეფელას ჰაკარაკობისგნით მამივიდა აი, ერთი რომ აუშო მწყრები, მემრე ველარ დავაყენე.

— გინდა თუ არა ნეპრემენათ ახოტნიკი უნდა გახდეო, ეხლა ახოტნიკობა ძალიან მოდნაშიაო, ყველა განათლებულ ქალებს ქმრები მონადირეები ჰყავთ და სულ ხოხბისა და ჯეირნის ყაურმასა სჭამენო, ჰამაც იმათ სახლში რომ შახვიდე, ყველა პაროდის ნადირის ჩუჩლები აქვთო, შენი მურაზის ჭირიმე, თუ გიყვარვარ, იმათ ჰამქარში მეც გამრიეო.

— ფეფელ, ახარ დარდაკ მი ხოსი ე? რაღა დროჲა ჩემი ახოტნიკობაა, კაცს წელი ველარ ამიღია, ისემე ვეღარ დამიმაგრებია ტროსტი რაღა, სულ ხელი მიკანკალებს; მე ახოტნიკობა შამიძლიან?

— გეოჯან, ცოტა რაზუმენია ქენი, დაფიქრდი და ჰუზურში შენც მოგინდებაო: ჯერ ერთი სახელი და პაჩოტი გექნება, თანაც ახოტნიკების საიუზში ჩაგწერენ და ნალოგებს გაგინახევრებენ და ჰამაც რასაც ლომებსა და ტურებს მოჰკლამ, სულ მოგება იქნებაო... ჰუზურშა, ეხლა ნადირობა ისეთი ძნელი რამე აღარ არისო, მონადირეები მარტო კი არ დადიან, მთელი გრუპა წავა ხოლმე, კურდღელს ცეპს დაარტყამენ, ყველანი ისემეებს ერთად მიუშვერენ, თოფსა რაღა და სულ ერთათ გააგდებენ, მემრე ლატარიასა ჰქნამენ და ვისაც ერგება, მოკლულიც იმისიაო მააშ?

მართალი გითხრა, ჭკვაში დამიჯდა; ჰამ საიუზის ჩლენობა, ჰამ სანადიროთ მთელი ჰამქრით წასვლა— ვერც ტურა შაგაშინებს და ვერც კურდღელი. დავთანხმდი და ვებნები:

— ფეფელ, თუ ეგ ლგოტები იქნება, თოლ მეც გავხდები, ჰაჰა თოფი და ძაღლი სადა მაქვს?

— თოფი ჩვენ წყნეთელ ნათლიმამა იაგორასა სთხოვე და ძაღლსაც ბაყალ ბუღდანა მოგცემსო, ორი ბეხრეკი ძაღლი ჰყავს და იძახდა, მეცხვარეებს, უნდა ვაჩუქოვო, ისეთი ახოტნიკის ძაღლები არიან, რომ როცა იმათსა მივდივარ, სულ მსუნამენ ხოლმეო, კარქი ნიუხი აქვთო.

ერთის სიტყვით, მეორე დღეს თოფიც და ძაღლიც მზათ იყო. ფეფელამ ახოტნიკების კანცელარია მასწავლა და წაველ. მივსულვარ, ვხედამ სტოიკის უკან ჩემი ძმა-კაცი ზის, ერთი ხლუპუზი ბიჭია, ვანუას ეტყვიან, ისიც ახოტნიკია. გაუხარდა და მეუბნება:

— გეოჯან, შენც აქ შამოხველ?

—ჰო, ვანოჯან, შენი მურაზის ჭირიმე ძმაკაცობა, გამიწიე და საიუზის ჩლენათ გამხადე, მეთქი.

— ძნელი საქმეა გეოჯან, რადგან აქ სულგლავნი ახოტნიკება ვართ და ხამებს არ ვიღებთო.

— მეთქი ხამი რომელია. ჯეჰელობაში ჩემისთანა ახოტნიკი მთელ იარმუკაში არ შაიძებნებოდა: სამი დუჟინი კაბანი შამიკლამს, თერთმეტი დათვი დამიჭერია, ჰამაც წვრილი დიჩიც სხვა იყო: მელაა, ვეფხვი, ტურა, აფთარი, კურდღელი რამე შააშ?!

იმან იცინის და მებნება:

— ტყუილები ჯიგრიანათ გცოდნია, ზნაჩიტ რომ ახოტნიკობა შენზე ფათა მოვაო, წამოიყვანა ახოტნიკების სეკრეტართან და დაკლადი გაუკეთა. იმან ამოფს თუ,

— ჯერ კანდიტატათ ჩასწერეო და როცა ეგზემენია დაიჭერს, მერმე ჩლენათაც გახდებაო.

— ვებნები უსტა სეკლეტარჯან, თოლ ჩამწეროს რაღა, საქმეს რას აჯანჯლეფ? გზიმენი დაიჭირო რომელი დვარიანცკის ღემნაზიაა მეთქი?

ზაკონი ასეთია, სტაჟი უნდა გქონდესო. წადი ინადირე და როცა ოპიტნი გახდები მაშინ მიგიღებთო... წამოველ, მე და ფეფელომ რეშენია ვქენით მეორე დღეს თელეთში წავსულიყავით [illegible] ვაჟკაცები [illegible] რამეს მამიკლამენ, ჰამაც მოწმობას მამცემენ — ასმა ჩვენის თვალით ვნახეთ რომა, გეო ყარყუმიანცი ნამდვილი ახოტნიკია და ხადატაისტვა ვშვრებით საიუზში შაიყვანოთ.

შაფათ დღეს თელეთიდან ჩამოსულ მეკვერცხე გაგოლას ცხენი დავიქირავე, ხურჯინში კარქი ზაკუსკა ჩავაწყე, შავჯექ ცხენზე, ხელში თოფი და ქოლგა დავიჭირე და ჰამაც ეს წურიკა ძაღლი თოკით ხელზე გამოვაბი. მივდივარ, გიგოლა უკან მამდევს. ორთაჭალისკენ რომ ჩავიარეთ, თალიბას ტრაკტირიდან მთვრალი კამპანია გამოვიდა და გიგოლა ძალით მიაბრუნეს—ასმა თითო ბოთლიკა დავლიოთო. მე იქიდან ვიძახი:



— გიგოლჯან, მალე მოდი, გელოდები, გზაში ტურამ, ან კურდღელმა არ გამაფუჭოს...

— ნუ გეშინიან გეოჯან, მე უკან მოგყვებიო, წაველი. ბოლნისის თავში ერთ მეურმეს დავეწიე და გული ალხენათ გამიხდა. კარქა გზა რომ გავიარეთ, იმან მებნება:

— საით მიხვალ ხაზეინ, ეგრე შაიარაღებული?

— მეთქი თელეთისაკენ მივდივარ და ჰამაც ერთი ორიოდე კაბანი და შველი უნდა მოვკლა, ხვალ ჩემა ცოლის მენენიკია და ფეშქაშათ უნდა მიუტანო.

— ჰეჰეიი, ძაან სროლა გეცოდინება ალბათა? ნეტაი ჩვენყე წამოხვიდე, ი ტიელა მგლებმა სუ მთლათ გაგვაჩანაგეს განა, ალბათ თელეთის გზაზედაც ბევრი მგლები შაგხვდება, გუშინაც კინალამ ერთი უჩიტელი შეეჭამათ ტანისამოსიანათაო.

კაჰხ. მგლებიო, უჩიტელი შაჭამესო? ეს რო თქო, თვალებში ლიხტრიცკის ლიუმინაციები ამენთო, თმები ყალყზე ამიდგა, [illegible] მაღლა აიწია, [illegible]რებში ჩ[illegible] არლანმა დაუკრა, ჭირის ოფლმა დამასხა და შიშისგნით უნაგირი დავასხ[illegible] სანამ[illegible] მე რამეს მოვიფიქრებ-დი, იმან უკე სხვა გზაზე გადაუხვია და წავიდა... ვეხვეწები, ფულს ვაძლევ, გაგრიჯან, ცოტა მაიცადე, სანამ გიგოლა მოვა მეთქი, ჰამა ყური არ მიგდო და წავიდა. ჰე თელეთისკენ რაღა წამიყვანდა? მაშენტალნათ მოვაბრუნე ცხენი და ქალაქისკენ წამოვედი. ვჩქაროვ, ამ ჯაგლაგს ხან ფეხს ვარტყამ, ხან თოფს, ჰამა ფეხს არ უმატებს, ჰამაც ეს ძაღლი უკან იწევს და ხელსა მტკენს. თან უკან ვიცქირები, გული პიონერცკის ბარაბანივით მიცემს, მეშინიან მგელი არ მოგვეპაროს.

ერითი ნიმუტით შუბლზე ხელი მივიდე და ვაა! ძალიან მაზალოთ არ მოვიფიქრე? მეც პირწალმა ვიჯდე, ცხენსაცა და ძაღლსაც რო თვალები ჩემ ხარესა ჰქონდეს. უკან ვინღა იცქიროს? პუპუზ, ერთიც ვნახოთ უკნიდან მგელი მოგვეპარა და სამივე ერთ ლუკმათ შაგვჭამა?

ავდექი, ცხენზე უკულმა შავჯექ, ქამარით უნაგირზე მივეკარი და ძაღლიც ცხენის ძუაზე გამოვაბი... ეხლა საქმე დაბში მოვიდა: უკანა ხარეს მე ვიყურები, წინ კი ჩემი ცხენი და ძაღლი. მოპარვით ვინღა მოგვეპარება? ჰამა. მაინც ვჩქაროვ; კაცნი ვართ, ერთიც ვნახოთ, ტყიდან კურდღელი, ან ტურა გამოძვრეს და სამივეს გულები გაგვიხეთქოს?...

მოვდივარ და თან ჩემ თავს ვებნები: არა, შე მუხისთავო, ეს ღა გაკლდა? რამტოლო ბრიაბრო და ნეუდაჩა გახსომს ფეფელასგნით, ჰკვა ველარ ისწავლე? კაცს კუდი ვერ აგიწევია, ქუჩაში ქალებს მეელიის ტყავის ბუჯს რო დაუნახავ, შიშისგნით გული იიგდის და ამ სიბერის დროს რამ აგაცუნცურუკა? შენ და ახოტნიკი? ახი არ იქნება ერთი მშიერი მელია გამოვარდეს ზაკუსკათ გაგხადოს?...

ამ ფიქრში რო ვარ, ერთიც ვნახოთ. (ასტვაც, ტერასტვაც, ეხლაც გული მიმდის!) ტყიდან მგლის ღმუილი არ მამესმა? ერთი ვ-უ-უ-უ ო რო დაიძახა, პირდაპირ პარალიჩმა დამარტყა. სული ფრჩხილებში წავიდა, ძარღვებში სისხლი გამეყინა და შიშისგნით ისე ეშმიში გავხდი, რომ ჩემი ამოსაგდები თავიც კი ველარ შავიცოდე რაღა.

იმის ხმაზე ძაღლი აწკმუტუნდა და უკან გაიწია, ცხენი აფრუტუნდა და წინ გაქცუნდა. უცბათ ერთი კამეჩის ტოლა მგელი გადმოდგა გზის პირზე. მაშენტალნათ თოფი ხელიდან გამივარდა, ჩალაც გაწყდა, ძაღლი უკან დარჩა და მე და ცხენი კი გავრბივართ, ისე გავრბივართ, რომ მგელი ვერ დაგვეწია. მე აღარ მახსოვს რა მოხდა ჰამა, როცა გონებაზე მოველ, უკე თალიბას ტრახტინში ვესვენე და ჯარეშიმო მთვრალი ძმა-კაცები მეხვივნენ. გიგოლა კი მეჩხუბებოდა თუო ძაღლი რო გამოგიბამს, ცხენისთვის კუდი მოუწყვეტია და შტრაფი უნდა გადამიხადოო ჩემი ხურჯინი თავისი ზაკუსკით იმას მივეცი და დავაჩუმე. თოფი და ზონტიკი კი იქ დამრჩა, ვინ იცის, იმ ბემურაზმა მგელმა რახან მე ვერ დამიჭირა ისინი შაჭამა.

იმას მემრე, მე და ფეფელას სპორი არა თავდება: მე იმისთვის არ მითქვამს რა ოინი მამივიდა და ისი კი დღესაც არ მეშვება.

— გინდა თუ არა ახოტნიკი გახდი და ირმების და დათვების სუკები მაჭამეო. ე-ე-ე. ბლენა? მე და ახოტნიკი? აქლემი და გალია? კამეჩი და გალუსტიკი? ერთი პაჟალუსტა თქვენ მაინც ურჩიეთ რომ პოპოპები ჩააბირონ.

**ფარსადან.**

## „შურისძიება“



**დაზღვეული ვირი** (დაუზღვეველს):—გავიქცეთ, თავს უშველოთ; მგელი მოგვდევს შესაჭმელათ.

**დაუზღვეველი ვირი:** — ჩემს ფეხებს თუ შემჭამს, ჩემმა პატრონმა ცკითხოს, ის იზარალებს, რომ არ დამაზღვევა,—თორემ მე რა?!

## თქვენ, მონადირეებო!

თქვენ მონადირენო, რომლებმაც არ იცით აზღვარი სიბრძნე-სიცრუის; თქვენ, რომლებიც გადაიკიდებთ ფიშტოებს და გაუძღვებით ჯიშიან ძაღლებს ყარაიასკენ, თუ ალსტაფისკენ, დილომისაკენ თუ აართიჭალისაკენ; თქვენ. რომლებიც გაერთიანებულხართ მონადირეთა კავშირში — თქვენ მადლობა და საუკუნო ხსოვნა!

თქვენ, რომლებმაც შარშან წინ ლახოცეთ თბილისზე შემოსეული 45 მგელი;თქვენ. რომლებიც პრინციპიალურად არ მოკლავთ ტოროლას ბევრიც რომ გქონდეთ წამალი; თქვენ, რომლებიც ხელს არ გაისვრით კურდღელზე, ხოხობზე და აქეთ წვრილმანებზე — თქვენ გეკუთვნით ჯილდოთ ბოლოკის მენდლები.

მონადირეებო, სმენა! თქვენ, რომლებიც გულის ფართხალით შეჰყურებთ თქვენს ფოქსტერიერებს, თავი ხომ არ ასტკივდა, ხომ არ დაორსულდა, ან არავინ გამიბახოს ძაღლიო; თქვენ რომლებიც პირუტყვების მოყვარულები ხართ და სიამოვნებით მოჰკლავთ ისეთ ბოროტ პირუტყვს, როგორიც ჯეირანია, თქვენ, რომელ-

თაც გიჭამიათ თბილისიდან წაღებული არა მცვრიანი მწვადები ყარაიას ტყეებში; თქვენ, რომელთაც გიყვართ აკრძალული ხილი და „ზაპოვედნიკებში“ ნადირობა; თქვენ... მაგრამ რაღა თქვენ.. თქვენ ჯილდოთ ყველა ნადირების სევდა და მწუხარება.

კეთილშობილნო! მეც მიყვარს ნადირობა მხეცებზე, მერე რამდენი მხეცია ჩვენს ქალაქში. წაიკითხეთ ქრონიკა — ამან ის მოჰკლა, იმან კიდევ ის. აქ პირიქით ხდება აულყველაფერი. მხეცები ცოცხალი არიან, მიდით უგროზისკში და იქ იპოვით ზოოლოგიურ სარდაფებს. თქვენ რომლებმაც არ იცით ყველაფერი ეს, მაგრამ იცით ...ის ცნობა და სიხარული, თქვენ რომლებიც ისემე ხართ და არ გიყვართ თავის ქება, თქვენ, რომლებიც უკან მოდიხართ ხელცარიელი და სოლანლუღში ყიდულობთ მოკლულ ნადირს — თქვენ ჩემი რჩევა: — დაანებეთ მაგას თავი და იყავით ჯანზე თბილისში.

რა კარგი არის ნადირობა, ტყეში შეჭრა ვეფხვივით ტრიალი და გარეული ღორებისაგან შეშინება. იქ... და საფთხობათ რომ გაისვრი ჩიტებზე თოფსა, მოჰკლამ მწყერჩიტასა, ან და მაშვსა. ანუ ბელურას. შიშით თუ სადმე მოგელანდა შენ მაშინ დათვი და ანუ მგელი, ანუ სხვა რამე მყისვე გაისვრის მუნ მონადირე არა თუ თოფსა, არამედ შარვლის რამ ნათესავსა.

თქვენ მონადირენო, გვითხარით რა ინადირეთ?

რას იტყვით ახალს, რა თავგადასავალს უამბობთ თქვენს მომავალს: დათვებსა ვკლავდი, მგლებსა ვხოცავდი, ვეფხვებს ვსდევნიდი! მუზეუმში შემონახულ ერთი ვეფხვის ტყავს ყველა თქვენგანი თავის მარჯვენს მიაწერს ამაგს... საწყალი ტყავი! **დიტო.**

# ევროპიულ ცირკში



ადვილათ გამოსაცნობი სურათი

# ძვირფასი ძაღლი

ყველაფერი უბრალო შემთხვევის ბრალი იყო.

რომ ეს შემთხვევა არა, ტარიელ ბუზარაძის ოჯახის მყუდროება დღესაც დაურღვეველი იქნებოდა.

სცხოვრობდა კაცი თავისთვის და არავითარ გადაჭარბებულ პრეტენზიებს ცხოვრებას არ უყენებდა.

მხოლოდ ერთი სისუსტე ქონდა. ნადირობა უყვარდა. მაგრამ ამაშიდაც საკმაო თავდაჭერილობას იჩენდა. თვეში ან ორ თვეში ერთხელ ჩაიდებდა ჯიბეში მონადირეთა კავშირის წიგნაკს. გადაიკიდებდა მხარზე თოფს და ყოველგვარ მაძებრების და მწევრების გარეშე წავიდოდა ლისის ტბისაკენ სანადიროთ.

კი მართალია, ხშირად დაბრუნებულა ხელცარიელი ნადირობიდან, მაგრამ არა ნაკლებ ხშირად ორ-სამ დახოცილ ყვავით და მწყერითად კი მოსულა სახლში. ერთხელ კურდღელიც კი მოიტანა თან.

აი ასეთი იყო ტარიელ ბუზარაძის ცხოვრება და შეიძლება ასეთიც ყოფილიყო მომავალშიაც, რომ ერთ დღეს, სრულებით შემთხვევით რაღაც ცხრა თუმნად საუცხოვო მონადირე ძაღლი არ შეეძინა ერთ მოქალაქედან.

ძაღლი ისეთი მშვენიერი იყო, რომ გამომყიდველი განშორების ჟამს თვალზე ცრემლით ემშვიდობებოდა მას:

— მშვიდობით, ჯეკ!.. შენ იცი და შენმა კაი ძაღლობამ აწი!—

ეს იყო გამომყიდველის უკანასკნელი სიტყვები, გადასცა ძაღლი ტარიელს და მოსახვევში მიიმალა.

მიუხედავად იმისა, რომ ძაღლმა ერთი თვის ჯამაგირი შეიწირა, ტარიელი კმაყოფილი იყო ვაჭრობით.

სახლში, წარბშეკრულ ცოლს ტარიელმა გარკვევით აუხსნა თუ რას ნიშნავს მონადირე ძაღლის ყოლა.

— ძაღლით ნადირობა უკვე ხუმრობა აღარ არის. მაგის ფასს მაგის ერთი ნადირობა აანაზღაურებს... ამას რომ თავი დავანებოთ, სირცხვილია ბოლოს ამხანაგებში... ყველასა ყავს თითო - ოროლა ძაღლი, მე კი ამდენი ხანია უძაღლოდ დავდივარ. უძაღლო მონადირე კი იგივეა, რაც ურეგისტრაციო დაწესებულება...

გაჯავრებულ ცოლთან შერიგების შემდეგ, ტარიელის ოჯახში ერთხანს სიმხიარულე სუფევდა. ეს სიმხიარულე არ დაურღვევია იმ მცირე შემთხვევასაც, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ჯეკმა სრულიად უმანკოდ და ყოველგვარ ბოროტგანზრახვის გარეშე, დააგლო მაგიდაზე



**იასაულჩი**: — როგორ შორიდან მიცნო თქვენმა ძაღლმა!

**ქალი**: — დიახ! ყნოსვა კარგი აქვს... ღორებზეა დაგეშილი!

---

გადაფარებულ სუფრას პირი და ისე მოხერხებულად ჩამოათრია ქვევით, რომ მაგიდაზე დალაგებული ჭურჭელი ერთიც არ გადარჩენილა.

ტარიელის ცოლი გაფითრდა. თვითონ ტარიელს კი ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ ბრძნულად შეიკავა თავი.

— არაფერია... დაამშვიდა ტარიელმა ცოლი. მაგისთანა ჭურჭელი მუშკოოპში ოხრად არის და მყიდველი არავინაა... ამისთანა ძაღლს კი იშვიათად თუ იშოვის კაცი.

— ნეტავი შენ! უპასუხა ცოლმა.

— აქ გასაჯავრებელი არაფერია, თვითონ დაამტვრია, თვითონვე აგვინაზღაურებს!.. ეხლა მაგ ჭურჭლების გულისთვის კარშიშ ხომ არ გავაგდებთ ამ სიცივეში.

ამ ლაპარაკში ჯეკმა იხელთა დრო, შეძვრა ტახტის ქვეშ ლაკის ახალი ტუფლი შავ კატად წამოიდგინა. გამოათრია გარედ და აანამ მივარდებოდენ უკვე იყარა ჯავრი ზედ.

— არა უშავს... ამასაც აგვინაზღაურებს... დაამშვიდა ისევ მტირალი ცოლი ტარიელმა.

ჯეკი კი განაგრძობდა უდარდელად ცელქობას. და ასე ამგვარად ერთი კვირის განმავლობაში მისმა ფასმა 200 მანეთს გადააჭარბა.

მაგრამ როდესაც ერთ დღეს, ძაღლმა საითლანაც პალტოს ზორბა ფოლაქი გამოაძვრინა და ტარიელის თვალწინ ერთი ყლუპწით გადაუშვა ყელში. ტარიელს გააზანზარა.

— ვაი ამ საათს!.. დაიღუპება ეს ოხერი და დაიკარგა ამდენი ფული.

სახლში ორომტრიალი დადგა. ჯეკი კი, თითქოს არაფერიაო, საკვირველ ნახტომებს აკეთებდა ჭერისაკენ ლიუსტრის ჩამოსაგლეჯად.

საშინელი იყო ის ორი საათი, რომლის განმავლობაში ტარიელი დაძრწოდა მთელ ქალაქში ფაიტონით და ეძებდა ვეტერინარს.

მოწვეულმა ვეტერინარმა დიდხანს სინჯა ძაღლი, შემდეგ ახედ-დახედა სათვალეებს ზევით ძაღლის პატრონსაც და თქვა:

— იშვიათი მოვლენაა... ჯერჯერობით საშიში არაფერია. მაგრამ მომავლის გარანტიას ვერ მოგცემთ. ჩემი რჩევაა, დააყენოთ დიეტაზე... უმჯობესია აძლიოთ რძის ქაში და ქათმის ბულიონი. გარდა ამისა, უთვალყურეთ და, თქვენ რომ იცით, იმ დროს თუ ფოლაქი მშვიდობიანად დააგდო, მერე არა უშავს... თუ არა და, მეცნიერება უძლურია ამ შემთხვევაში...

ექიმმა მიიღო ჰონორარი და წავიდა. ტარიელი კი მწუხარებამ მოიცვა.

შფოთიანი დღეები დადგა. მთელი კვირა უთვალთვალებდენ ტარიელი და მისი ცოლი ძაღლს. მაგრამ ფოლაქის დაგდებას არაფერი ეშველა. ამასობაში ძვირფას დიეტაზე დაყენებულ ძაღლის ფასი უკვე 400 მანეთს გადასცდა.

— ეხ! უთხრა ტარიელმა ცოლს... მეტი თვალყურის დევნება მე აღარ შემიძლია... ერთხელ მაინც წავიყვან სანადიროდ და მერე რაც უნდა ის დაემართოს...

მეორე დღეს ტარიელმა გადაიდო მხარზე თოფი და ძაღლიანად ქალაქ გარედ გაეშურა.

მშვენიერი დღე იყო. მაგრამ ეს სიმშვენიერე არ სწვდებოდა ტარიელის გულს.

მიაბიჯებდა ტარიელი შარა გზაზე და სევდით სავსე მისჩერებოდა წინ მოთამაშე ძაღლს.

— უბედურო არსებავ... ეუბნებოდა გულში ტარიელი ჯეკს. შენ მხიარულობ და ის კი არ იცი, რომ შენივე სიკვდილი შენივე კუჭში გვყავს დამწყვდეული.

ასეთ გუნებაზე გასცილდა ტარიელი ვაკეს და უეცრად შენიშნა, რომ ჯეკი რაღაცას აპირებდა. ამის შემდეგ მოხდა ის, რასაც უშედეგოდ ელოდენ მთელი ერთი კვირა ტარიელი და მისი ცოლი.

ფოლაქი უკვე მტვერში ეგდო.

და თითქოს აქედან იბრუნა ბედმა პირი ტარიელისაკენ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჯეკმა კურდღელი გამოაგდო ჩირგვებიდან.

დანახვა და თოფის გასროლა ერთი იყო. როცა კვამლი გაიფანტა, ტარიელი გულისფანცქალით გაექანა იქით, სადაც მოკლული კურდღელი უნდა გდებულიყო.

მაგრამ კურდღლის ნაცვლად ჯეკი ეგდო ჩირგვებთან და სულს ღაფავდა. დადგა თავზარდაცემული ტარიელი ძაღლის ახლოს და უცქეროდა, როგორ ესალმებოდა ამ ქვეყანას მისი 400 მანეთი.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ტარიელის და მისი ძაღლის ისტორია. მაგრამ მოულოდნელად ამ საქმემ მხოლოდ სასამართლოში პოვა დასასრული.

დამთავრდა იგი ასე:

ერთი თვის შემდეგ სასამართლოში ბრალდებულის სკამზე იჯდა ტარიელი, მოშორებით იდგა უეცარი მომჩივანი, მხოლოდ ბრალმდებელი მრისხანე სახით ასე ასრულებდა თავის საბრალმდებლო სიტყვას:

გავარჩიოთ მუხლობრივ, თუ რაში გამოიხატება ამ ადამიანის დანაშაული: პირველი ის რომ, მან მოპარული ძაღლი შეიძინა ქურდიდან, თუმცა აშკარად იცოდა, რომ ძაღლი მოპარული იყო, და შეიძინა ჩალის ფასად... მეორე — ძაღლი ისეთ სასტიკ პირობებში ჩააყენა, რომ ძაღლმა სიმშილისაგან თურმე ფოლაქიც კი გადაყლაპა. მესამე — გაიგო თუ არა, რომ ნამდვილი პატრონი ძაღლს დაეძებს. წაიყვანა ძაღლი ქალაქგარედ და მხეცურად ჩაკლა იქ...

განაჩენი მალე იქნა გამოტანილი.

ტარიელს ეპატივა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ დაევალა გადაუხადოს მომჩივანს ძაღლის ღირებულება 300 მანეთი და ამასთან ერთად, როგორც შენიშნულს, ჩამოერთვას სამუდამოდ მონადირეთა კავშირის წიგნაკი.

**ხინემატო.**

# ტარტაროზი ნადირობს



ჩვენი ხელისმომწერი (ტარტაროზს): აი, იმათ არ გამოუწერიათ ჩემბერლენისათვის გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“.

ტარტაროზი: თუ არ გამოუწერიათ,—მე იმათ ვანახვებ სეირს.

მხეცები (ხედავენ ჩემბერლენის ჩუჩელას და შიშისაგან თავზარდაცემული გარბიან):—ეს რა საშინელებაა!? ჩვენი მხეცობა მაგასთან შედარებით სათნოებაა!

# შავი ხოხობი

შაბათ საღამოს მეტად საინტერესო იყო ვაგზლის ნახვა. ვაგზალი სულ ძაღლებით აივსო. (რაღა თქმა უნდა ორივე სქესის ძაღლებით), თითო მონადირეს სამი - ოთხი მაინც მიჰყავდა. მონადირეთა რიცხვიც აურაცხელი იყო. გეგონებოდათ ჯვაროსანთა ომები იწყება (რასაკვირველია ბეღურების წინააღმდეგ).

ძაღლებ შორის გაიმართა არშიყობა. არშიყობას მოჰყვა იჭვიანობა და იჭვიანობას ჩხუბი. ჩხუბის დროს ერთმა ხვადმა კოკერკოტის კაბა ჩამოახია ბათომში მიმავალ მანდილოსანს, რომელსაც ალბად, ახალი კონტრაბანდის შეძენა ჰსურდა იქ.

ისეთი აურ - ზაური ჰქონდათ ვაგზალში. ამ ძაღლებსა და ამ მონადირეებს, რომ მათი კვეხნა - ტრაბახი ყარაიაზის ტყეში გაიგეს გარეულმა ღორებმა:

— ქედა, — უთხრა შაქია ღორმა ქედას.

— რა შაქი?

— გესმის: ერთი მონადირე მეორეს უამბობს შენს მოკვლას, ათ თუმნად გაყიდვას, თავის გმირობას — შენ კი აქ აჭაპუნებ რკოს.

— მესმის, მესმის. ვაი შენ ჩემო თავო, აბა გამოთვალე, დღეს რომელი დღეა.

— მეექვსე დღეა, ხვალ მეშვიდე იქნება.

— ისე რომ დილამდე უნდა წავიდეთ სადმე, თორემ ეს მონადირეები კიდევ შეგვაშინებენ. ყოველი ექვსი დღის შემდეგ რო მოდიან ჩვენზე სანადიროდ.

შეიტრუხუნეს და წავიდნენ.

—:—

მატარებელმა მონადირეთა არმია ჩაიყვანა ყარაიაზე.

— საქო, საქო.

— რა გინდა გიქო?

— ესროლე მაგ ოხერს! ესროლე.

— რასა გიქოჯან.

— რასა და ხოხობს.

— ჰმ! მე ირმისთვის თოფი გამიტენია. შენ — ხოხობს ესროლეო?!

ამ დროს ატყდა საშინელი სროლა წინა „პოზიციებზე“.

ალბად უკანა „პოზიციაც“ ხოშზე მოვიდა და მათაც ატეხეს სროლა.

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ! რამდენს დახოცავდნენ და! ახლა კაცმა ჩვენ როგორ უნდა გაგვამტყუნოს, შენ რომ ცარიელები მოვიდეთ! ვინც ჩვენზე წინ გაიქცა, სულ იმან დახოცა და ჩვენ რაღა უნდა შაგვხვდეს.

— ესეც კარგია ჩემო ძმაო: ვიტყვით მაინც სანადიროთ ვიყავითო.

იარეს, ბევრი იარეს.

მთელ დღეს განუწყვეტლივ ისმოდა თოფის ბაგა - ბუგი.

— ხომ ჰხედავ ირემი არ შეგვხვდა, მოდი კურდღელი მაინც მოვკლათ.

გადასწყვიტეს კურდღელის მოკვლა.

არც კურდღელი შეჰხვდათ.

— კაცო, შენ სულ გზა-გზა მიდიხარ და იძახი, კურდღელი მოვკლათო, აქ ხომ არ მოვა თავისი ფეხით, მომკალითო. წავიდეთ იქით, ტყეში. მოდი აქ ცეცხლი დავანთოთ, იქნება შეციებული მოვიდეს ცეცხლთან.

დაანთეს ცეცხლი.

გათბნენ.

— არა, კურდღელს ვერ მოვკლავთ, თუ ხოხობი შეგვხვდეს, ხოხობი მაინც მოვკლათ.

გადასწყვიტეს ხოხობის მოკვლა, და...ისხდნენ ცეცხლთან.

— ხოხბები, ხოხბები!—დაიძახა უცბად საქომ, წამოავლო თოფს ხელი და გაიქცა.

ერთი „ხოხობი“ მუხის კენწეროზე ჩამოჯდა. სხვებმა დაჰფარეს ორი მუხა მთლად.

საქომ კენწეროზე ჩამომჯდარს დაუმიზნა თოფი. თოფი დიდი დამიზნების შემდეგ გავარდა და მეორე ხიდამ ჩამოვარდა „ხოხობი“.

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, რა შავი ხოხობი მოვკალ დო! — სთქვა საქომ და აილო ნანადირევი.

— ერთი ჩემთვისაც რო მოგეკლა, კარგი იქნებოდა! — სთქვა გიქომ და თავი გაიქნია.

ამ დროს ერთი გლეხი მოდიოდა გზაზე და ხელში ცოცხალი კურდღელი ეჭირა.

— სად მოჰკალ, ძია! —ჰკითხეს.

— ცოცხალია, არ მომიკლავ!

— ვა, ცოცხალი დაიჭირე?—ჰკითხეს გაკვირვებულებმა.

— ჰო, მონადირეებისაგან შეშინებული გაბეცებულიყო და დავიჭირე.

— როგორ გაბეცებულიყო, ჰკვიდან შემცდარა? — ჰკითხეს.

— ჰო! — მიუგო გლეხმა.

— აბა უყურე, იმასაც იმდენი ჭკვა ჰქონია, რომ შემცდარა! ამხანაგო. — უთხრა ბოლოს გიქომ: — არ გაჰყიდი მაგ კურდღელს?

— რატომ! — მიუგო გლეხმა.

— მოდი მამყიდე.

— ძალიან პატიოსანი, ჩამოდი მანეთისა და მოგცემ.

— მანეთს? მანეთი რა არის! ორ მანეთს მოგცემ.

— დიდი სიამოვნებით; ინებე შენი ჭირიმე — მიუგო გლეხმა.

— ოღონდ ერთის პირობით: ცოცხალს ვერ წავიყვან, შენ უნდა მოჰკლა! — უთხრა გიქომ.

# უსაშინელესი საფრთხობელა




**მხეცები:** — თავს ვუშველოთ, ეს რა საშინელებაა?!

— ეხლავე, შენი ჭირიმე! — იძრო ხანჯალი გლეხნმა და გამოსჭრა ყელი:

— მე აგრე მეგონა ცოცხალს უფრო ძვირად გავყიდი მეთქი და რაკი მოკლული უფრო კარგ ფასში იყიდება, აპა, ინებე — მიაწოდა გლეხმა.

საქომ შავი ხოხობი ჩამოიკიდა, გიქომ ყელგამოჭრილი კურდღელი და გასწიეს სადგურისაკენ.

გიქოს დიდის სიხარულით შეეგება სახლობა.

— შიგ კურტუმში მოვარტყი ტყვია — კვეხულობდა იგი.

— არა მამა, კურტუმში არაფერიც არა აქვს მორტყმული, ყელში აქვს.

საქოსაც მიეგება თავისი ოჯახობა და ცოლმა რომ ნახა მისი ნანადირევი, უთხრა:

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავში! ყვავს აქ კი ვერ მოჰკლავდი?!...

ფეშანგი.

# ნადირობაც ასეთი უნდა

### გურული სცენა

გევიდა თვარა კალანდა, დეიწყო თოვნა.

ვიფიქრე: მოდი მეზობლებს დავუძახებ და ხვალ კურდღლებზე წავალ სანადიროთ-მეთქინ.

მართლაც, იმ ღამესვე გადოუკიჟინე არსენას, ბებურას, კირილას, ნიკოლოზას, გოგიას და კიდევ ორსამ დარჩეულ ახალგაზრდებს.

გავაძღე ჭირის მოსაკლავი ძაღლები ღორის შიგნით და ჭადით.

მევიდა ილონი, თვარა ყველა შეპირებული ახალგაზრდები კრიმაჭულით მოადგენ სახლს. ქალს უთხარი: თითო ოტკა დაგვისხი და ამ ერთ თქეს დაშაშხული კურდღლის ხორცით გაპატივებ-მეთქინ.

თითო რომკას, მეორე მოყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე და გაუდექით გზას.

მთელმა სოფელმა გეიგო თურმე, ჩემი სანადირო წასვლა. ზოგს ეთქვა: მაგის მოკლულ კურდღელს თითზე შევწვავო, ზოგს ეთქვა: კურდღელს კი არა კედელს ვერ მოარტყამს თოფსო; მაგენი მონადირე ხალხი არც ერთი არააო.

შევედით კიდევაც ტყეში.

ბიჭებს უთხარი:— თავი არ მომჭრათ და თოფი ერთმანეთს არ ესროლოთ, თუ ნადირი ეისვაროს.

გაუშვით ძაღლები. გავაკეთეთ კრუგი და უყურებთ ძაღლების ყეფას. გავიდა პატარა ხანი და შექნა კირილეს ძაღლმა კივილი. კივის, კივის, კივის... ვიფიქრეთ: რაცხა ფარცაკი ამბავია და გავნაბე სული. თურმე ტეკებია ყორყში ტურა და აჭრჩობს ჩვენს კვესიას. პატრონს გეეგონა თვარა ძაღლის კივილი, ისროლა და ისროლა ზედიზედ ორი თოფი. ტურას შეშინებოდა და ეკადრებია გაქცევა, მარა საწყალი კვესიე ქე ვნახეთ გაგუდული.

გევიხედე და მოდის ჩემსკენ რაღაცა, მოაპობს თოვლს და მოგონგლავს შიგ. ვთქვი: გენაცვალე ჩემო თოფო, ეხლა ხარ საჭირო - მეთქინ. გავარდა თვარა თოფი, ერთი შებტა ჩემი ბროლიე, შეტრიალდა, იკივლა და ზედ ათი ფეხის ნაბიჯზე დეეცა ჩემგან უსულოთ. ბევრი მიძახენ აფხანიკებმა რა მოკალიო, მარა, ისე დამწუა ჩემი ძაღლის ცოდვამ, რომ ნახევარი საათი გონება დაკარგული ვეგდე ძირს.

მოვედი რავაც იქნა გონზე თვარა, გავარდა თოფი, შეიქნა კივილი —მიშველე ბაბაო. თურმე ნუ იტყვით! გამოვარდნილა მართლაც ერთი ძროხის ხელა კურდღელი, დოუნიშნებია ნიკოლოზას თოფი, უსვრია.. გამსკდარა ლულა საპირწამლესან და ნიკოლოზეზა გადმოუბრუნებია მარცხენა თვალი.

არიქა ლადიმერა — ნიკოლოზე კვდებაო,— დამიძახენ. გევიქეცი, მივარდი, ვეტეკე, შევაბრუნე, შემოვაბრუნე,—მარა რას ხედავს თვალები! ნიკოლოზე, როგორც ჩემი ბროლიე ისე ხტებოდა მაღლა-მაღლა. არიქა ბიჭებო, წავიყვანოთ მაგი საწყალი სახლში - მეთქინ. მიეეცი თოფი აფხანიკებს; წამოვიკიდე ნიკოლოზე ზურგზე და მოვათრევ სოფელში.

სოფლიდან გვიყურებენ თურმე და იძახის ხალხი: შეხედე ამ გლახებს რაძხელა დათვი მოუკლავთო?!

მოუახლოვდით თვარა სოფელს, შეიქნა მეზობლების კივილი— ნიკოლოზე მოუკლავთ მაგ შეჩვენებულებსო.

მივათრიე საწყალი ნიკოლოზე სახლში, მარა ნუღარ იკითხავთ, რაც იქინე ამბავი დატრიალდა.

ასე დამთავრდა ჩვენი ნადირობა. კურდღლების დახოცის მაგიერ, ორი ძაღლი მოვკალით და ერთი კაცი სამუდამოდ ინვალიდი გავხადეთ.

ეე, ბიძია; სადაც მთელი სოფელი შეგაძახებს, იქ ხეირი არ იქნებოდა ქე ვიცოდი, მარა ყველა ჩემი ჭაჭაოტკის ბრალი ყოფილა თურმე და მე რას მერჩის ვინმე?

ძნელოღლი.

# ევროპიული სამხეცე




მხეცები, რომლებზედაც ნადირობა ტარტაროზის ნებართვით შეუძლია ყველა მსურველს.

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 88

კვირა, 5 თებერვალი 1928 წ. № 138 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

„ქალი--ობობა" და გამფლანგველები



# „შეყვარებულნი“



ინგლისელ ჯენტლმენ დეტერდინგს მრავალი ქება-დიდება გაეგონა ამხ. ქალ „საბნავთზე“.

ბევრი ეცადა, ცოტა ეცადა ჯენტლმენი, და აკი ეღირსა კიდეც საბნავთის ხილვას, ნახა და თვალიც შეუ-გორდა.

ამის შემდეგ სულ დაეკარგა მოსვენება დეტერ-დინგს. როგორც ყოველი შეყვარებული ადამიანი—სულ დადიოდა, ოხრავდა, შფოთავდა, ალარავის და ალარა-ფერს არ აქცევდა ყურადღებას. იმისი ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ საბნავთს ევლებოდა გარშემო. მისი ეშხით იწოდა. მის სურვილით დნებოდა.

ალარ იცოდა, რა ექნა! როგორ გაემხილა თავისი სევდა!

მარტო ყოფნის დროს რამდენჯერ წამოუძახია სულ, გამწარებით:

**სიტყვა რომ ვსთქვა ამდონი,**
**უნდა მყავდეს გამგონი.**
**ჰოი, ღმერთმა დასწყევლოს**
**სიყვარულის მამგონი!**

---

გავიდა ხანი. სიყვარულმა უფრო მეტად დაიპყრო დეტერდინგის არსება. ბოლოს მოთმინებაც დაჰკარგა. აი-ღო ხელში ჩონგური და მიადგა საბნავთის ციხე-კოშკს. ჯენტლმენმა დაიწყო გარშემო სიარული, თან ჩონგურს უკრავს და თან დამღერის:

**მთას ვიყავ, ცივი წყალი ვსვი,**
**ბარად ჩამოველ — მაჰარი,**
**ნეტავი გოგო გაგყიდონ,**
**მე გავხდე შენი ვაჭარი!**

საარშიყოდ გამზადებულ საბნავთსაც მოეწონა ეს რალაც უცხო ხმა და გადმოიხედა კოშკიდან.

დეტერდინგმა შეავლო თვალი და უფრო ალტაცე-ბით შესძახა:

**მთლად ხმელეთი დამივლია**
**ზღვებიც შემოვლებია,**
**არ მინახავს შენისთანა!,**
**ყელი მოგიღერებია.**
**წამწამსა და წამწამ შუა**
**ბალი გაგიშენებია,**
**შიგ სურვილი ჩაგინერგავს,**
**ყველა გაგიშტერებია!**

საბნავთს როგორღაც იამა ასეთი მომხიბლავი სიმ-ღერები და კოშკში აიპატიჟა შეყვარებული სტუმარი.

დეტერდინგი მიუახლოვდა თუ არა მზეთამზე საბ-ნავთს, მაშინათვე მოწიწებით დაეცა მუხლებზე და შემ-ღერის:

**მინდორშია თეთრი ქვა,**
**ავსწიე და არ ამყვა.**
**გოგო შენი სიყვარული**
**სადაც წაველ — თან წამყვა!**

საბნავთმა ყურადღებით ახედ-დახედა დეტერდინგის გაპარსულ პირი სახეს და ამბობს. თითქოს თავისთვის, თითქოს მის გასაგონად:

**„მეშინია ბიჭისა, გაწვალება იცისა.**
**ვენაცვალე ბერიკაცსა, არ გამტეხსა ფიცისა!“.**

ჯენტლმენს ეწყინა ასეთი შენიშვნა საბნავთის და უფრო ალგზნებით შემღერის:

**„ალმასის ფანჯარაშია მზევ დაგინახე პირი მე.**
**დღისით მკლავს შენი სურვილი, ღამე ვზივარ და ვსიტირი მე.**
**ნეტავი როდის მეღირსოს შენთან ჯდომა და ლხი-ნი მე?**
**გადაგხვეოდე, გკოცნიდე, შენი თვალ-წარბის ჭი-რიმე?“.**

საბნავთსაც გული აუღიტინდა ასეთ საარშიყო ჰან-გებზე; თვითონაც ხომ დიდი ხანია ოცნებობს გათხოვება-ზე და პირდაპირ მიმართავს დეტერდინგს:

**„შენც თუ გინდა, მეც თუ მინდა,**
**შუამავალი რაღათ გვინდა?“**

დეტერდინგი ლამის ცას ეწევა სიხარულით, რაკი თვით საბნავთისაგან გაიგო თანხმობა.

მაგრამ დახე უბედურებას, ეშმაკი რომ შეუჯდება კაცს! საბნავთის ასეთ ჩქარ დათანხმებაზე, რალაცა ეჭვი შეეპარა მის პატიოსან ყოფა-ქცევაში. მაშინათვე თავ-ხედურათ დაუწყო გამოკითხვა თავის საპატარძლოს მის წარსულ ცხოვრებაზე:

— ვინ ჰყვარობდა წინედ?
— როგორ ჰყვარობდა?
— რა დამოკიდებულებაში იყო ამა თუ იმ პირთან?

ყველა ამისი ანგარიში დაწვრილებით მოსთხოვა საბნავთს. და თუ უარს იტყოდა ამაზე, ხელის ალებითაც-კი დაემუქრა.

საბნავთმა ნამცტანი იწყინა ასეთი თავხედური გა-მოძიება თავის უმანკოების შესახებ, და ინგლისელი ჯენტლმენი უდაეიდარაბოთ გამოაბრძანა თავის ციხე-კოშკიდან.

—:—

ამ ამბავს საგანგებოდ ადევნებდა თვალყურს საბ-ნავთისავე სამიჯნუროდ გამზადებული ამერიკელი სერ მორგანი.

გაიგო თუ არა დეტერდინგის გამოძევება, იმის გულ-ში დაენთო იმედის ჭიაკონა და მაშინათვე მიმართა საბნავთს, რადიოთი:

**ტურფა ბალი და წალკოტი, ეკლითა ვინმემ შესარა;**
**რკინისა კარი შეაბა, კლიტე მე მომცა, შენ არა.**
**სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ თავსა მე მივსცემ, შენ არა.**
**ვაჰ, თუ ზედ ისიც დამერთოს, მე მიყვარდე და შენ არა!**

საბნავთსაც ბევრი კაი რამე ჰქონდა გაგონილი სერ მორგანზე. ამიტომ დაუყოვნებლივ უპასუხა მის სასიყვა-რულო რადიოზე:



— რას შვრები, კაცო, რომ ამ ნაგავს ქუჩაში ჰყრი?! სანიტარული კომისია დაგინახავს და დაგაჯარიმებს.
— ჩემს ფეხებს დააჯარიმებს! მე თვით ვარ სანიტკომისიის წევრი!

ვაჟკაცო ულვაშკოკობა,
ქოჩორი შენი მიყვარსო!
თუ კი შენ ჩემთან არ მოხვალ,
მე შენთან ვინ მომიყვანსო!
ადექ და ჩემსკენ წამოდი,
გადმოიარე ბანები!
კარს უკან ჩემი საწოლი,
ღია დაგხვდება კარები.
ასწიე ყუთნის საბანსა
ზედ გადმომხვიე მკლავები,
ქორწილი გადავიხადოთ
მტერს დაუყენე თვალები!

ასეთ სანეტარო პასუხზე, იცოცხლეთ, სერ მორგანი დაფაცურდა!

სულ ცოტა ხანში საქმე გაიჩარხა. საბნავთმა და მორგანმა დიდებულათ იქორწინეს. ჩქარა კიდევაც გაემგზავრენ მეფიანთკენ, გზათ ჩაუარეს დეტერდინგის მამულ-დედულს.

ძველმა არშიყმა რა მოჰკრა თვალი საბნავთის მშვენებას, დაიწყო სევდიანი სიმღერა:

„ვისია, ვისია ქალი ლამაზი?
მას უქეს თვალწარბი, და ქცევა ნაზი?
დალალი—კავები, წამწამ—არვაზი,
ტუჩი სალიმოთ გამონამზადი!“.

საპასუხოდ კი მოესმის სერ მორგანის ამაყური ღიღინი:

ჩვენია, ჩვენია ქალი ლამაზი!
საამო — სატკბილოდ გამონამზადი!
ცას ვეტყვი მის ქებას ენა ფაქიზი,
ხმელეთს გავუშლი ვით ფიანდაზი!

დეტერდინგი სიყვარულთან ერთად ბრაზმაც შეიპყრო. ვერ მოუნელებია, რომ მისი სატრფიალო საბნავთი ასე ადვილად გაჰყვა ვიღაც ამერიკელ მორგანს.

ბოლოს ველარ გაუძლო დაგუბებულ ბოღმებს და თავის ყოფილ სატრფოს მისწერა ასეთი მუქარა:

„დიდ ოკეანეს ერთიან დავაყენებ და ყლაპს უვზამ,
ას მხრიან მშვილდსა მოვზიდავ, ცას ისარს ვესვრი ფშვნას ვუზამ.
ქვეყანას პანღურს ამოვკრავ, შევაშინებ და ბაქს ვუზამ.
ბიჭი ვარ ამისთანაი! იცი მე შენ ქმარს რას ვუზამ?

საბნავთმა ასეთ მუქარაზე ბევრი იცინა, იხარხარა და შემდეგ ასეთი პასუხი გამოუგზავნა ბაქი-ბუქია ჯენტლმენს:

ვაჟო, სად იყავ ეგეთი
როცა არ ვიყავ ქმროსანი?
დღეს ბედმა ქმარი მიბოძა
ძალიან დიდი ყმოსანი.
შინ მოვა, აბჯარს ჩაიცვამს;
გამოვა ქარქაშოსანი.
შვიდ-შვიდს ჩამოჰყრის შენნაირს
შიშველი, პერანგოსანი.
შენ ერთსაც ვერ ჩამოაგდებ,
მორჭმული — ჩაჩქანოსანი!.

ასეთმა პასუხმა სამუდამოდ მოუკლა გული საბრალო დეტერდინგს. აღარ იცოდა, როგორ ჩაენელებინა სიყვარული, უიმედობა, სიბრაზე. დაემხო პირქვე და ბოლმიანათ მორთო გოდება:

ვაი რათ დავკარგე ძვირფასი ლალი!..
სისხლის ცრემლი მოდის, არ შრება თვალი...

ნადირი.

# საგლეხო სესხი

მთავრობამ გამოუშვა სოფლის მეურნეობის გაძლიერების სესხი.

სესხი არც კი იყო ხეირიანად გამოშვებული, რომ სოფლის აქტივი, ყარამან ჯანჯღავა ფეხზე დადგა.

— შეიძინეთ, ამხანაგებო სოფლის კოლექტივიზაციის სესხის ობლიგაცია, მოაწყვეთ მისი რეალიზაციის ორგანიზაცია და ამ საქმეშიაც შეიტანეთ რაციონალიზაცია?

— რა, რაო?

— როგორაო?

— ?!?

— რა სთქვა, თუ გაიგეთ?

— ა?!

— მიხვდით რამე?




— ობლიგაცია, ამხანაგებო, რეალიზაცია და რეკონსტრუქციის რაციონალიზაცია. ეს არც ისე სახუმრო საქმეა.

ყარამანმა დაინახა, რომ გლეხობამ ვერაფერი გაიგო და ისევ მდაბიო ენით დაიწყო ლაპარაკი.

— აი, ამხანაგებო, მთავრობა გვეუბნება: ცოტ-ცოტა ფული შეაგროვეთ და ხაზინაში შემოიტანეთ. ამას ქვია სესხი ფულის მაგივრად მოგეცემათ ქვითარი, ან თამასუქი, რომელსაც ეწოდება ობლიგაცია. სამი წლის შემდეგ ფულს უკანვე მიიღებთ— პროცენტებით. ამას გარდა 6-ჯერ მოხდება ობლიგაციების ტირაჟი, ანუ ქვითარების ლატარეა, რომლის დროსაც თვითეულ თქვენთაგანს შეუძლია მოიგოს 50 მანეთიდან ათას მანეთამდე. თქვენგან ნასესხებ თანხას სახელმწიფო ისევ სოფლის მეურნეობას მოახმარს.

ჰო და აგრე თქვი შე კაცო!

— ახლა ყველაფერი გავიგე!

— თუ ძმახარ, მომყიდე ობლიგაცია!

— ერთი-ორი ობლიგაცია მეც მაყიდვიე და რაც ეღირება მიირთვი.

— აბა, ობლიგაცია!

— ვის გინდა ობლიგაცია!

— მომეცი ერთი მეტრო თუ ძმახარ...

სოფლის კულაკი ალფესი განზე გადგა.

— მაგათ ფულს ვასესხებ?—ბუზღუნობდა იგი, ადგა და რაც ფული ქონდა სოფლის ვაჭრებს ასესხა.

საშუალო გლეხმა ერემომ პირველად იყიდა ობლიგაცია.

— გამოხსენი, დედაკაცო, ორი ჩერვონეცი. ფული უნდა გავასესხო.

ცოლმა გამოუტანა ოცი მანეთი.

ღარიბმა გლეხმა დათომაც მოიფხანა ყური.

— დედაკაცო! მაიტა ი თუმნიანი, ობლიგაცია უნდა შავიძინო.

— ასე გასინჯეთ, მოჯამაგირე გაბროც არ დარჩა ვალში.

— ხაზეინ! მიმართა მან დამქირავებელ კულაკს,— ორი და ათი შაური მაიტა.

— რაზე დაგჭირდა?

— მაიტა, მაიტა, მერე გეტყვი...— წაიღო და ობლიგაციის მეოთხედი იყიდა.

გაიყიდა ობლიგაციები.

კულაკი მწარედ ხითხითებდა.

— სულელებო, რად გადაყარეთ ფულები? მე ვერ მიყურებთ? რაც ფული მქონდა ამ ჩვენ ვაჭრებს ვასესხე.

გავიდა ხანი. ტირაჟი მოახლოვდა. ზოგმა მოიგო, ზოგმა არა.

გავიდა სამი წელი. ტირაჟების დროს გლეხების დიდმა ნაწილმა მოიგო. სხვებმა სახელმწიფოსთვის ნასესხები თანხა მიიღეს სარგებლით.

კულაკი ალფესი?

— ნუღარ მკითხავთ...

სამი წლის განმავლობაში კოოპერაცია იმდენად გაღონიერდა, რომ ყველა ვაჭრები გააკოტრა.

მოგეხსენებათ, გაკოტრებულ კაცს ვალის გადახდა არ შეუძლია.



ალფესისაც დაეკარგა გასესხებული თანხა.

ახლა ალფესიც გაკოტრებული და ისევ ლექსების წე-რას შეუდგა. მისი უკანასკნელი ლექსი ასე თავდება:

რა მიჭირდა მეყიდა ობლიგაცია მენაო,
თურმე ყველას ჯობნებია საგლეხო ობლიგაცია.
ყველას გირჩევ შეიძინეთ საგლეხო სესხიო
თორემ ბოლოს ინანებთ, როცა გაკოტრდებით.

ალჲარ-ალჲარსაშ.

# გზა-ჯვარედინზე

ოსიკო ბარათაშვილის დებიუტმა სახ. ოპერის თეატრში, მოლოდინს გადააჭარბა.

ბარათაშვილს რომ ახალგაზრდობაში ესწავლა სიმღერა, მას საპატიო ადგილი ექნებოდა პირველხარისხოვან მომღერალთა შორის. **(ამონაწერი რეცენზიებიდან)**



ცხონებულ კონსტანტინეს როცა ვაჟი შეეძინა, იმ დღეს ქექა-ქუხილი და წარღვნა არ ყოფილა. არც ახალი ვარსკვლავი გამოჩენილა ცაზე. ქურუმების მაგიერ ნათესავები მოვიდენ ახლად დაბადებულის სანახავად.

პირველ დღიდანვე ბავშს ეტყობოდა, რომ უჩვეულო რაღაც იქნებოდა.

—გენერალი იქნება, ნაპოლეონი მოგონილი იქნება მასთან!—ამბობდა ერთი.

— მინისტრის პახოდკა აქვს!—ამბობდა მეორე—ვენაცვალე მაგის ჩინ-ორდენებს!

— ისეთი მოპარუსკე გამოვა, რომ შენი მოწონებული!—დარწმუნებით ამბობდა მესამე.

ყველას აუსრულდა ნატვრა. ოსიკომ არავის აწყენია. ერთ ხანს მინისტრობაშიც ედგა ფეხი და ისეთი ენაწყლიანი გამოდგა, რომ ყოველი მისი სიტყვის შემდეგ ნილოსის ოდენა მდინარეები მიაგორებდენ ტალღებს.

ერთ დღეს თბილისის ყველა ეკლესიებიდან გაცხარებული ზარების რეკა ისმოდა.

— რაშია საქმე?—ერთმანეთს ეკითხებოდენ გაკვირვებული მოქალაქენი,—ალამმად ხანი ხომ არ შემოგვესევია?

— მეორეთ მოსვლის ნიშანია!—გაჰკიოდა ერთი მოხუცი დედაკაცი.

ქალაქის ადმინისტრაცია ფეხზე დადგა: მილიციის უფროსი პაერო-ავტომობილით დაჰქროდა და ხალხს ამშვიდებდა.

— დაწყნარდით, არაფერია! მეორედ მოსვლა არ იქნება! მის მაგიერ ოსიკო ბარათაშვილი იმღერებს ოპერაში!

დებიუტის შემდეგ ოსიკო ჰამლეტის პოზაში იდგა თავის კაბინეტის ერთ კუთხეში და მწარე ფიქრებს ეძლეოდა:

— შემდეგში ბედი რას მიმზადებს? ვექილობა, თუ კარუზოს დაფნა? აი საკითხი! მაკლია მხოლოდ ნაპოლეონის დიდება!

და იქვე, რომ ერთი წუთიც არ დაეკარგა, ხელში მოიმარჯვა მამა-პაპური ხმალ-ხანჯალი და დაბღლუნა ყველა ბალიშები.

„ახლა კი კმარა!—სთქვა მან გულში.

„სურვა აღმიხდა... სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად“.

**გურჯი.**

# ბოდვა

რა კარგია სიმღერა, მუსიკა, ზღაპრები ანდაზები და სხვადასხვა.

მე ოპერაში ვზივარ. მესამე რიგში (სიზმარია, თორემ მაგის ფულს აბა როგორ ვიშოვიდი). ერთი მწვანე ხავერდოვანი სკამი ამჟამად ჩემს განკარგულებაშია და ბედნიერებით მთვრალს მსურს მეც გავერიო ხალხში, გავიარო გამოვიარო, ყველას თავი მოვაჩვენო;

— ხედავთ მესამე რიგში ვზივარ. ბიჭი ვარ ცოლსათხოვი და მარიფათიანი, ვესწრები პრემიერებს და ვუსმენ საუკეთესო მომღერლებს... მე უნდა შევასრულო ამჟამად აბესალომის პარტია. მოავჯადოებ ქალებს და განსაკუთრებით ქალიშვილებს.

— ვინ არის ეს იადონი?— იკითხავს ყველა.

მე ვარ, მე... ჩემს ნიჭს არ აფასებდენ, მაგრამ მე მაინც გავიკაფე გზა. მაქვს ჟიუტობა ხარის და გამბედაობა კურდღლის. ტაშს არავინ მიკრავს? ჩეემთვიიის ერთიააა სულყველაფეეერიიი. მზიბლავს ეთერიიი...

...ბატისტინი, კარუზო, შალიაპინი... იშვიათი ხმები... სიმღერის გენიოსები—ბარიტონ, ტენორი და ბანი. დღეს ისინი იმღერებენ. მაგრამ სადა ვარ?—იტალიაში. ო, ო, იტალია, იტალია მშვენიერო ქვეყანავ. კარუზო შენი შვილია. მოკვდა იგი, მაგრამ მეხომ ცოცხალი ვყევარ საქართველოს... ცხვირი რამ მატკინა?

...არაფერი არ შეყურება. არ მინდა გავიგონო... ევგენი დვალი „აიდაში“? რა კარგათ მღერის, რა კარგი ხმა აქვს—ნამდვილი დრამატიული ტენორია. ვის არ მოუსმენია იგი, როგორც დეკლამატორი? —„ვინ არ იცის ძველის ძველი, ჯვარის მონასტერი“...

იურისპრუდენცია თუ „ჯამბაზები“ პარტიტურა? კითხვაზე პასუხის მიცემა არ გაუჭირდება არავის. ერთი ლიგამ ეს პრობლემა უკვე მოაგვარა. არაფერი არ მეყურება... რამ მატკინა ცხვირი?

— მოქალაქე მოსამართლენო, მართალი არის, ჩემმა მარწმუნებელმა მოჰკლა კაცი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ხშირად გარემო გაიძულებს კაცს...—ამბობდა სასამართლოში ჩვენი ოქროპირი ოსიკო... რა კარგია სიმღერა, მუსიკა, ოპერა... ოსიკო მღერის? გაჭედილია დარბაზი... მეც რომ ვმღერი?

მე რას მერჩიან, რომ არ მაძლევენ საშუალებას გამოვიდე „აბესალომ და ეთერში“? მე, რომელიც არ ვყოფილვარ, არც ვექილი, არც პოეტი, არც ექიმი და არც ხარაზი?! მე მინდა ვიმღერო და ვიმღერებ კიდეც...

**მურმანო, შენსა მზესაა...**

**„ჩემთან იყო იმ ტანჯვაში“...**

— ყოველთვის ტანჯვაში ვარ შენთან, სულ მორგავხარ და ძილშიაც არა ხარ მოსვენებული! მე მაინც მომსვენე, დამაძინე...

დასწყევლის ღმერთი, ცოლი გამიღვიძებია. დაიძინე ჩემო ეთერო. იძინე... ოპერა გათავდა.

**დ—ო.**




— ეე, რას ამბობ?! სწორეთ რომ რაც ძველ დროს კახპახანაში სიტყვები გაგვიგონია, ტოჩი-ტოჩ ისეთივე ვნახეთ ამ წარმოდგენაზე.

# დამნაშავე

ტფილისის ქუჩებში ისევ გახშირდა უბედური შემთხვევები.

უკანასკნელი უბედური შემთხვევა, რომელიც ტფილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხდა, მხოლოდ თავის სიმარტივით თუ განსხვავდებოდა სხვა ასეთ შემთხვევებისაგან.

გაზეთებში მოყვანილ ცნობების მიხედვით მოხდარა იგი ასე:

გაქანებულ ტრამვაის ვაგონიდან გადმომხტარა ვიღაც ახალგაზრდა და კინაღამ უკან მომავალ ვაგონს მოჰტანებია ქვეშ. სწორედ ამ დროს პირველი ვაგონი მის ცხვირის წინ უეცრად გაჩენილ ეტლს დაჯახებია. ამით უსარგებლია იქვე გვერდზე მქროლავ ავტომობილს და მაგრად ჩაკვრია პირველ ვაგონს მკერდში. ამას შედეგად მოყოლია ის, რომ მეორე ვაგონი პირველ ვაგონს დატაკებია, ვაგონი ისევ ეტლს,, ეტლი ავტომობილს, ავტომობილი ბოძს და ამასობაში სრულიად მოულოდნელად ხმაურზე გაჩენილი მილიციელი მოყოლია ავტომობილს.

საბედნიეროდ, როგორც გაზეთები იუწყებიან, დაშავებულნი იოლად გადარჩენილან, მხოლოდ ეტლიდან გადმოვარდნილი მოქალაქე დაშავებულია სასიკვდილოდ. უბედურების ადგილას სასწრაფოდ გაჩენილან დაინტერესებული პირები და შემდგარა კომისია დამნაშავის გამოსარკვევად.

მაგრამ სანამ კომისია გამოარკვევდა დამნაშავეს, ტარტაროზის ერთმა თანამშრომელმა მიზნად დაისახა, თვითონ შედგომოდა ამ საქმის გამოძიებას, და, რაც არ უნდა დაჯდომოდა, თვითონ გამოერკვია დამნაშავე.

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, მან მიმართა პირად დათ თვით უბედურებაში მონაწილეთ ინტერვიუს გასა კეთებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო პირველად შოფერი საკენ გაეშურა. რამდენიმე საათია უშედეგო ძებნის შემ დეგ, თანამშრომელი სრულებით შემთხვევით წააწყდა მას ერთ სარდაფში და მოკლე შესავალის შემდეგ მშვი დობიანად გამოკითხა ყველაფერი.

დანარჩენ პირების მონახვა კი უფრო ადვილი გამო დგა.

ასე, რომ მეორე დღეს, თანამშრომელს უკვე მზა ჰქონდა ყველა შეკითხვებზე მოცემულ პასუხების მოკლე შინაარსი და დამნაშავის ვინაობაც გამორკვეული ჰქონდა

აი, ამ პასუხების შინაარსიც:

### შოფერი

— რაიო?!.. აა... მესმის... დიდის სიამოვნებით, თუმ ცა კარგად ვიცი, რა შეილთანაც მაქვს საქმე... მაშ, თქვენ გაინტერესებთ —ვის მიუძღვის ბრალი?.. კარგი... მაგრამ ერთი ეს მითხარით, რატომ მაინცდამაინც ჩემთან გამოი ქეცით პირველად?.. ჰმ... სრულებით შემთხვევით?.. ვი ცი, რაც შემთხვევაა, მაგრამ ტყუილად ფიქრობთ... ჩემი სინიდისი წმინდაა, როგორც აი იმ მიკიტნის თავი თმი საგან... არც ბრალი მაქვს და არც გადაკრული ვყოფილ ვარ მაშინ... იმისი დედაც, თუ იმ დღეს ნახევარ ბოთლ არაყზე მეტი დამელიოს... ყველაფერი ვატმანის ბრალია და, თუ გნებავთ მილიციელისაც, მეეტლესაც, მგზავრების საც და თქვენისაც!..

## ახალგაზრდა

— ვერ გამიგია, რად დაგჭირდათ ჩემთან საუბარი. კი, მართალია, მე გაქანებულ ვაგონიდან გადმოვხტი, მაგრამ უმიზეზოდ არა. საქმეზე მივეჩქარებოდი. რა ჩემი ბრალია, თუ ვაგონი იქ არ ჩერდება, სადაც მე უნდა ჩამოვხტე... შემდეგ, თუ ვაგონს ქვეშ არ მოვყევი, არც ეს არის თქვენი საქმე... როგორც ხედავთ, უთქვენოთაც გადავრჩი, და, დარწმუნებული ვარ. მომავალშიაც გადავრჩები... შეიძლება ისიც თქვათ, რომ წესრიგი დავარღვიე... არა, მე, რომ წესრიგი დამერღვია, დამაჯარიმებდენ კიდეც, როგორც წესი და რიგია; ასეთ შემთხვევაა კი ჩემს პრაქტიკაში ჯერ ადგილი არ ქონია... ეხლა კი უკაცრავად... მეტს ვეღარაფერს გეტყვით. ეგერ მეორე ნომერი მოდის და თუ არ შევახტი. დამაგვიანდება...

## ვატმანი

— სიმართლე გითხრათ, დავიბენი... მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თვითონ მეეტლემ მოაწყო ყველაფერი განგებ... მან ისარგებლა იმ შემთხვევით, როცა მე ერთი წუთით უკან მოვიხედე, ძლიერ მაინტერესებდა, როგორ გადახტებოდა ის ახალგაზრდა. და თან სილასაც მოვუმატე, რომ ახალგაზრდას როგორმე კისერი მოეტეხა და სამუდამოდ ესწავლა ჭკუა. ამასობაში მეეტლე უკვე ლიანდაგზე, გადმოსულიყო და სრულებით არ ფიქრობდა გზის განთავისუფლებას... ცხადია, განგებ... ყოველ ვატმანმა იცის. რა ხალხიცაა მეეტლეები და შოფერები... ამასაც კიდევ თავმოყვარეობის საკითხიც დაემატა... ერთი სიტყვით, ჩემი უდანაშაულობა აშკარაა.

## მეეტლე

— ვისი ბრალია?.. უცნაური კითხვაა... ისე კითხულობთ, თითქოს არაფერი იცოდეთ... აბა, თქვენ თვითონა სთქვით, რა შეუძლია ეტლს?.. კიდევაც რომ გაიტანოს ვინმე, თუ ცხენმა ჭიპში წიხლი არ ჩაკრა, მაინც ცოცხალი გადარჩება. თუ რამე უბედურობა ხდება, ეს სულ შოფერების და ვატმანების ბრალია... აი, მაშინაც მათი ბრალი იყო. რა ვუყოთ, თუ ლიანდაგზე გადავედი, ვატმანს შეეძლო შეესუსტებია სიჩქარე და მომდევნებოდა უკან... ჩემი ცხენები იმის ვაგონზე ნაკლებ არ მიქრიან... მაგრამ ყოველ ვატმანს კრიჭაში ჩადგომა უყვარს... ბოლოს და ბოლოს არც ჩვენა ვართ თავმოყვარეობას მოკლებული... ჩვენც ხალხნი ვართ... გარდა ამისა. მილიციელიც დიდი დამნაშავეა, რომ თავის დროზე შემჩნევა არ მისცა ვატმანს... მე კი არაფერ შუაში ვარ...

## მილიციელი

— გმადლობთ... ეხლა ცოტა უკეთა ვგრძნობ თავს... ერთი თვის შემდეგ, როგორც ექიმი ამბობს, ფეხზედაც წამოვდგები... მაგრამ, არა უშავს, პირველი შემთხვევა ხომ არა—მეოთხეა... თუმცა, სიმართლე რომ ვსთქვათ, ძლიერ საწყენია, რომ ყოვლად უდანაშაულო კაცს ასე ემართება... პირდაპირ გასატყავებელია და დასაჯარიმებელია ყველა ეს შოფერები, ვატმანები, მეეტლეები და მხტუნავები. მაგრამ ხომ იცით კეთილი კაცის გული... სტვენას არ უჯერებენ, ისე კი გეცოდება... მათი ბრალია ყველაფერი და სხვა არავის!..

## უცნობი მოქალაქე

— რაღა დროს ჯანმრთელობაზე კითხვაა, თქვე დალოცვილო, სააქაო პირი აღარა მაქვს... ახიც არის ჩემზე... ჩემი ბრალია ყველაფერი... მე ვარ ყველაფერში დამნაშავე!.. მე რომ იმ დღეს ეტლში არ ჩავმჯდარიყავი, არც ვაგონი დაეჯახებოდა ეტლს, არც ვაგონი ვაგონს, არც ავტომობილი ვაგონს და სხვა... ახია... ახი ჩემზე... მაგრამ ეხლა იმდენად ჩემი თავის არ მაწუხებს, რამდენად იმ ხალხის ბედი... ალბად ყველანი დატუსაღებული არიან... საწყალი უდანაშაულო ხალხი... გთხოვთ. თუ კი როდისმე ნახოთ ისინი, უთხარით, მაპატიონ ყველაფერი... შემინდონ... უთხარით, რომ ჩემი ბრალი იყო ყველაფერი... ჩემი... ჩემი... და კიდევაც ვკვდები ღირსეულად::: რა ჩემი საქმე იყო ეტლში ჩაჯდომა!.. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“... ახია ჩემზე, ახი!..

სინემატო.



— შენ დაწესებულებაში ეს ერთი ხანია საქმე კარ-
გათ მიდის!
—მე დიდი ხანია იქ აღარა ვარ!
— ჰაა, ალბათ იმიტომ გამოსწორებულა საქმე!

---

# მ უ ნ ჯ ი

„ტყიბულის მაღაროს მუშათა პროფკავშირის საქმეთა მმართველი მუშებთან ლაპარაკს არ კადრულობს და მათ შეკითხვებზე პასუხს არ აძლევს
— „დილა“.



# ლევარსი როხროხაძე

— პირდაპირ საცოდავებაა: ხედავთ საწყალი მუშა რაოდენ ტვირთს მიათრევს?! მთელი ურემი შეშაა. ხარებსაც კი გაუჭირდებათ ამ აღმართზე ამოდენა სიმძიმის ატანა! — ვუთხარი ლევარსის, როცა დავინახე შეშით დატვირთული მუშა, რომელიც ოფლში იწურებოდა და მისი გულის დაგა-დუგი გარკვევით გვესმოდა.

— ეს რა არის! მე ოცი ფუთი ქვა ათი ვერსისმანძილზე წავიღი ზურგით.

— ეს როგორ შეიძლება?!

— ძალიან ადვილათ... ყური დამიგდე და გიამბობ:

—:—

ღამდებოდა, როცა ჩვენი თავადი შემომხვდა გზაში და მითხრა:

— ლევარსი, გამარჯობა შენი!

— დღეგრძელობა ნუ მოაკლოს ღმერთმა ჩვენს ბატონს!..

მე მაშინ ჯეელი ვიყავი. (ეს ბატონ-ყმობის ამბავია!)

— ბიჭო, — მითხრა მაჭუტაძემ... (ჩვენი თავადი იყო) — ხვალ დილით ოზურგეთში უნდა დამეგზავნა გურიელთან; რაღაც საქმე მაქვს იცოდე — არ დაიგვიანო!

— მესმის ბატონო ჩემო! — ვუთხარი მე და ერთმანეთს დავშორდით.

—:—

როგორც კი ალიონმა სწვერა, მაშინვე ავდექი და დავადექი ოზურგეთის გზას, რომ გურიელისათვის დილით სახლში მიმესწრო, თორემ იგი ყოველთვის სანადიროთ დადიოდა.

მართლაც, როცა ოზურგეთში გურიელის ეზოში ჩაველი, გურიელი სახლიდან გამობრძანდა.

ძალიან ვუყვარდი; სანადიროთ ხშირათ წაუყვანივარ და ჩემი მისვლა ეამა.

— სწორეთ კარგ დროზე მოდი ლევარსი, — მითხრა გურიელმა, — ამ საღამოს ნიგოითის მთებში ვაპირებ სანადიროთ წასვლას და შენაც წამოხვალ ჩემთან.

— კი ბატონო, მაგრამ მე თქვენთან თავადმა გამომგზავნა..

— რა საქმეზე?

— არ ვიცი, ბატონო; გუშინ საღამოს შემხვდა და მითხრა — „ხვალ დილით გურიელთან უნდა გამეგზავნოო“... მეც დილით ადრე ავდექი და ეს არის გეახელით, ჩემო ბატონო!

— მერე-და არაფერი დაუბარებია?

— არაფერი, თქვენი ჭირიმე; მე პირდაპირ ჩემს სახლიდან მოვდივარ!

— ჰაა, ვიცი ვიცი; ეხლა მომაგონდა... შენ აქ დაიცადე... გასაგზავნი მაქვს და ალბათ იმიტომ გამოგაგზავნა! — მითხრა გურიელმა და სახლში შევიდა.

— ყოჩაღი ვარ; ძალიან კარგად მოეწყო საქმე... კარგი ვქენი, რომ დილით ადრე პირდაპირ აქეთ წამოვედი. თავადს ისე ადრე მივუტან ეს „რაღაცა“ არის. რომ მასაც გაუკვირდება და დამასაჩუქრებს! — ასე ვფიქრობდი და ველაპარაკებოდი თავის თავს.

—:—

ერთი საათის შემდეგ ათიოდე ბიჭებმა ძლივს გამოიტანეს ვეებერთელა ხურჯინი, რომელიც სავსე იყო რაღაც დიდი სიმძიმით.

გამიკვირდა, მაგრამ რა მექნა.

გურიელიც გამობრძანდა და სახლის აივნიდან გადმომძახა:

— აბა, ჩემო ლევარსი, აი ეს ხურჯინი უნდა მიუტანო თავად მაჭუტაძეს; ამის წასაღებათ გამოგზავნა შენ. მართალია, ცოტათი მომძიმოა, მაგრამ შენ მაინც რა გაგიჭირდება მისი წაღება.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო! ეს კი არა, თუ გინდ ორი ამოდენა კიდევ იყვეს! — ვუთხარი გურიელს და ხურჯინს ხელი დავავლე, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ძრა ევერ ვუქენი!

— მიეხმარეთ, მხარზე გადაჰკიდეთ! — უბრძანა გურიელმა ბიჭებს, რომლებმაც დიდი ვაი-ვაგლახით მხარზე ამკიდეს ეს უზარმაზარი ხურჯინი.

რას ვიზამდი. მეტი გზა არ იყო — უნდა წამომელო და... წამოვიღე.

—:—



ვიწურები ოფლში. მომაქვს და თანაც ვფიქრობ:
— რა ოხრობა უნდა იყოს, რომ ასე მძიმეა?

ხელებით ვშინჯავ!

— ქვებსავით არის, მარა ქვები ხომ არ იქნება? არა, ქვები არ იქნება, ქვების მეტი რა აქვს თავად მაჭუტაძეს ნატანების ჭალებში!? სხვა რამეა. ჩამოვიღებ მხრიდან, მოვხსნი ხურჯინს თავს და ვნახავ, — მარა მერმე ვინ დამეხმარება მხარზე აკიდების დროს?! ჯანაბას! მივუტან თავადს და იქ ხომ გავიგებ რაც არის შიგ!?

—:—

როცა ასეთი ჭაპან-წყვეტით თავადის ეზოში ჩაველი, ჩემზე გულმოსული და გაბრაზებული მაჭუტაძე ცაცხვის ჩრდილში იჯდა.

— სადა ხარ შენ ამდენხანს? აკი გუშინ გითხარი, რომ დილით ადრე მოსულიყავი ჩემთან და ოზურგეთში გურიელთან გამეგზავნოდი? — შემომიყვირა თავადმა და მათრახის დარტყმა მოინდომა, მარა მივაძახე:

— ბატონო ჩემო, მე შევასრულე თქვენი ბრძანება: დილით ადრე წაველი ოზურგეთში გურიელთან, რომელმაც აი ეს გამოგიგზავნა თქვენ; ასე რომ არა-ვარ ღირსი თქვენი მრისხანებისა.

თავადს გაუკვირდა. ხელი ააქნ-ჩააქნია და მსახურს უბრძანა ხურჯინისათვის თავი მოეხსნა.

მსახურმა ხურჯინს თავი მოხსნა. თავადმა ჩახედა შიგ და შეშლილივით გადიხარხარა. სიცილით მოუსავდა, მუცელზე ხელი მოიჭირა და სკამ-ლოგინზე მიწვა' ისე ხარხარებდა, რომ აღარ შეეძლო ფეხზე წამოდგომა.

ყველა გვიკვირდა და გვეშინოდა.

ბოლოს თავადმა ძალ-ღონე მოიკრიფა, ხელი მომკიდა მკლავზე და ხურჯინთან მიმიყვანა.



— ყორაღ ლევარსი, ოცი ფუთი ქვა მაინც იქნება თუ მეტი არა!—მითხრა თავადმა და ისევ დაიწყო შეუკავებელი ხარხარი.

— ხა-ხა-ხა-ხა!— კიდევ გადიხარხარა მაჭუტაძემ.— ლევარსი, რა მიგარბენინებდა უჩემოთ გურიელთან? მე ხომ არაფერი დამიბარებია? შენ დილით ჩემთან უნდა მოსილიყავი, მე დაგაბარებდი ამბავს და შემდეგ წახვიდოდი ოზურგეთში გურიელთან.

ახლა კი მივხდი, მარა რაღა დროსია! ეს ოცი ფუთი ქვა ზურგით ამომატანიეს ოზურგეთიდან... მარა არ შევიფერე:

— ეს მეც ვიცოდი, ბატონო, მარა იმიტომ ვქენი ასე, რომ მინდოდა თქვენთვის მესიამოვნებია და ბევრი გეცინათ... ახლა მიბრძანეთ რასაც უთვლიდით გურიელს და ამ წუთშივე იქ გავჩნდები!

— დღეს დაისვენე და ხვალ გაგზავნი!—მითხრა მაჭუტაძემ.

—:—

გურიელი დიდი ხანია მოკვდა. თავადიც მის გზას გაჰყვა.

მათ ნასახლკარზე ახლა გლეხები სიმინდს სთესენ.
ის ქვები ახლაც იქ ყრია.

ზმუკი.

სახკიმრეწვის გამოცემა



ქალი გაზრობიდან

# თაგვების ექსპორტი

„ბათომში № დაწესებულება მოქალაქეებისაგან ყიდულობს ვირთხებს ცოცხლებს 40 კაპ. და მკვდარს 25 კაპ.“

გაზეთ „ფუხარა“-ში მოთავსებულ განცხადებიდან.

— არა, რა მაზალოთ უთქვამთ ერთი პასლოვიცის ანდაზა: ასმა ვირი მოგებაზე წავიდაო და ნალებიც იქ დარჩაო. არ დაიჯერებთ? ტოჩი-ტოჩნათ ჩემზეა ნათქომი: მეც ასე მამივიდა რაღა: მოგებისთვის წაველ, ჰამაც თან ბაღაჭში თაგვებით სავსე გალიები წავიღე, ათასი ზირთი-ფირთი ვქენი, მეგონა ჰა, ერთი ლაზათიან კამერციას დავცრტყამ და კარქი მოგება ნეპრემენი იქნება-მეთქი.....

საქმეში ხარ? რის მოგება, რის ბოზბაში, ჰუზურში ერთი სეფოჭკიანი ვერცხლის საათი მქონდა, ისიც შტრაფს მოუნდა და ჰამაც სამი სუტკა არსეტანცკი ვაგონში ვიჯექი, თანაც წრუწუნების საჭმელი პრავიანტი ჩაავდე ჩოთქში, ნახე რა ზარალს იჭერს? აი, ეს ნავნები მოვიგე რაღა, ეს ნალები დამრჩა იქა. აფსუს მოლოდინო?

ყისმათია რაღა: იმ ბეშურაზ წრუწუნას რომ წიოკობა არ დაეწყო, ალხეინათ ჩავიდოდი, ბათომში და თუ ფულს არ მოვიგებდი, ჩორთ სნიმ, სალსალამათი მაინც დავბრუნდებოდი უკან და ყალმაყალში არ ჩავარდებოდი?!

წრუწუნების ამბავს გებნებით: გაგონილი გექნებათ ნახევარ დუჟინი ვირთაგვა რომ კრუხებათ დავსხი და თაგვების პიტომნიკი გავაკეთე.

— რაო? არ გაგიგიათ? ვა, მაშ თავიდან გეტყვით, ძაან სმეშნოვი რამეა, ძმა-კაცები ხართ, გამხიარულდებით:

ეს სულ ზვერინეცმა მიყო: ხომ იცით, ეხლა მთელი ქალაქი ნადირებით აავსეს: აქ დუროვი მოვიდა და კურსოვნიკი ვირები და კატები მოიყვანაო, იქ ზვერინეცი ჩამოვიდა და აფრიკანცკი ვეფხვები და ნასწავლი მაიმუნები ჩამოიყვანაო, ეს მგლებიო, ეს ტურები და მელიებიო, ათასი ჯანდაბა და დოზანა ვინ მოსთვლის?

ქვეყანა დადიოდა სანახავათ, იძახდნენ თუ ნაინტერეს რამეაო, ისეთი ნასწავლი დათვები და გოშპარები ჰყავთო, რომა ზოგიერთი ჩვენი უჩენიკები და სტუდენტები ფას იმათთან, ვერ აჯობებენო...

ერთ შაფათ დღეს წაველი და ვნახე: მართლაც ნაინტერეს რამე იყო. ყველა გალიასთან ვიდექით და იმ ნადირების ხარახტერზე ვლაპარაკობდით, ბევრი მათარამე გავიგე, ისე გამიკვირდა, რომ პარაჟონი გავხდი. ბოლოს ერთ კლეტკასთან მივედით: ერთ ხარეს კარალინკის ჩიტები და პაპუგაები იყვნენ, მეორე ადელენიაში კი თაგვები.

ნალებივით თეთრი წრუწუნები დახტოდნენ, უპრაენენია შვრებოდნენ და იგრივი რამეებს აკეთებდნენ. ყველას მოსწონდა, იძახდნენ ნასწავლი პაროდაა და ჰამაც კარქი ფასი აქვსო. მე ვკითხულოფ, მეთქი ასე რაშ გაათეთრათ? — ამის ფაფრიკა ბათუმშიაო, იქ ქალაქურ ვირთაგვებს იჭერენ, ან ყიდულობენ, მერმე ხიმიჩესკ რამეს უშვრებიან და ათეთრებენო.

— მეთქი თაგვებში ფულს აძლევენ?

— აძლევენ მაშ, კარქ ფულს აძლევენო, გაზეთში აბიავლენია ჩააგდესო, ასმა ვისაც თაგვები გყავთ, ფლან და ფსტან ადგილას გაიყვანეთ და ვიყიდითო. ესტატი აი, გაზეთი აქა მაქვს და შიგა სწერიაო. გადაშალა, ვნედამ მართლა სწერია:

ბათუმის მავანი და მავანი უჩრეჟდენია ყიდულობს ვირთაგვებს, ცოცხლებს ორ აბაზათ, მკვდარს ხუთ შაურათო.

ვაჰ! გამიკვირდა და თანაც გულში მაზალო ფიქრმა გამიარა. ვთქვი, თუ საქულ, დატრიალდი. მარიფათი გამოიჩინე, თაბაუთი ქენი, კარქი საქმეა, იშოვე თაგვები და მემრე პირიან მაზანდაზე გაყიდე, არც ნალოგი, არც ნაკლადნოი რასხოდი. რამტოლიც რომ თაგვი დაიჭირო, დასვი კრუხათ, წრუწუნები გააჩინე, გაზარდე და ჩაიყვა ბათუმში: ფულს მაიგეფ, ისევ ძველ ჩიმაკებს დაიბრუნეფ, სოვდაგრობას მაიგონეფ და საქმეც დამში მოგივა. ის გაზეთი გამოვარიდე და წამოველ.

მეორე დღეს იარმუკაში ჩავსულვარ და ორი დუჟინი ხაფანგი მიყიდნია. მოვიტანე ეს ხაფანგები და მეზობლებს დაურიგე,—მეთქი ეს ხაფანგები თქვენი ფეშქაშა იყოს და რაც რომ ვირთაგვები დაიჭიროთ, ჩემთან მაიყვანეთ. თანაც ჩემი სახლის ყველა კუნჭულში დავამწკრივე ეს ხაფანგები.

მეორე დღეს, უკე ათი ცალი ცოცხალი თაგვი მყავდა. ილბლათ სულ დედალ-მამალი. იმათგნით ბევრი ფეხმძიმეთაც იყო, ისინი უკე კრუხებათ დავსხი. პუპუხ, სულ ცოტა ხნის მემრე ჩემი სახლი პირდაპირ პიტომნიკი გავხადე. ქვრივი კაცი ვარ, მაინც სკუჩნათ ვიყავ და იმათზე ვერთობოდი, კვერცხებს უხარშამდი და წრუწუნებს იმით ვზრდიდი.

ერთ დღეს ეს თაგვები დავაჯღურავე, ჩავსხი იაშიკებში, შიგ საჭმელი ჩაუყარე. თავი დავაჭედე და ბათუმში წავიყვანე. ჰამაც წვრილი წრუწუნები ჩემოდანში ჩავსხი და ისე მიმყავს... ჩავჯექ, ხმა არავინ გამცა, კანდიხტორმა ბილეთიც კი არ მამთხოვა. მეც როცა გული დავიალხენე, წამოვწექ და დავიძინე... უკე გათენდა, როცა ქობულეთის ბილეთებსა თხოულობდნენ. კანდოხტორი მაღვიძებს.

— სვას გავარიატ გრაჟდანინ, ვაში ბილეტი პროსტავლაიტ მამენტალნო... გავიღვიძე, ვეძეფ, — ბილეთი აღარა მაქვს, უყურეფ. აღარც თაგვებით სავსე იაშიკი ჩანს. გაუცარცვივართ, იაშიკში სხვა საქონელი ჰგონებიათ და მოუპარიათ. ემშიში გავხდი, ბრაზისგნით ტირილი მამივიდა.

კანდუხტორი კი ბრაზობს:

— რას გაშტერდი შე გამოყრუებულო, მაქანა ჩემოდანში გექნება ბილეთი, ამეილე ჩქარა. მე აღარ დამაცალა, მოვარდა და ჩემოდანი ნეჩაინათ გახსნა.

პუპუზ, ჩემოდანიდან ყლომუტუნით და წრიპინით სულ მაღლა არ ამოცვივდნენ წრუწუნები? გაიქცნენ, აქეთ-იქით მიიმალნენ, სკამებს ქვეშ შაძვრენ. მთელ ვაგონში ატყდა ყიჟილ-ხვილი და დასტა-ბუბუ, აქეთ ერთი ქალი წამოხტება წიოკობით, იქით მეორე და იძახიან: მიშველეთ, წრუწუნა შამიძვრაო და თან საქამრეს ქვემოთ ტანისამოსს იგლეჯენ.

მთელი ვაგონი საგიჟეებს დაემგვანა: ზოგი გარბის, ზოგს გული მისდის, ზოგი მიზეზიანივითა ხტის და ყველა მე მემუქრება. მე კი აქედან ვყვირი:

— პაჟალუსტა, ნე პუგაიტ, დეჟკი ვსებ წრუწუნოვი დავაი აპრატნა მეთქი. ჰამაც, კანდიხტორს ვემუქრები:—მეთქი შე ბემურაზო, ამტოლ ნიუსტოიკას შენ გადახდევინეფ, ოცი თუმნის საქონელი დამივთხე მეთქი.—თანაც ერთი იაშიკი დიდი ვირთაგვები მოუპარიათ, ჩემი საცხოვრებელი მეკარქება და თქვენ კი მე მოჯაყრდებით?

ბან ჩუნეს? ყურს ვინ გოგდებს? დაუკრეს შუშტუკები, მოცვივდნენ აზრანიკები და რაზბონიკივით გამთოკეს, ჰამაც, გაღებულ კარებიდან ჩემი წრუწუნები სულ გარეთ არ გადახტნენ?.... ვეხვეწები, უხსნი, თუ მე თაგვების ექსპორტი მამქონდა, სავაჭროთ მივდიოდი და ბილეთი ამოუცლიათ მეთქი. ჰამა იმათ გიჟი ვგონივართ და იციან, ჰამაც მებნებიან, თუ უბილეთო მგზავრობისთვის შტრაფი უნდა გადაიხადოთო. არესტანცკის ვაგონი ჰქონდათ და შიგ მიკრეს თავი. სანამ სეფოქკიანი საათი არ მივეცი შტრაფში, მანამდისინ არ გამიშვეს, ჰამაც პრატაკოლი შეადგინეს, თუო პროკლოქს გადავცემთ და სუდში გიჩივლებთ პოეზდში თაგვების შემოყვანისთვისაო. ბოლოს გამიშვეს.

სტანციაში ერთი ძმა-კაცი რევიზორი შემხვდა და უფულოთ ჩამომიყვანა (არ იცი, რომ ეხლანდელი რევიზორები სულ ნაცნობ ქალებს უბილეთოთ ატარებენ?).

ერთიც გითხრა: როცა ქალაქისკენ მოვდიოდი, პოეზდში ერთი გროპა იდგა და იქ ერთი ჯეჰელი ახმახი ლაპარაკობდა:

— გვეიხდე ჩემო ბატონო და იმ იაშიკის პატრონსაქ ჩიეძიბა, ხეირი რო ამოუშვა ჩემო ბატონო, ნელა ევილე ეს იაშიკი და ქარ ჩამოვაცოცე დაბლა? ჩვენი სოფლის ასტანოვკაზე გადავხტენი და შლეჰა მოვადინე სახლჩიდ. ავადგილიზე კრიშკა და დედაია რა ვნახე: ძაღლის ლეკვების ხელა ვირთხები ამოცვინდენ და ავსეს ოდის ყველა კუთხე. დევიფსე კაცი, ორი ფინჩა რაცხა მქონდა შეძენილი და ახლა სულ ის თაგვები მიჭამენ, ვერაღარ გამოველიეო. ერთი კი მაჩვენა იმ იაშიკის პატრონი, რომე სუნთლა ატბივონ საკატლეტეთ ვაქციოო, იმხელა იაშიკი ტყვილა მაწიკვია, ჩემო ბატონო და ბოლოს სახლი თაგვებით ამივსოო....

ეს რო გავიგონე, გავიტრუნე, შიშისგნით ციცქრის კვერცხი გავხდი, კუნჭულში ტერტერას ჯოხივით ავეყუდე და სულ გულის კანკალით ჩამოვედი ქალაქამდისინ.

აი, ასე გათავდა ჩემი თაგვების პასტავჩიკობა, ჩემი მოგება და კამერცია. მაშ ჩემზე ფათაი გამოჭრილი არ არის იმ ვირის ნალების პასლოვიცა?

ფარსადან.



ექიმი: თქვენ ბრმა წელი გაქვთ ამოსაჭრელი, კუჭის კატარი და თირკმლების ანთება გაქვთ, ღვიძლზე მუწუკი გაგჩენიათ, ერთის სიტყვით, ოპერაცია გჭირდებათ!

ავადმყოფი: ერიჰა, ისე გამოდის, რომ ჩემი მეცელი ინვალიდების ხახლი ყოფილა, მაგას ოპერაცია კი არა, სობესის პენსია უფრო არგებს....

## „ესპრესი"



— რეჟ. ცერცვაძე სწერს პიესას: „ჯამაგირი", რომლის შინაარსი აღებულია საკუთარ ცხოვრებიდან.

— ზესტაფონელი პოეტი დაისელი სწერს ახალ რომანს: „ყველგან გაბითურება". ავტორმა ჩატარა დისპუტი, რომელსაც დაესწრო თორმეტი კაცი: აქედან— ხუთი უბილეთო, ორი—დაისელის ძმა და ხუთი კი ბილეთიანები, რომლებმაც შეცდომით იყიდეს ექსპაშაურიანი ბილეთები.

### ლამის 12 საათი

**სცენა წარმოადგენს ტყიბულის მაღაროს ტელეფონის ბუტკას. რომელშიაც ერთი ტახტია მორიგის მოსასვენებლად. შემოდის გალეშილი მილიციელი ბესარიონ მამალაძე.**

**ბესარიონ მამალაძე**:—თქვენ, კა, გესმით?! აქ არავინ შემოუშვათ ჩემდა დაუკითხავად, თორემ შიგ გულში მოვარტყამ ტყვიას.. მეძინება... (დაწვება ხელში მაუზერი უჭირავს. მორიგე იაკინთეს და ქალს შიშისაგან აკანკალებს... პირველ საათზე შემცვლელი მორიგე მოდის)

**იაკინთე** (მორიდებით, შიშით):—ბატონო ბესარიონ, ჩემი გამომცვლელი მოვიდა; ნება მომეცით შემოუშვა (ბესარიონი ხვრინავს... იაკინთე კიდევ იმეორებს).

**ბესარიონი**:—ო, თქვენი დედა და მამა კი... შემოუშვი; მარა არავინ გაბედოს ტელეფონზე დარეკა, თუ არა ფოლაქებივით დავაკრავ ტყვიებს გულზე. (იძინებს).

**იაკინთე** (ჩუმათ შემოსულ მორიგე ქალიშვილს); შენ ხომ იცი ყველაზე მითითება წესიერებისაკენ. აქ ეხლა არ გაბედო, თორემ მოგკლავს ხომ იცი?! (პირველი სმენა გადის; რჩება მეორე).

**ქალი**:—რომ ვინმე დარეკოს და გამოაღვიძოს, ხომ დაგვხოცავს ეს გადარეული..

**დათიკო** (მორიდებით ბესარიონს): —მეგობარო, თქვენი ნათესავი გეძახით; თქვენი ნახვა უნდა. (რამდენჯერმე იმეორებს).

**ბესარიონი** (ვიჟივით წამოვარდება და მაუზერს მოიმარჯვებს):—რაო? ვისა ხარ!- შენი... გაგათავე შენ ძაღლო ამ წუთში...

**მორიგე**:—მორიგე ვარ, —ბატონო, მორიგე... მაპატიე.

**ბესარიონი**: (ლანძღვა-გინებით ტელეფონში დაიწყებს ლაპარაკს):—ჰა, მილიცია... ვინ ვარ?.. რავა მკითხავ! მამალაძე გახლავარ ბესარიონი... არ იცი კიდევ?ფ ჰოი, თქვენი დედა და მამა კი... აბა შენ, ბიჭო, რეოლვერი დამეკარგა ერთი... ეე იქ რომ ხიდეა... და მონახვიე თვარა... აბა იალა... ადეს. „

„დილა."

# ნარევი

**ქ. ხაშური**: დადგეს ცნობილი ტრაგედია: „გულ ამღვრეული პაცანა". წარმოდგენის წინ სიტყვა წარმოსთქვა გარდიგარდმოშვილმა—„ზადევანია" და მისი მნიშვნელობა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა გრანდიოზული ფორთხვა, მთელი შემოსავალი გადაიდო გამფლანგველების სასარგებლოთ. ხალხი ფრიად ნასიამოვნები დაფრთხა.

**დ. ხონი**: აქაურ მღვდელს ეკლესია დაუგმია, თმა გაუკრეჭნია ხოლო ანაფარის არ იხდის, რადგანაც ამ ზამთარში კარგ სამსახურს უწევს.

**ყვირილა**: დათიკო ნოზაძეს დღეს არაფერი „საიმისო" არ ჩაუდენია!

**ბოძი**: ცნობილი მომღერალი იაკობ პადვალოვი იმღერებს რომანსს „ღვინის ბოჩკა". ამბობენ, თუ ხასიათზედ იქნება, სამჯერ იმღერებსო?!

**ქ. ზორი**: ქალაქ გორში გაიმართა სახელოვან მგოსან — ვანია ყბედიძის იუბილე. რამდენიმე მწარე სიტყვა წარმოსთქვა სოფრონიკა ჩაპროშტეშვილმა როგიანად ჩაპროშტა იუბილიარი და ორი გირვანქა სარეცხის საპონი მიულოცა. ყურყუტაძემ მიულოცა „საიუბილეო" პაპიროსი, რომელიც ისევ იქ მყოფებმა მოსწიეს. კოლია ვაჭარმა მანეთ-ნახევარი დაუდო წინ, მაგრამ პარტერიდან გამოქანდა ვინმე წუმწუმაძე და ეს ფული „სრზაუმ" იჯიბა. (როგორც გამოირკვა, — იუბილიარს დიდი ხანია მართებია მისი მანეთ-ნახევარი). დასასრულს სალამოსი გამოვიდნენ იუბილეს მომწყობი კომისია და დიდი თავის-ტეხის შემდეგ იუბილიარის სასარგებლოდ გადასდეს ერთი ობლიგაცია ღირებული 25 მანეთად. იმ ღამეს ვანია ყბედაძეს (იუბილიარს) მეტისმეტი სიხარულით გულის სიგანივე დაეძართა, რის გამოც ფარდა საჩქაროდ ჩამოუშვეს.

**ს. დილომი**: მენახშირე გოლას მთვარეზედ აღმოუჩენია რაღაც შავი ნიშნები. მას დაუმტკიცებია, რომ ეს „ნიშნები" ნახშირი უნდა იყოსო. ახლა კიდევ ეძებს სხვა ნიშნებს: (იქნება ვირი და ტომრებიც აღმოაჩინოს!?).

თელავი: ვინაიდან კინო თეატრის „პირველ ოქტომბერი" ძლიერ ძვირი ჯდება, ამიტომ თეატრის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა შეიძინოს საზნები, რომელიც დაურიგდება მაყურებლებს. მომჭირნეობის მიზნით მომა წინადადება შეტანეს—ერთ ... ვას მიეცეს ერთი საბანი, ვინაიდან, მათი გამოკვლევით: ორი ერთად უფრო თბილად იქნება. თი... ... (ალ-ცალკე.

— კომუნალურმა მეურნეობამ დანიშნა პრემია —ვინც ღამით განათებულ ელექტრონის შუშას იპოვის, მის სახლში გაიყვანებენ ელექტრონს.

მსურველი არავინ აღმოჩნდა,— უსინათლო ელექტრონი რა ოხრობათ გვინდაო.

**ზახრუმანი.**

ზესტაფონი, ადგილობრივ თეატრიდან განდევნილია დეკორაციები, რომლების გამოცვლა-დადგმა წარმოდგენის დროს მახობლებისაგან დროს იხოულობს.

# სასამღროვო კუპლეტები

(ამერიკელ. ძიას ხმაზე)

გრაჟდანებო, ბოდიშ და უკაცრავათ,
მაგეხებით ყველას გაუკაწრავათ;
ლოთიანათ ნურავის გეწყინებათ,
თუ ხანდახან თქვენზეც გაგვეცინება.

ტარტაროზი ვისაც კი ამათრახებს,
მეც პადრობნათ დაგანახვებთ მათ სახეს;
ის არ ინდობს: პარტიულს, უპარტიოს,
ვინც კი ფრონცკობს და იწევა „პადიომს“,

რა დრო დადგა... ოჰხ! თვალებიც დაგვიდგეს,
სემაფორი შიგ ქუჩებში დაგვიდგეს;
მილიციონი აბრუნებს კორბასა;
მალე ვნახავთ ზემელთან პლათფორმასაც.

მოსკოვიდან ტრამვაიები მოვიდა,—
მეც პროგულკის აპეტიტი მომინდა,
შიგ რომ შეხვალ ჩინეთისა ომია,
ქალი კაცი ერთმანეთს შაჯდომია.

უნდა გითხრათ, ძმებო, ადინ სეკრეტი:
გამოსულა იშჩო ნოვი დეკრეტი.
შტო ნა ულიც პლივატ ნელზიაო,
დაგიადებს სრიკში მელიციაო.

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია,
რა უდროოთ გაგცვენია წვერია;

აფსუს, აფსუს, ვპირველობდი წინადა,
ჩემი ცოლიც ზაგესივით ბრწყინავდა.

ცოლმა მამკლა, ცოლმა გამათავა მე;
ვაიმე, ვაიმე, როგორ გავათამამე:
ჩემს ჯიბეში ფოქსტროტი აქვს თაგვებსა,
ის კი მუდამ ფულებზე ქადაგებსა.

ოთხმოცი წლის საკალბასე მამიდა,
მეუბნება: — გათხოვება მამინდა...
ტუგნი გოგოს რაღა გაემტყუნება.
როცა ბებრის კვლავ ჯეელობს გუნება.

იანვარში ცოლი მიწყებს ლაპარაკს:
—გაზაფხულზე ხომ წამიყვან აგარაკს?,
ბარის დამკვრელი მოგიკვდეს, დაჩაო,
შენ მოგინდა რაც პაპაჩემს დარჩაო.

ეს ცხოვრება პროფკავშირის კიბეა;
ჩემბერლენი მე ფეხებზე მკიდია.
ტარტაროზჯან, გენაცვალე სულშიც,
ღვინო თუ გაქ კახეთინცკი ქურშია.

არ მასვენებს ცოლი დღე-ღამ ჩივილით,
(მას დასჩემდა საშვილოსნოს ტკივილი)...
მახლას, დელო სწორედ მაშინ წამიხდა,—
როცა ცოლიც სარემონტო გამიხდა!

**დონ-კი-ხოტი.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## ქათამი—ღვთის ქრთამი

**(სოფ. საწირე, ქუთ. მაზრა).**

მოსე ბუბაშვილი ურწმუნო კაცია, მაგრამ, თუ ვინმე ოჯახში ავად გაუხდა, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ ლოცულობს ღმერთზე, რომელსაც სთხოვს ავადმყოფის განკურნებას.

— როცა არაფერი გიჭირს და კარგად ხარ, მაშინ არ გახსოვარ; ეხლა კი... მაგრამ თუ ერთი ქათამი არ მიუყვანე თქვენს მღვდელს, რომელსაც კუჭიც ჯიბესავით ცარიელი აქვს,—ჩემგან შველას ნუ მოელი!—გამოელაპარაკა რადიოთი ღმერთი მოსეს, რომელმაც სწრაფ აფრინა ეკლესიაზე ქათმით ღლიაში გერმანე ბიჭი.

ამის შემდეგ კი მღვდელმა ასე დაალიღინა ეკლესიაში:

— სნეულთა მკურნალო წმინდაო გიორგი, შეიწირე ვედრება მოსე ბუბაშვილისა ოჯახისა სამშვიდობოთ! — და ბოლოს დაუმატა ხალხის გასაგონათ.



— ხომ ხედავთ ურჯულო მორჯულდა და ეკლესია იწამა?!

ამ ამბავს გვატყობინებს ხო-კი...

მაგრამ, როგორც შემდეგ საიდუმლო წყაროებიდან გავიგეთ, მოსესგან ქათამის შეწირვის მიზანი სხვა რამე ყოფილა.

მოსემ იმიტომ შესწირა ღმერთს ქათამი, რომ მომავალ არჩევნებში კიდევ ის აირჩიონ ალმასკომის თავმჯდომარედ.

როგორ დაკნინებულა ღმერთი—ერთი ქათმისათვის ალმასკომის თავმჯდომარეობას იძლევა!?

## „ძაღლი—„ყარაული“

**სადგ. სვირი.**

სადგ. ნატანები ნაქებია ღორებით; ლევარსი რონროხაძეს განზრახვა ჰქონდა ამ სადგურისათვის სახელი გამოეცვალა და დაერქმია მისთვის ღორეთი. (თუ კი მცენარეულობის სახელი ჰქვია ზოგიერთ ადგილებს, მაგ.: კოპიტნარი, მუხიანი და სხვ., რატომ ცხოველების სახელი არ უნდა ერქვათ?!).

სადგ. სვირმა მიჰბაძა სადგ. ნატანებს და... ძაღლები მოაშენა.

უნდა ითქვას, რომ ღორები უფრო სასარგებლოა, ვიდრე ძაღლები. და ეს არა მარტო იმით, რომ ღორის ხორცს სჭამენ (და ძაღლებისას კი არა), არამედ იმიტომ, რომ ღორი, მიუხედავად თავისი ანტისანიტარულობისა, სანიტარიას უფრო იცავს, ვიდრე ძაღლი.

არის კიდევ ღორების დადებითი მხარე. ისინი მშვიდობიანობის მოყვარული უფრო არიან, ვიდრე ძაღლები მაგ.: ეს უკანასკნელები:

**„სვირის კოოპერატივის თანამშრომლებს ნებას არ აძლევენ საწყობი გაალონ და სავაჭროში საქონელი წაიღონ“.**

და, მართალსაც, ამბობს „მონადირე“;

„ეს იმიტომ, ალბად, რომ ძაღლები ქურდებისაგან ყარაულობენ საწყობს“.

ეს კარგი საქმეა, მაგრამ, არც ის ვარგა, რომ საწყობიდან საქონლის გატანის ნება არ ჰქონდეთ ნოქრებს.




ამიტომ საჭიროა ისე მოიქცეს სვირის კოოპერატივის გამგეობა, როგორც ლევარსი ასწავლის

— ძაღლებთან წარსადგენათ ნოქარს გამგეობის მიერ უნდა მიეცეს მოწმობა საწყობიდან საქონლის გამოტანის ნებართვის შესახებ.

## „სწორი მარშრუტი“

(საჭამიასერი. ოზურგ. მაზრა)

ცოტა შესწორება ყოველთვის შეიძლება. მაგ.: ავილოთ პოპულიარული ლოზუნგები: „კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენ“.

საჭამიასერის კოოპერატივის ნოქარმა დ. ცხომელიძემ ამ ლოზუნგს ბოლო სიტყვა შეუცვალა და მიიღო ასეთი ლოზუნგი: „კოოპერაცია გზაა ქორიძის დუქნისაკენ“.

აბა ყური დაუგდეთ „კირილეისონს“:

„მიიღებს თუ არა კოოპერატივი საქონელს, კოწიას დუქანში შედის ის. დათიკო კი სოფლელებს ასე ისტუმრებს:

— ჩვენ უკვე გაგვითავდა ეს საქონელი. კოწია ქორიძეს აქვს; მიდით და მასთან იყიდეთ!

მივდივართ კოწიასთან და ვნახულობთ ჩვენი კოოპერატივის საქონელს.

„კირილეისონ“ აფრთხილებს ნოქარს:

— ფრთხილათ, ყმაწვილო, თორემ სოფელი ასე შეგიცვლის მაგ ლოზუნგს: „კოოპერაცია გზაა სახლისაკენ“ და გიმღერებს: „შინ წაბრძანების მარშს“.

ლევარსი როხროხაძე კი ამითი არ კმაყოფილდება და ლოზუნგს ასე სცვლის:



— „კოოპერაცია გზაა გამხახლისაკენ!“.

## „მონადირე აფთიაქი“

(ლაგოდეხი, სიღნაღის მაზრა)

ნადირობა რომ მორალურ სენათ გადაიქცა და იგი საზოგადოების ყველა წრეში ვრცელდება, — ეს, თუ გნებავთ, იქიდანაც სჩანს, რომ:

ლაგოდეხის აფთიაქის გამგეს ჰყავს აუარებელი ძაღლები (თვითონ მონადირე გახლავთ). რასაკვირველია, ამ ძაღლების საწინააღმდეგო „მუთვალყურეს“ არაფერი არ ექნებოდა, რომ ისინი აფთიაქში არ ძაღლობდენ და აფთიაქის თანამშრომლებსა და მუშტრებზე არ ნადირობდენ.



აფთიაქის გამგეს არ გამოადგება ლევარსის სიტყვები (იხ. დღევანდელ ნომერში წერილი: ლევარსის „მაძებარი“), თითქოს ძაღლები დაჩვეული არიან ნადირობას რომ უამისოთ ვერ სძლებენ.

## განხეთქილების ვაშლი

ლელვან-მარელისი, შორაპ. მაზრა

ძველი ბერძნული თქმულებაა:: ღმერთმა სამ მშვენიერ ქალ-ღმერთს გადმოუგდო ვაშლი ასეთი წარწერით: „ყველაზე უფრო მშვენიერს“. ამ ნიადაგზე ქალ-ღმერთებს მოუვიდათ ჩხუბი; თვითეული მათგანი ასე გაიძახოდა::



— ვაშლი მე მეკუთვნის, რადგან მე თქვენზე მშვენიერი ვარ!

სახლში, სადაც მე ვცხოვრობ, ამ „ვაშლის“ მაგიერობას ასრულებს საერთო ფეხისადგილი, რომლის გამო ჩემს ცოლს და მის ორ მეზობელს ხშირათ მოსდით ერთმანეთში ჩხუბი. ქმრები ყოველთვის ნეიტრალიტეტს ვიცავთ და სასაცილოთაც არ გვყოფნის ჩვენი ცოლების ცემა-ტყეპა და სიტყვები:



**— დღეს შენი რიგია.. შენ უნდა გაგესუფთავებია ფეხისალაგი... შენ უფრო ხშირად შედიხარ შიგ... მე ყოველთვის გიდარაჯებ და ვითვლი!— სხვა ასეთი დარბაისელი სიტყვები.**

ასე ხდება ხშირათ თბილისის თითქმის ყველა სახლებში.

მაშასადამე:: „განხეთქილების ვაშლის“ მაგიერობას თბილისში ასრულებს ფეხისალაგი....

ხოლო ლელვან-მარელისში კი — ვახანის შვიდწლედის მასწავლებელი ვასილ სერგოს-ძე არევაძე.

ის რაღაც განგებამ „ჩამოუგდო“ აქ სამ მასწავლებელ ქალს ასეთი წარწერით:

**— მას, ვინც თქვენს სამში თავის ორ მეტოქის დაამარცხებს!—**

აი, ასე გადმოგვცემს ამ ამბავს „ხოში“:



**სამ მასწავლებელ ქალს უყვარს**
**მასწავლებელი ვასილი,**
**რომელიც არის სამივეს**
**სიყვარულითა აღვსილი.**
**ვასილი ეტყვის საჩრდილობს:**

**მორიგდით თქვენში ჩქარადა,—**
**და ვისაც წილათ შევხვდ**
**იმას გავყვები ქმარადა.**
**ეს არ ისურვეს ქალებმა,**
**(ლუბა, ელენა და მართა):**
**სკოლაში ჩხუბი სასტიკი**
**გაჩაღდა და გაიმართა.**

ბრძოლა ისევ გრძელდება მოწაფეების მოხაწილეობის მიღებით. შემდეგი ცნობებისათვის მიმართეთ შორაპნის მაზრის განათლების განყოფილებას.

## „იშვიათი მოვლენა“

რასაც ჩვენ ქვემოთ ვსწერთ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, თუ ვინმეს ეჭვი შედის, მიმართოს „ზაკტპო“-ს და იქ გაიგებს სიმართლეს.

„გამგეობამ სამი-ოთხი კაცი გაგზავნა „ზაკტპო“-ს პირველ მაღაზიაში მოლარეთ, მაგრამ წასვლაზე ყველამ უარი განაცხადა.

საკვირველებაა! ყველა იმას ცდილობს, როგორმე მოლარეთ მოხვდეს რომელიმე დაწესებულებაში. აქ კი პირიქით ხდება.

როცა ამის შესახებ ლევარსის მოვახსენეთ, მან ასეთი დასკვნა გამოიტანა:

**— აქ მხედველობაში ორი გარემოება უნდა იქნეს მიღებული:**

**1. პატიოსანი ხალხია: ეშინიათ—ფული არ შემოგვეჭამოსო. თავის ტყავს უფრთხილდებიან,—ჭკვიანი ხალხი ყოფილა, რომ უარს აცხადებენ.**

**2. ალბათ, სალაროში ფულის დიდი ტრიალი არ არის.**

ასეა თუ ისე—ეს ამბავი საკვირველებაა!

## „მთვრალი სიზმარი“

მთვრალ კაცს ქვეყანა სულ სხვაგვარათ ეჩვენება. ფხიზელი ადამიანი მიწის ტრიალს ვერ ამჩნევს; მთვრალი კი ამას აშკარათ ხედავს.

ლევარსი როხროხაძემ გამოიგონა ისეთი ფოტოგრაფიული აპარატი, რომელიც საგნებს იმნაირათ იღებს, როგორც ეს მთვრალ კაცს ეჩვენება, როცა მას სამსახურში მაგიდაზე სძინავს.




ამ სურათზე ნაჩვენებია თბილისის ტრამვაის მოლარე **ჩერნაკოლოვი,** რომელიც მთვრალია და, რომელსაც სალაროში ჩამოსძინებია. იგი სიზმარშია და გარშემო ყველაფერი ისე ეჩვენება, როგორც ეს სურათზეა ფოტოგრაფიულათ აღნიშნული.

# ცნობათა მიღება



**ხ. კოლას**, (ბათომი): ეს ამბავი უკვე იყო მოთავსებული. (იხ. „ტარტაროზი“ № 117).

**შვიდკაცას**, (მარელისი): — თქვენი ბრალია თუ გეგონათ, რომ

**არ არის გადასახდელი**
**რაც ჩვენ წავიღეთ ნისია.**
**ამიტომ ყველას გვიკვირდა:**
**—ეს ნახარჯები რისია?**
**ნისიას ვინც რომ წაიღებს**
**ფიქრობდით, იყო მისია.**
(ლევარსი ამბობს: ეს, ძმაო
არ არის საკადრისია!)

**სოლომონს**, (ზაჰესი):— ლევარსია ჯერჯერობით არ შეუძლია მანდ ჩამოსვლა.

**ტარტაროზო, ყველა გთხოვთ**
**ერთხელ ზაჰესს ეწვიო;**
**თავაშვებულ მეპურეს**
**დააგლიჯო ბეწვიო.**

ბეწვის აგლეჯა თუ კი საქმეს გამოასწორებს, ეს თქვენაც ადვილათ შეგიძლიათ; (რაღა ჩვენ ჩამოვიდეთ ამისათვის?!).

**პომპოლიკს** (ვანის ქედი): ალბათ ამ თქვენ ლექსშიაც იმიტომ არის ასე ბევრი წყალი, რომ

წყალსადენი გაიყვანეს,
რომ არ იყო იგი ერთ დროს.
დღე-ღამეში ის იძლევა
ცივ წყალს ხუთი-ათასს ვედროს.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს სიზმარი ყოფილა, მარილი მაინც აკლია თქვენს ლექსს.

ჭრელ კოდალას, (ფოთი): — ჭრელმა კოდალამ კარგათ უნდა იცოდეს, თავში ჩაკაკუნება. თუ შენ გეხათრება, კავშირს ათხოვე შენი ნისკარტი და ის მოუკაკუნებს სატყეო ტრესტის გამგეს, რომელმაც:

**გასულ კვირაში ქარხანა**
**დაჭკეტა ორი კვირითა;**
**მუშებს აგინებს დედ-მამას**
**და რეკავს მუშტი-კრივითა.**

**ასე შვრება და მოქმედობს**
**ტარტაროზ გამგე ბუტია;**
**ჩამოდი, მოსდე ჩანგალი,**
**აუწვი ზურგზე სუკია.**
**ნეტა რას შვრება კავშირი**
**მანდ ფოთში იგი თუ კია?!**
**რა გახდა ნეტა ასეთი**
**გამგე კოდრატე ბუკია?!**

ვა—კის: კარგია ეს ადგილი.

**ერთი ვინმე კინტო ვარ,**
**პრობკასავით ვაგდივარ.**
**შენი ეშხით დამწვარი**
**ავარ-ავარ დავდივარ...**
**ერთი ცუდი ლექსი ვარ.**
**არაფრათ არ ვარგივარ**
**და ამიტომ, ავტორჯან**
**მე გოდორში ჩავდივარ.**

დ. წ-რ-ი-ა. არც კურდღელს უნდა მასე მოკვლა და არც ლექსს უნდა ასე დაწერა.

**მეფისტოს**: — მართლაც:

**„ამისთანა საჯაყი საქმე შენს მტერს ნუ დაემართოს ჩემო“**... მეფისტო, რავაც შენ ეს წერილი დაგიწერია!

**„გუგულს“, ი. ფედოშვილს და კალმისშვილს**: თქვენი შრადა გამოსაცნობათ გადაეგზავნა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს. აქ ჩვენ ვერ შევსძელით წათი გამოყვანა.

**ელდას**. „არც თავი აქვს, არც ბოლო“. — აბა რა არის თუ გამოიცნობ?

მართალს ამბობთ — თქვენი წერილია.

გამოცნობის ჯილდოსათვის ვათავსებთ თქვენი ლექსიდან შემდეგს:

**ბევრი ბოროტი საქმე**
**ქმედობს მისი ხელიდან.**
**ტარტაროზო, საკბილო**
**არ გაუშვა ხელიდან.**

ჩვენ გაუშვით ხელიდან თქვენი წერილი გოდრისაკენ, რადგან მასში (წერილში) ვერაფერი საკბილო ვნახეთ.

**„იბრაგიმს“**. — მოგვაწოდეთ.

**„ჭიჭიტას“** (სოფ. ჩრდილი. შორაპნის მაზრა), ჩვენც გეთანხმებით, რომ

**ყოვლად დაუშვებელია**
**შალვა მაღრაძის ასე ქცევა —**
**„ქვაბის გარახუნების დროს“**
**თუ სუყველგან გაიქცევა.**

ციყვაძეს: რას ერჩით ამბულაძეს? იგი თქვენგან მაინც მადლობის ღირსია. მართალია.

**იყიდა ძველი მოკლული კურდღელი, რომელიც სანახევროდ დამპალი იყო, მაგრამ მან ეს არ იცოდა, თორემ ახალ მოკლულს იყიდდა.** (მონადირე კაცი ხელცარიელი **ხომ** არ დაბრუნდებოდა?!), — მაგრამ ტყავი ქუდათ ხომ მოიხმარეთ?

ძველებურ ბატონივით მოქცეულა ამბულაძე. ბატონი ასე ეუბნებოდა მოჯამაგირეს:

**თუ კურდღელი დაიჭირო,**
**ხორცი ჩვენ და ტყავი შენა!..**

ასე, რომ თქვენ მადლიერი უნდა იყოთ მისი!

**მართლის მთქმელს** (შუხუთი):—წერილს ასე ათავებთ:

**— ამის შემდეგ ასეთ მასალებს სისტემატიურად მოგაწოდებთო.**

მიიღეთ ჩვენი გაფრთხილება:—ასეთ წერილებს „ტარტაროზი“ არ მოათავსებს.

განაგრძეთ სიარული... ხოლო თქვენმა ლექსმა ასე შეისწორა თავისი-თავი..

# „ხმელი წიფელი“



კოხტაია: („რაც გინახავს, ველარ ნახავ“-დან) „ამერიკელ ძია“-ს:—ვაი შენ უბედურო, შე მაჯობებ, ბიჭო, რამეში?!

ამერიკელი ძია: — „ის ურჩევნია მამულსა, რომშვილი სჯობდეს მამასა“... ყოჩაღ, კოხტაია!

პოლიგრაფტრესტის მე-ჩ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა. 12 თებერვალი 1928 წ. № 139 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## „ყველაფერის წევრი"



მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა

**პროფკავშირის წარმომადგენელი**

— ამხანაგებო,—განაცხადა მან,—ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს მუშა-მოსამსახურეთათვის. კავშირის უმუშევარი წევრი უფრო ადვილათ მოეწყობა სამსახურში, ვიდრე არაწევრი. კავშირი ყოველთვის დაიცავს თავისი წევრების ინტერესებს. დარაზმული კავშირთა რიგები, ჩვენი რეს-

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

პუბლიკების მაგარი კედელია... ერთი სიტყვით, ყველა მუშა-მოსამსახურე უნდა იყოს კავშირის წევრი.

მაგრამ კავშირის წევრობა იმას ნიშნავს, რომ დროულად უნდა იხადოთ კავშირის გადასახადები

კავშირის ნახევარზე მეტი წევრი დავალიანებულია რამდენიმე თვეების გადასახადით. აუცილებლათ უნდა დაჰფაროთ თქვენი დავალიანება და ამიერიდან სისტემატიურათ უნდა იხადოთ გადასახადი. ჩვენი ლოზუნგია:— არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ უნდა დარჩეს კავშირის გარეშე. ყოველი კავშირის წევრი დროულად უნდა იხდიდეს გადასახადს... (ტაში).

## დამზღვევ სალაროს წარმომადგენელი

— ამხანაგებო, ვინ არ იცის, თუ უაღრესად რა დიდი მნიშვნელობა აქვს დამზღვევ სალაროს. ვის არ მიგიღიათ მისგან დახმარება!?. ყველას. დამზღვევი სალაროა, რაც არის, თორემ იგი რომ არ იყოს, რას ემგვანებოდა მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება? ადამიანის ცხოვრებაში ხშირია: სიკვდილი, დაბადება, ავადმყოფობა და წამლობა. აი, ასეთ გაჭირვების დროს დამზღვევი სალარო თქვენთან არის, როგორც კარგი გადია. ამიტომ, ამხანაგებო, ყველა თქვენგანი უნდა გახდეთ მისი წევრი... (ტაში).

## საურთიერთო სალაროს წარმომადგენელი

— რა თქმა უნდა, ამხანაგებო, დაზღვევა კარგია; ამაში ეჭვი არავის შედის, მაგრამ საურთიერთო სალაროც არ არის მასზე ნაკლები. გამოცდილება გვეუბნება, რომ საურთიერთო დამხმარე სალარო პირდაპირ მისწრებაა მუშა-მოსამსახურეთათვის. იგი აგებულია ნამდვილ სოციალიზმის პრინციპებზე, ე. ი. ერთმანეთის დახმარების საფუძველზე. გაჭირვების დროს თქვენ ხსენებულ სალაროდან, რასაკვირველია, თუ კი ფულია შიგ, გამოიტანთ ფულს და შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში გადაიხდით. აი, ამიტომ ყველა თქვენგანი უნდა გახდეს მისი წევრი... (ტაში). —

## რემედასის რწმუნებული

— ამხანაგებო, ჩვენი საუკუნე არის ომებისა და რევოლუციების საუკუნე. მსოფლიო მნიშვნელობის ამბები ხდება. ცხოვრების გარდაქმნა ახალ ყაიდაზე, ბევრ მსხვერპლს თხოულობს. ამისათვის ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ. ჩვენ არ უნდა დავიშუროთ გროშები იმ მებრძოლთათვის, რომლებიც იბრძვიან ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ყველა შეგნებული მოქალაქე უნდა იყოს რემედასის წევრი. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თქვენში ერთიც არ გამოერევა ისეთი, შეუგნებელი პიროვნება, რომელიც არ ჩაეწეროს „რემედას"-ში" და მით არ მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა... (ტაში).

## „ავიო-ქიმის" წარმომადგენელი

— ამხანაგებო, ალბათ თქვენ თვალყურს ადევნებთ ჩემბერლენის და მსოფლიო იმპერიალიზმის მზადებას ომისათვის.. ალბათ, თქვენ. ისიც გეცოდინებათ, რომ ომი აუცილებელია და ამ ომში სულ სხვა ტეხნიკით იქნება ბრძოლა.

დღეს სამხედრო ცხოვრებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გაზი, ე. ი. ქიმია. ჩვენი მტრები სწორეთ ამას აქცევენ განსაკუთრებით ყურადღებას... მართალია, ისინი ჩვენზე უფრო მდიდარია ფულით, მაგრამ, სამაგიეროთ, ღარიბნი არიან იმით, რითაც ჩვენ ვართ მდიდარი, ე. ი. ხალხის თანაგრძნობით და სიყვარულით. ეს მთავარია.

ჰო-და იმას მოგახსენებდით, რომ ყველა მოქალაქემ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენში „ავიო-ქიმის საზოგადოებას", რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს შრომელი მასების სამსახური. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ ყველა თქვენთაგანი უნდა გახდეს „ავიო-ქიმის საზოგადოების" წევრი... (ტაში).

## წერკუმსის წარმომადგენელი

—ლენინმა სთქვა, რომ „ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, ჩვენში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა დარჩეს"-ო.

რას ნიშნავს ეს, ამხანაგებო?!.

ეს იმას ნიშნავს, რომ წერა-კითხვა ყველამ უნდა იცოდეს.

მართალია, ათი წელი უკვე გავიდა, მაგრამ არა უშავს,—მეორე ათი წინ გვიდგას და მაშინისთვის კი აუცილებლათ უნდა შევასრულოთ ბელადის სიტყვა.

აქ ბევრი ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა. ყველა მართალს ამბობდა... მაგრამ ყველაფერი ამათ ჩაიკალის, თუ ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი გვეყოლება...

ამიტომ, ამხანაგებო, ყველა შეგნებული მუშა-მოსამსახურე, მოქალაქე და აგრეთვე სპეც-გამგეებიც უნდა გახდენ წერკუმსის წევრებათ... (ტაში).

## „უპატრონო ბავშთა" მეგობარი

— მოქალაქენო, წარმოიდგინეთ თქვენი თავი მკვდრებათ და თქვენი ობოლი ბავშვები—ქუჩაში, ისიც ასეთ ზამთარში... ამაზე მეტი საშინელება იქნება!? ვინ იცის რა გენია იკარგება მათში? პატრონობა რომ გაუწიოთ, ისინიც მოქალაქეები იქნებიან ცხოვრებაში და სხვა... ამიტომ ჩაეწერეთ „უპატრონო ბავშთა მეგობართა საზოგადოება"-ში და გახდით მისი ღირსეული წევრი, რითაც მოიხდით თავის მოვალეობას... (ტაში).

## კლუბის წარმომადგენელი

— ამხანაგებო, დღე და ღამეში ოცდაოთხი საათია, აქედან 8—7—6 ვმუშაობთ; დანარჩენი საათები თავისუფალი გვაქვს. ნუ, მივიდეთ 7—8 საათი ძილი (ნორმა ასეთია); კიდევ საკმაო დრო რჩება.

რა უნდა ვუყოთ ამას?

როგორ გავატაროთ და დავხარჯოთ იგი?!

ზოგი იტყვის:—სარდაფშიო, ზოგი—ხეტიალშიო, ზოგი—თამაშშიო, ზოგი რას და ზოგი რას... მაგრამ ეს ასე არ არის.

მუშაობისა და ძილის გარდა საათები ჩვენ უნდა გავატაროთ კლუბში.

ამიტომ, ამხანაგებო, ყველა თქვენგანი უნდა იყოს კლუბის წევრი. თუ აქამდი არ ყოფილხართ კლუბის წევრი, ცხადია, ამიერიდან ყველა უნდა გახდეთ... (ტაში).

## „სპორტის" წარმომადგენელი

— ამხანაგებო, ვის არ გაგიგონიათ, რომ „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია". „ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასია"... და ასეთები. სპორტი არის იგივე ჯანმრთელობა. ვისაც გინდათ ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ჩაეწერებით ჩვენს კავშირში; ვისაც არა და... მე რა მენაღვლება!... (ტაში*).

## „უმუშევრობის ფონდი"-ს რწმუნებული

— ამხანაგებო, მე ვარ „უმუშევართა ფონდი"-ს წარმომადგენელი. (კრება გამოფხიზლდება და მომხსენებელს განსაკუთრებულ ყურადღებით უსმენს). ვის არ მოელის უმუშევრობა! არავის. არც ერთი თქვენგანი არა ხართ დაზღვეული, რომ დღეს თუ ხვალ თუ მერმე და მერმე უმუშევრათ არ დარჩებით. ყველაფერი კაცის თავზე მოსალოდნელია. თუ თქვენ უმუშევარი გახდით, მაშინ მშვიდობით ყველაფერო... ამიტომ თქვენ უნდა თავისი წვლილი გაიღოთ და გახდეთ წევრი „უმუშევართა ფონდი"-სა (ტაში... ხმები:—„მართალია, მართალი").

ი—ი.

---

* ეს იყო ყველაზე უფრო გულწრფელი და ექსტაზიანი ტაში.

# ზ უ რ ნ ა მ უ შ ვ ე ლ ა თ

ყველაფერს მოელოდა ვასო ლაილაშვილი, მაგრამ თუ მგლების წინაშე მოუხდებოდა მოხსენების გაკეთება ეს კი არ იცოდა.

იქნებოდა ასე ღამის პირველი საათი „ეკრეჟიმის განთქმული ორატორი“ —ვასო ლაილაშვილი სამი მეზურნის თანხლებით ფეხით მოდიოდა დაუმთავრებელ ტირიფონის არხში. თოვლი, ქარი საშინელი სიცივე და ბნელი ღამე სულს უხუთავდა ამ ოთხ შეზარხოშებულ მგზავრს.

ალბათ მკითხველს გაუკვირდა:—სად ორატორი! სად ტირიფონის არხი?

საჭიროა პატარა განმარტება:

ს. ზარხომეთში გააკეთა ვასომ მოხსენება. კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია და ადგილობრივ ადათების მიხედვით ვასო ვახშამზე მიიპატიჟეს (ზურნაც იყო). კარგა ხნის შემდეგ, ვასო წამოდგა და რიხით განაცხადა: „ჩემ მოვალეობას ვერ ვუღალატებ,—ეხლავე მივდივარ ს. ვაშლიანში. უსათუოდ მოხსენება უნდა გავაკეთო?

ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა; გატაცებული მომხსენებელი ვერ დაარწმუნეს, რომ ღამის თორმეტ საათზე გლეხება სძინავთ.

სამი მეზურნე მომხსენებელთან ერთად წამოდგა ერთმა სამივეს სახელით განაცხადა:

— შენ მიდიხარ არა? ჩვენი თავი შენ გენაცვალოს. სხვა არაფერი. ჩვენ ზურნით უნდა გაგაცილოთ... ჩვენი თავი შენ გენაცვალოს სხვა არაფერი...

წავიდენ.

სამივე მეზურნე ადგილობრივები იყვენ. გზა კარგად უნდა სცოდნოდათ, მაგრამ ასეთ ამინდში ფხიზელიც კი უარს იტყვის თავის ვალდებულებაზე. ერთი სიტყვით გზა დაჰკარგეს და... ტირიფონის არხი მათთვის მშვენიერი გზა აღმოჩნდა.

— ყველაფერს მოფიქრება უნდა, რომ დაემთავრებინათ ტირიფონის არხი 1922 წელში, როგორც ეს განზრახული იყო, ეხლა წყალში ხომ ვერ ვივლიდით!—განაცხადა ვასომ.

— ეს არხი რომ ყოფილიყო, მეტი მოვიდოდა პური, ხილი, ღვინო და ჩვენ ნაპირზეც კარგად ვივლიდით!—შეეკამათა ვასოს ერთი მეზურნე.

— ვივლიდით. მაგრამ ეხლა წარმოიდგინე, თუ ღვინო მეტი იქნებოდა, დღეს უფრო მთვრალები ვიქნებოდით. ეხლა არხის ფართე ძირზე განიერათ დავდივართ; არხის კედლებიც ხელს გვიწყობს,—საჭირო თუ იქნა, მივეყუდებით და არ წავიქცევით. აქ რომ წყალი იყოს, რა გვეშველებოდა?! ორმა მეზურნემ ამხანაგს შეუტია:

— ეი ნაგიჟარო! ნასწავლ კაცს შენ სიტყვას მოუჭრი? მაგან ოთხი საათი ზედიზედ ილაპარაკა და შენ ორ სიტყვაა ვერ გადააბამ ერთი მეორეს!

— თქვენ ეი ნადირებო! მე ხომ შეუსმენელი ვარ, მარა ზოგჯერ ნასწავლებიც სტყუიან. აი, კაცო ტირიფონის არხზე მთელი ზაფხული არაფერი არ გაკეთებულა ზამთარში დატრიალდენ. ბეტონს აკეთებენ, მერე როგორ აკეთებენ,— ათბობენ; ამ ადუღებულ წყალს ამარილებენ და იმით აკეთებდენ ბეტონს. თუ ასე არ მოვიქეცით, გაიყინებაო. არხზე რომ ზაფხულში ემუშავათ, და შეშა და მარილი ჩემთვის მოეცათ, უკეთესი იყო.

— ესეც მართალია!—ეხლა მიხო მეზურნეს დაეთანხმენ ილა და ვანო.

— რა არის მართალია?—ეხლა კი გაცხარდა ვასო.—ზაფხულში რომ გემუშავათ, რვა საათს იმუშავებდით; ასეთ ზამთარში კი ოთხი საათის მეტს ვერავინ მოახერხებს მუშაობას. ჭირაა კი მთელი დოისას გაძლევენ. ხომ თქვენთვის ყოფილა სასარგებლო, თქვენ ხომ გლეხები ხართ?

— გლეხები ვართ, მა ვირის თავები ხომ არა ვართ!—განაცხადეს ერთხმად მეზურნეებმა.

— უ!.. უუ!.. უუუ!...—გაისმა მგელის საზარელი ყმუილი. ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და მგლების ხროვამ მშვიდობიანად ნ...უსაიფე გზავრებს ალყა შემოარტყა.

სასწრაფოდ ამოცვინდენ არხიდან და ყველა ძიგძიგით იმეორებდა:

— ძალიან ცივა ამ ოხერ ტიალში; ძალიან ულმერთოთ უბერავს!

მგლები თანდათან ახლოვდებოდენ.

უცებ გაისმა ზურნის ხმა და მგლები შედგენ, ახლოს მოსვლას ვეღარ ბედავდენ.

— ამხანაგებო, მთავრობის კაცი ხარ, ჯიბეში იარაღი რამე გექნება, ერთი გაისროლე, იქნებ დაფრთხენ!—მიმართა მეზურნემ ვასოს.

— მაქვს ბრაუნინგი, მაგრამ რომ გავისროლო უფრო გაბრაზდებიან.

— გაბრაზება დათვებმა იციან; მგლები დაფრთხებიან.

— იქნებ ისინიც გაბრაზდენ!—წამოიძახა კრიჭა-შეკრულმა მომხსენებელმა. კამათი შეწყდა... ზურნა ისევ განაგრძობდა მგლების მოგერიებას.

— ამხანაგო, რაიმე შენც მოიგონე, დავიხოცეთ— მიმართეს კარგა ხნის შემდეგ მომხსენებელს მეზურნეებმა.

— აბა რა მოვიგონო; სახარება რომ მქონდეს, არ მეკადრება, მაგრამ წაუკითხავდით, იქნებ ეს საშინელი თვალები ტყისკენ მაინც მიანათონ.

—:—

თენდებოდა. მგლებმა ტყეს შეაფარეს თავი და არაქათ გამოლეულმა მგზავრებმა გზა განაგრძეს. მეზურნეები თავ-ბედს იწყევლიდენ, რომ „ხოშზე“ მოვიდენ და მომხსენებელი გამოაცალეს.

სიმონ-ალა.

# „მიჯაჭვული მშვიდობიანობა“

ინგლისისა და ამერიკის მესვეურეები ფიქრობენ, რომ მშვიდობიანობის დასაცავათ საჭიროა ძლიერი ფლოტი.

(დეპეშებიდან).



# საქულას 1000 მანეთი ერგო

ვენაცვალე ჩვენ მესტკომს ვარაყიან სახეში, რომ ხელიც ბაარქიანი აქვს და სუყველაფერიც. ამ ზაფხულს მოგვაგროვა, აგვიხსნა ინდუსტრიალიზაციის სესხის მიზანი და სარგებლობა და, ჩვენც ერთი ექვსი ათასი მანეთიისა გამოვართვით.

— მეც ერთი მთელი ბილეთი ვიყიდე. კიტრის ქურდი ზამთარში დაიკვეხებსო, — მეც ეხლა უნდა გამოგიტყდეთ, როცა ვიგრიში ბილეთი მომაკრა მესტკომმა, მაშინ ჩემ გულში ვიფიქრე: — ეს ფული დაკარგულია— მეთქი.

გუშინწინ სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ცოლი შუშანა აფთარივით სახეში მომვარდა.

— „დაგაკუტოს სურფ - სარქისის მადლმა, რომ შენ ოცდა ხუთი მანეთი რაღაცა ვიგრიში ბილეთში გაართრე და მე კი ორი - სამი მანეთი არ მომეცი, რომ ამ სურფ-სარქისის ბედნიერ დღეებში ცოტა ხორბალი, თაფლი და ნუშ-ქიშმიში მეყიდნა და ქუმელა და ფაფა გამეკეთებინა"! — ეს მითხრა და ერთი გემრიელი ქოქოლაც მომაყარა. ეს აყალ-მაყალი არც კი გვქონდა, რომ ჩვენი კურიერი მოვიდა და მითხრა:—საქულ, მესტკომი გეძახისო.

ამ ამბავმა ცოტა დამაღონა. ვიფიქრე: საკრაშჩენიაში არ გამამიყვანონ მეთქი.

— მალარიჩი შენზეა ჩემო საქულო, — ღიმილით დამიხვდა ჩვენი მესტკომი, — შენ ნუმერს ათასი მანეთი ერგო და წადი შენი ცოლშვილი გაახარეო.

ვა, ეს რომ არ მითხრა, ისე გავხდი, როგორც ზაგესის ტოკდარტყმული. მე და ათასი მანეთი? თვის პირველში სამ თუმანს რომ ჩავიდებ ჯიბეში, მე ჩემი თავი მართაშოვი მგონია, და, ეხლა კი ათასი მანეთი, ესე იგი ასი ჩერვონცი უნდა ჩავაყუდო ჯიბეში!

სიხარულისაგან ისე ამერია ჟამანაკები და დავთრები, რომ მესტკომთან ერთად იმის სეკრეტარ'მასაც დავუკოცნე ტუჩები.

ისე გაქანებული მოვკურცლე სახლისაკენ, რომ პაჟარნი კამანდის ახალი ავტომობილიც კი ვერ დამეწეოდა.



— ერთი დღე რომ კიდევ გაგეძლო,—შემდეგ მთლად გადაგავიწყდებოდა ჭამა და სიმშილი ვერაფერს დაგაკლებდა!

— შუშანჯან, ასი თუმანი გვერგო მეთქი, უთხარი და ტყირპასავით მევეკარი ჩემ გულ გახეთქილ ცოლს.

— საქულჯან, ტვინის სიფალარათე მოგსვლია და თვალები გიჟი მოზვერივით გაქვსო; თუ გინდა დოხტურ ორბელს ანუ გედევანოვს დაუძახოვო!—მითხრა აღელვებულმა შუშანამ და მყავე კომპოსტო დამადო შუბლზე.

დიდი ორატორობა დამჭირდა ჩემი გოგო - ბიჭების დაჯერებაში. ვერვის ვერ წარმოედგინა, რომ საქულ ჯანჯულაზოვის ოჯახში, სადაც რომ ჩიტის სკინტლი ყველას ნიკალაის აბაზიანი გონია, ერთბაშათ შესულიყო ათასი მანეთი ფული და ისიც საკუთარი ფული.

როგორც იყო ეს ხალხი პარიადკაზე მოვიყვანე.

მოუსხედით ქესტის ფეჩსა და გაცხარებული სემეინი საეტი გავმართეთ. სუყველას ისეთი სურიოზნი სახეები გვაქვს, როგორც შემბერლენის შტატის ლეხეროლებს. ამ „შტაბის" შემადგენლობა შემდეგია: მე, ჩემი ცოლი შუშანა, ჩემი ოთხმოცი წლის დედა მაქთალინა, ჩემი ქალი ვარსენიკა (გასათხოვარი), ჩემი შვილი პეტრუსა (ერკოპში რომ მსახურობს) ჩემი შვილი ბალდასარა (ბეზრაბოტნი) და უმცროსი ჩემი ლაწირაკი, რომელსაც პიონერებში უსტაბაშის ადგილი უჭირავს.

რასაკვირველია, ამ საეტის თავმჯდომარე ვარ მე თითონ. დღის წესრიგში არის ორი საკითხი:

1. როგორ გავანაწილოთ ასი თუმანი,

2. მიმდინარე ოჯახის საკითხები; სეკრატრათ ერთხმათ ამოვირჩიეთ ვარსენიკა.

**თავმჯდომარე:** — **პირველი საკითხი ეხება ათასი მანეთის განაწილებას. ფანტაზიებს თავი დაანებეთ. წვადი ისე შეწვით, რომ შამფური არ დაიწვას. კატას ფრჩხილები ისე დააჭერით, რომ ხელები არ დაგაკაწროთ. ეს ფული ისე გაანაწილეთ, რომ არავინ არ დაგემდუროთ. სიტყვას ვაძლევ დედა ჩემს.**

**მაქთალინა:**—შვილო მე დიდ რამეს არ მოვითხოვ. მაგ ფულიდან ერთი ათი თუმანი ამ ბედნიერ დღეს სურფ-სარქისის ეკლესიას შესწირე, ერთი კარგი მატურის ქვა დაადგი ცხონებულ მამაშენს და თუ გინდა რომ მეც მასიამოვნო, მაშინ ლამბარდიდან ჩემი ფირუზის შუბლის ქინძისთავები და მამიშენის ვერცხლის ქამარი დაიხსენი.

**თავმჯდომარე:** დედიჯან, სურფ-სარქის რომ ათი თუმანი ხელში ჩაუგდო, მაშინ ის სპეკულიანტობას დაიწყებს და ამას კი საიქიოს შენ სულს მოჰკითხავენ. არც მამაჩემს უნდა გულზე ქვა. რა დააშავა? ის ისეთი კარგი კაცი იყო, რომ ცოდოა ის ქვის ქვეშ იყოს. ერთიც ვნახოთ, აღგომა მოუნდეს!... რაც შეეხება შენ მესამე თხოვნას, მაგას კი აგისრულეფ და ერთსაც მატყლის საკაბეს გიყიდი, თუ რომ ვიშოვნე ერკოოპის მაღაზიაში... ვარსენიკ, შენ სუყველაფერი დაწვრილებით ჩაწერე პრატაკოლში... მეორე სიტყვა ჩემ სახლობას ეკუთვნის.

**შუშანა:**—საქულჯან, ჩვენ სუყველაფერში იოლად წავალთ და ეგ ფული კი ბანკში შეიტანე ჩვენ ვარსენიკას სახელზე. ეგ ფული მზითევათ და ქრთამათ როცა ეჭნება, ქენიხსაც კარგს იშოვნის. ვარსენიკას წიტრიკაანთ მიხაკოს დისწული ქორჟიკა მოსწონს და ისიც უხაჟივანიეს უშვრება. ფულს რომ დაინახამს, მაშინ ის უეჭველათ ჯვარს დაიწერს.

**საქულა:**—უხაჟივანიეს უშვრება და ამაში ასი თუმანი უნდა მისცე? ასი თუმანი რათ მინდა, მაიტა ათი მანეთი მომცეს იმ შენ ქორჟიკამდა ვინც რომ სახლში ჰყავს სუყველას უხაჟივანიეს უზამ. შუშან, შენ მე მოხუცული არ გეგონო, ჰააა... ხომ იცი ჩემ ხმალს ფოლადი ბევრი აქვს და კიდევ კარგათა სჭრის. მაგნაირი „პრედლაჟენიები" გადააგდე, თუ ძმა ხარ... ეხლა ილაპარაკებს ვარსენიკა.

# მორცხვი ქმარი



— მამილო, წუხელის სად გეძინა, რომ ამ დილით მოდიხარ სახლში?
არსად არ მეძინა შვილო, დედამ გამაგდო გარეთ და სახლში არ შემომიშვა!

**ვარსენიკა:** პაპაჯან, მე არაფერი არ მინდა. მშიერ-წყურვალი დავრჩები, ტიტველი ვივლი, ოღონც ერთი ფორტოპიანი მიყიდე და კანსერვატორიაში მიმაბარე.

**საქულა:** ტიტველი ივლი? ჯერ კანსერვატორიაა, რა ჯანაბაა, იქ არ შასულხარ ეხლავე ტიტელდები, მაშ იქიდამ ოპერაში რომ მიგიღონ, მაშინ რაღას იზამ? მაგ შენ ფანტაზიებს თავი დაანებე, მე შენ ფორტოპიანს შულავერელ გეურქას დუდუკი მირჩევნია... ყური დაუგდოთ, პეტრუსა რას იტყვის.

**პეტროსა.** მამიჯან, ეგ ფული ჯერ-ჯერობით სბერეგატელნი კასაში მიაბარე. ფულიც შეგვენახება შავ დღისათვის და პროცენტებსაც კარგს მივიღებთ.

**საქულა:** შენი სიტყვა ჭკვასთან ახლოა და ვნახამ, მოვიფიქრებ. ბაღდასარ ერთი ორიოდე სიტყვა შენც დაახურდავე.

**ბაღდასარა:** მამიჯან, ერთი ოცი თუმანი ჩემზე დახარჯე და ტრაქტორის კურსებზე მიმაღებინე, რომ რამე ხელობა ვისწავლო. ექვსი თვე უმუშევარი იმიტომ, ვარ, რომ კვალიფიკაცია არა მაქვს.

**თავმჯდომარე:** ბოლო სიტყვა ჩვენი ლაწირაკ სტიოპასია.

**პიონერების ვოჟატი სტიოპა:** —თუ შენ, პაპა, სოზნატელნი ხარ, თუ რომ გწამს კომუნიზმი. თუ რომ შენ უბრალო მეშჩანინი არა ხარ, მაშინ ჩვენ პიონერსკი ატრიადს უყიდე ორი ბარაბანი, ერთი დროშა, ორმოცი წითელი გალსტუკი და ოთახის გასათბობათაც ერთი საჟენი შეშა. თუ შენ ამას იზამ, ჩვენ შენ ჩაგწერამთ პაჩიოტნი პიონერათ.

**საქულა:**—არა, ძმაო, ჩვენ ჩვენი ჭკვით ვერაფერს ვერ ვიზამთ, ისევ ვინმე ჭკვიან კაცს უნდა მოველაპარაკო. (შემოდის ამ დროს ჩვენი მესტკომი) სანდროჯან, რა კარგ დროს მოხველი. ჩემი სახლი საგიჟეთს დაემსგავსა რაღა. უფულოთ ვიყავით ვჩხუბობდით და ფულმა უფრო აშიწეწა ოჯახი. ერთი შენ გაგვინაწილე ეს ფული, თუ ძმა ხარ.

**სანდრო:** შე კაი კაცო, მაგაზე ადვილი რა არის. ასი თუმანი არ გერგო? ძალიან კარგი. ოცი თუმანი ოჯახს მოახმარე, ოცი თუმანი ბაღდასარას სწავლისთვის გადადე, ვარსენიკას ოცდაათი თუმნიანი პიანინო უყიდე, ხუთი თუმანი შენი პატარა შვილის პიონერების ატრიადს შესწირე, ხუთმეტი თუმანი სბერეგატელნი კასაში შეიტა შესანახად და ათი თუმანისაც ახალი საგლეხო მომგებიანი სესხის ბილეთები იყიდე. შენ იღბლიანი კაცი ხარ და კიდევ მოიგებ.

**საქულა:** ჭკვიანი კაცი ხარ, სანდრო, ჩემმა მზემ. შენი წინადადება ჩემთვის მისაღებია ხოლო პატარა შესწორებით: კასაში ცამეტ თუმანს შევიტან და ოცი მანეთით კი კვირას ერთ კოხტა სადილს გავმართამ და თამადათაც შენ მეყოლები. პირველი სადღეგრძელოს დავლევ იმ ადამიანისას, ანუ მთავრობისას, რომელმაც ეს მომგებიანი სესხი გამოიგონა და სახელმწიფოსაც არგო და ჩემნაირ საწყალ ოჯახსაც.

მაშ, სანდროჯან, კვირას სადილათ ჩემთან ხარ!

**ვინმე.**

# ფასიანი საჩუქარი

„ქუთაისის მუშკოოპში ფართლეულობის ყიდვაზე დამატებით აძლევენ რამდენიმე ათეულ ფანქარს“.



გლეხი:—შე კაი კაცო, ამდენ ფანქარს რომ მაძლევ,—სადაური პოეტი მე მნახე; აბა ხომ არ გინდა ამ სიბერის დროს ღიმნაზიაში მიმაბარო?!

# უსაქმო „საქმის ხალხი“

დაწესებულების კარებთან გაჩერებულია ორი მოქალაქე. ერთი— მდიდარი ვაჭარი; მეორე—საბჭოთა მოსამსახურე.

სიკო. (საბჭოთა მოსამსახურე): —შენ რატომ მოაულხარ, ნიკო?

ნიკო:—რაზე, კაცო, და აგერ დავხარჯე 500 მანეთი და ხმა ვერ ავიდგინე. ახლა მოვედი; წუხელის ქეიფში მყავდენ დაპატიჟებული და ეგებ იქნეს რამე!

სიკო: კაცო, ხმის აღდგენაზე ადვილი საქმე რა არის! ყოველ დღე ყლაპე კვერცხები და ხმა წინანდელზე უკეთესიც გექნება.

ნიკო: —ჩემო სიკო, კვერცხები რას უშველის. სასიმღერო ხმა ნეტა არ მქონდეს. რას დავეძებ; უბედურება იმაშია, რომ აწი დაიწყება არჩევნები და მე კი საარჩევნო ხმა არა მაქვს.

სიკო:—მაშ შენ და ჩვენი ახალი მღვდელი ერთ ტაფაში იხრაკებით?!

ნიკო:— არც მთლად მასეა საქმე; მე ფული და სასმელ-საჭმელი მაინც მაქვს,— იმას კი არც უწინ ჰქონდა და არც ეხლა აქვს. ხომ იცი ის პირველად დიაკვანი იყო; არ აკურთხეს, რადგან მეორე ქალი ითხოვა. ეხლა კი მღვდლების კრიზისის დროს, მღვდელი შეიქნა, მე კი მგონია ავიდგენ ხმას.

სიკო. არა მაგის იმედი ნუ გექნება. ათასიც, რომ დახარჯო; ეხლა საარჩევნო კომისიაში მეც შევდივარ და ხომ იცი...

ნიკო:—ეჰ შენისთანებმა წაგვიხდინეს საქმე! (გადის).

სიკო:—დღეს ალბად ეს დაწესებულება აღარ გაიღება; უკვე თერთმეტი საათია, სჯობია წავიდე (მიდის. ცოტა ხნის შემდეგ შემოდიან დაწესებულების თანამშრომლები).

პირველი:— ხა-ხა-ხა-ხა... ჯერ ჩვენი გამგე არ მოსულა. ალბად ვერ გამოიძინა. აქაო და მე დაწესებულების გამგე ვარო და მაგიდის გამგეც მე უნდა ვიქნეო; თავის მუცელს კი აღარ ჰკითხა, ის მიიღებდა თუ არა იმდენ ღვინოს!

მეორე:—კაცო, მართლა აგრე მალე დამთვრალი კაცი არ მინახავს! არა, ეს ქეიფი კი კარგად მოაწყო; ამისთანა საქმეში სპეცია ეს ჩვენი გამგე. ჯერ შეპირდება კაცს საქმის გაკეთებას. რის გაკეთებაც კანონით არ შეიძლება, კამპანიას გადაახდევინებს და მერე ეტყვის, რომ პარტიული ამხანაგები მიდიან წინაამდეგო.

მესამე:—არა, ამ ყმაწვილმაც კარგი თრობა იცის (იცინის და უჩვენებს მეორეზე). სახლში ძაღლი ჰყავს ისე გაწუწკებული, რომ როგორც დაინახავს მთვრალს, იცის პირიდან ასაქმებსო და კუდის ქიცინით დაადევს უკან. (იცინიან).

მეორე:—შე კაცო, შენ რომ დათვრები, ქალს და კაცს სულ კბენ. ჩემსას რა ჰქენი ახალ წელს?

მესამე:— ჰო, მართლა, კოტეს რომ კითხო, კომუნისტი ვარო. დღესასწაულებს იხდის და ბავშვიც მღვდელს მოანათვლია.

მეორე:—რატო იცი შენ მასე? ღმერთს და ხატს მე თავიდანვე დავსცინოდი და როცა შევდიოდი ეკლესიაში,

# № 5



დილმელ მიხოს ტრამვაის რონოდაში ბატი მიჰყავ-და გასასყიდათ.



ბატმა ქალიშვილს უკბინა... ქალიშვილს ეგონა, თითქო იგი მის გვერდით მჯდომმა ვაჟმა შეურაცჰყო, და სილა გააწნა.

---

არც ქუდს ვიხდიდი და არც კალოშებს. ეს უწინ. ეხლა კი, მართალია, ჩემი ბავშის ნათვლაში მღვდელი იყო. მარა ის ჩემმა ქალმა მეიყვანა. ნათვლის დროა მე სახლში არ ვიყავი; ხუთი წუთით ადრე გაველი კარში და ბარე სამჯერ ასე ვთქვი:—„ეს ჩემანალა აღარ ათავებს აწი“. (იცინიან. შემოდის ერთი მთხოვნელი).

მთხოვნელი:—მოქალაქე, თუ შეიძლება პატარა საქმე მაქვს.

მეორე:—აი, იმას მიმართე (მიუთითებს მეოთხეზე).

მეოთხე:—(მიდის ტელეფონთან). სადგური! მომეცი აკრედიტო ბანკი... ბანკი... ჰა, კატუშა შენ ხარ ტელეფონზე? ოხ. ხომ არაფერი გწყენიათ ჩემგან? ეს ოხერი ჯამაგირი ვერ ავიღე, თორემ ამ კვირაში მოვაწერდით ხელს. შეიძლება დღის შემოვიარო ცოტა ადრე... გამგე არ არის' ადრე წამოვალ.

მთხოვნელი:—ამხანაგო, თუ შეიძლება პატარა საქმე მაქვს!..

მეოთხე:—მოიცა, შენ პატარა საქმე გქონია და მე კი დიდი საქმე მაქვს. ხომ ხედავ—საცოლოსა ველაპარაკები, ამ თვეში უნდა შევირთო, ამაზე დიდი საქმე შენ არ გექნება. ამიტომ მოიცადე. (შემოდის ქალიშვილი —დაწესებულების თანამშრომელი, ვაჟი ახლავს).

ქალი:—გამარჯობათ... გამგე არ მოსულა? მაშ მე ისევ წავალ და მერე შემოვივლი (ჩაიხედავს რედიკულის სარკეში. მოის-მოისვამს პუდრს და გადიან).

მთხოვნელი (პირველს):—კაცო, აქ ჩემი მოწმობებია და მინდა ისიც გავიტანო ის; მესამედ მოველი.

პირველი: ეჰ. შე კაი კაცო, აი იმ ქალიშვილის საქმეა; აგერ რომ იყო.

მთხოვნელი:— მაშინ ვერ მითხარი, შე კაცო. მე ის ჩემსავით მთხოვნელი მეგონა, ეხლა სად უნდა ვნახო.

პირველი:—სადა, ძმაო და თუ მდიდარი იყო მისი „კავალერი“, მაშინ საკანდიტეროში იქნებიან; ქალი თავა დააპატიჟინებდა.

მთხოვნელი:—წადი ახლა შენ და გეიგე იმ ახალგაზრდას სილარიბის მოწმობა აქვს თუ ბურჟუის!

მეორე: (ცოტა ხნის მერე)— ამხანაგო, რას აკეთებ აქ დაწესებულებაში? უსაქმოდ გაჩერება აკრძალულია. თქვენ კი უსაქმოდ ხართ ამდენი ხანია!

მთხოვნელი:—შე კაცო, მაგას თუ მართალს ამბობ, მაგაზე უკეთესი არ იქნება ამ დაწესებულებაში ესენი არც ერთი არაფერს არ აკეთებს და მაშინ არცერთი არ ყოფილა აქ დასაყენებელი.

ქალიშვილი. (შემოდის გულმოსული):— ჩორტ! ცოლიანი ყოფილა! ხულიგან... შიგ საკანდიტეროში მოგვიაწრო მისმა ცოლმა. კაცები სულელები ხართ; ცოლიანი კაცი ქალს საკანდიტეროში პატიჟობს. ჩემმა ქმარმა, რომ ისე ჰქნას. . არა არა როგორ მომატყუა!? თქვენ დაუკვირდით, როგორი ლამაზი ახალგაზრდა იყო და ცოლი კი რა მახინჯი ჰყოლია!

მეორე:—რას ცხარობ. შე ქალო, ამ ქალაქში რაც უცოლო ვაჟები იყო, ისინი კიდეც შეიყვარე და კიდეც გადიყვარე დაბოლოს ცოლიანი შეგხვდებოდა აპა რა იქნებოდა?! კიდევ არა უშავს რა თუ „პონჩიკების“ ჭამა მაინც მოააწარი.

ქალიშვილი:— სწორედ უბედურებაც მაგაშია,—ის ცოლმა წამოაგდო ზეზე და ფულის გადახდა კი მე მომიხდა.

(შემოდის საარჩევნო სიის ამწერი; ხელში ქაღალდი და ფანქარი უჭირავს, მივა ქალიშვილთან).

ამწერი:—რამდენი წლისა ხართ და რა გვარი.

ქალიშვილი:—თუ კი ჩემი შერთვა გინდათ და მოგწონვართ, ხნოვანობა რა საჭიროა?

ამწერი:—არა ეს უწყებისთვის არია საჭირო, საარჩევნო უწყებისთვის.

ქალიშვილი (თავისთვის):—ნუ თუ მისმა ცოლმა მიჩივლა და უწყება მომდის?

ძგუნტი.

# კახეთის მატარებელი



კახეთის მატარებლის დამხმარე ორთქლმავალი ხშირათ დაშორებულია მატარებლის შემადგენლობისაგან დიდი მანძილით.

(სინამდვილიდან).

**დამხმარე ორთქლმავალის**
— მოიტათ, მოიტათ ღვინო... მატარებელს და თქვენ მაინც დაგეხმარები.

# შორაპანი

ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ ზესტაფონის სადგურს მივადექი. სასტუმრო იქვე ახლოს ალმოჩნდა, მაგრამ ისე „ძვირფასათ" იყო მორთული, რომ გადავწყვიტე ღამე გამეთია სადგურში.

დილა ადრიანად სამაზრო ალმასკომს ვესტუმრე. შალიკოს ერთი ვილაც მაღალი კაცი ინგლისურა ყალიონით თავს ადგა და ემუსაიფებოდა. შალიკო კი ამ დროს რალაც წითელ ბლოკნოტს ავსებდა. (ფულის ასიგნობა იყო) ეს კაცი იქაური ინსტრუქტორი თადეოზი ალმოჩნდა. (მე კი უბედურს ჰარიმანის წარმომადგენელი მეგონა).

შალიკოს კიდევ არ გაეთევებია მასთან საქმე, რომ თავს მეორე თანამშრომელი დაეყუდა. ქაღალდზე, რომელიც ხელში ეჭირა, წითელი მელნით შემდეგი წარწერა გავარჩიე: **„მიეცეს და მიენიჭოს".**

— რას უნდა ნიშნავდეს ეს!—გავიფიქრე მე.

შალიკო ეუბნებოდა მიშას, (მიშა იმ ყმაწვილს სახელი ალმოჩნდა; ადგილობრივი თანამშრომელი ყოფილა):

— რომელი თვის გამოგიწერო შე კაცო?! დეკემბერი, და იანვარი შეჭმული გაქვს!!

— თებერვლის, ამხანაგო! ქე იცის ეს ამხ. კალიტომ!—ჩაილუღლუღა საწყალმა „დაჩაგრულმა" თანამშრომელმა.

— მეც ქე ვიცი, მაგრამ თუ ამხ. სიმონმა არ დართო ნება. არ შეიძლება! ან და როგორ უნდა მოგცე, როცა პატარა თანამშრომლებს მიმდინარე თვის არ მიუღიათ?!

— სიმონი, ამხანაგო, არ მომცემს და მერე კიდევ სამფინგანი გამაწვალებს!—განუმეორა მიშამ.

-- მე რა ვქნა მერმე? შენი ჯამაგირი უნდა იყოფინო ჯვიოგან თვემდი.

მიშა გაბრუნდა თავის მაგიდისკენ შემდეგი რეპლიკით:—აბა შენ ყოფილხარ ყორიფელი.

შალიკოს კიდევ უნდოდა რალაცა ეთქვა, მაგრამ მე შემამჩნია.

მე გამოვეცნობილე. მანდატიც წარუდგინე და ძალიან შეწუხდა. უყურადღებობისათვის, მაგრამ მე დავამშვიდე.

— ასეთე გამწარებული ვარ, მაგ კაციდგან, ამხანაგო!—მითხრა შალიკომ.

— დიდია თქვენი შტატი?—შევეკითხე მე.

— არა! აი გაიხედეთ, ის საქმის მწარმოებელია... ის რეგისტრატორშა, ყმაწვილს რომ ემუსაიფება.... ის მემანქანე, პუდრს რომ იცხებს... ის მმაჩისს გამგე... ეს კი ინფორმატორი!.. გაშტერებული რომ ზის; მე მდივანი... ვანი...

— ეს „ინფორმატორი" რა თანამდებობაა? რას აკეთებს ის?

— გაკეთებით რაც კი შეხვდება ყველაფერს, მაგრამ მთავარი ეს ის არის, რომ ცნობები შეაგროვოს და ინფორმაცია გაუკეთოს თავმჯდომარეს!—ღიმილით მიპასუხა შალიკომ.

შალიკოს მაგიდის პირდაპირ მეორე მაგიდა იდგა, მას ერთი ახალგაზრდა უჯდა: მის ახლოს კი კისერზე ბუა შემოხვეული ქალიშვილი თუ ქმრიანი ქალი იჯდა.

შალიკომ პირდაპირ იქ მიმიყვანა და გამაცნო:— იცნობდეთ, სტატბიუროს გამგეა: ეს მისი პირადი საქმის მწარმოებელია!

ქალმა გაიგო თუ არა, რომ მე ტარტაროზიდგან ვიყავი, ბუა გადააგდო სკამს უკან და თავის ლამაზი გულმკერდი გაიშიშვლა.

მე გადავედი პირდაპირ კითხვებზე:

— როგორ არის თქვენთან სტატისტიკის საქმე?

— კარგათ! წინეთ ცოტა მოიკოჭლეოდა, მაგრამ ეხლა ძალზე გამოკეთდა.

— მითხარით, რამდენი ზარალი მიაყენა მაზრას სეტყვამ?

— მაგას ეხლა ვერ გეტყვით; ასეთი საიდუმლოების გაცემა მხოლოდ საიდუმლო მაგიდის გამგეს ბლუაშვილს შეუძლია; მაგრამ ჯერ დამუშავებული არა გვაქვს.

— რას უდრის გასული წლის მოსავალი და რამდენი სიმინდის შემოზიდვა დასჭირდება მაზრას?

— ჩვენ ჯერ უფრო რთული საკითხები გვაქვს და მაგის დამუშავებას არ შევდგომივართ... ისთე ხომ იცით სტატისტიკა ცხოვრების სარკეა.

— მითხარით, რამდენი შაბიაბანი იქნება მაზრისათვის საჭირო?

— ეს სტატისტიკის საქმე არ არის; მაგისთანა კითხვებზე მელვინე გრიშა მღვდელაძეს უნდა მიმართოთ.

სტატბიუროდგან განათლების განყოფილებას ვესტუმრე.

ოთახში მხოლოდ ერთი ბარიშნა იჯდა და ხელებზე სულს იბერავდა.

— მითხარით გამგე სად არის?

— გამგე, ჩემო ბატონო, თავმჯდომარესთან შევიდა ცეცხლთან გასათბობათ.

— განა თქვენ ცეცხლი არ გინთიათ?!

— როგორ არა, გვენთო, მაგრამ ჩვენი ნორმა შეშისა დავწვით; სამფინგანი მეტს აღარ იძლევა; ბიუჯეტში გადახარჯვა მოგივათო

ამ ლაპარაკში ვიყავით გართული, რომ გამგე. დათიკო ბლუაშვილიც შემოვიდა.

— მითხარით როგორ გაქვთ სწავლის საქმე?(

მისალმების შემდეგ, გადავედივართ კითხვებზე.

— კარგათ.

— რამდენი სკოლა, მოწაფე და მასწავლებელი გყავთ?

— დომნა! რამდენია?—შეეკითხა დათიკო თავის მოანგარიშეს...



ემანქანე:
ვეხმარები,

— რა ვიცი ბატ. დათიკო, სკოლები ბევრია და ჯერემ არ გამომიანგარიშებია... ასეთივეა მასწავლებლებიც.

— ამ განყოფილებამ სამი გამგე გამოიცვალა ამ მოკლე დროში და ვერც ერთმა ვერ მოასწრო ჩამოყალიბება

— მითხარით სკოლები ასთე გაუთბობელი გაქვთ, როგორც აქა? შეაკეთეთ თუ არა დაზიანებული სკოლები?

— დანგრეული სკოლები ჩვენ არ გვქონია; ზოგან არის მინები ჩალეწილი, მაგრამ ჩვენ აქ გამოსავალი ვნახეთ—უგზავნით სოფლის მასწავლებლებს გაზეთებს, რომლებსაც აკრავენ მინების მაგივრათ. რაც შეეხება შეშას,— ავიღეთ და დავადეთ მოწაფეებს—დილდილობით ყველას მოაქვს თითო ნაჭერი შეშა.

— როგორ მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია?

— ლიკვიდაცია ხდება. ოქტომბრის რევოლიუციის ორმოცდაათი წლის თავზე, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ გვეყოლება.

ამის დასამტკიცებლად ამხ. დათიკომ მთელი სიები მომილო.

— აი ნახეთ, აქ 2000 კაცია სიაში, და 4000 მანეთამდე დაიხარჯა. თუმცა მსმენელების ხელის მოწერა არ არის, რადგანაც იმათმა არ იცოდნენ წერა, მაგრამ მასწავლებლები მათ მაგიერ აწერენ ხელს და ფული მიღებული აქვთ.

იქიდგან პირდაპირ კოლია ფუტკარაძეს ესტუმრე კომმუნ. განყოფილებაში.

— რამდენი კილომეტრი გზა გააკეთეთ ამხ. კოლია მიმდინარე წელში?

— კილომეტრი არა და, 1000 მეტრი კი გავაკეთეთ. მაგრამ მომავალ ზაფხულში უნდა დავათავოთ; გეგმაში გვაქვს 2000 კილომეტრი გზის გაკეთება.

— აკეთებთ თუ არა ხიდებს თემებში?

— ხიდეებს თემებში ვერ ვაკეთებთ, ე. ი. არ ვაკეთებთ, ვინაიდგან სულ ერთია, წყალი მაინც წაიღებს და უკეთესია ფულები არ ვხარჯოთ

სწორეთ ბრძნული პასუხი მომცა და საშინლად მეწყინა, რომ ასეთი ნიჭიერი ხალხი (პირში არ ვაქებ) პროვინციაში რჩებიან.

— როდის გაიხსნება ზესტაფონში კომუნალური ბანკი?

— მოკვლია, ძმავ შენ? ის. დაპირება, გააუქმდა ბანკის გამგეობას. მაინც სულ ერთია, ფულს მაინც ვერ მივიღებთ ალმასკომისათვის.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ თამასუქის გაცემის ნებას სამფინანსოდან დ. მაჭარაშვილი არ მოგვცემდა!

„სპერაკუდინი“.

# ᲨᲔᲗᲐᲕᲔᲑᲐ

## რკ. გზის სათბობი საწყობი

1926 წლის ზამთრისა და ამის გარდა გოგავასაგან დაშინებული მუშა - მოსამსახურეები ზაფხულიდანვე უდგებიან ზამთრისათვის შეშის მომარაგებას. უკვე სექტემბრის თვიდან გადაიხადეს შეშის საფასური და ხელში (თუ ჯიბეში) ქვითარებით შეიარაღდენ შეშის ფრონტის დასაპყრობად.

ნოემბრის შუა რიცხვები მოახლოვდა, ზამთარმა წინდაწინ გამოაგზავნა თავისი წინა მორბედი თეთრი-ქალარა თოვლი. დაიძრა მოთმინებიდან გამოსული მუშა-მოსამსახურეთა არმიები. ხალხის რისხვა ცუდს უქადის საწყობის მესვეურთ. ახმაურდა ადგილკომებიც. იძულებული შეიქნენ გადმოესროლათ ლოზუნგი: „**შეშა მოდის ემზადეთ მისაღებათ**“-ო.

ელვის სისწრაფით მოედო მუშათა უბნებს ხმა მამხნევებელი: „**შეშა მოდის**“.

გავიდა ორი კვირა. მოვიდა შეშა. იმ ღამიდანვე გაკეთდა რიგი. ძლივს მეორე დღეს დილის 9 საათზე მივიდენ საწყობის მფლობელხი და გამოაცხადეს:

— მიბრძანდით სახლში; ჯერ შეშა რონოდებიდან არ დაგვიცლიათ“-ო.

გავიდა ორი კვირაც. კვლავ აცხადებს გამგე:—დავაწყობთ თუ არა, მაშინვე დავარიგებთო.

გავიდა სამი კვირა. ხალხი რიგში დგას.

— ამხანაგებო!—აცხადებს გამგე — თუმცა დავაწყვეთ, მაგრამ ეხლა უხდა მოვზომოთ — დავმეტროთ და დავაკილოგრამოთ. მოვრჩები თუ არა, მაშინათვე დავიწყებ დარიგებას!

მეცხრე კვირას ისევ გაკეთდა რიგი. გამგე აცხადებს:

— გააკეთეთ ცალ-ცალკე რიგი სექტემბრის თვიდან იანვრის თვემდეო ცალ-ცალკე თვეებმა!

დადგენ ურმების კავალერიის ათეულები და ოცეულები. გაიმართა პარტიები. ეცენ სექტემბრისტები ოქტომბრისტებს, ოქტომბრისტები ნოემბრისტებს, ნოემბრისტები დეკაბრისტებს, დეკაბრისტები იანვრისტებს, ატყდა ვაი უშველებელი. აირია ქალი, კაცი ქვა და კეტი ერთმანეთში... გამგე იცინის, იცინის კვდება სიცილითა გამოირკვა, რომ შეშა თითოს ნახევარი ნაპობიც არ ხვდება.

შეიცვალა ბრძოლის გეგმა. გამოვიდა დადგენილება: „**იანვრისტების გარდა შეშა არავის მიეცემა**“-ო.

დაიშალა რიგები, გაიშალა ფრონტი და ერთხმად გაეშურენ კანტორისაკენ, მაგრამ თოფიანი მცველი შეუდრეკელად იცავდა თავის საგუშაგოს. ახროგინდა კაჭკები, ურმები... გარბიან: ხარები და კამეჩები.

გამგე კანტორის სახურავიდან გასძახის აბობოქრებულ მასას:

— ამხანაგებო! შეშა, რომელი შეშაც თქვენ უნდა მიგეღოთ ოთხი თვის წინეთ, ჩასთვალეთ მიღებულათ. რომ მოგვეცა, ეხლა მაინც დამწვარი გექნებოდათ. რაც შეეხება გადახდილ თანხას; შეიტანეთ განცხადება განყოფილების უფროსთან, ის გადაუგზავნის გზათა სამმართველოს, გზათა სამმართველო წააწერს რეზოლიუციასა, და დაუბრუნებს განყ. უფროსს. განყ. უფროსი გადმოსცემს სად. უფროსს; სადგ. უფროსი გადასცემს არტელჩიკს და არტელჩიკი კი თქვენ მოგცემს. რაც შეეხება ამ პაწია შეშას, ეს მარტო იანვრისტებს თუ ეყოფა!

აღელვებული მუშა-მოსამსახურენი თვეობით რიგში ნადგომი ლანძღვა-გინებით იშლებიან...

თუმცა ამ სურათის შინაარსი და მისი მხატვრული მხარეები ჩვენთვის მიუღებელი და საწინააღმდეგოა (როგორც წარმოების სიმახინჯე), მაგრამ, ამასთანავე საგიტაციო არის ჩვენი პროფკავშირებისათვის, რათა შემდეგისათვის მეტი სიფრთხილე იქონიონ საქმეში.

კონტაიდი.

# ჩემი მგზავრობა

**(ქუთაისიდან ჭიათურა - საჩხერემდე)**

იმას როგორ მოვიფიქრებდი თუ ქუთაისიდან საჩხერემდე ამდენ ნოვოსტებს შევიტყობდი.

ამას წინად სავსემ სლუჩაინად საჩხერესაკენ გავემგზავრე. შაეელ თუ არა ქუთაისის სტანციაზე, გულს შამამიეიდა:

— ბიჭოს!... სად თოვა ამდენი ხალხი?... ბილეტნი კასასთან ისეთი ეჩერედი იდგა, რომ მენშენიკების დროის ქადის ვეჩერედი გეგონებოდა... ვიფიქრე: — მე თუ აქ ჩავდექ ბილეთს ვერ მოვასწრებთქო და დაუწყე ძებნა ზნაკომ რკინისგზელებს. მალე ბილეთიც „შევიძინე" მაგრამ არ გინდა ეხლა კარში გასვლა?...

რაღა ბევრი გავაგრძელო, მივაღწიეთ შორაპნის სადგურს. ჭიათურისაკენ მატარებელს ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. გადავსწყვიტე — გაზეთი ან ჟურნალი მეყიდა, მაგრამ ბუფეტში მითხრეს:

— აქ გაზეთი ღამით კი არა, დღისითაც არ იშოვება!

როგორც შემდეგ შევიტყევე, თურმე გაზეთებისათვის არ სცალია, არშიყობაში ვართულ მარუსიას.

ჩამოკრეს თუ არა ზარს, პირდაპირ ჭიათურის პოეზდში შევარდი. მატარებელიც დაიძრა...

— მოამზადეთ ბილეთები! — გაისმა ხმა... სხვებთან ერთად ჩემს ეჩერედზე მეც ამოვიღე და მივეცი რევიზორს...

— ენტო ნა ჟონსკი! შტრაფი პლატიო!

— ვა, გული გამისკდა რაღა.

— ფული მიჭიცია. განა ეს ბილეთი, ბილეთი არ არის? — შევესპორე.

— თქვენ ძაგარის გიყიდიათ და თუ რბილში გინდოდათ დაჯდომა, ორი ბილეთი უნდა გეყიდათ!

— ეჰ, ყურუმსაღ ჩემო თავო, ახია შენზე!... არა, მე ვირის თავმა რათ ვერ ვიგრძენი მიახკი საჯდომი?!? ნაღდათ ვტყუი, მაგრამ რევიზორს მაინც ვესპორები, რადგან ასეთი კანონია ამ გზაზე.

ბოსლევში დიდი მოწიწებით გადამიყვანეს. მაგრამ მორიგე აღარ დაგვხვდა. პროლოჩნიკმა სრაზუძ გაიქცა დსპს მოსაყვანად, არა ამ მგალობლიშვილს გაზეთებმა ვერ უშველეს — ის მაინც საქონლებს დასდევს, მატარებელი სადგურში იდგას და ის კი ძროხებს ერეკება — „არუქდონიაში ბეზ - რაზრეშენია რათ შემოსულხართო". თავს რო კრასნი ფურაშკა უმშვენებს და მარჯვენა ხელს — ეეზლი... თურმე ჩამოურთმევია თუ არა ეეზლი ჩვენი მაშინისტისათვის, იქედან პრიამათ ძროხებს კაჰკიდებია. საბრალო სრელოჩნიკი კინაღამ მოჰკლა:

— შენს საქმეზე მე უნდა დავრბოდე?... მე შენ გარჩევნეფ, ჩქარა დამიჭირე საქონლები, უხდა დავშრაფოვო!...



— ვინ არის ეს გიჟი, რომ ტიტლიკანა გარბის?
— ალბათ ქუთაისელ მეეტლეებ[ი]. მიერ ტყავგამძვრალი მოქალაქეა.

შრაფის გაგონებამ, მე უფრო შემაშინა — ვაი თუ ძროხების ჯავრი ჩემზე არ იყაროს!?...

— რევიზორ - ჯან, ვაზმი შრაფ და პუსტი!—შევეხვეწე. მართლაც, ჩტო ზნაჩიტ ფეშქეშ ფარა,—სოაზუძ არ გამიშვეს..

რკვიის სტანციაზე დავინახე მაღალი, გრძელ შავწვერა კაცი, თურმე რკვიის ნაჩალნიკი ყოფილა და მე კი ლევარსი როხროხაძე მეგონა. მართლაც ნამდვილი ლევარსის ფართრეთია ჩემმა მზემ და მეც ლევარსი მეგონებოდა, რომ იქვე მდგომ პომოშნიკისთვის სლუჟებნი სპორი არ გაემართა...

როგორც იყო, ვეღირსე ჭიათურაში ჩასვლას.

— დარკეეთი... დარკეეთი, — ისმოდა პოლსტანციის კაბინეტიდან, პაპა ხარ!... პაპა, მე კასაში ვდეჟურნოფ, რევიზიას მიკეთებენ. ვერ მოვდივარ და დედას მოუარე. არ გაციკდეს; ხომ იცი თავი დაიბანა; პაპა, ილოდე კარგათ დაახურე საბანი... პაპა ფისუნიას აჭამე საჭმელი მშიერი არ მომიკვდეს... რაო?... ფისუნია წყალმა წამოიღო?... უიმე. პაპა, დედას არ უთხრა, თორემ გადაირევა. ისე ნუ გეშინია მე აქ დავხედები და იქნება გადაარჩინო! და გულშემოყრილი გავარდა მდინარისაკენ ფისუნიას უტოპლენიდან გამოსაყვანათ.

ეხ, ნესჩასტნო ვეროჩკა! ვინ იცის იქნებ თანაც გადაყვეს ფისუნიას და ოხრად დარჩეს პასაჟირებიდან შეპორჩენილი ზდაჩი!

უკვე სადილობამაც მოაწია... პურის საყიდლათ ხაკტპოს პეკარიაში წაველი. ლორმა ცხვირი გამკრა და ძირს თხლაშანი მოვადინე. ერთი მაგრათ შეუკურთხე და რო წამოვდექი გავიგონე:

— ღუტუ, ღუტუ, ღუტუ! ეძახოდა სახლებში ფედო ლორებს.

— ვაი, უქვენზე დადგა თქვენი დედა შავებით; გოუსიანე ბიჭო. რომ ხედამ სხვისი საქონლები შემოგვეჩია!...

— ჰა... ა მურიკა ქუს...ს!— და მურიკამაც გამოეხთო...

ის იყო ნაყიდი პური უნდა წამეღო, რომ მომესმა ფედოს კივილი და მოთქმა. ხალხი გარბოდა და მეც მივყევი.

— ვა იმე... რა... მე;;; შ;;;ველებაl რა ცეცხლში ჩავარდე?! ჩემი ლიზიკო. ჩემი იმედი მატარებელმა გადამიჭრა... დემეფსო თვალები... მეპს მერე ჩემო ლიზიკონა მე ცოცხალი უნდა ვიყო?! — საბრალო ფედო ისე გულმოდგინეთ და გულმომწვავათ სტიროდა. რომ მეც თვალები ცრემლებით ამევსო...

— გამეიარე შვილო — მიმართა ფედომ კლასიდან მომავალ ქალიშვილს, — გ-ამე-ი-არე; შენ კი შეიტყოფ კაი გასაგონს...

— რაიყო დედა...

— ნუ მკითხამ, შვილო... ნუ მკითხამ... ჩვენი ძროხა, ჩვენი მაკე ლიზიკონე მატარებელმა გადაგვიჭრა, შვილო!...

ვოტ ნედორაზუმენია!... თურმე ძროხასთან მამხდარა კატასტროფია და მე კი ლიზიკონე ბარიშნა მეგონა! აფსუს მეც რა გულიანათ ვსტიროდი... ქალიშვილმა წიგნები კედელს

# „ნატვრა“



ქუთაისელი მონადირე (მხატვარს):—თქვენ ქუთაისის მონადირეთა კავშირს ხომ არ ხატავთ?

მხატვარი:—დიახ!

ქუთაისელი მონადირე:—თუ კაცი ხარ ისე დახატე, რომ კარები ღია ჰქონდეს; სურათზე მაინც ვნახო გაღებული! ისე ყოველთვის დაკეტილია!

მიაყარა, თმა გაიჩეჩა მორთო ღრიალი.

— გამიშვით: არ მინდა სიცოცხლე; რაღა დავხვდეთ ბაბაიას? შორაპანში რო შეიტყოს, არ ჩამოვა ცოცხალი! — და თავის მოსაკლავად იწევდა.

— გაჩუმდი, გოგო, ნუ გეშინია, კიდო დაგვრჩა დედა ოთხი ძროხა და ხბო... ნუ ტირი დედა! — აძშვიდებდა ფედო ქალიშვილს.

მეც ჩავიცვინე სპაკოინათ და ბუფეტისაკენ გავსწიე. კარგათ ვისადილე. საჩხერის მატარებელიც მოვიდა... ბილეთი ვიყიდე თუ არა, შუაზე რბილ ვაგონში შეშინებულმა, უკანა ვაგონს მივაშურე...

— ტუტ ნელიზია, ეტო ვაგონ პჩპ-4 ხუნდაძეო! — მომაძახა ვაგონში მჯდომმა ლამაზმა გოგონამ — შტრაფით შეშინებულმა სრაზუმ გადმოვხტი და გავიქეცი. ლამაზ პონჩიკებმა კი ქისკისი მორთეს.

მივაღწიეთ რა საჩხერესაც, აქ ცოტათი გული დამიმშვიდდა... ძა მარტო ჩემი თავი მეგონა საშტრაფო, მაგრამ აქ ქე არ მოგვიბრძანა რევიზორმა ასობი ვაგონის პატრონი ლევან ხუნდაძე ხუთი დაჰოჩკებით!

ახია თქვენზე. მე არ შემიშვით; გეგონათ ხელს შეგიშლიდით, მაგრამ უარესი დაგატყდათ თავს! — ვფიქრობდი და თანაც უკან მივდევდი გახარებული.

რევიზორმა სრაზუმ დაშრაფა და თანაც გრძელი პრატაკოლიც მიაყოლა. სლუჟებნი ვაგონით უბილეთო ბარიშნების ტარება ნელზიაო, — აა ეს კი ზაკონია მედა ჩემმა მზემ. შორაპნიდან საჩხერემდე „საკუთარ“ ვაგონში უხაყორობა ერთი გაშანშალებული პროტოკოლი და ოთხ თუმან ნახევრამდე დაუჯდა ჩვენ ლევანს. აჰა... კიდევ არ მოხვალ ჰკუას ლევანჯან?!

ქიზ.

# დიდი ჯიხაიში

## ვაჭრების გოდება

ხუთშაბათ დილა გათენდა,
და დადგა ავი დარია.
ვაჭართა მყუდრო ცხოვრება.
ამ დღემ სრულიად არია!
ქუთაისიდან მოვიდა
ნალოგი დიდი ძალია,
ზედ თოფურია ხელს აწერს,
როგორც მისი ვალია.
იაე დაიბნენ ვაჭრები.
ვითარცა კაცი მთვრალია.
ერთი - მეორეს კითხავდენ: —
ნეტავი ვისი ბრალია?

## ილიკო

ადგილოთბრივმა თუ გაგვკრა,
თავისი ბეკოს კვანტია. —
რადგან ერთხელაც ვერ ვარგეთ
ღვინითა სავსე კვარტია.

## ნოე

მე თოფურიამ დამღუპა,
რომ წავეჩხუბე ხონშია.
ყველაზე მეტი მომაკრა
და გაიწორა ხონშია!

## დიმიტრი

მე რას მერჩოდენ. ნეტავი?
რა მაქვს სხვა ზედა მეტია?
დარდისგან ღამე არ მძინავს,
თავზედ მესხმება რეტია.

## ალექსანდრე

მეც შენს ბედში ვარ, დიმიტრი,
ლამის გამწყვიტონ წელია.
თორემ გიორგის რა უშავს
წიგნებით დადის ხელშია.

## გიორგი

კაცი ვერაფერს დაგაკლებს,
თუ კი მიგიძღვის ამაგი.
აკაკისათვის მზადა მაქვს,
გაზაფხულისთვის გამაკი.

## ქრისტეფორე

დავკეტავ დუქანს, ვფიცავარ
ამ ჩიმს ულვაშება. წვრილსაო, —
მაგრამ ეს რომ ვქნა მაშინა,
ხომ გავახარებ მტერსაო.

## ილია კოლიას

რად მიღალატე, ძმობილო,
ამ დროს რად გამეყარეო!
შენც წახდი, მეც წამახდინე
და მტერი გაახარეო.

## კოლია

განა ვიცოდი ილოჯან,
ეს ბედი დაგვატყდებოდა.
ასისა ნაცვლად ხუთასი
მანეთი გადაგვხდებოდა?!

## მიკიტნები

შეგვაწერეს ათასობით...
ნათქვამია: რაც მოხთესო,
(ჩვენი ბრალი რა იქნება)
თუ ჩვენს მუშტრებს გადახდესო.

ხელიკო.

# ცოცხალი კალენდარი



**მათხოვარი** (წყნეთის ქუჩაზე: —ხალხნო, გაიკითხეთ ბრმა-კაცი... ხვალ ანაობაა... შეგეწიოთ იმისი მადლი...

**დედაბერი:** მართაობა როდის არის, ჩემო ბეჟანა...

**მათხოვარი:** ჯერ ფული მომეცი და მერმე გეტყვი.

# ტარტაროზკორის შიში

სცენა: ლამაზათ მორთული კაბინეტი სდგას საწერი მაგიდა. ზედ წიგნები და საანგარიშო ჩოთქი, ძევს. კედლებზე ბელადების სურათები ჰკიდია. გვერდზე საქმეების შესანახი შკაფია. მაგიდასთან სალარო და რბილი სავარძლები. გრიშა რბილ საჯდომში ზის, პაპიროზს წევს და „ტარტაროზს" კითხულობს.

**გრიშა:** — ღმერთმა დასწყევლოს მაგის სახელი გადაშლი „ტარტაროზს", სამტრედია; გადმოშლი — სამტრედია.

**დარაჯი ივანე:** — გლეხებია ბატონო, — შემოსვლას თხოულობენ.

**გრიშა** (მკაცრათ): — თორმეტ საათამდე არავის არ მივიღებ. ხომ ხედავ საქმეებით ვარ დატვირთული.. ვისაც უნდა მოიცადოს; ვისაც არა და ჰაიდა... მარშ! (ივანე გადის) ერთ წამს არ მასვენებენ. უნდა მიხვდენ, რომ მე გამგე ვარ. (თავისთვის) ჩემი ციალო რომ გლეხების რიგს ნახავს, უფრო და მაფასებს. (ჯიბიდან სურათს იღებს და ჰკოცნის). ვერმიშელის ხელები; მაკარონის ფეხები. სარო ტანი. მარმალადის ტუჩები. რა კეკლუცია ეს მამაძაღლი?! შენ გენაცვალოს შენი გრიშკო. (საათს ჩახედავს).. სადაცაა მოვა.

**ივანე:** — ვიღაც ახალგაზრდა კაცია ბატონო. თქვენი ნახვა უნდა.

**გრიშა** (თავისთვის): — ვინ უნდა იყოს ნეტავი?! შემოვიდეს. (შემოდის ტარტაროზკორი) გრიშა. — (კარებთან ეგებება): — მობრძანდით... მობრძანდით. სკამი. როგორ ბრძანდებით?

**ტარტაროზკორი:** — მადლობთ... ვარ იაე... (სხდებიან.)

**გრიშა:** — რამ გაგაჯავრა, ჩემო კეთილო! საქმე ხომ არა გაქვსთ რა? მიმსახურე...

**ტარტაროზკორი:** — ამ საღამოს ჩვენს კლუბში შემოიარე, წრეების მუშაობა უნდა ჩამოვაყალიბოთ.

**გრიშა:** — ძალიან კეთილი, ჩემო ძვირფასო. ძალიან კეთილი! დღე და ღამე ვმუშაობ, შენ ნუ მომიკვდები; გავხდი კაცი... ჩამოვდნი! (ზარს რეკს) ასეთია შრომა.

**ივანე:** — რას მიბრძანებთ ჩემო ბატონო?

**გრიშა:** — ბატონობა კაი ხანია გადავარდა შე მამაძაღლო... ამხანაგო თქვა.

**ივანე:** — რა ვიცი, ბატონო ამხანაგო უწინ ასე მიმაჩვიე და...

**გრიშა:** — ნუ ტარტალობ, შე კონტრ – რევოლიუციონერო! ია ხალხი რომ გაგიჩერებია გარეთ, ვერ შემოუშვებ?! დაუ-ახე ახლავე. ცოდვა არიან. სოფლიდან ჩამოსულან. (გლეხები შემო-დიან) თქვენ რა გნებავსთ?

**გივი:** — რაი ბატონ-ო და..

**გ[illegible]იშა:** — ქუდი დაიხურე, შე კაცო. ახლა ამხანაგობაა. ნიკოლოზის დრო კი არაა. დაბრძანდით. (გლეხები ჩამოსხდებიან).

**გივი:** — ქე რომ თხოვნა მოგართვით, იმ საქმეზე გიახელი. შეგაწუხეთ მარა.

**გრიშა:** — რა შეწუხებაა! ეგ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა... როდის შემოიტანე?

**ტარტაროზკორი:** — უკაცრავად გრ[illegible]. უნდა წავიდე, მშვიდობით..

**გრიშა:** —დაჯექი შე კაცო... რა გე[illegible]ება?!

**ტარტაროზკორი:** — ხომ იცი სხვაგანაც უნდა შევიარო. (გრიშა კარებამ[illegible] მიაცილებს).

**გრიშა:** — ხვთის პირიდან გადავა[illegible] [illegible]აკებმა მოათრია აქანა? დავიღუპე კაცი! დავიღუპე! (გლეხებს) რას გელაპარაკებოდათ ის კაცი ახლა რომ აქ იყო?!

**გივი:** — რაი, ბატონო, და ჯერ გამარჯ[illegible] გვიასხრა... მერე გვკითხა — რატომა ხართ აქანე გაჩერებულიო? რამდენი საათია აქანა იცდითო?

**გრიშა:** — მერე თქვენ რა უთხარით?

**[illegible]ტო:** — რაი, ამხანაგო და კაი ხანიათქვა. ასეიყო და აპა რა გვეთქვა?

**გრიშა:** — ვინაა შე დაკარგულო შენი ამხანაგი?! გამეცალეთ აქიდან; თქვენი დუხი არ ნახოს ჩემმა თვალებმა. (უბრახუნებს ფეხებს) წამამეჭიმენ აქანა პროკურორებივით. (გლეხები გადიან). ოი შენს ტყავს ტარტაროზკორო: (გულე ხელს იბრაგუნებს) ვაი დედაშენს! ვაი დედაშენს: (გაბრაზებული დადის) საიდან გამომეცხადა ეს ხვთის ფეხის მჭამელი?! რამ მოათრია აქანა? რაფერ ვიყავი გამოჭიმული ამას წინათ! ვაი დედაშენს! ვაი დედაშენს! (იღებს ტარტაროზს და ხევს ნაკუწ - ნაკუწათ) ვიღაცას შენი არსებობის აზრი დაებადა გოგრა'ში, რათ არ გახმა ის გოგრა!

**ივანე:** — ვიღაც ქალია ბატონო!

**გრიშა:** — (თმას ისწორებს; ტანსაცმელს იწმენდს. ნაფურთხით ისუფთავებს.) სთხოვეთ!

**შიხლინსკი ბომბ:**

# ტყიბულის მაღაროების სასადილოში



**პირველი მოსადილე**:— ვალოდია, ვალოდია... ეი, ვალოდია, მომიტანე, თუ ძმა ხარ ერთი კერძი და პური, თვარა დავმკვდი აქანა!

**მეორე**: — იულია, იულია... უკაცრავათ, მობრძანდით... ბორში და პური მომიტანეთ!

**მესამე (მეორეს)**: — კაცო, რატომ ეძახი იულიას? სახელის დაძახებაზე ბრაზობს და სადილს აღარ გაძლიერებს.

**მეოთხე**: ისმაილა, მოდი და წაიღე ფული. მომიტანე ერთი ლობიო... (მღერიან):

ისმაილამ არ მაღირსა
მე სადილზე ლობიო,
თუმცა დახლზე ის იდგა
ერთი დიდი გობიო.
სიმშილიდან ხანაში
მე გამიჩნდა ობიო

**ხმები**: — ლობიო... ლობიო, ისმაილა გომბიო...

**მეხუთე**: — ისმაილა, მაღირსე სადილი; გამოსწიე ბარემ... რისი გეშინია კაცო, რომ არ მეკარები? ნუ გეშინია არც ტიფი მჭირს და არც ხოლერა.

**მექვსე**: — იულია, შე გენაცვალე სადილი...

**მეშვიდე**: — სახელს ნუ ეძახი კაცო, თორემ ისეთი პოხონდრიას გიზამს, რომ...

**იულია**: — ვაი, თქვენ დაგერიათ ზავი ჭირი, რავა გიქებიით ჰყვირიან. სანამდი არ გაჩუმდებიან, ფეხსაც არ მოვიცვლი. (გაბრაზებული დაჯდება და ფეხს ფეხზე იდებს).

**მერვე**: — (მეცხრეს, რომელიც სადილობს): — კაცო, ხომ ხედავ ამდენი ხანია თავზე გადგავარ და სკამის დაცლას ვუცდი?! რომ ასე გააჭიანურე სადილის ჭამა, ქორწილი ხომ არ გგონია აქანა?! ადე ზედ; მეც კაცი ვარ, მშია!

**მეათე** (იღებს ჯიბიდან აგურის ნატეხს და ასუფთავებს დანა - ჩანგალს): — პური და დანა - ჩანგალი ქე მეღირსა და სოუზის მოტანამდი, ამას გავწმინდავ, თორემ მომწამლავს ამისი ჟანგი. (ატყდება ჩხუბი და აყალ-მაყალი. ჰყვირიან):

**ყველა**: — წყალი, წყალი.... უშველეთ.

**ერთი**: — „პაჟარნი კამანდას" დავუძახოთ თუ პაჟარია.

**მეორე**: დავუძახოთ, თორემ ერთბაშათ არ ჩააქროს — წყალი „კრანტში" არსად არ არის.

**მეხამე**: — კაცო, პური კი არა, გული უწუხს კაცს სიმშილით.

**ვალოდია** (მოაქვს სადილი გულწასულისათვის): — ჰა, კაცო, სადილი მოგიტანე; გული მოიბრუნე; ნუ გეშინია...

**გულწასული**: — სადილი... სადილი... ო, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ... (გონზე მოდის)... სადილი.. მისი ჭირიმე სადილი. (მადიანათ შეუდგება ჭამას.)

**ვიღაც**: — მიშველეთ, გული წამივიდა! ყველა: — რა ამბავია? რა მოხდა.

**ვიღაც**: — მიშველეთ... მიშველეთ სადილი, გული წამივიდა.

**ერთი**: — სტყუის... იშკილია... უნდა სადილი მოუტანონ და მიირთვას..

**მეორე**: — მასე რომ იყოს, მაშინ რა გვიჭირდა, — ყველას წაუვიდოდა გული, რომ სადილს თავის დროზე მიუტანდენ.

ტანკა.

ტყიბულის მაღაროს სასადილოში



— ეს რა მიტინგი და კრებაა, რომ ვიღაცას ირჩევენ და ხელს უწევენ!
— დელეგატს ირჩევენ, რომ ყველას მაგიერ მან ისადილოს ტყიბულის მაღაროების სასადილოში, თორემ ყველა მუშებისათვის ადგილი არ არის!

# „ტარტაროზი"-ს მკითხველები
## უ ნ დ ა ი ც ნ ო ბ დ ე ნ
## „სატარტაროზო" ავტორებს
## ვარდენ ღვანკითელი (ყიფიანი)

### ძველი იგავარაკი*)

(უძღვნი გზადაბნეულ ოპოზი-
ციონერებს)

ა.

ანგელოზ გუნდს, ქონდათ ერთხელ,
მითქმა-მოთქმა საუბარი,
წილი ვყაროთ და ვისაც ხვდეს,
ის იქნესო მაცხოვარი;
განვაგდოთ ღმერთი, რათ გვინდა,
ნურვინ ნუ ვსცემთ მას თაყვანსო,
სათითოულოთ ჩვენგანი,
უფრო ვიქთ ძალ-განგებასო,

ბ.

ძალ-უნებურათ აფრინდნენ,
ღმერთი ეგონათ თავის თავი,
მაგრამ ნახეს და დარწმუნდნენ,
უფრო დღე ადგებათ შავი;
იმათ ფრენა ვერ შეიძლეს,
რადგანაც ფრთები არ ებათ,
ამიტომაც ზოგი ერთნი,
გადაიქცნენ ეშმაკებათ.—

გ.

ეხლა არც ეშმაკებია,
არც წმინდა ანგელოზები,
რა უნდა ქნან არ იციან,
ისე დაბნევიათ გზები;
იმათი ასე მოქცევით,
მე მაგონდება ღამურა,
და ბოდიშსაც კი არ ვიხთი,
აქ ვინმე დამემდურება.

ვარდენ ღვანკითელი.

### ელვის ამონაკვნესი

ა.

ელვამ სთქვა: ქალმაც კი იცის,
რისთვის ყეფს. მოსდის გულიო,
ადამიანი კი არის,
ამასაც მოკლებულიო;
ა, მაგალითად, როდესაც,
ელვას ვსცემ განათლებაო,
ბრიყვ ხალხს გონია თუ მეხი,
ჩემგანვე წარმოსდგებაო.

ბ.

მაგრამ მე მხოლოდ მებრალვის,
უმთვარო ღმეს შეეღულია.
და მე მათ გზასა უნათებ.
რადგანაც ამ დროს ბნელია;
ისინი მადლობის ნაცვლათ,
მე პირში მაფურთხებენო,
მაგრამ ეხ! ღმერთო შეუნდე,
რადგანაც ვერ მიცნობენო.

ვ. ღვანკითელი.

---

*) დაცულია ავტორის მართლწერა.

### შარადა

ა.

სატახტო ქალაქის სახელს,
გიხოვთ ოსმალეთისას,
სულ არ მინდა. წინიდან ათს,
მომცემს ანბანს მისას;
დანარჩენი ხუთი ასო,
რაც დარჩება ცენტათ,
არ მსურს, რადგანაც შარადასავით,
იქნება ზედ მეტათ.—

ბ.

ეხლა ქალის სამკაული,
ტანზედ ჩასაცმელი,
შარადისთვის გთხოვთ მიბოძოთ,
იმისი სახელი;
შემდეგ შუაზედ გასჭერით,
მე მქონდეს პირველი,
და დანარჩენს ვისაც სურდეს,
წაატანოს ხელი.—

გ.

ბოსტნეულის მცენარეა,
საჭმელად სახმარი.
იმის სახელის ხსენებაც,
არის მოსახმარი;
მის სახელის. წინ ორ ანბანს,
თუ მიბოძებ ნებ. თ,
იცოდე რომ მოგიხსენებ,
სუყოველთვის ქებით:—

დ.

საკერავი თუ რამე გაქვს,
რა უნდა იმონო?
დაფიქრდი ძნელი არ არის
ეგებ მოიგონო;
ხუთ ანბანისგან შესდგება,
იმისი სახელი,
მის წინ ორ ანბანსაც უნდა,
წავატანო ხელი.—

ე.

დათვის ნაშობს. რა სახელსაც,
უწოდებენ ყველა,
მიხსენით და შარადასაც,
მიეცემა შველა;
შუა გასჭერ. პირველი თქვენ,
ბოლო კი მე მქონდეს,
დაფიქრდი და რაც გამოვა,
ეგებ მოგაგონდეს.

ვ.

იქნება მწერალ-მოღვაწე,
კარგი პედაგოგი,
ვინაც გვიყვარს, ვით ებრაელს,
თავის სინაგოგი,
და ეხლაც თუ ველარ მიხვდი,
ეს ვინაც ბრძანდება,
მისთანა რამეს გიწოდებ,
რაც არ გეკადრება.

ვარდენ ღვანკითელი (ყიფიანი).



— თქვენთან კაცია; თქვენი ნახვა სურთ!

— უთხარი,— არა მცალია!!



სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა,— და დაჟინებით მოითხოვს თქვენს ნახვას.



— საქმე ცუდათ არის! ან ის, ან მე... მაგრამ დაზღვეული მაინც ვიყო.



მოქალაქე: სალამი თქვენ-და... უკაცრავათ, მაგრამ —მე დაზღ-ვევის აგენტი... ხომ არ გნებავთ დაგ-აზღვევოთ?!

# ცნობათა მიღება



გორდაუსს: მართლაც ცუდათ „აგშლიათ ჯლაბნის სალერლელი“:

აბდა-უბდა,
გადასკუპდა;
ალხო-მალხო,
მინდა ვნახო...

ტარტაროზმა მცირეოდენი შესწორება შეიტანა:

მართლაც არის აბდა-უბდა,
ასე წერა ლექსს არ უნდა,
და ამიტომ თქვენი ლექსი,—
ჩვენს გოდორში გადასკუპდა.
გთხოვთ გოდორში იგი ნახოთ.

მიხა გაგრიას: გირჩევთ წაიკითხოთ ჩვენი პასუხი „გორდაუსი“-სადმი და იმით დაკმაყოფილდეთ.

გიჟ-ვრაც: დანიშნულია კომისია — მართალია თუ არა, რომ:

ელსაბედის ქუჩას ოთხი სახელწოდება აქვს გაკრული: „ელისაბედის“, „კლარა ცეტკინის“, „ბრძოლის“ და მეოთხე მთარგმნელის შეცდომა — ულიცა ბორბი, ასე უთარგმა — ჭიდაობის ქუჩა.

პლატონს: — ჩვენს სარედაქციო კალათს არ აკლია პატივისცემა თქვენებრ ავტორებისაგან. მიუხედავათ ამისა მიიღეთ ჩვენი მადლობა, რომ:

მე იმისთვის მოვიტანე
ეს უბრალო, ეს რაღაცა,
რომ თქვენა მანდ გქონებიათ
ამისათვისა კალათა.

ჩვენ გირჩევდით ცრემლები თქვენის წერილისათვის დაგეზოგათ და არა:

სატირალში ვიყავთ ერთად
მე და ჩემი ცოლი მარგო;
სხვებთან ერთად ჩვენც ვიტირეთ,
რაც რომ ღმერთმა იმ კაცს არგო:

იურის (საჯევახო): — შეურაცყოფათ არ მიიღოთ, რომ აქ არის მოთავსებული თქვენი:

## „ფულის ულაპოსანი“

იყო ჩვენს საჯავახოში, სანდრო მსხილაძე სვიანი.
მაღალი, უხვი, მჭამელი, ძმა-ბიჭებ-პროტექციანი.
სხვა მოძმე არვინ არ ჰყავდა მართ ოდენ მარტო მოლარე:
კოოპერატივის საქონლის დამპყრობი და შიგ მჯდომარე.
მისი სახელი აკაკი არის ესე საცოდნარია;
რაც ის მოვიდა მოლარეთ, არ გაგვ..თენდა დარია,
ბოლოს გათენდა ავდარით, დარი არ დადგა მზიანი.
და საჯავახოს ეპოსა მან მიაყენა ზიანი
სანდრომ მისწერა წერილი თავის მოლარე კაკოსა::
„მო, ყური მიგდე, ძმობილო, რომ ჩემა სიტყვამ გარგოსა.
„სალარო ჩუმათ გააღე,—შიგ არის ბევრი ფულია.
„რასაც შევსჭამთ შეგრჩება,—რასაც არა,—დაკარგულია.

—:—

ნახეს ჩვენი სანდრო, კაკო ჯდენ მტირალი კასის წინა.
და ორივეს უნუგეშოთ კასის წინა მოეწყინა.
ამ დროს უცბათ თავს წაადგა რევიზია ვით ლაშქარი.
და ორივეს აერიათ თავში ტვინი და დავთარი.
რომ წავიდა რევიზია, ულაპოსნებიც წაიყვანეს...

ვიცით სადაც წაიყვანდენ... ეს ძველი ამბავი ყოფილა; ჩვენ ახალი გვაინტერესებს. არ დაიბეჭდება.

კა—როს, (ფოთი):—აბა, რა მოსაწერია, რომ:

კლუბთან არსებობს ფურნე,
მის გვერდით კი დუქანი
სადუქნო კომისიაში
ქალი არის მსუქანი
სხვას თუ გირვანქა ერგება
მას ათი გირი ერგების,
ზოგსა კი „საპატიოსა“
კარი უკნიდან ელების.

ოკრ.—იანს, (ტყიბული):— სენსაციურ ამბებს გვატყობინებთ, რომ:

მოხდა სასტიკი შეტაკება. მოწინაალმდეგეთა მეთაურები: სოფ-რომ-აძე და ბო-ბოჭორი-შვილი ვეფხვივით იბრძოდენ. ბევრ მუშებს გაუტეხეს თავი (ქვებს ესროდენ ერთმანეთს მოწინაალმდეგენი). ბრძოლა უშედეგოთ დამთავრდა, რომ ბოჭორი-შვილის ქალი ხანჯლით არ გამოსულიყო. ამ გარემოებამ ბრძოლის შედეგი სოფრომ-აძის საზიანოთ გადასწყვიტა დაიღვარა ოთხი ვედრო სისხლი, გატყდა: 6 თავი, 12 ცხვირი და ჩაიმტვრა 47 კბილი.

ამდენი მსხვერპლი გაუღიათ და თქვენ მაინც უსაყვედურებთ!?

პირიქით, მადლობის ღირსია, თუ შანხაის ამბებიდან „ინსპენსიროვკა“ მოაწყვეს და წარმოადგინეს: „ილრიალე ჩინეთო“. (თქვენი წერილიც „ილრიალებს“ უფსკერო გოდორში, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდება!).

ალიოშას: — გარდა ერთისა, არ გამოგვადგა.

„სამი-შვილს“:—ერთად არ ვარგა.

## რა წარწერა უნდა,— ისედაც გასაგებია!



# საგლეხო სესხი




ტარტაროზი (გლეხებს): — ამხანაგებო, დამშვიდდით! საგლეხო სესხის ობლიგაციები კიდევ გვაქვს... ნუ ჩხუბობთ... ყველას შეგხვდებათ... ყველას გეყოფათ!

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68